

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

26 მაისი 2006 №11



ბარათი ამერიკიდან  
საუბარი ანა კალანდაქესთან  
მიხეილ ჯავახიშვილის ფარაჯა  
სულხან-საბას დეტექტივი – ედგარ პოზე ადრე  
ვახტანგ ჯავახაძის დანალმული რითმები  
კანტიდან ბარათაშვილამდე  
ომარ ხაიამის რობაიები

## შინაარსი

<b>როგორ ვითვლივართ ქლასიკას</b>	<b>2</b>	<b>ლევან ბრეგვაძე პირველი ქართული დეტაქტივი</b>
<b>ენისტოლვა</b>	<b>4</b>	<b>ვერჯილ ნემოიანუ პიროვნების სრულქმენისათვის</b> (ლია წერილი გივი ალხაზიშვილს)
<b>ალიონიდან ალიონამდე</b>	<b>5</b>	<b>როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უკრაინოდ</b>
<b>მსპრან-ინტერვიუ</b>	<b>9</b>	<b>ფანჯრის იქითა მხარეს</b> (საუბარი ანა კალანდაძესთან)
<b>ჩვენი ყოფა, წუთისოვალი</b>	<b>10</b>	<b>საბა სულხანიშვილი როდემდე ეს 26 მაისი?</b>
<b>პროზა</b>	<b>11</b>	<b>გია ხოფერია ძველთაძველი ამბავი კოლექტივის შესახებ</b>
<b>პოეზია</b>	<b>19</b>	<b>ვახტანგ ჯავახაძე დანადგომული რითმები</b>
<b>პოეტის ერთი ლექსი</b>	<b>24</b>	<b>ნინო დარბაისელი ქლებია</b>
<b>უსწოთის სსოვრებიდან</b>	<b>25</b>	<b>სიმონ ლეისი ჩვენი ერთადერთი ქოლვა</b>
<b>ენისტიკა</b>	<b>26</b>	<b>მერაბ ლალანიძე რომენ როლანის კითხილი თვალები</b>
<b>ფილოლოგი</b>	<b>28</b>	<b>მოლოდინი განგაშის ველზე</b> (ნინო დეკანოიძეს ესაუბრება რენე კალანდია)
<b>მოგონებათა სივრტიდან</b>	<b>31</b>	<b>ქეთევან ტომარაძე მიხეილ ჯავახიშვილის ფარაჯა</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>33</b>	<b>ორი კაცის საზოგადოება</b> (განხილვა ელგუჯა თავბერიძის მონოგრაფიისა)
<b>ახალგაზრდავო, ან კი თქვენ</b>	<b>37</b>	<b>ნინო თარხნიშვილი მინიატურები</b>
<b>ვიკოტაჟა</b>	<b>40</b>	<b>თეიმურაზ დოიაშვილი მამრამ რადგანაც...</b> (კანტი – კარამზინი – ბარათაშვილი)
<b>გამოსვლაება</b>	<b>41</b>	<b>ნათელა ხუციშვილი სამართლიანი, თუმც ამო პროტესტი</b>
<b>კრიტიკა</b>	<b>42</b>	<b>დალილა ბედიანიძე სტრიქონი – ტოტაბს გადანასკული</b>
<b>ფიქრები</b>	<b>45</b>	<b>ვახტანგ დავითაია ცხოვრების ფურცლები</b>
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	<b>48</b>	<b>ომარ ხაიამი რობანიები</b>
<b>უსწორი ნოველა</b>	<b>50</b>	<b>თომას საულიუს კონდროტასი კენტავრი საგვარეულო გერგზე</b>
<b>ნაქვესები</b>	<b>61</b>	<b>მასვილსიტყვაობის ნიმუშები</b>
<b>მოზაიკა</b>	<b>63</b>	<b>სახლები და ფილმები</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: პაბლო პიკასო, „ვაკხანალია“

ვახტანგ დავითაია, საცხოვრებელი სახლი სოფელ ნევაში

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 9 ივნისს

ბატონო რედაქტორო!

თქვენი მშვენიერი, მრავალმხრივ საინტერესო ჟურნალის პირველ ნომერშივე გამოჩნდა რუბრიკა „დეტექტივი“ და ამ რუბრიკით უკვე გამოჩენილ აღმოსავლელ და დასავლელ სიტყვის ოსტატთა ჩინებული მოთხრობები და ნოველები გამოქვეყნდა, მათ შორის ერთი ქართველი ავტორისაც – არაჩვეულებრივი მოთხველის, ლამა იმედაშვილის, „ვეძღვნი ქალებს, ჩემთან მწყრალებს“, რაც განსაკუთრებით გასახარია, ვინაიდან ამ ჟანრის თხზულებებით ჩვენი, საზოგადოდ, ძალზე მრავალფეროვანი მწერლობა არც ისე მდიდარია (პატრიოტ ლიტერატურისმოყვარულთა გულის დასამშვიდებლად ვიტყვი, რომ ვერც დიდი გერმანული ლიტერატურა დაიკვეხნის ამ მხრივ დიდად). ამ კოლორიტული ჟანრისადმი თქვენს გამორჩეულ ყურადღებაზე მეტყველებს ისიც, რომ მეცხრე ნომერში ჩემთვის უცნობი ავტორის, ნიკა თევზაძის, ნაშრომი დაბეჭდეთ – „დეტექტივის თავგადასავალი“, რომელშიც „თვალის ერთი გადავლებით“ (ამ რუბრიკით გამოქვეყნდა ეს ნაშრომი) არის მიმოხილული ლიტერატურული დეტექტივის ისტორია ამ ჟანრის ფუძემდებლის ედგარ პოს ნოველებიდან დაწყებული დღემდე.

ბატონ ნიკა თევზაძის მიმოხილვას ახლავს დანართი „რედაქციისაგან“, რომელშიც მკითხველს შეახსენებთ ამ ჟანრის ქართულ თხზულებებს – ალექსანდრე ყაზბეგის „მოძღვარიდან“ დღევანდელ ნიმუშებამდე, რომლებზეც „დეტექტივის თავგადასავლის“ ავტორის არ უსაუბრია – მოკლე მიმოხილვაში ყველაფერს ვერ განვებნი (გავეცანი თქვენს ახლახან გამოსულ ბიოგრაფიულ რომანში, რომლის სათაურია „ყაზბეგის ანა“, „მოძღვრისადმი“ მიძღვნილ თავს, სადაც თქვენ პირველად და სავსებით მართებულად აანალიზებთ ამ მოთხრობას როგორც დეტექტივს).

დანართი „რედაქციისაგან“ ასე იწყება: „დეტექტივის ჟანრის ეს მიმოხილვა ზედაპირულიცაა და ფრაგმენტულიც, მაგრამ რამდენიმე გვერდზე უფრო სრულად და ღრმად გადავლება თვალისა დეტექტივის თავგადასავლისათვის თითქმის შეუძლებელია, ეს ექსკურსი კი თავის დანიშნულებას მაინც ასრულებს...“

სავსებით ვეთანხმები ამ მოსაზრებას, ზემოთაც ვთქვი, მოკლე მიმოხილვაში ყველაფერს ვერ განვებნი-მეთქი, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა შევნიშნო: დეტექტიური ჟანრის რაც არ უნდა მოკლე მიმოხილვა შევადგინოთ, მასში აუცილებლად უნდა მოიძებნოს ადგილი გენიალური ჯილბერტ კით ჩესტერტონისა და მისი პერსონაჟების მამა ბრაუნისა და ფიშერისათვის. ჩესტერტონის სახელს ნიკა თევზაძის მიმოხილვაში, სამწუხაროდ, ვერ ვპოულობთ.

ეს დანაკლისი პირადად ჩემთვის მით უფრო გულდასაწყვეტია, რომ ჩესტერტონის ყაიდის დეტექტიური ნოველა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ მეგულეა. ამის შესახებ 1988 წლის იანვარში გამოქვეყნებული წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, საიდანაც, ვფიქრობ, ნათლად ჩანს, რომ დეტექტივი ედგარ პოზე ბევრად ადრე დიდ ქართველ მეიგავეს (1658-1725) დაუწერია. ამ ფაქტის გათვალისწინების გარეშე ვერც ქართული და ვერც მსოფლიო დეტექტივის ისტორია სრული ვერ იქნება (სხვათა შორის, როცა ჩესტერტონი ბრაუნსა და ფიშერზე ნოველებს წერდა, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ კარგა ხნის გამოსული იყო ინგლისურ ენაზე: ოლივერ უორდროპის თარგმანი 1894 წელს გამოიცა ლონდონში).

თვრამეტი წლის წინ გამოქვეყნებული ეს წერილი უყურადღებოდ დარჩა, ვინაიდან მალე ქვეყანაში რევოლუციური მოძრაობა აზვირთდა და ამგვარი საკითხებისთვის აღარავის ეცალა. მას შემდეგ იგი აღარსად დაბეჭდილა.

ბატონო როსტომ!

რაკი თქვენმა ჟურნალმა დეტექტივისა და მისი ისტორიისადმი ასეთი ყურადღება გამოიჩინა, იქნებ კარგად დავინყებულ ჩემი ამ წერილის განმეორებით გამოქვეყნებაც მიზანშეწონილად მიიჩნიოთ, წერილისა, რომელსაც, ვფიქრობ, საერთაშორისო მნიშვნელობაც უნდა ჰქონდეს.

პატივისცემით  
ლევან ბრეგაძე

## პირველი ქართული დეტექტივი

როგორც ცნობილია, დეტექტიურ ჟანრს, კრიმინალური ლიტერატურის დამოუკიდებელ სახეობას, საფუძველი ედგარ ალან პომ ჩაუყარა ნოველით „ორმაგი მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ (1841 წ.). ედგარ პომდე ამ ჟანრის მხოლოდ ცალკეული ელემენტებია შენიშნული მკვლევართა მიერ. ამის შესახებ საყურადღებო წერილი აქვს გამოქვეყნებული კინორეჟისორსა და კინოდრამატურგს, სათავგადასავლო ლიტერატურის შესანიშნავ მკოდნეს ლეონიდ ტრაუბერგს („ნაუკა ი ჟიზნ“, 1965, 8). დეტექტივის ელემენტებს იგი ამჩნევს ჰომეროსთან (ოდისეის მოხერხებულობა), სოფოკლეს „კვალის მაძიებლებში“ (ჰერმესმა აპოლონს ძროხები მოჰპარა, სატირები ნაკვალევის მიხედვით ეძებენ გატაცებულ საქონელს. მერმესმა ეშმაკურად აუბნია მათ კვალი და თავი დააღწია დადევრებს. აქ დამნაშავე იმარჯვებს, რაც არ არის დამახასიათებელი დეტექტივისთვის). იქვე ლ. ტრაუბერგი საუბრობს ვოლტერის „ზადიგზეც“, რომლის მთავარი გმირი, სხვათა შორის, დედუქციის უნართაც არის დაჯილდოებული: „დედოფლის ხვადი ფინია ხომ არ დაგინახავთ?“ – ეკითხებიან მსახურები გზად შემოყრილ ზადიგს. „იგი ძუკნა გახლავთ და არა ხვადი“, – მიუგო ზადიგმა. „ერთი ციდა ფინია... დიდი ხანი არაა, რაც ლეკვები დაყარა, წინა მარცხენა ფეხით კოჭლობს და ძალიან

გრძელი ყურები აქვს“. „– სად ნახეთ? – ნამოიყვრა აქომინებულმა საჭურისმა“. „– არსად! – მიუგო ზადიგმა, – ძალი თვალთ არ მინახავს და არც ის ვიცოდი, დედოფალს ძუკნა თუ ჰყავდა...“ (ნუნუ ქადემილის და რუსუდან დოდაშვილის თარგმანი).\*

ზადიგს მართლა არ უნახავს ძალი, მისი ნიშნები და თვისებები მან ნაკვალევზე ამოიკითხა. „ვოლტერს არ შეუქმნია ჟანრი, – აღნიშნავს ლ. ტრაუბერგი – მაგრამ მის ზადიგს აქვს დედუქციის უნარიც და დეტექტივის დამკვირვებლობაც“.

დიახ, ვოლტერს არ შეუქმნია დეტექტიური ჟანრი. ეს არ არის დეტექტივი თუნდაც იმიტომ, რომ აქ საქმე არა გვაქვს დანაშაულოთან: დედოფლის ძალი და შემდეგ ცხენიც (რომლის ნიშნებიც ასევე ამოიცნო ზადიგმა), არვის მოუპარავს, ისინი თვითონ გაექცნენ მსახურებს.

\* ნაკვალევის გენიალური ნამკითხველის მოტივი ქართულ ფოლკლორსა და XVII საუკუნის ქართული პროზის ჩინებულ ძეგლში „რუსუდანთანშიც“ გვხვდება. ამის შესახებ იხ. ალექსანდრე ლლონტის „ვოლტერი და ქართული ზღაპარი“, „სიტყვა ქართული“, 1993, 6, გვ. 13-14. ამავე მოტივის შემცველი ეპიზოდით იწყება უმბერტო ეკოს „ვარდის სახელიც“



რა თქმა უნდა, არც ერთი ეს ნაწარმოები ნამდვილ დეტექტივს არ განეკუთვნება, რადგან არც ერთ მათგანში არ არის ერთობლივად წარმოდგენილი ამ ჟანრისთვის სავალდებულო ელემენტები, როგორც ეს ედგარ პოსთან გვაქვს: 1. საიდუმლოებით მოცული დანაშაული და 2. საიდუმლოებით მოცული დანაშაულის გახსნა პიროვნების მიერ, რომელიც გამოირჩევა დაკვირვების არაჩვეულებრივი უნარით, მახვილგონიერებით, ძლიერი დედუქტიური აზროვნებით, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნით.

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის ნოველა „გრძნეული ცოლის პატრონი“, წიგნიდან „სიბრძნე სიცრუისა“.

ისპაანში ცხოვრობდა ერთი საწყალი კაცი, რომელსაც ფლიდი და გაიძვერა ცოლი ჰყავდა. ქმარს თავს წმინდანად აჩვენებდა (გამუდმებით ყურანს კითხულობდა, დღეში ხუთჯერ ლოცულობდა, ნასვამი წყლით ხელს არ დაიბანდა), სინამდვილეში კი გარყვნილი ადამიანი იყო და ჩუმად ღალატობდა მეუღლეს. ერთხელ ქმარი ბაღდადს მიმავალ ქარავანს გაჰყვა. ქარავანი მცირე ხნით შებრკოლდა და რადგან ისპაანს შორს არ იყვნენ გაცილებულნი, კაცი ღამის გასათევად შინ მობრუნდა. გარედანვე დაინახა, მისი ცოლი საყვარელთან ერთად ქეიფობდა. ამ აღმოჩენით გულმოკლული სახლში აღარ შესულა, უკანვე გაბრუნდა, მიატოვა ოჯახი და ბაღდადს დამკვიდრდა, სადაც წყლის ზიდვით ირჩენდა თავს.

ბაღდადში ამ დროს მძარცველთა ბანდა მოქმედებდა. სახლი აღარ დარჩა გაუძარცვავე, აოხრდა მთელი ქალაქი. ხალიფამ თავის მცველებს განუცხადა: „თუცა მპარავნი არ მიპოვნოთ... მუცლებს დაგიბოძო ყოველთაო!“ მცველებმა ვერ იპოვეს დამნაშავენი და სასჯელისაგან თავის დასაღწევად ეს საწყალი, ისპაანიდან გადმოხვენილი წყლის მზიდავი შეიპყრეს და მას დააბრალეს ქურდობა. კაცმა მოითხოვა: ერთი კვირა მადროვეთ, იქნებ ქურდი ვიპოვო, თუ არადა, სად წაგივალთო. გადაუვადეს მცირე ხნით შეპყრობა. დადის ქალაქში ისპაანელი ლტოლვილი და აღარ იცის, რა ქნას. ერთხელაც დაინახა ქუჩაში ვიღაც მობრძანდება, წინ ორი მსახური მოუძღვის და ცოცხებით გვიან იმ ადგილს, სადაც მან ფეხი უნდა დაადგას. იკითხა, ვინ არის ეს ან რატომ უგვიან ქუჩას ყოველი ნაბიჯის გადადგმაზეო. აუხსნეს: ეს არის აქაური უმაღლესი სასულიერო პირი, სადრი, უწმინდესი ადამიანი, ამისი ლოცვით უდგას ქვეყანას სული, წვიმა და მოსავალიც ამისი ლოცვით მოდისო.

ისპაანელმა იფიქრა, ეს უნდა იყოს ამ ქალაქის მომთხრელი ქურდიო. მისდა, შეიპარა მის სახლში და დარწმუნდა, რომ მართლაც სადრი ყოფილა ბანდის უფროსი.

მოახსენა ეს ამბავი მცველებს, რომლებმაც იგი თავიდან, რა თქმა უნდა, საცინლად აიგდეს. დიდი ჯაფა დაადგა, ვიდრე ვერ მცველებს და შემდეგ ხალიფას სადრის დანაშაულში დააჯერებდა, მაგრამ ბოლოს მაინც გაიტანა თავისი. სადრი შეიპყრეს და „რაც ეკადრებოდა, უყვეს“.

და, აი, ეკითხებიან საწყალ თულუხჩს, როგორ გამოიცანინი, რომ სადრი ყოფილა მძარცველიო. ჩემი ცოლის პატრონს მაგისი მიხვედრა გამიჭირდებოდაო? – მიუგო მან და მოუთ-



სულხან-საბა ორბელიანი  
XVIII საუკუნის მინიატურა

ხრო მათ თავისი ფარისეველი, ვითომ წმინდანი ცოლის ამბავი, რომელსაც ნოველის დასაწყისში გავეცანით.

აქ, უპირველეს ყოვლისა, ძალიან მნიშვნელოვანია ავტორისეული მინიშნება დანაშაულის გრანდიოზულ მასშტაბზე: „ბაღდადის ქალაქში ასეთი ქურდობა შეიქმნა, სახლი დაუთხრელი არ დარჩა. აოხრდა მთელი ქალაქი იგი“. ამან უნდა აფიქრებინოს გასაჭირში ჩავარდნილ ისპაანელს, რომ ჩვეულებრივ, რიგით დამნაშავესთან არ უნდა ჰქონდეს საქმე. ჩვეულებრივი დამნაშავე ასე ვერ იპარპაშებდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, დანაშაულობები იმიტომ რჩება ამ-

დენ ხანს გაუხსნელი, რომ მათ ისეთი ადამიანი სჩადის, ვისზედაც ყველაზე ნაკლებ შეილება ეჭვის მიტანა.

შემდეგ აღსანიშნავია ორი საუცხოო დეტალი, ფარისევლობის ზენიტის გამოხატველი: 1. ცოლი ნასვამი წყლით ხელს არ იბანს, ისეთი „წმინდანია“, 2. სადრის ყოველი ფეხის გადადგმაზე მსახურები ქვეყნის დასანახავად ცოცხით წმენდენ იმ ადგილს, სადაც ამ „წმინდა“ კაცმა უნდა დააბიჯოს. წმინდანად თავის წარმოჩენის მეტისმეტი და დაჟინებული მცდელობა მეტისმეტი გარყვნილების საფარია.

დეტექტიურ ლიტერატურაში გათვითცნობიერებული ადამიანი უთუოდ მიხვდება, რომ საქმე გვაქვს ჯილბერტ ჩესტერტონისებურ დეტექტიურ ნოველასთან. აი, რას წერს ჩესტერტონის (1874-1936) დეტექტივებზე ნ. ტრაუბერგი რუსული გამოცემის ბოლოსიტყვაობაში (მ., 1967):

„იქნებ ჩესტერტონის მოთხრობები ეს არის დეტექტივი პლუს ფსიქოლოგია? საყოველთაოდ მიღებული აზრით, მათი თავისებურება ისაა, რომ ბრაუნი და ფიშერი (ჩესტერტონის პერსონაჟები. – ლ. ბ.) სამხილთა საძიებლად ლუპამომარჯვებულნი კი არ დახიხვენ, არამედ ცდილობენ ჩასწვდნენ დამნაშავეს ფსიქოლოგიას. როგორც არ უნდა იყოს, ამ სახლის შემოტანის პატივს არაიშვიათად ჩესტერტონს მიაგებენ – ეტყობა, ეს მას სხვებზე უკეთ და დამაჯერებლად გამოუვიდა“.

კიდევ რამდენიმე ციტატა ამავე ბოლოსიტყვაობიდან: „ჩესტერტონის მხურვალე თავყანისმცემელი, კრიტიკოსი რონალდ ნოკსი წერს: „...მოთხრობები ბრაუნზე არ შეიძლება ხელალებით მივაკუთვნოთ დეტექტივებს: ეს არის დეტექტივი და კიდევ რაღაც. როგორც ყოველთვის, ჩესტერტონმა ისე გაჭედა ჩემოდანი, რომ ღვედები აღარ იკვრება; სენდვიჩში მეტისმეტად ბევრი ხორცი ჩადო“.

ეს სიტყვები სრული უფლებით შეიძლება გავიმეოროთ საბას ამ ნოველის მიმართაც.

„ჩესტერტონი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ასწავლიდა ადამიანებს ცხოვრებას და ახლაც მისი სახელი საბრძოლო ნალარის მონოდებას ჰგავს... ჩესტერტონის მოთხრობები აღსავსეა განსაცვიფრებლად ღრმა და ბრძნული აზრებით ცხოვრებაზე“.

ესეც თითქოსდა საბაზე ყოფილიყოს თქმული! როგორც ცნობილია, ს.-ს. ორბელიანის მრავალ იგავსა და ნოველას ანალოგი თუ პარალელი მოეპოვება მსოფლიო ლიტერატურის სხვადასხვა ძეგლში. რა ვითარებაა ამ მხრივ ჩვენ-

თვის საინტერესო ნოველასთან დაკავშირებით? „სიბრძნე სიცრუისას“ 1939 წლის რუსული გამოცემის (გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“) კომენტარებში სოლომონ იორდანიშვილი წერს: „მოთხრობა აგებულია სპარსულ ანეკდოტზე, რომლის დანიშნულებაც ისპაჰანელთა ჭკუისა და მოხერხებულობის შექება. ორბელიანმა მოთხრობა (უნდა იყოს „ანეკდოტი“ – ლ. ბ.) გარდაქმნა ბალდადის უმაღლესი სასულიერო წრის წარმომადგენლის, სადრის წინააღმდეგ მიმართულ სატირად“.

ეს კომენტარი ზურაბ ავალიშვილის მოსაზრებას ემყარება, რომელიც მკვლევარმა „სიბრძნე სიცრუისას“ გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში გამოთქვა (ბერლინი, 1933). თხზულების ტექსტის გერმანული თარგმანი შესრულებულია მიხეილ ნერეთლის მიერ, წინასიტყვაობისა და კომენტარების ავტორია ზ. ავალიშვილი). ზ. ავალიშვილის ვარაუდით, ნოველა „უთუოდ (სიცპერ) აგებულია სპარსულ ქალაქურ

ანეკდოტზე. იგი თავდაპირველად, როგორც ჩანს (ოფფენბარ), ისპაანელთა ჭკუისა და მოხერხებულობის შექებას ისახავდა მიზნად. ორბელიანმა კი ის გადააკეთა საერთოდ ფარისევლობის წინააღმდეგ მიმართულ ნაწარმოებად და მისგან მშვენიერი სატირა შექმნა“.

ზ. ავალიშვილს არა აქვს ამგვარი სპარსული ანეკდოტის არსებობის დამადასტურებელი საბუთები, მაგრამ ნავარაუდევია ანეკდოტი მართლაც რომ არსებობდეს, მისი საბასეულო დამუშავება, ცხადია, მაინც ორიგინალურ შემოქმედებად ჩაითვლება. ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ფაბულის დამუშავებით, როგორც ცნობილია, სიტყვაკაზმული მწერლობის უამრავი შედევრია შექმნილი. ასე რომ, არ არის გამორიცხული, ეს პირველი ქართული დეტექტივი, ამავე დროს, პირველი ნამდვილი დეტექტივი იყოს საერთოდ მსოფლიო ლიტერატურაში.

ჯანსტოლა

პიროვნების სრულქმნისათვის



ღია წერილი ბივი ალხაზიშვილს

ძვირფასო მისტერ ალხაზიშვილი,

თუმცა, სამწუხაროდ, ქართული ენა არ ვიცო, ჩინებული შესაძლებლობა მეძლევა გამოგვხმაუროთ ჩემი მეგობრისა და კოლეგის მისტერ პაატა ჩხეიძის დახმარებით, ვინც ყურადღება მიმაქცევინა თქვენს დიდსულოვან წერილზე და ინგლისურადაც მითარგმნა.

მსურს გულითადი მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისა და საგულისხმო შენიშვნებისათვის.

საინტერესოა, რომ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, როცა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში (ჩრდილოეთ ამერიკაში, ევრაზიასა და სხვაგან ყველგან) ერთგვარი პრობლემები წარმოიშვა და მოვალენი ვართ გამოგვხმაუროთ მათ, როგორც ჭეშმარიტი ინტელექტუალები და ზნეობრივი ადამიანები.

მნამს, რომ ყველა ჩვენთვის ცნობილი საზოგადოება (დღე-ღამე თუ მცირე, ძველი თუ ახალი) ყოველთვის იყო და დღესაც გახსნილია ტრანსცენდენტის მიმართ, ასევე მუდამ საჭიროებს და ეძიებს ტრანსცენდენტულ ღირებულებებს. ხანდახან (ხანგრძლივი თუ ხანმოკლე დროის მანძილზე) ეს საჭიროებანი მკაცრად იზღუდებოდა ზოგიერთ საზოგადოებაში. სხვა შემთხვევებში, „იცვლებოდა“ უცნაური კარიკატურებით თუ ფორმებით, რაც თითქოს „ალტერნატიულ რელიგიებად“ წარმოიწოდებოდა. თუმცა რელიგია ყოველთვის არსებობდა ადამიანის ცნობიერებაში.

დარწმუნებული ვარ, რომ დიდი შეცდომაა შევეცადოთ არაფრად ჩავაგდოთ ან მარგინალურად ვაქციოთ რელიგია. ზოგიერთი ჩვენგანი – სულიერი თვალსაზრისით – ღრმად და სერიოზულად რელიგიურია. სხვები ფიქრობენ, რომ რელი-

გია მხოლოდ სოციალური კონსტრუქციაა. და მაინც, არავის არ უნდა მოუვიდეს შეცდომა და მიატოვოს რელიგია. ამგვარი, მცდარი დამოკიდებულება ზუსტად შესატყვის შედეგებს იძლევა. უფრო მეტი სიბრძნეს გამოიჩინენ ნაკლებად რელიგიური ადამიანები, თუ აღნიშნავენ რელიგიის საჭიროებას და პატივისცემით მოეპყრობიან მას.

დღეისათვის, სამწუხაროდ, დასავლეთ ევროპასა და სხვაგანაც შეიმჩნევა ტენდენცია რელიგიის შეფერხებისა, თუნდაც მისი გაძევებისა საზოგადოებრივი დებატებიდან და საქმიანობიდან. რას ვიღებთ შედეგად? შედეგად თითქმის ყოველთვის ვიღებთ ფუნდამენტალიზმის ზრდას, ფანატიზმსა და დაუნდობელ რეაქციას. ეს არაჯანსაღი ვითარებაა.

ამიტომაც შევეცადე ჩემს თხზულებებში მეჩვენებინა კულტურასა და რელიგიას შორის კავშირის აუცილებლობა. მე პირადად მართლმადიდებელი ვარ, ისევე, როგორც ჩემი მშობლები და წინაპრები. ამისდა მიუხედავად 25 წელიწადია კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი ვარ და დიდი სიყვარული და სიახლოვე მაკავშირებს რომაული კათოლიციზმის დიად მიღწევებთან ხელოვნებაში. დღესდღეობით მთელს მსოფლიოში მოდებული სეკულარული მატერიალიზმის აგრესიული ძალების ანტი-რელიგიური საფრთხე გვემუქრება. ის უფრო სასტიკია, ვიდრე კომუნიზმის ეპოქაში. ამიტომაც, ვფიქრობ, ყველა ქრისტიანმა და სხვა რელიგიების ხალხებმაც უნდა ღრმად გააცნობიერონ, რომ მათ შორის გარკვეული სოლიდარობაა. ისინი, ჩემი აზრით, უკეთ ითანამშრომლებენ, თუ დაინყებენ საერთო ნიადაგის ძიებას ჭეშმარიტ კულტურასა და სააზროვნო იდეალებში.

შეერთებულ შტატებში, სადაც მე ვცხოვრობ, მონმენი ვართ კონსტიტუციური დემოკრატიის საუკეთესო ნიმუშისა, მსოფლიოში უძლიერესი ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარებისა. რა თქმა უნდა არის წინააღმდეგობანი, კონფლიქტები, დაპირისპირებანი, რაც ნორმალურად მიმანია ადამიანებისა თუ საზოგადოებისათვის და ხანდახან საჭიროც არის ქვეყნის ისტორიული ევოლუციისათვის; არსებობს დიალექტიკა და წონასწორობა თვალსაზრისებს შორის. რაც უნდა იყოს, სხვა რამ უფრო მნიშვნელოვანია. სახელდობრ ის, რომ შეერთებულ შტატებში სამეცნიერო-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება ღვთის რწმენასთან ხელჩაკიდებული მიაბიჯებს. ასი წელია ყველანაირი სტატისტიკური ანალიზი, ყველანაირი სოციოლოგიუ-

რი გამოკვლევა ერთსულოვნად გვიჩვენებს, რომ ამერიკელ ხალხს სწამს ღმერთი და დიდი უმრავლესობა დადის ეკლესიაში. ჩანს, რომ ორივე: ერთი მხრივ პოლიტიკური, სამეცნიერო და ეკონომიკური განვითარება და, მეორე მხრივ, რელიგიური რწმენა არა მარტო ეთავსება ერთმანეთს, არამედ რაღაც ღრმა კავშირიც არსებობს მათ შორის. რწმენა და გონება ერთმანეთს ეხმარებიან.

ვფიქრობ, ახალგაზრდების აღზრდა-განათლებისას უნდა ვიგულისხმოთ რელიგიური განზომილებანი. საგნებით დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლებელია პიროვნების სრულქმნა კულტურული და რელიგიური ელემენტების გარეშე. ზნეობრივი პიროვნების ცხოვრება, ოჯახის ცხოვრება, რომელიც გნებავთ საზოგადოების ყოფა დაფუძნებულია ამ კავშირზე. მხოლოდ ის ინტელექტუალები შეიძლება ჩაითვალოს პროგრესულად და განათლებულად, ვინც ამ ძირეულ ჭეშმარიტებას ჩანვლებიან, ვინც პატივს მიაგებენ ჭეშმარიტ ქრისტიანულ ჰუმანიზმს, პატივს მიაგებენ სხვადასხვა ფორმებს ღმერთთან ტრადიციული კავშირისა. ტრადიციული ღირებულებანი და მხნე ლტოლვა თავისუფლებისაკენ ყოველთვის ტყუპები იყვნენ და აგრძელებენ ურთიერთობას.

დიდი პატივისცემითა და მეგობრობით

**პერჯილ ნაშონაუ**  
**ვაშინგტონი**

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

## რას ვირჩევთ სათარგმნელად?

მესამე თუ მეათეხარისხოვან ავტორთა თხზულებანი რომ ითარგმნება, ეს კიდევ ცალკე საწუხარია, თუნდ საშუალო ღირსების თხზულებათა გადმოსაქართულებლადაც რომ არ უნდა მოვცდეთ ხოლმე, ესეც ცალკე სათქმელია, მაგრამ აღიარებულ თუ დიდ მწერალთა ქმნილებათაგან რატომღა ვარჩევთ ნაკლებმნიშვნელოვან ნაწარმოებებს, განა ან ასეთი არჩევანი რითიმე გამართლდება?

ჩვენდაუნებლიეთ სხივს ვაკლებთ ანდა საკმაოდ ვაკნინებთ გახმაურებულ სახელებს.

რას ვგულისხმობ?

ვთქვათ, ორ გამოცემას დაუფუკვირდეთ ამ თვალსაზრისით.

ქართველ მკითხველს სმენია მარგერიტ იურსენარისა და ნაჯიბ მაჰფუზის სახელები, როგორც მსოფლიო რანგის რომანისტებისა. ერთი პირველი ქალია, საფრანგეთის აკადემიის წევრად ვინც აირჩიეს, მეორე კი პირველი არაბი მწერალი, ნობელის პრემია ვისაც არგუენს. მიიჩნევენ, რომ ორივე შემთხვევაში ღირსეულად დაფასდა მათი ლიტერატურული ღვაწლი. და, აი, ხელმისაწვდომი ხდება ჩვენშიც მათი რომანები: იურსენარის „მოგვი-მკურნალი“ (თარგმნა თამარ აბრამიშვილმა) და მაჰფუზის „მირამარი“ და „როდოპისი“ (თარგმნა მანია ანდრონიკაშვილმა).

კარგია, რომ მათი ცალკეული ნოველების შემოსვლის შემდეგ ქართულ კულტურულ სივრცეში რომანებსაც გაეკვალათ გზა, მაგრამ ცოტა არ იყოს მოლოდინს გვიცრუებს ამ რომანების გაცნობა და იმედაცრუება მითუფრო მწარეა, რაც თარგმანები თავისთავად საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე მარჯვედ შერჩეული ტონალობისა და ბუნებრივი მეტყველების თვალსაზრისით.

აშკარაა: თამარ აბრამიშვილსაც და მანია ანდრონიკაშვილსაც წარმატებით შეეძლოთ მოეკიდათ ხელი იურსენარისა და

მაჰფუზის უკეთეს რომანთა გადმოსაქართულებლად და ჩვენც განსაკუთრებული სიამოვნებით შევიგრძნობდით და შევიცნობდით ერთის „მარტის იდებისა“ თუ მეორის „ჩვენუნელი ბიჭების“ ბრწყინვალეებასა და სიღრმეს, რომანებისა, რომელთა წყალობითაც მოუხვეჭავთ ალიარება, თორემ ამ ლიტერატურული ღირებულების შექმნა, „მოგვი-მკურნალი“ და „როდოპისი“ რასაც წარმოადგენს („მირამარი“ შედარებით მნიშვნელოვანია, ყოველ შემთხვევაში, „ჩვენუნელი ბიჭების“ თარგმნის წინ მისი გადმოღება შემოქმედებით ძალთა მოსასინჯად ზედმეტი იქნებ არც იყოს) გამორჩეული ნიჭიერება სულაც არ არის აუცილებელი.

ფარაონების ეპოქაზე, „როდოპისის“ თემა რა სიუჟეტურ ქარგაზეც არის გაშლილი გულუბრყვილო მელოდრამატიზმით, გაცილებით უფრო ფასეული მხატვრული ქმნილებაა ნაცნობი ქართველი მკითხველისათვის: მკლესლავ პრუსის, პოლონელი მწერლის, რომანი „ფარაონი“.

„მოგვი-მკურნალის“ თემატიკა კი – ინკვიზიცია და ერესი ნიდერლანდიაში – ისეთი მწერლის წყალობით გახდა ჩვენთვის მახლობელი, როგორც ბელგიელი შარლ დე კოსტერის „ულენშპიგელის ლეგენდა“ – ეს უკვე მსოფლიო შედეგრი, ურომლისოდაც ჩვენს ლიტერატურას ერთი კამკამა სხივი მოაკლდებოდა. ამ სილალისა და ექსპრესიის ფონზე ზენონის უნდოდ ტრაგიკულმა თავგადასავალმა როგორ გინდა აგაღელვოს!..

ასე რომ, ქვეყანას სტრიქონი არ უნდა დარჩენოდეს უთარგმნელი, მისი ლიტერატორები „მოგვი-მკურნალისა“ თუ „როდოპისის“ სათარგმნელად რომ მოცდნენ.

ჩვენ კი ვითომ ასე სრულყოფილად გვაქვს მსოფლიო მწერლობა ქართულ ენობრივ სამოსელში მოქცეული?

არც იურსენარი და არც მაჰფუზი არ არიან თომას მანი თუ უილიან ფოლკნერი, მათი შემოქმედების მთლიანად გადმოღება რომ იყოს აუცილებელი, სტრიქონის გამოუტოვებლად, თორემ ფრანგიც და არაბიც თვითონვე ზარალდებიან, რადგანაც ეს რომანები მათ სახელს ნაკლებ შეეფერება და როგორ გინდა დააჯერო ჩვენი მკითხველი, დიდ ლიტერატურას ეცნობო.

იქნებ რაც შეიძლება მალე მოხდეს მათი „რეაბილიტაცია“ და თავიანთი უკეთესი რომანებით წარსდგნენ ქართველი მკითხველის წინაშეც, თორემ ისე გამოდის, რომ სჯობდა ივანე მაჩაბელს „ჰამლეტისა“ და „მეფე ლირისათვის“ კი არ მოეკიდა ხელი უპირველესად, არამედ „ტიმონ ათენელისა“ თუ „ტროილისი და კრესიდასათვის“. ისე შემდგომ, ცხადია, ეს პიესებიც უნდა თარგმნილიყო უილიამ შექსპირის თხზულებათა

სრული გამოცემისათვის, რისი აუცილებლობაც მარგერიტ იურსენარისა და ნაჯიბ მაჰფუზის შემთხვევაში არ არსებობს და არა.

... ამ თვალთ ჩვენი დღევანდელი მთარგმნელობითი ცხოვრებისათვის იქნებ თქვენც გადაგეხედათ.

### გოლი თარაყი და სულიერი ჯანაყი

ვერ მიხვდნენ, როგორი თხელი ძაფი აქვს გამობმული თვითულ სიტყვას, თვითულ წამიერ შეხებას, თვითულ უმნიშვნელო ფაქტს და ეს ნართები სამყაროს ხალიჩის ფერადი ბოჭკოებივით როგორ არიან ერთმანეთში გადანასკვლნიო, – დაძრახავს პერსონაჟებს გოლი თარაყი მოთხრობაში „სადმე სხვაგან“, რომელიც არა მხოლოდ თავის ერთ-ერთ საუკეთესო ბელეტრისტულ ქმნილებად მიაჩნია, არამედ ახალი ეტაპის დასაწყისადაც – გარდამავალ ფორმად რომანისაკენ.

დიდი შემოტრიალება ამორალის ცხოვრებაში, სულია და სხეულის მძაფრი შეჯახება ვრცელ სარბიელს დაისაჭიროებდა.

მანამდე კმარობდა ნოველის ჟანრს, როგორც ყველაზე შესაფერისის მისი მწერლური ბუნებისათვის, მის ქარგაში მოაქცევდა იმ სატიკვარსა და საფიქრალს, რაც ყველაზე ძალიან აღელვებდა – თავისუფლება და არჩევანი, ამბოხი, შემდგომ უკვე უცხოობის თემა და შინისაკენ ლტოლვა.

ლირიზმი სჭარბობდა სიუჟეტის ეპიკურ გაშლას, ცნობიერების ნაკადი განსაზღვრავდა ნოველების ტონალობას, მაგრამ, აი, დადგებოდა დრო, როდესაც ამ ჩარჩოს გარღვევას შეეცდებოდა და სიხარულს იგრძნობდა, შედარებით ვრცელი თხრობის სადავეებსაც რომ დაიმორჩილებდა. კვლავ სულიერი ამბოხის არსს დაუკვირდებოდა, სულია და სხეულის ჭიდილს ანალიტიკურად დაანაწევრებდა და მისი ფარული ბუნების გამორკვევას შეეცდებოდა, იმ იდუმალებას მიეტანებოდა მხატვრულ წარმოსახვაში გასახვევად, რასაც ვერასოდეს ამოხსნი, მაგრამ ძიებისა და წვდომის სურვილი რაღაცას მიგახვედრებს, ბოლოსდაბოლოს, ამ მოვლენის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აგრძნობინებ მკითხველს.

და პერსონაჟებს იმისთვის რომ გაკილავეს, როგორ თუ სიტყვის ფერს, სუნსა თუ გემოს შესაფერისად ვერ განიცდიანო, თითქოს გადამეტებულ სიმკაცრეს იჩენს მათ მიმართ, ისინი ხომ შემოქმედნი არ არიან, თვითულ სიტყვაზე გამობმული თხელი ძაფი რომ შეამჩნიონ და სამყაროს ხალიჩის ფერადებზეც მათ ნასკვებს მიაღვეწონ თვალი, მაგრამ გოლი თარაყი ამას არ დაგიდევს, რაკილა მშობლიური ენისა და სიტყვის შეგრძნებას ყველა ადამიანის მოვალეობად მიიჩნევს და არა მარტოდენ მწერლებისა.

თვითონვე აღიარებს: სპარსულსა თუ ნებისმიერ სხვა ენას ერთგვარი მელოდიურობა ახასიათებს, რომლის მიმართაც განსაკუთრებით მგრძობიარე გახლავართ და რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია ჩემთვისო. და პერსონაჟთა სულიერი სიცარიელის ნათელ-

საყოფად ამიტომაც მოიშველიებს ენისადმი გულგრილობასა თუ უგრძობელობას.

ენის მელოდიურობის განცდა და შეცნობა მისი ნიჭის თავისებურებაა, მისი პიროვნული ბუნებაა, რაც კიდევ უფრო გაუმძაფრა და გაუმახვილა სამშობლოსაგან მოწყვეტამ – პარიზის არჩევამ თავის სამკვიდროდ. ამიტომაცაა, რომელიმე პატარა, უბრალო სიტყვასაც დიდხანს რომ ეძებს და გულს სტკენს სხვა მწერლების სპარსული ღვარჭნილობითა და ჩახლართულობით, ბუნდოვანებითა და დაბლანდულობით.

იქნებ ახალი ენის შექმნა სურთო, – გულწრფელად იკითხავს და არა ირონიით, მაგრამ იმ რეალობასაც სად წაუხვალ, რომ: „... ის, რაც მივიღეთ, სულაც არ არის ახალი ენა, რადგან მკითხველისთვის მართლაც რომ დამლელია... არ ვიცი, საერთოდ, საიდან მოვიდა ეს ენა, ასეთი აზროვნება? ყოველივე ეს მწერალსაც ვნებს და მკითხველსაც“.

იქვე ასეთ მეტაფორასაც გამოიყენებდა: პროზა მკითხველს ტანსაცმელივით უნდა მოერგოს და არ უნდა ემსგავსოს მწვერვალს, რომელზეც მას ყოველ ჯერზე ასვლა და იქიდან ჩამოვარდნა უხდებაო, – და ამ არეულობასა თუ დაუნძინაობას სპარსულ ლიტერატურაში პოსტმოდერნის შემოსვლას, ტრადიციების მსხვერველს, დროის პოლივალენტურობასა და ცნობიერების ნაკადს უკავშირებს. უფრო ზუსტად: ამ მხატვრული მიმდინარეობისა და ხერხების ხელოვნურ, გაუაზრებელ გადმონერგვას, თორემ თვითონ გოლი თარაყისათვის უცხო არ არის დასავლური სამწერლო მიღწევანი და მათი თავისება.

იგი ის ემიგრანტია, ვინც – განსხვავებით უცხოეთში გადახვეწილ სხვა ირანელ მწერალთაგან – სამშობლოში აქვეყნებს თავის თხზულებებს. ის მწერლები, ვთქვათ, შედეგითი უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს და იქიდან ცდილობენ შეხშიანებას ირანელ მკითხველთან, თუმც გოლი თარაყი ამერიკაში თანამემამულეთა იმ სულ ახალ თაობასაც გაიცნობდა, ინგლისურ ენაზე რომ წამოეწყოთ ნერა, თუმც მაინც ირანის მიმართ ნოსტალგია მსჭვალავდა მათ არსებობასა და მხატვრულ ძიებებს.

გოლი თარაყი ძალაუწებურად შეუპირისპირებდა ამ ახალგაზრდებს იმ მწერლებს, რომელთაც 30-40 წლისებმა დატოვეს ირანი და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ახალგაზრდებს წარსული ხელ-ფეხს არ უბოროკავდათ, მათთვის ირანისა და წარსულის აღმოჩენა შთავიწინის, ცოდნისა და კულტურის წყარო გახლდათ, მეორე მხრივ კი დასავლური კულტურაც გაეთავისებინათ, უფროს თაობას კი ვერ მოეხერხებინა დასავლური სამყაროს შეთვისება, რაღაცნაირად წარსულში დარჩენილიყო და ეს წარსული მისთვის ნაღვლიანი და მწარე გამომდგარიყო. თავსაც ამიტომ მოიხსენიებდა „ტანჯულ“ ან „ხელმოცარულ თაობად“.

ირანელი მწერლები მიაღწევდნენ იმას, რომ თავიანთ ნაწერებზე საფრანგეთის სალიტერატურო წრეებს ალაპარაკებდნენ. და მიზანი მხოლოდ ის არ უნდა იყოს, რომ ნობელის პრემიის ლაურეატთა შორის ადრე თუ გვიან მათი თვისტომიც აღმოჩნდეს, უფრო მეტს უნდა იზრახავდნენ – ევროპულ სალიტერატურო პროცესთან დაახლოებასა და სულაც მის შუაგულში მოქცევას. ეს იმედოვნება, ეს სწრაფვა გამოსჭვავის გოლი თარაყის დიალო-

სამშაბათს, 30 მაისს  
ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
დარბაზში გაიმართება  
წარდგინება  
ივანე ბუქურაულის  
მხატვრულ-დოკუმენტური წიგნისა  
„დაღესტნის სამი იმამი“  
დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

გის იმ პასაჟიდანაც, როდესაც იგი დაუფარავი სიამაყით გვიცხადებს, რომ ფრანგულად ითარგმნა რამდენიმე სპარსული რომანი, მათ შორის, მისი მოგონების წიგნიც „ჩემი ორი სამყარო“.

ეს დიალოგი ჟურნალისტ მოყვდე დაყიყითან ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშთა შორის უნდა ვიგულისხმობთ თავისი სიღრმით, სინრფელითა და განზოგადებით და ძალიან მოუხდა თავისებურ ბოლოსიტყვაობად მისი ნოველებისა და მოთხრობების კრებულს „სახლში ზეცაში“, რომლის გამოცემაც ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენაა გოლი თარაყის მხატვრულ ქმნილებათა სრულფასოვანი ქართული ორეულების შექმნით.

ამ შემთხვევაში სახეებით ვენდობი გიორგი ლობჯანიძის შეფასებას, სპარსული ენისა და მწერლობის საუკეთესო მცოდნის, პიროვნების, ვისაც ამაგი მიუძღვის ამ მოთხრობების, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე თანდათანობით გამოშუქურებასა და ცალკე წიგნად გამზადებაშიც, საბოლოოდ კი მთარგმნელთა – მზია ბურჯანაძისა და თეა შურლაიას – ოსტატობამ, სიტყვისა და შინაგანი რიტმის გრძობამ განსაზღვრა ამ გამოცემის არაორდინარულობა.

ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების თვალსაჩინო მოვლენად შემორჩება ისტორიას გოლი თარაყის სტუმრობა საქართველოში, მაისის თვეში, და მის მიერ გამართული ლექცია-საუბრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა, „კავკასიურ სახლსა“ და წიგნის მაღაზია „პარნასში“, და ამ მნიშვნელოვანი ვიზიტის მოგვარებას ის გამოცემლობა იღებდა თავს, ვინც ერთ კრებულად აქცია „შემირანის ავტობუსი“, „კედელს იქით“, „ზამთრის ძილქუში“, „ჩემი სულის დიდი ქალბატონი“, „ანარბანუ და მისი ბიჭები“, „სახლი ზეცაში“ – მზია ბურჯანაძის მიერ თარგმნილი – და „მეც ჩე გევარა ვარ“, „ამინეს შორეული მოგზაურობა“, „სადმე სხვაგან“ და ლიტერატურული დიალოგი, თეა შურლაიას მიერ გადმოღებული: „დიოგენემ“.

გოლი თარაყი პერსონაჟებსაც კი დაძრახავდა, როგორ თუ ვერ მიხვდნენ, რანაირი თხელი ძაფი აქვს გამოზმული თვითიულ სიტყვასო, და, ცხადია, მთარგმნელებს ამ „თხელი ძაფის“ შესატყვისი განწყობილების შექმნა ევალებოდათ, სპარსული ენის მელოდიურობის შენახვება ქართული ენის მელოდიურობით, თორემ ხელთ ბევრი არაფერი შეგვრჩებოდა მკრთალსიუჟეტინ ბელეტრისტულ ნიმუშებში, რომელთა შთამბეჭდაობასაც სწორედ ენობრივი დახვეწილობა და სიფაქიზე განსაზღვრავს.

უპირველესად ასე ენის მელოდიურობასა და სულში წვდომით თუ ჩაუკვირდები არაცნობიერისაკენ მიმავალ გზას, მითუფრო, თუ კარლ-გუსტავ იუნგის მიმდევართა შორის გულისხმობ საკუთარ თავს და არაცნობიერის ფილოსოფიურ განსჯასაც ლამობ.

ამიტომაც არის, რომ „ზამთრის ძილქუში“ უნებურად კი არ იქმნება ორი არქეტიპი, არამედ ის შეგნებულადაა თვითონ გოლი თარაყის არაცნობიერის მანიფესტაცია. და თუ დიდი ქალბატონი ძველად მითიური ქალმერთის სახით იშვა და ისტორიის მანძილზე ცვლილებანი განიცადა, მწერლისათვის ის განყენებულ, გარდასულ სიმბოლოდ არ რჩება, ახლებური სიცოცხლით ადავებს და სულიერ სავანედ განაზოგადებს („ჩემი სულის დიდი ქალბატონი“).

და მაინც:

ამ სახეებს უფრო ხელშესახებად და ექსპრესიულად გამოხატავს ანარბანუ, ერთი უბირი და მიამიტი დედაბერი, შვილები რომ მონატრებია და ალაღბებზე დადგომია გზას შევდეთი-



საკენ, რაც მისთვის რეალური სახელმწიფო კი არა, იდუმალებაში გახვეული მიღმა სამყაროა. საკმაოდ ყოფითი სურათები გადაიკეცება ჩვენს თვალწინ, ორი პერსონაჟის შემთხვევითი შეხვედრაც აეროპორტში თითქოს ჩვეულებრივი მოვლენაა, რომლის მსგავსიც ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ ანარბანუს დიდი სინრფელი, მისი სულიერი მიჯაჭვულობა მშობლიურ მინასთან თანდათან თხრობის ისეთ ქარგაში ექცევა, ძალდაუტანებლად გრძობ, რომ ამ მიამიტი დედაბრის სახით ღრმა სიმბოლიკა გამოცხადდება, ქვეყნის სულიერი ყოფის ყველაზე დაფარულ სიმებს რომ შეგახებინებს ხელს.

ამ ნოველის ქართული თარგმანის პირველ გამოჩენას „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე მკითხველთა დიდი ინტერესი მოჰყვებოდა და ეს საყოველთაო მონონება გარკვეულად გამოქვანდებოდა ბორენა ჯაჭვლიანის გამომხატურებაში, ამავე გაზეთის თანამედროვე სპარსული ლიტერატურისადმი მიძღვნილ ნომერში რომ გამოქვეყნდებოდა.

ამ სახეებს უფრო ხელშესახებად და ექსპრესიულად გამოხატავს ანარბანუ...

ამიტომაცაა „ანარბანუ და მისი ბიჭები“ ამ კრებულის მშენებაცა და უთუოდ თანამედროვე სპარსული ნოველისტიკისაც, თუნდ ავტორს „სადმე სხვაგან“ ერჩივნოს, თავისთავად ჩინებული ქმნილება და მკაფიო დასტური გოლი თარაყის თვითშეფასებისა: რაც დრო გადის, თვითცნეზურას სულ უფრო ნაკლებად განვიცდით.

ეს შინაგანი თავისუფლება ანიჭებს ძალას, ოდნავადაც არ მოიტყუოს თავი და თვალი გაუსწოროს იმ მტანჯველ რეალობას, რომ იქნებ სამშობლოსაკენ მიმავალი გზები სამუდამოდაც ჩახერგვია. ეს ტკივილი თვალსაჩინოა მის ნოველებშიც და იმ ვრცელ მოთხრობაში კიდევ უფრო გამოძარეულია, ისე, რომ მის თხზულებათა ერთ რკალს შესაძლოა ტომას ვულფის განთქმული რომანის სათაური მარჯვედაც მიესადაგოს – „შინ ვედარ დაბრუნდები“. ასეთი აღმოჩნდა ამერიკელი მწერლის ბედისწერა, ასეთი მოჩანს გოლი თარაყის ბედის დრამატიზმიც.

თუნდ ახალგაზრდებისა ეხარბებოდეს, თვითონ ვერასოდეს დააღწევს თავს წარსულის ხილვებს, არანაკლებ რეალურს, ვიდრე თვალწინ გადაშლილი სამყაროა, და ეს ძაფები ასაზრდოებს მის ქმნილებათა ენობრივ გამომსახველობასაც და ირანის იდუმალი ხატის შეუბლალავ შენარჩუნებასაც იმ წარმოსახვებში, ამქვეყნიური საზღვრების გასარღვევად რომ მიილტვიან. ამიტომაც დაძებნს მწერალი ასეთი ჟინით სულიერი ჯანყის ყოველგვარ გამოვლინებას, თუნდ სრულიად უმნიშვნელოსაც, რაკილა მცირესაც თავისი განუმეორებელი ღირებულება ენიჭება ცხოვრების მდინარეებშიც და, მითუფრო, მხატვრული სამყაროს შენებისას.

ცოტა არ იყოს ძნელდება ამ სამყაროს პირველქმნილობის შენარჩუნება, როდესაც საზოგადოებრივი გარემო უჩვეულოდ პოლიტიზებულია და პოლიტიკური ორიენტაციები ლიტერატურას გარკვეულ წარჩობებში ამწყვდევს, მაგრამ გოლი თარაყისათვის ყოველთვის სხვა ორიენტაციები არსებობდა, თვითონ უფრო გამძლე და საიმედო, არსებობდა ფორუყ ფაროზხადისა და სოჰრბ სეფეჰრის პოეზია, გარიდებული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონიუნქტურას, სამაგიეროდ, ერთგულ შემწეს, თუკი მათ კვალს გაჰყვებოდი გოლი თარაყით, ვინც ბოლოსდაბოლოს თვითცნეზურასაც სრულიად დათრგუნავდა საკუთარ თავში.



ჯანყი, ჯანყი აუცილებლად, უპირველესად პირადი ყოფის წინააღმდეგ, თუნდ ულმობლადაც შეეხალონ ერთმანეთს სული და სხეული.

... და ამირალის მშვიდი და უდარდელი ცხოვრებაც ერთ ღამეს შეიძლება თავდაყირაზე დადგეს.

### მზის პრემიის ლაურეატები

როდესაც გელა ჩქვანავას პირველი ბელეტრისტული ნიმუშები – „ჩვენი ოჯახის საიდუმლო“, „ჩვეულებრივი ისტორია“ და „ამჟღადი ბუმერანგი“ – გამოქვეყნდებოდა ჟურნალ „კლდეკარის“ ფურცლებზე (2000, №2), უკვე მიიქცევდა მკითხველის ყურადღებას. საიმედო განაცხადად მოჩანდა, თუმცა დაბეჯითებით ჯერ მაინც მოერიდებოდა სალიტერატურო კრიტიკა რაიმეს მტკიცებას. ისე არც შემდგომ გაუნებრებიათ ახალბედა, ვინც თანდათან ნამდვილ მწერლად გამოიკვეთა და მისი პირველი ნიგნი „კოლორიტი“ („დიოგენე“) ჩვენი სალიტერატურო ცხოვრების საგულისხმო მოვლენად წარმოსდგა.

მან ამ ნიგნით „საბას“ 2005 წლის ლიტერატურული პრემიაც მოიპოვა, ოღონდ რატომღაც „დებიუტის“ ნომინაციით. სწორედ რატომღაც!.. ფორმალურად ჟიურის წევრები მართალი არიან – „კოლორიტი“ მწერლის პირველი ნიგნია, მაგრამ მხატვრული ღირსებებით აშკარად აღემატება სადებიუტო გამოცემებს და მათთან გათანაბრება აკნინებს მის მნიშვნელობას, მითუმეტეს ავტორი აღარც ყმანვილია.

სწორედ ასეთ დროსაა აუცილებელი ფორმალისმიერ უკუგდება და ნიგნების განხილვა იმ საზომებით, თვითონ ნიგნები რომ მოითხოვენ ჩვენგან. ბოლოსდაბოლოს, არაერთი ისეთი სადებიუტო ნიგნის გახსენება შეიძლება ჩვენი სინამდვილიდან, სასაცილოდ არ გვეყოფა, მათ ვინმე დებიუტის სახელით თუ მონათლავდა და გარკვეული შეღავათებით მოექცეოდა.

„კოლორიტებს“ არავითარი შეღავათი არა სჭირდება და იგი უდავო წარმატებას მოიპოვებდა იმ ნომინაციაში, რაც მისთვის უფრო შესაფერისი გახლდათ.

არა, მოთხრობების კრებულის ნომინაცია არ იგულისხმება, როგორც ეს ნიგნი განუსაზღვრავთ თვითონ მწერალსაც და გამომცემლობასაც. დამერწმუნეთ: უფრო ზუსტი ჟანრობრივი საზომით „კოლორიტი“ რომანია, მსგავსი ამერიკული რომანის იმ ნაირსახეობისა, რაც მსოფლიო რომანისტიკაში გამოკვეთილია შერვუდ ანდერსონის („უაინსბურგი, ოჰაიო“), ჯეკ ლონდონის („სმოკ ბელიუ“), ერსკინ კოლდუელის („ჯორჯიული ბიჭი“), ერნესტ ჰემინგუეის („ნიკ ადამსი“), უილიამ ფოლკნერისა („გარდავედ, მოსე“) თუ ჯონ სტაინბექის („ზეციური საძოვრები“) ქმნილებათა სახით.

სალიტერატურო კრიტიკა მათ ერთხანს ნოველების ციკლებად მოიხსენიებდა, ვიდრე ბოლოსდაბოლოს არ შეთანხმდებოდნენ, რომ ასეთი განსაზღვრება აერჩიათ: რომანი მოთხრობებად.

ძირითადი სიუჟეტური ხაზი არცერთ მათგანში გამოკვეთილი არ არის, მოზაიკური სურათი უფრო იქმნება და თვითვეულ თავს დამოუკიდებელი არსებობაც იოლად შეუძლია თავისი დასრულებული კომპოზიციით; მაგრამ ყველა ისინი საბოლოოდ მაინც ერთიანდებიან თუნდ მყიფე სიუჟეტურ ჩარჩოში, შემავრთებელი ძაფები რომ მოშვებულა. ამიტომაც გაძინელდა

ამ ქმნილებათა ჟანრობრივი განსაზღვრა, მაგრამ დღესდღეობით ეს უკვე ლიტერატურის ისტორიაა და ამ თვალთ ჩვენს მწერლობასაც თუ გადავავლებთ თვალს, აქაც აღმოვაჩენთ შესაფერის ნიმუშებს.

განა მიხეილ ჯავახიშვილის „გვი შადური“ სწორედ ასე არ უნდა მოინათლოს: რომანი მოთხრობებად?

რეზო ჭეიშვილის „მუსიკა ქარშიც“.

ჯემალ ქარჩხაძის „ზეზულონიც“.

ნაირა გელაშვილის „სარკის ნატეხებიც“.

ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ თავისი სტრუქტურით ახლოსაა ამ ჟანრთან.

თამაზ ბიბილურის „შვიდი ხმისა და ტოროლასათვისაც“.

სხვათა შორის, თამაზ ბიბილური გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხეს“ რომანად რომ მოიხსენიებდა და დაბეჯითებით ამტკიცებდა, ეს უფრო ზუსტი ჟანრობრივი განსაზღვრება იქნება, ვიდრე ნოველების ციკლით, უთუოდ ამერიკული რომანის ამ ნაირსახეობას გულისხმობდა.

„კოლორიტებში“ ასეთივე მოზაიკური სურათი იხატება, ერთიანი სიუჟეტური ხაზი გამოკვეთილი არც აქ არის, მაგრამ ნიგნი მაინც ერთიანი ქმნილებაა პერსონაჟთა გადასვლით ნოველიდან ნოველაში, ის კი არა, ზოგიერთი სიუჟეტური სვლა სრულიად გაუგებარიც კი დარჩება, თუ პასუხს სხვა ნოველაში ანუ სხვა თავში არ ვიპოვნით – როგორც რომანის წესია. საამისოდ შეიძლება გავიხსენოთ მიხეილ ესვანჯიასთან გაგზავნილი მისტიფიცირებული წერილის ბედი („მონტიორის შეცდომა“), საიდუმლო სწორედ სხვა ნოველაში რომ უნდა გაიხსნას („ორი წერილი“).

ამიტომაცაა „კოლორიტი“ რომანი, ამერიკულ ყაიდაზე კი: რომანი ნოველებად.

ეგაა, სათაურად „მზის პრემიის ლაურეატები“ უფრო დაშვებულა.

თავზე კი არ ვახვევ – ეს ხომ მისივე მეტაფორაა.

ამ მეტაფორის შინაარსი არამარტო გახსნილია ერთ-ერთი ნოველისათვის ნამძღვარებულ ეპიგრაფში, როგორც მთხრობელის მეზობლის დოდო ბასილიას პოეტური მიგნება – „ყველა, ვინც ამქვეყნად ვცხოვრობთ, ღვთისაგან რჩეულები ვართ – ღმერთმა ამ მზის ქვეშ ცხოვრებით დაგვაგანოვლოვა... ჩვენ, ყველანი მზის პრემიის ლაურეატები ვართ“ – არამედ ამ რწმენითაა გასხივოსნებული ნიგნის ღრმად სევდიანი, დრამატული ვნებებით სავსე სამყარო, რომლის ფინალშიც რუსეთ-საქართველოს ომის კომმარცხ იჭრება, აფხაზეთის მხარეში გამართული.

ესაა მისი იდეური ბირთვი – მზის პრემიის ლაურეატობა.

ბარემ სახელწოდებადაც ეს შერჩეულიყო.

... ჩვენს მეხსიერებაში გაჩნდა ზაურ კალანდიას სოხუმი.

გაჩნდა გურამ ოდიშარიათ სოხუმიც – ეს უკვე გადავლილი ომის შემდეგ.

გელა ჩქვანავას სოხუმიც რეალობად წარმოგვიდგება, ამ მწერლისათვის ნიშანდობლივი კოლორიტული შტრიხებითა თუ მარჯვედ მიგნებული დეტალებით და იმ ზოგადი ფონით, ხელშესახებად რომ განგაცდევინებს ამ ქალაქის ცხოვრებას, წარმოსახულს ერთი ქუჩისა თუ უბნის თვალსაწიერიდან, თავისი ფსკერითა თუ რომანტიზმით, თავისი თვალთმაქცობითა თუ სინრფელით, თავისი წვრილმანებითა თუ სულიერი ჯანყით, და იმ შეგნებით, რომ: მზის პრემიის ლაურეატობა არ არის ილი სექმე.



# ფანჯრის იქითა მხარეს

\*

საუბარი  
ანა კალანდიაძესთან

– ქალბატონო ანა, ამას წინათ გამოვიდა ირანელი პოეტი ქალის – ფორუყ ფაროხზადის ლექსების კრებული „მეორედ დაბადება“, რომელიც სპარსულიდან ქართულად თარგმნა თვითონ ძალზე საინტერესო პოეტმა გიორგი ლობჯანიძემ. კრებულს ბოლოში ერთვის ინტერვიუ, რომელშიც ირანელი პოეტი ამბობს: „პოეზია ჩემთვის ის სარკმელია, რომელსაც როგორც კი მივუახლოვდები, თავისთავად იღება. მე ვჯდები ამ ფანჯარასთან: ვიყურები, ვმღერი, ვტირი, ხეთა ანარეკლს ვუერთდები და ვიცი, რომ ფანჯრის იქითა მხარეს სივრცეა. იქ ვილაცას უსათუოდ ესმის ჩემი...“

აღბათ, თქვენთვისაც თავისით იღება პოეზიის სარკმელი, რომლის მიღმა დანახულ იდუმალ და მშვენიერ სამყაროს ჩვენთვის, მკითხველებისთვის მოსავთ სიტყვებით ისე, რომ ის პოეზიად იქცეს. თქვენ თვითონ რად აღიქვამთ პოეზიას, რა არის იგი?

– თქვენ სპარსელი პოეტის ნათქვამი მოგყავთ და პოეზიის რაობის შესახებ სვამთ კითხვას. ამ საკითხთან დაკავშირებით მე ჩემს მიერ არაერთგზის დამონმებულ ილიას გამონათქვამს გავიხსენებ კვლავ: „ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ ავიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი, ჩვენ მხოლოდ მისი ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც... ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს ავიწყდება სანუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით და თვითონ პოეზია რა არის – ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

– ჩვენთან საუბარში ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა თამაზ ჩხენკელმა კიდევ ერთხელ გაიხსენა თქვენი პირველი გამოჩენა ქართულ მწერლობაში: გასაოცარი ამბავი მოხდა, ხალხი აღტაცებული დადიოდა, ანას ლექსები არ ჰგავდა იმას, რაც იმ დროს საერთოდ იბეჭდებოდაო.

იქნებ, კიდევ ერთხელ გაიხსენოთ ის დრო – თქვენი პოეზიის პირველი საღამო. რაც შესაძლოა, თქვენ წერილმანად და ნაკლებ მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, ჩვენთვის ძალზე საინტერესოა.

გვიამბეთ თქვენი და მკითხველების პირველი საჯარო შეხვედრის შესახებ. რა იყო? როგორ იყო?

– დიას, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თაობა კი მოდის! ამ საკითხს ჩემი ორტომეულის მეორე წიგნში ვეხები. შემოგთავაზებთ ამონარიდს: 1946 წლის 24 მაისს მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი წერილობით მატყობინებდა: „გთხოვთ, მოზრძანდეთ 25 მაისს, დღის 1 საათზე მწერალთა კავშირში თქვენი ლექსების კითხვა ეწყობაო“. ჩემთვის ეს

დიდად მოულოდნელი რამ იყო (მე არაფერი მითხვია!). შინ არაფერი მითქვამს, არც უნივერსიტეტში იცოდნენ რამე...

კითხვა პოეზიის სექციამ მოაწყო. სექციის ხელმძღვანელი ცნობილი პოეტი და მთარგმნელი, რუსთველოლოგი კონსტანტინე ჭიჭინაძე იყო. საღამოს უძღვებოდა მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე სიმონ ჩიქოვანი. რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა იუნყებოდა: „კითხვა, როგორც წესი, პოეტების ვინრო წრეში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ მოულოდნელად ახალგაზრდა პოეტს ფართო საზოგადოების წინაშე მოუხდა გამოსვლაო“ (გაზეთი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1946 წ. 1 VI). ეს კი იმან გამოიწვია, რომ ლექსები პრესაში გამოქვეყნებამდე ხელნაწერებით გავრცელდა. ჩემს არქივში მკითხველთა რამდენიმე ასეთი ხელნაწერი ინახება (მარშან, 2005 წლის 6 ივლისს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნივნილობათა ასოციაციაში ჩემს იუბილესთან დაკავშირებით მოწყობილ საღამოზე მოკლე მოგონებით გამოსულმა ქალბატონმა ცისანა გენძეხაძემ, გადმომცა სასკოლო თხელი რვეული, რომელშიც 1947-50 წლებში მისი ხელით ჩანერილი ჩემი 20 ლექსია. მან რვეული თავაზიანად დაბითმო, რისთვისაც კვლავ დიდ მადლობას მოვახსენებ).

კითხვის დამთავრებისთანავე ჩემთან პირველი მოვიდა დიდებული პოეტი და მოქალაქე ალექსანდრე აბაშელი და ხელზე შემთხვია. იმ დღეს საუბარი მხოლოდ მომავალი წიგნის გარშემო იყო, – თუ როგორი ფორმატისა უნდა ყოფილიყო იგი და რაც შეიძლება მალე გამოეცათ.

ამის შემდეგ ოცდაათი ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ (რედ. გიორგი ნატროშვილი) და ჟურნალ „მნათობში“ (რედ. ალიო მამაშვილი). ერთხმად ამირჩიეს მწერალთა კავშირის წევრად. 22 წლისა გახლდით, უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდები ჯერ არ მქონდა ჩაბარებული.

ყოველივე ამის შემდეგ დატრიალებული ამბები მართლაც რომ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ლექსების გამოქვეყნების სულ რაღაც ორი თვის თავზე კრიტიკის საშინელ ქარიშხალში მოვხვდი. ლენინგრადის ლიტერატურული ჟურნალების „ზევდასა“ და „ლენინგრადის“ იდეოლოგიურად დამუშავებას ჩვენთანაც გამოეხმაურნენ, – „უიდეო და აპოლიტიკური ნაწარმოებებისათვის“ მეც გამაკრიტიკეს უფროსი თაობის რამდენიმე მწერალთან ერთად. ამის გამო ჩემი პირველი კრებული, რომელიც მალე უნდა გამოსულიყო, მხოლოდ 1953 წელს დაიბეჭდა, მთელი შვიდი წლის დაგვიანებით! წიგნში, რა თქმა უნდა, ბევრი „უიდეო“ ლექსი არ შესულა და რაც გამოქვეყნდა, იმათაც დიდი ცვლილებები განიცადეს. კეთილმსურველთა რჩევით რამდენიმე ლექსს სათაური მოვაშორე (სათაური თვალეზში ხვდებოდათ...). კრებულიდან კრებულში უსათაუროდ გადადიოდნენ ლექსები: „ალარავინ აღარ მიყვარს“, „ხატებთან შევინ დახრილი წამით“, „მკვდართა მზე ვარ“, „აქ ჩაესვენა ერთი ვარსკვლავი“, „ლოცულობს გველი“ და სხვ. ზოგიერთ სიტყვას და სტრიქონს თვითნებურად ცვლიდნენ თავიანთი გემოვნებით (რა თქმა უნდა, მე არავინ არაფერს მეკითხებოდა!) ეს ყველაფერი შემდგომ კრებულებში უკვე... მექანიკურად გადადიოდა. მკითხველი პასუხს მაინც ჩემგან ითხოვდა, მაგალითად, რატომ „ამოვიღე“ მთელი სტროფი ლექსიდან „მოდოდა წინო



მთებით“ („მიეძინა, ერთ წალკოტში მიეძინა...“) და... მკითხველმავე შემახსენა მერე, როდესაც ქარიშხალმა გადაიქუხა, ამ სტროფისათვის თავისი ადგილი მიმეჩინა! მახსოვს, ერთმა ახალგაზრდა ქალმა პირველგაცნობისთანავე მითხრა, რომ ნიგნში (იგულისხმება პირველი კრებული) ბევრი ლექსი ხელნაწერების მიხედვით ჩავასწორეო (მან ხომ უკვე ხელნაწერებიდან ზეპირად იცოდა ბევრი ლექსი?!). მკითხველს იმისთვისაც კი მიუქცევია ყურადღება, რომ ხელნაწერებში არცერთი კორექტურული შეცდომა არც ყოფილა! დღეს კი... ასეთი გახლავთ ჩემი პირველი ნაბიჯები ქართულ პოეზიაში.

– პოეტი მურმან ლებანიძე თქვენდამი მოძღვნილ ლექსში ამბობს: „პოეტებო, ცხრა ძმას ერთი დაი ჰყავდა“. პოეზიის სამომში თქვენ გამორჩეული ადგილი დიდხანია დაიმკვიდრეთ.

გრძნობისმიერ, სუბიექტურ წარმოსახვას რეალობიდან რა მიენადებოდა, რა ხდებოდა ლექსის წერის მიზეზი უნინ და ახლა?

– ვფიქრობ, ეს კითხვა მაინც რიტორიკულ კითხვათა რიგისაა.

– თქვენი ორტომეულის მეორე ნიგნში მემუარული ჩანაწერებია თავმოყრილი. ამ წანრის ლიტერატურით ქართველი მკითხველი განებივრებული არ არის. არადა, დოკუმენტურ-მხატვრული პროზა განსაკუთრებით საინტერესოა, მითუფრო, როდესაც მთხრობელი გამორჩეული პიროვნება და პოეტია. ხომ არ აგრძელებთ ამ კუთხით მუშაობას? გასახსენებელი და მოსათხრობი კი, ალბათ, ბევრი რამ დაგიგროვდათ...

ელოდოს მკითხველი თქვენს ძალზე საინტერესო მონათხრობს უახლოეს მომავალში? ამისთვისაც სიამოვნებით შემოგთავაზებთ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებს.

დაბოლოს, მინდა ტრადიციული კითხვით მოგმართოთ: ახლა რაზე მუშაობთ?

– თავს ვუყრი უკვე გამოქვეყნებულ და გამოუქვეყნებელ მასალას შემდგომი კრებულისათვის.

ესაუბრა  
თამარ ღონღაძე

ჩვენი ყოფა, წუთისოვანი

როდემდე ეს  
26 მაისი?

დიდხანს რჩებოდა 26 მაისი თვალისმომჭრელ თარიღად საქართველოს ისტორიაში.

117-წლოვანი ბაბილონური ხანა დაემსხვრია და განსაკუთრებული აღტაცებაც ამიტომ მოჰყოლოდა.

ქვეყნის ხელახალი შეთრევა რუსეთის კაბალაში ამ თარიღს იატაკქვეშ მოაქცევდა და მთავარ დასაყრდენად და სიმბოლოდ ესახებოდა ეროვნულ მოძრაობას. შეფარული პროტესტიც განუწყვეტლივ გამოითქმოდა ამ დღეს – ეს როგორც წესი, და საშუალება რომ გაჩნდებოდა, ერთი მნიშვნელოვანი საპროტესტო აქცია სწორედ 26 მაისს დაემთხვეოდა შეგნებულად, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს; და როდესაც ხელახლა დაიბრუნებდა ქვეყანა დამოუკიდებლობას, 26 მაისს ახლა სხვა თარიღი შეენაცვლებოდა – 9 აპრილი.

ახლა ის გახდებოდა თვალისმომჭრელი, მას დაეფუძნებოდა დამოუკიდებლობის დეკლარაცია, მას დაეყრდნობოდა ყველა პოლიტიკური აქტი საქართველოს სამინაო ყოფამიც და საერთაშორისო ასპარეზზეც.

26 მაისი ისტორიაში გადაინაცვლებდა, როგორც ისტორიული მოვლენის აღმნიშვნელი.

ასე უნდა მომხდარიყო და ასეც მოხდებოდა.

მაგრამ ისე აიჭრებოდა ყველაფერი, რომ 26 მაისს ისტორიიდან გამოიხმობდნენ და ხელახლა დააკისრებდნენ დამოუკიდებლობის დღის გასიმბოლოებას, ისტორიას დღევანდელი მოვლენები და დღევანდელი სადაც გადატყორცნიდნენ – ისტორიაშიც კი არა, კიდევ მის მიღმა.

დაამხოვდნენ ეროვნულ ხელისუფლებას და, ახალი რეჟიმი 9 აპრილს ზვიად გამსახურდიას სახელს რომ გაუთანაბრებდა, მის მიჩქმალვა-დაკინებას შეეცდებოდა. ამიტომაც ამოშლიდა ოფიციალურად ქვეყნის ცხოვრებიდან და 26 მაისს გადააფარებდა.

ასე გადასხვაფერდებოდა და სულაც გაყალბდებოდა 26 მაისის მნიშვნელობა.

ასე იქცეოდა პაროდიად მისი აღნიშვნა. პაროდიადაც და სრულ გაუგებრობადაც – საერთაშორისო ხელშეკრულებანი მხოლოდ 9 აპრილის საფუძველზე ფორმდებოდა, ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის დამადასტურებელი 9 აპრილის ისტორიული მოვლენა გახლდათ მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოებრიობის თვალში, ზემით კი... 26 მაისი აღინიშნებოდა.

ზვიად გამსახურდიას სიძულვილს გადააყოლეს თან 9 აპრილიც.

გრძელდებოდა ასე 9 აპრილის დამცირებაც და 26 მაისისაც. და ამას ერქვა დამოუკიდებლობის დღის საზეიმო აღნიშვნა, რასაც ერთადერთი პომპეზურობა არ აკლდა.

ამასობაში ოფიციალურად აღიარებდნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ღვანლს საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის გამართვასა და სახელმწიფოებრიობის აღდგენაში, ამკარად შენელებოდა მისი სახელის თრევა-განქიქება, მაგრამ 26 მაისის აღნიშვნა, როგორც დამოუკიდებლობის დღისა... კვლავაც გაგრძელდებოდა.

ინერციით? აუხსნელი უყურადღებობით? გაგრძელდებოდა კი...

და, აი, მოხდება მკვეთრი ცვლილება ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, გადაფასდება უამრავი რამ, თუ ყველაფერი არა, მაგრამ 26 მაისს არავინ და არაფერი შეეხება.

დარჩება უცვლელად მისი აღნიშვნა, როგორც საზეიმო თარიღისა.

კვლავაც წაფარებული იქნება 9 აპრილზე, კვლავაც შეერევა დღევანდელი მოვლენას, ისტორიულობის ნაცვლად, და დღევანდელი სიმბოლო კი – რომლის საფუძველზეც ფორმდება საერთაშორისო ხელშეკრულებანი და ეფუძნება სახელმწიფოებრივი მოლაპარაკებანი – კვლავ ხიზანივით მიყუჟულა სადაც კუთხეში. იქნებ იქაც არა, მაგრამ ასე ითქვას, სულ რომ არ დაიკარგოს მისი პატივისცემა.

ინერციით? აუხსნელი უყურადღებობით? ასე კი არის და...

ნეტა როდემდე? ვინ გვეტყვის, ვინ გაგვიმხელს, ვინ გაგვაგებინებს?..

საბა სულხანიშვილი

ხალასი, მოხდენილი იუმორი, სწრაფვა სტილური გამრავალფეროვნებისაკენ უმთავრესი ნიშნებია იმ მხატვრული სამყარო-სი, რომელიც სულ უფრო ხელშესახებად იკვეთება ჩვენს სამწერლო მდინარეებში და გია ხოფერიას ბელეტრისტიკის სახელით წარმოსდგება.

სავსებით ბუნებრივია, რომ ნოდარ დუმბაძის პრემიის პირველ ლაურეატთა შორის ეს სახელიცაა.

ნოველებსა და მოთხრობების მთელი წყება („მესამე მსოფლიო ომი“, „ანატომიის მასწავლებელი“, „ანა კარენინა და ბებიაჩემი“, „ჩემი მოუხელთებელი ძმა“, „უცხოპლანეტელები ფარცხანაყანევში...“) და პირველი რომანი „აიმაწო“ გვარწმუნებს რომ ამ მწერლის იუმორი ჯერაც ამოუწურავია და მშვენივრადაც ავლენს თავს მახვილგონივრულ დიალოგებსა და კომიკურ სიტუაციებში, პარადოქსებისა და აბსურდისაკენ მიდრეკილებაც ლოგიკურად მჟღავნდება და თუნდ ეს მოთხრობა – თავისი ღრმა განზოგადებითა და სტილური შესრულებით – კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ამ შემოქმედებას უფრო გულდასმით სჭირდება ჩაკვირვებაც და ჯეროვანი შეფასებაც და სულაც არა კმარა ის ორიოდე (თავისთავად მშვენივრადაც დაწერილი) ლიტერატურულ-კრიტიკული სტატია, რაც აქამდე მიეძღვნა გია ხოფერიას მხატვრულ ძიებებს.

გია ხოფერია

# ქველთაქველი ამბავი კოლექტივის შესახებ

\*

ისტორიულ წყაროებზე  
დაყრდნობით

კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა  
გონიერი ანდაზა |

გლახად თქმულსაც, კარგი გამგონე უნდა  
ესეც გონივრული ანდაზა ||

|

ბენედიქტე კიმერიელმა ერთხელ კოლხას მეფეს მძღავრად შემოართყა ხელი. როგორც ისტორიული წყაროები შეფარვით გვატყობინებენ, მეფე ბიჩიჩინა უნომრო კარგა ხანია ელოდა კიმერიელის აგრესიულობას, მაგრამ ვაჟკაცურ დახვედრას არ აპირებდა. იგი სოვდაგარ მიტუმას სახედა-რივით სალ-სალამათი გახლდათ, ვიტამინოვანი საკვებებითაც იხანგრძლივებდა სიცოცხლეს, სწყუროდა და სწყუროდა ბეჯითი გამომეტყველების ყოფილიყო, თუმცა მაგრად ნაკითხობის გამო ოთხშაბათის შემდეგ გულგრილობა დასჩემდა; ბევრად ბევრი ცოდნის შემოსოლამ დიახაც, ღრმად გააზრებული ფილოსოფიური ჩაფიქრება შეამთხვია და ამაოებათა ამაოების უჯრედობრივად გაცნობიერებამ ბენედიქტესაგან დამამცირებელი შემოლანუნება ალაღად აატანინა. მეორედაც რომ შემოერტყა იმ კიმერიელს, მგონი იმასაც ალაღად აიტანდა, მაგრამ ბიჩიჩინა ხანდაზმულოვანი განერიდა ახალგაზრდის მოუზომავ განმეორებით თავდასხმას და სამსახურთან ახლოს მდებარე ბოსტანში მომრავლებულ სარეველას დადინჯებულად შეუტია; უხაროდა მას, ფილოსოფიურად ჩაღრმავებულს, ბავშვობისდროინდელი ოცნება რომ აუსრულდა – ეფერებოდა და ეხუტუნებოდა ყვავილოვან კომბოსტოს.

ბენედიქტეს დროს სიტყვა „რეგოლუცია“ მართლმეტყველებაში არ მიმოიქცეოდა, მაგრამ გადაყენება-გადმოყენებას, დამხობა-გადამხობას აჩქარებულად იქმოდნენ და წარამარა იცვლებოდა ერთი ჯიშის ადამიანებით მეორე ჯიშისაგან მქონეთა ბატონობა; ამჯერად, ბენედიქტეობისას, დამრტყმელები, სვადგურად მოცეკვავეები და წრიპინით მომღერლები ამოპირქვავდნენ წყლის ზედაპირზე და ქვეყანა მათი გახდა. იმდენი დაპირებანი და ფუფუნეულობა მოაბნიეს ქათამივით თვინიერ არადამრტყმელ რიგითოსნებში, ალერსობისგან დიდროვანი აისბერგები დადნებოდნენ და ამ ჩვეულებრივებს მთლად აუკვირტიცდათ გულნი მოულოდნელი სითბოს შემოხურვების გამო; კენკეს და კენკეს გამთბარი მარცვლები; გამოებერათ ჭამას გადაჩვეული ჩიჩაყვები და ისე დამძიმდნენ მართალი წყლის შესმისას, ზეცისკენ ვერაფრით აღმართეს მოგოდორებული თავები;

და ეგონათ: ასე იქნებოდა სულ და სულე!

ბენედიქტემ ტახტს დიდებულად რომ მოარგო პატივისცემები უკანალი, კოლმეურნეობის მოტამფანდურე მინისტრი ალიგორა ვერაგია ფიცხლად იხმო და კიმერიულად უთხრა:

– გენაცვალე და გეთაყვანეს ვერ დაგინყებ ახლა მე შენ, ხო შეხედე ერთი დარტყმით როგორ მოვასროპიალე ბიჩიჩინა ხანგრძლივმმართველი, ვარესი მოგივა შენაც, სახელოვანი შესწორებანი თუ არ შეიტანე კოლმეურნეთა ცხოვრებაში; მაგნები ალიგორა ახლადდანიშნულო განყვეტამდე არიენ, ყოველ დღე რომ ვჭრათ ტონობით კოლხური თეთრი, მაგნების ჩიჩაყვებს ვერაფრისდიდებით ამოვავსებთ, რაღაცა იღონე და მეიფიქრე, თავგასიებულობა არ გინყობს ხელს თუ უგულობა; ახლავე მიხედე ამ საქმეს, თორო ბიჩიჩინაზე ვარესი მოგივა!

ალიგორა მაგარი მიმხვედრი ბიჭი იყო და იმსწრაფვესვე დაინჯებულად მოახსენა ბენედიქტეს:

– თუ არ გამინყრებით, კაცურად გეტყვით, დიდო ბატონო, თქვენ რომ ცის გადაღებვა დეინყეთ აწნლისფერი კრასკით, მაშინვე გამახსენდა ჩვენი პაჭანიკი საერთო მეგობრის კირკეგორე ფულუროს შეგონება: თამაშ-თამაშობით და მეგობრული გაცინებით დაუმტკიცეთ ადამიანებს, რომ ცხოვრება ომია, სადაც დასამეგობია, მტრის ვერაგული შემოტევისას, დიდძალი სიკვდილიანობა, დაჭრა-დასახიჩრება, თვალთა დათხრა, ხელ-ფეხის მონყვეტა... ოღონდ, უნდა შეაგნებინოთ, იმ კაცმა ხომ გვითხრა, მტერი არსად



არ ჩანსო, თუ მაინცდამაინც მოჰყვებიან ხანგრძლივ ნუ-  
ნუნს, მოგვიანებით, თამაშობის დასასრულსკენ ცალ-  
თვალმობუჭულივით შეაპარეთყენ, რა ვქნათ ჩვენ ბიძიებო,  
ბაბუებო, ბებიკოებო, შვილებო, და-ძმებო თქვენ თვითონ  
აღმოჩნდით ერთმანეთის მტერი-თქვა; ასე თქვა კირკეგო-  
რე ფულურომ და თქვენ, დიდო ხელმწიფეო, ცის გადაღებვა  
რომ დეინყეთ ვარდისფერი კრასკით, მაშინათვე გამევიგო-  
ნე კაი ხოშიანი თამაშობა; ორივესი არა, ერთი ხელის აქნევა  
მინდა თქვენგან, ბატონო, და გულის ნუხილს სულ მალე შე-  
გმსუბუქებთ.

– რა ჯანდაბა აგიკუნტრუშდა მაგ დემოკრატიულ ტვინ-  
ში კოლმინისტრო? – გაჯგამვისას გაიკვირვა ბენედიქტემ.

– დიდად საამური რამ, დიდად საამური, ფვიცავ თქვენს  
მზეს, პირველყოჩალო!

– კაი, გენდობი, შეუბერე პაჭანიკურად, თუ დამარცხდი,  
რიონში ჩაგკიდებ მოტვლეპილი თავით!

– ღმერთმა ნუ გამითენოს, დაბნელების დღე, სულ პირ-  
ველო ყოჩალო!

ალიგორას არც კოლმეურნეობის გაეგებოდა რამე და,  
საერთოდ, არც სოფლის, მამამისმა ბა>ა>ამ ბავშვობაშივე  
გაატანა ვილაცას პაჭანიკეთში, დიდი კაცი რომ გამოეყვა-  
ნათ მისგან; ისახელა თავი ალიგორამ; ათასნაირი მამაძალ-  
ლობა შეისწავლა პაჭანიკურად. თუ ვინმეს, ნახიშტარს,  
რაც კი ებუტიალა თავისი ქვეყნის მედიდურობის გამო,  
გამოივსო იმით გოგრა და დისერტაციაც გლიჯა იმ უხსო-  
ვარ დროში მეტად მითიური და სალეგენდო – თვითმფრინა-  
ვების და>ახება დაკეტილ ოთახში. (ალიგორას ცოტათი და-  
ასწრო ბენედიქტემ; მისი დისერტაციული თემა გახლდათ –  
სამი კვატი ზესწრაფ აჩქარებისას ტრექტორიული სივ-  
რცის ალფა მონაკვეთზე.) რა თქვენს ფეხებდა სჭირდებოდა  
ამ სახელოვანს დისერტაცია, მაგრამ წესი და კანონი პაჭა-  
ნიკებში წამსვლელ ჯიშინათათვის მკაცრად მოითხოვდა  
მეცნიერულ ეპოლეტებს. სულ ბრჭყვიალ-ბრჭყვიალებს და  
ფიანდაზებს (აქნა, კოლხაში რო ებლატავათ, ქუთაისურად  
რომ ვთქვათ!).

არც გაეგებოდა და არც უნდოდა (გაგებული და გაიას-  
ნებული რომ ყოფილიყო, სხვაგვარად, ადამიანურად იქმო-  
და – ასე დაასკვნა იეზეკიელმა).

ალიგორამ პირველი ექსპერიმენტი მდინარე კოკაკო-  
ლას მარცხენა სანაპიროს სოფლებში: დღნორისში, ფეხბო-  
უკიდებელსა და ჩხუტერში ჩაატარა. იმდენად ნიჭიერი და  
დაკვირვებელი გახლდათ, ადგილობრივ კოლმეურნეობათა  
თავმჯდომარეებს არ ენდო და, როგორც მყარი ისტორიუ-  
ლი საბუთები გადმოგვცემენ, თავისივე სიბრძნით მოფიქ-  
რებული სათამაშო-საკონკურსო პირობები ცოტა ხნით მა-  
ინც პაჭანიკეთის სიახლოვეს მდებარე მომცრო ქვეყანაში  
ნამყოფ საკოლმეურნეო საქმეთა ლვანლმოსილ მუშაკს (თა-  
ნამედროვე ენაზე რომ ვთქვათ!), ნადისერტაციებ ციბრუტა  
ბალვაშს ჩააბარა. მანაც, შუბლტკიცინამ, სრულებით არ იუ-  
ხერხულა ამოდენა ჭურთის ანევა (გრიგოლ ხანძთელი კი არ  
იყო, მაგისი!) და კინაღამ შეეყირებით გამოხატა თავისი უე-  
ცარი დანინაურება.

ალიგორა და ციბრუტა, კოკაკოლას სანაპიროსთან შე-  
მალლებული ადგილი რომაა, ნაკენკარა (იქნებ ქე გახსოვთ  
მხარეთმცოდნეობაში გავარჯიშებულებს!), თავისი მცირე  
ამალითურთ იმ შემადლებულზე შედგნენ და ღოროტოტო-  
ში კონკურსის უფროსმა დაფეთებულად თავშეყრილ კოლ-  
მეურნეებს ბუხუნ-ბუხუნ-ბლავილით გასძახა (აჰ, რეიზა არ  
იყო მაშინ გამოგონებული რადიო-ტელევიზია!).

– მე თქვენთან ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს; ტყუი-  
ლად არ გაულანუნებია ბენედიქტე კიმერიელს ბიჩინა  
უნომროსთვის; რაც ჩვენ ვართ, თქვენი ანუ ჩვენი ლამაზი  
ქვეყნის მეპატრონედ კაი ფერი დაგედოთ და ლამისაა მუც-  
ლები გადმოგიტრიალდათ. გეყოთ ამდენი ჭამა-სმა; ახლა,  
გაუნყებთ შემდეგ: ცოტა ხნით ჩვენც გვადროვეთ, ხომ ხე-  
დავთ ძვალი და ტყავი ვართ დარჩენილები; მეიჭირეთ ქამ-  
რები; განყდა ქვეყანა წელში თქვენი რჩენით; ამდენს ვერ შე-  
გინახავთ; ბევრი ხართ, ძალზე ბევრი; თუ არ შეგამცირეთ,  
ბელეში ჩვენს ანუ თქვენს გარდა მყოფების გამოსაკვებად  
ალარაფერი დარჩება; მოკლედ, რომ გითხრათ, ათასორა-  
სოცდათერთმეტი კოლმეურნიდან ოთხასოთხმოცდაშვი-  
დამდე უნდა შეგამციროთ. ეს ამბავი მაინცდამაინც უბედუ-  
რება არ იქნება ქვეყნისთვის; იმათ იკითხონ, ვინც იმუშა-  
ვებს, მეტი ჯაფა დაადგებათ, თორემ უმუშევრები ჩიტივით  
თავისუფალი იქნებით; თანაც წერეები დაგინყნარდებათ,  
კაცივილი არ შეგანუხებთ, რამდენიც გენებოთ, იძინეთ,  
იხვრინეთ; ჩვენგან ერთი კაკალი უფროსთაგანი არასოდეს  
მოგინოდებთ გამოლვიძებისაკენ; მევე, კიდო, უფრო წყნა-  
რად რომ სუფევდეს თქვენი ამჯერად აფორიაქებული ტვი-  
ნი, დამატებით ტყობილობთ ჩემგან, ვინც შერჩება საშვი-  
ლიშვილო საქმიანობას, ოდნავ მომატებულ ხელფასთან ერ-  
თად დიდი მადლობა გამოეცხადება, ესაა და ეს; ოღონდ...

ოღონდ ახლავე შეუშვით თავში, რასაც მე, ციბრუტა  
ლიპარიტის ძე ბალვაში, წესიერდალაგებულად გკარ-  
ნახობთ ამ მოჩუხჩუხე (არადა ძლივს მიედინებოდა) კოკა-  
კოლას მხიარულ სანაპიროზე! თქვენი მოულოდნელი გაო-  
ცება ჩემთვის, რა თქმა უნდა, არაა გასაოცარი, მაგრამ სა-  
მართლიანობამ უნდა ჭამოს თეთრი თუ არა, ჭვავის პური  
მაინც; ამიტომაც უფრო ხმამაღლა წაგიკითხავთ აქვე, ამჟა-  
მად ფრიადკეთილშობილური გაჯობრების მკაცრ პი-  
რობებს; ყოველი სიტყვა რკინასავით ჩაგელვრებათ გო-  
ნებაში და ისე გაგებადრებათ კოლმეურნული სახეები, შე-  
იძლება ყველა თქვენგანმა სახელად ბადრი დაირქვათ! ამ  
შემთხვევაში ადამიანის სახელი ბადრი უნებლიედ წამომ-  
ცდა, თორემ მთვარის ბადრობაზე მქონდა თვალყური გა-  
დატანილი; ესე იგი, თქვენ ყურადღებობთ, მე მომწო-  
დებლურად გაცნობიერებთ:

(ციბრუტას მომწოდებლურამდე გახმინებულში აკაკი  
შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების“  
მოთხოვნილებისდამიხედვით ვერ გავებდე ჩარევა, რამეთუ  
ალიგორა ერთურთში ჩემი და მემამათის ენა; რაც არ  
ძალმიძს, არ ძალმიძს! – ოტიელე კაჭკაჭას ფილოსოფიური  
გამონათქვამია ეს და, მეც, იოლად მორჩილი, ძალიანაც  
ვეყარობ თუნდაც ერთი ადამიანის მომწუსხავ სიბრძნეს).

გთავაზობთ ლიპარიტის ძის კოლმეურნეთა გასაჯობრე-  
ბელ მომწოდებლურს:

ჩვენ, უფალი ციბრუტა ბალვაში, ღრმად განსწავლული  
პაჭანიკეთის მყარად დაარსებულ სამ უნივერსიტეტში (სპე-  
ციალობის დასახელება არაა საჭირო), და მემრედ კიდომ  
საყვარელ სამშობლოში ორჯერ უფალ ალიგორა ბატონ  
კალკალმასის ძის მიერ მონივნებით გამოძახებული (კიდომ  
კარგი, სწავლა რომ შემანყვეტინეს, თორემ კიდომ მინდოდა  
და კიდომ!) ისტორიული სიძლიერის მქონე კონკურსის მე-  
თავურობისათვის და უფრო მეტად მაინც, კაი თვალთ შე-  
ყურებული, ტრანონი უფალ ბენედიქტე კიმერიელისაგან,  
მძლავრად რომ შემოჰკრა ხანგრძლივი ხელი ბიჩინა ან-  
მოპორებულს და საუკუნოდ ჩაფლობილს ყვავილოვან  
კიმბოსტოში... დიახ, ჩვენ, სწორედ ასეთმა, არათუ სხვაგ-



ვარმა, მოვიფიქრეთ უმტკივნეულოდ ჩაგახედვინოთ ერთმანეთის თვალებში; ვისაც უკეთესი მიახლოება გექნებათ ჩვენს მტკნარ მოთხოვნებებთან აგინებთ მწვანე შუქს, იშრომეთ და იღვანეთ კოლმეურნულად, ვისაც არა, მოგენიჭებათ უვადო თავისუფლება, დიახაც, ჩიტვით თავისუფლება, გინდ საღეჭი რეზინები ჰყიდეთ, გინდ საბერძნეთში წადით, ბებერი ბერძნების ღამის ქოთანთა გამოსარეცხად. (როგორც ხედავთ, აკურატულად ვლაპარაკობ, ამიტომაც კურდღელსავით ცქვიტეთ ყურები!)

ე. ი. მე, ანუ დიდებულად ჩვენ, ციბრუტა მერვედის ძე (წელან ლიპარიტის ძე იყო) ბალვანში სოფლების: დღნორისას, ფენბოუკიდებელისა და ჩხუტერის ფართოფოთლოვან კოლმეურნეობათა შეუდარებელ მოღვაწეებს გაცხადებთ კონკურსანტებად თქვენს მიერ დაკავებული შრომითი თანამდებობების თავიდან ანუ ხელმეორედ დასაკავებლად და დანომრილად გატყობინებთ!

უფროსი კოლნევის სრულფასოვანი შტატის შენარჩუნებისათვის საჭიროა:

1. ბოლო ათ წელიწადში გაცვეთილი თოხების შეკრება, რომლებსაც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კარგად მოვლილი წაბლის ტარები (სხვა მცენარისგან დამზადებული ტარები ზოგ შემთხვევაში მცირედი ქულით შეფასდება, ზოგჯერ საესებით არა), ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ თოხის პატრონი ცოცხალი უნდა იყოს.

2. თუ თოხის (ერთი ან რამდენიმეს) ტარზე აღმოჩნდება უცხო თითების (ან თითთა) ანაბეჭდები, შრომითი იარაღი წარმომდგენს უბოდიშოდ დაუბრუნდება უკან მისი მშობლიური ენის განმარტებით ლექსიკონში არარსებული თამამი სიტყვების პირში მიხალეებით.

3. დასაშვებია თოხის ტარზე აღმოჩნდეს დამსახურებული კოლნევის, ასევე რესპუბლიკური მასშტაბის ლაურეატ მშრომელის ან საერთაშორისოს მხოლოდ ერთი აღნაბეჭდი (სწორედ ასე ეწერა), რაც გაგიორმაგებთ ქულას;

3. თუ თქვენ თავად ბრძანდებით თოხნური შრომის აღიარებული მუშაკი, გაქვთ სხვადასხვა სოფლურს ზემოთა თოხნური გაერთიანებების წევრობა ან ახლო კანდიდატობა, წარმოადგინეთ საბუთი და ვინ ოხერი ავითვალწუნებთ, გაგიორმბაგებთ ქულას.

4. სისტემატურად თუ ავადმყოფობდით ბოლო ათ წელიწადში და მაინც წარმოადგენთ გაცვეთილ თოხს, შეიძლება ვიფიქროთ, ან არ ავადმყოფობდით, ან თოხს ერთ ადგილზე ურტყამდით.

5. თოხთან ერთად კომისიას აუცილებლად უნდა აახლოთ ამ შრომითი ინსტრუმენტის თავდაპირველი წონის დამადასტურებელი ცნობა; რაც უფრო მძიმე იყო თოხი მუშაობის დანყებამდე, ქულაც მეტი დაგენერებათ.

6. საგანგებოდ აღვნიშნავთ: თქვენი გაცვეთილი თოხი ერთხელ მაინც თუ მოხვდა საზღვარგარეთულ აუქციონზე

და მილიონრები თავს იკლავდნენ მის შესაძენად, ჩათვალეთ, რომ მხოლოდ ამიტომ შეგრჩებათ უფროსი მეთოხის სრული შტატი. ოღონდ გაითვალისწინეთ შემდეგი: უნდა გვაახლოთ თოხის აუქციონზე გაყიდვის ცნობა და ერთი ფოტოსურათი ამ შრომითი იარაღის ახლანდელი მფლობელის ვინაობის დასადასტურებლად; სურათზე გამოსახული უნდა იყოს მილიონერი თქვენი გაცვეთილი თოხით, რომელსაც ამოკანრულად ენერება ყუაზე, ვინც გაცვითა, იმის სახელი. მაგალითად: კოლამ გამცვითა, სურსულამ მიხმარა, ბოლომდის არ მომეგვა ლამარა, შევენატრი კლავდიას და მისთანანი.

7. სავალდებულოა, თითოეულმა საუფროსე მეთოხემ, წარმოადგინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის მიერ ბეჭედდასმული ცნობა კოლნევის ნამდვილობისთვის; ამ ცნობის უქონლობა მლაშე წყალში ჩაყრის ზემორე, თუნდაც ყველა ჩინებულ, მიღწევას.

8. საბუთების წარმოდგენისას სუფთად უნდა გეცვათ;

9. ჰო, კიდეც, თქვენთვის ნებადართულია, უკაცრავად, თითქმის მოგეთხოვებათ, ჩაგვაბაროთ ახალთახალი თოხები, რომლებითაც აპირებთ ხვალ, ზეგ, მერე და მერე დააბუღებულთ ნოყიერი ნაყოფიერების მქონე მიწები.


10. ყველაფერი ესენი კომისიას უნდა ჩააბაროთ სამყაროს შექმნიდან 5472 წლის 18 გამზურვალუბამდე.

ვისურვებთ (ჩვენ) თქვენს წარმატებებს. ჩვენს მაგიერ ხელს ვაწერიებთ მდივან კანანას (მდედრობითი სქესისას)

წერილობით მოთხოვნათა ნუსხა დაგირიგდებათ ჩვენი ზეპირად გამოსვლის დამთავრებიდან სამ დღეში.

ციბრუტას წარუშლელი ღალადობის პარალელურად ალიგორას ხანდახან ხარხარი უნდებოდა, მაგრამ მარცხენა ყურის სიახლოვეს ამოზრდილ ღილაკს მიაჭერდა თუ არა თითს, ხარხარის ნაცვლად თბილი ვალიმება გამოსდიოდა, ისეთი თბილი, როგორიც სახელოვან ერის ერთ-ერთ მამას ეკადრებოდა, თუნდაც მასზე ასაკით ბევრად უფროს შვილებზე დაცქერისას; სწორედ ასეთ სითბოს ჰქვია სხვებზე მზრუნველობა, სხვებისთვის თუნდაც იოლად თავგანწირვა, გადამრჩენელი სითბო; შენ, ხომ ვიცი მოუსვენრობა დაგჩემდება და იკითხავ ფიქრში მაინც, თუ რატომ უნდა გადაეხარხარებინა მონდომებულ დიდს და მეც ჩემი მიხვედროლობით გიპასუხებ:

ალიგორა კოლმინისტრი შინაარსობრივად გაოცებული (არაშინაარსიანი გაოცებაც არსებობს) ადამიანების სახეებზე ვერაფერს კითხულობდა; მხოლოდ რამდენიმე მარტივი გავრცობილი წინადადება უტრიალებდა, მისი გავებით, უზარმაზარ სამყაროდ მიჩნეულ ლამაზ თავში – ვის რა ჩემს მგრძნობიარე ფეხებად სჭირდება ამათი თოხების შემომნება; თოხები შეატენონ ერთმანეთს რბილ მიდამოებში; იყო აქა-იქ გამორევით რთული წინადადებაც: მი-



**რუსთაველის პრემიის  
ასალი ლაურეატები**

**რეზო ესაძე – კინო**

**ბესიკ ხარანაული – ლიტერატურა**

**დიმიტრი ერისთავი – მხატვრობა**

**ლამა თაბუკაშვილი – თეატრი**

**„ერისიონი“ – მუსიკა**

მიყვანა ახლა და იმ ყურებად(ცქვეტილისთვის ნკიპურტი მიმარტყმევინა, რა სერიოზულად იყურება ე ჩემის კარა-ლიოკი, ეტყობა მართლა უნდა უფროსი მეთოხე გახდეს; ვაი, მაგის უპატრონობას. თუ ფიქრობს, გამეიდღებს კუჭს და ქუდმოხდით მიეგებება ვინმე! რა კარგია, ადამიანთა უმრავლესობა ბოთე როა, საკენკის აკენკვა ასეთებმა გულდასმით იციან...

ციბრუტამ კონკურსის მეორე საფეხურის მოთხოვნი-ლებებისთვის შეამზადა მუშა საზოგადოება.

საშუალი კოლნევერის სრულფასოვანი შტატის შენარჩუ-ნებისათვის საჭიროა:

1. ხუთი გაცვეთილი თოხი ათ წელიწადში; თხილის ან ბჟოლის ტარი; ტარის სიგრძე უნდა იყოს ოთხი მკლავი; აქაც სავალდებულოა თოხის პატრონი ცოცხალი იყოს;

2. ორი ან სამი ნამგალი; ისინი გაცემულნი უნდა იყვეს სოფლის მეურნეობის აკადემიის ნამგლის განყოფილების მიერ და კაი მაგარი მოხმარების ნიშნები ეტყობოდეთ; მათი სწორი მოხმარებისა და ნაყოფიერად მოქნევის შესახებ აუ-ცილებელია მაღალი რანგის მენამგლის ბეჯითი დასკვნა წერილობითად;

3. მინდორ-სავარგულეებში გატარებული უნდა ჰქონდეს თითოეულ კონკურსანტს ყოველდღიურად არანაკლებ ათი საათისა დღისით, ხუთი საათისა ღამით (მთვარიანი ღამე იგულისხმება).

4. ერთი სხვისი გაჭედული ცელი და კონკურსანტის მიერ ცხელ გულზე გამოგონებული სისინ-წულია ისევე ერთი ცა-ლი ფიზიკურად და მეორეს ნახაზი.

5. თუ ნამგლის ქნევაში ადრე (ე. ი. ათი წლის მანამდე) სხვა მთავრობამ ჩამოგკიდათ თუნდაც უპირველესი ორდე-ნი, მხედველობაში კი მივიღებთ, მაგრამ ქულა არ მოგემა-ტებათ. თუ ჩვენ ჩამოგკიდეთ, გაგიხარიათ, აყვავდებით ქუ-ლობრივად;

(ამ დროს ალიგორამ თავი შეიბრუნა კოკაკოლასკენ და თავისთვის თქვა: დეგერხათ ბარეორს!)

6. ამ მოთხოვნებით აღჭურვილნი ჩვენთან გამოცხად-დებით ფხიზელნი, არაუშავს ჩაცმულნი, ცოტაოდენ დანყნარებულნი, ჯიბეში ხურდა ფულს ნუ ჩაიდებთ;

7. წინასწარ საქმის ჩაწყობა არ მოდის!

8. საბუთებს მოიტანთ სამყაროს შექმნიდან 5472 წლის 25 გამხურვალეზამდე.

აქაც ვისურვებთ (ჩვენც) თქვენს წარმატებებს. ჩვენს მაგიერ ხელს ვანერინებთ მდივან კოტოტოს (მამ-რობითი სქესისა).

ეს მოთხოვნილებანი წერილობითად დაგირიგდებათ, როცა ჩავთვლით საჭიროდ.

ამ დროს... დიახ-დიახ, ამ დროს კოკაკოლადან კარგა მოზრდილობის მქონე გომბემო ამოხტა; რატომღაც გაბრა-ზებული ჩანდა გომბემო, ეტყობა შეურაცხყო სხვა გომბე-შომ ავმა და ცუდმა; ის ამომხტარი ერთხანს გასუსულ-გა-ნაბული იყო, მაგრამ, ალიგორამ მერამდენეჯერ თავი რომ მიაბრუნა და არალიტერატურული გამოთქმანი წამოიწყო, მან, განაბულმან ისეთი ჭკვლი გამოუშვა წყლისა, ერთი შეხედვით იფიქრებდით კოკაკოლა მთლიანად ხომ არ შეუს-ვრიპავსო ამ გაგოლიათებულ თამამს, ხოლო მეორეთი, მო-გაგონდებოდა ყოჩალი მეხანძრე კინოფილმიდან „მხიარუ-ლი რომანი“; ასეა თუ ისე, იმ ჯიგარ მინისტრს სახე გვარიან-ნად ჩამოერეცხა და არალიტერატურულობა მუცელშიგან-შივე ჩაუბრუნდა; ის კაი გომბემო ძალიანაც კმაყოფილი აღ-მოჩნდა; დამშრალ წყალგამოცლილი, უკვე პატარა მამაცი,

იქვე, გამხმარ ბალახოვანში ჩაიმალა და ჩაფიქრდა თავის მომავლისთვის;

კიდევ ამ დროს (უკვე სერიოზულ მატრიანზე დაყრდნო-ბით) პომპეუსმა დაიწყო მზადება საქართველოზე გამო-ლაშქრებისათვის; მას ძალიან სურდა ქართველთათვის უც-ხო ჯარისკაცები ლეგიონური მწყობრით საომარ ექსკურსი-აზე წაეყვანა ერთ პატარა ქვეყანაში. აქვე ვალიარებ ერთ შეცდომას: პომპეუსი ნამდვილად არ იყო რომაელი, ხოლო მისი ლეგიონერები, თანაც ბევრი, თითქმის თანაბარი ჭკუ-ის იყვნენ; ამიტომაც მორჩილებდნენ ერთ კაცს; (ნუ იფიქ-რებთ, რომ ავურიე).

ნაგომბეშოები წყლით შელამაზებული მინისტრის შეც-ბუნება ციბრუტას, გატაცებულს მომწოდებლობით, გა-მორჩა; ოდნავ დაღლილმა ქაქანხმარხელჩილობით ჰალ-სტუსი ცოტათი შეუშვა მოყლონჭილში და ისევე იყვირა – რიგითი კოლნევერის სრულფასოვანი შტატის შენარჩუ-ნებისათვის საჭიროა:

1. ძლიერ, კუნთები; ოცამდე ვირის ძალა; გულაუქქა-რებლობა; თავჩალუნულობა; გაფაციცებული მზერა, მდუ-მარება; თანაც სისწრაფე. (ამ მონაცემების გამოვლი-ნებისათვის ჩატარდება უმკაცრესი გამოცდა)

2. ბოლო ხუთ წელიწადში ოფლით გაჟღენთილტიარიანი ვინრო და ნანვერილ პირიანი თოხები, ქვიან მინაზე ნამუშა-კევი, ამასთანავე სერთიფიკატები, რომლის თანახმადაც გქონდათ ამ პროგრესულად გამოსაყენებელი შრომითი სა-მუშაულობის ფლობის სურვილი და უფლება;

3. აუცილებელი დასკვნა სამი ძლიერ სახელოვანი კოლ-ნევერისა, თქვენი ვარგისიანი შრომისუნარიანობის შესახებ;

4. ბოსტნის მოკაუჭებული თოხუკით მარგვლის საშურ-ველი ცოდნა, რომლის შესახებ გამოქვეყნებული გაქვთ სტატია საკოლმეურნეო გაზეთში (კედლის გაზეთი არ ით-ვლება);

5. თქვენი სოფლის მინდორ-ველებში გახანგრძლი-ვებული მოღვაწეობისას მიღებული გამოცდილებების გა-ზიარება – პაჭანიკეთის, ფრანკების, გუთების, სკვითების, ყივჩალების და სხვათა ქვეყანათა კოლნევერების საერთაშო-რისო კონფერენციებზე (ქულები მაგრები იქნება);

6. ცნობის წარმოდგენა, რომ თონისას, ცელვისას, მკი-სას ხშირად არ გინევთ სხვებზე გაპიროვნებული ნაკვე-თების გადაკვეთა.

7. კაცმა რომ თქვას, გრძელდება წინა მუხლი; გვჭირია საბუთი, რომ არ გჩვევიათ სხვის ნათოხარში, ნაცელავში, ნამკალში ჯირითი და არც თქვენს ნამოქმედარში მოქმე-დობს ვინმე თავისთვის სასარგებლოდ.

ციბრუტამ კიდევ შეუშვა ნაყლონჭარი ჰალსტუსი და სამფეროვან საცხებლით სახეაპრიალეზულ ქალბატონ მა-რაგორასგან მოწოდებული ნაბელავი შესვა; ეს დამ-სახურებული შესმევა ძლიერ ესიაზოვნა და სანამ დამა-ტებით მოთხოვნებს გააცნობდა წესიერ საზოგადოებას ალიგორა გამინისტრებულს მდაბლურად უთხრა:

– მომიტვეთ, გამინახგრძლივდა ამათი სწავლობანი; კიდევ მაქვს რამდენიმე სასხაპასხუპო და ხანგრძლივი დგომისაგან კოჭთან ძარღვი რომ არ შეგიმინდეთ, დაბრძანდით ქვემოთ მდებარე მაშინაში, უფრო ბედნიერად შევრაცხავ თავს; ნუ იდარდებთ, ამათგან არათუ აჯანყება ანუ ამბოხი მამათა და დედათაი, ერთი ჩვეულებრივ ნკი-პურტოვანი შეკითხვაც არაა მოსალოდნელი, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსის პირობები მაგათთვის კი არა, მთლად წესიერად არც ჩემთვისაა გასაგები. (ის ჩამონე-

რილნი ალიგორას ტვინის ნაწყალობები გახლდათ; უცებ შეშინდა ციბრუტა, ბოლოსკენ ცუდად რომ წამოროშა, მაგრამ ბუმბერაზი კოლმეურნის თვალებში, ამ ჩემს იმასო, თუ ვერც შენ გეიგეო, თანაც ძალიან კარგი, ბუნდოვანებითაც თუ გაკვირვებო, ეკრანზე გაშურდულეული მორბენალი სტრიქონებით რომ წაიკითხა, მოუშუშდა შეცბუნება და ძირითადი თხოვნა ისევ გაუმეორა სუპერ სან ბუმბერაზს).

– მასედაც ვიზამ სწორედ, დიდხანს არ მაყურყუტო მაშინაში კი არა მანქანაში: სტოპ-რო დარწმუნებული ვარ, ეს ხვითოები ხელშეუშლელად გვიგებენ. – ეს სიტყვები გამოასისინა ალიგორას ბაგეებმა. ისინი მალე პატრონთან ერთად მსუბუქ ავტომობილ „ჯარჯულასკენ“ წავიდნენ სულ სხვა ტემპერამენტისა და ჟარგონულშენაჩევი ამეტყველებით.

ქალბატონ მარაგორას ისევ მოეწონა ნაბელავის მოწოდება კომთავმჯდომარისთვის, მაგრამ სწავლულობით რჩეულმა დაუზოგავად მიახალა:

– რას გადამეკიდე, შე ქალო, გინდა აქანე ჩევიფსა, თანაც სტაიაშიმ?!

– ცეცხლი და ნაფთი, თვარ დაღვე! – ორ-სამ მეტრზე გამჭოლავი ხმით უკუმიახალა მდედრბატონმა.

ხალხის, ადამიანების, კოლნევერების, სახვალიო საკონკურსოების წინაშე იდგა ციბრუტა ლიპარიტის (თუნდაც ამბაკოს) ძე, თორემ მოუწევდა იმ მკაცრ მოშინაურებულს მდინარე კოკაკოლას სანაპიროზე ძეძვთა და მაცვალთავან მტკივნეული კბენა. ძნელია მოჩერებული გამჯიბრებლების დასანანად თუნდაც აუცილებელი თავისუფლება, როცა სულ-ღვიძლიდან ყოველგვარი თავშეკავებისა და მოსირცხვილების გარეშე მოჟღურტულენდნენ შემგინებელი სიტყვები და დამსახურებულად მიემართებოდა ისინი სამიზნე ობიექტს (პირდაპირ ობიექტზე ლაპარაკი).

ციბრუტამ კაი ხელა ბოლმის გუნდა გადაყლაპა; მუცელიც კი გამოებერა, მაგრამ დიდი ხნით შეყოვნებულ ხალხს, თუნდაც დაბალტემბრიანი აყაყანება დაუნუნა და როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელ კაცს შეშვენის დინჯად აღმოთქვა:

– ჩემო ძვირფასებო, თუ აქ, ე. ი. ამ კეთილშობილურ გათამაშება-გასპორტულებაში რამე მახინაცია იყოს დედას ვფიცავარ (დედა არ ჰყავდა), მამას ვფიცავარ (მამაც არ ჰყავდა), და-ძმას ვფიცავარ (არც ისინი ჰყავდნენ), მეგობრებს გირაოდ ჩამოვდივარ (რომელს საინტერესოა?), პოლიტიკოსებს დევიფიცებ (ნეტავ რამდენს?). ჩვენი მთავრობის და უპირველესად, ეგერ, ჩრდილში მდებარე მაშინაში წამოწოლილ ბუმბერაზ ვეზირის სანატრელობა გყვანდნენ უძლიერესნი უძლიერესთა შორის კოლმეურნენი, მინის მგლები, მჭამელნი ქვიშნართიხნართა, გულბოყვით მიმ-

წოლნი და შეურცხვენელნი? მოგესხენებათ, დიადი კლასიკისგან ნათქვამია, შრომამ მოასრულყოფილა და მოაშვენიერა ადამიანი, მხოლოდ პატიოსანი და თავაუღებელი შრომითაა მოსახერხებელი ნამდვილი, პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბება; თქვენ წინ გელოდებთ ომი და ამ ომში გაიმარჯვებენ მხოლოდ კუნთებუძლიერესნი. რა სჯობია, დამსახურებულ გამარჯვებას, ურყევ შტატს რომ მოგაპოვებინებს; მართალია მცირედნი აღმოჩნდებით რჩეულთა შორის, მაგრამ ისიც მართალია, რომ მცირედია მხოლოდ რჩეული; გაფინიშებულებს გაუმაძღარი საშრომელი გელოდებთ; ოოო, როგორი ბედნიერებაა შრომა, დაუნაყრებლობა, როცა მართლა არა გაქვს ჭამის თავი და არც იმდენი ხელფასი, მისი დახარჯვა არ დაგვენასო. ძვირფასებო, ბედნიერებაა უდიდესი პროფესიონალიზმი და მხოლოდ პროფესიონალიზმი, უბედურება კი შრომა რაღაც ხელის ჭუჭყისათვის; კაცი იმდენად ბედნიერი უნდა იყო საკუთარი ნიჭიერების დემონსტრირებით, ამდაგვარ ალფრთოვანებაში მყოფმა ხელფასის ალებით ერთხელაც არ უნდა დაიმცრო თავი; ვფიცავარ ჩემს მიერ წელან ჩამოთვლილ სუყველას, (ამ დროს რატომღაც შარაგორას ნაატანა მარცხენა ხელი ფუნთულა მკლავში) თქვენთან ერთად მაკვ ვიზიემებ დიდად სამაგალითო საზოგადოების არსებობით; ჩვენი უჭკვიანესი და ნეტარი კომისია, სამჯერ დამტკიცებული ბენედიქტე კიმერიელის მიერ ალიგორა მინისტრისაგან მონინებით წარდგენის შემდეგ, უეჭველად იმშობიარებს ანუ შობავს თქვენგან ამოკრებილ სინაღდეს!

– უი, მართლა დევილაღე, მაგის დედა ვატირე! მადლობა რომ შეუპასუხებლად მომისმინეთ, ყოველი მხრიდან ვენაცვალეები გაგებულობას; გფარავდეთ ბენედიქტეს მფარველი, ალიგორას დამფარველი, ჩემი შემფარველიც! დამალევიე, გოგო, შარაგორა, ნაბელავი, გოუქრი შენს სილამაზეს! ხა! ხა! ხა! – ეს გაცინებაც ჯიგრიანი გამომივიდა. – რაი მრჩება, კიდო? რაი, მრჩება კიდოთქვა! – გემებურლა ტვინი... ჰო, ძვირფასებო, კინალამ მიგატოვეთ ბოლოუნიფორმაცოდ:

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის ადამიანებს; არა აქვს მნიშვნელობა ცოლიანია, უცოლო თუ გასათხოვ-სათხოვარი; მთავარია უყვარდეს თოხი, ნამგალი, ცელი და-ძმანი მათნი. კონკურსი ჩატარდება ძლიერ დახურულად, ჩიტი ვერ შეიტანს შიგნით კურკანტელას; თქვენ წარბიოდგინეთ, ვერც გამოიტანს. საბოლოო შედეგები დაინერება ამ მდინარის ამ ნაპირზე ძალიან ფართო დაფაზე ცარციით; თუ ვინცობაა წვიმამ ზოგიერთი გამარჯვებულის სახელი და გვარი



მხატვარი ქეთი ბასილაშვილი

გადაშალოს, აფერია, დრო იმ ზოგიერთის უცაბედ ანუ ამ შემთხვევაში ბუნებისაგან მოყენებულ ჭრილობას მაინც უმკურნალებს, მთავარია ყოველ ჯანსაღად გაკომისიებულს ჰქონდეს ხოში, ხოში და კიდევ ხოში მინის ახლოით შეგრძნებისა, ახლოით განჩხრეკვისა. ისე კი, საყოველთაოდ მართალი რომ ვიყო, საბოლოოდ დავძენ: ათასეული წლები წაღვეკავენ ირგვლივ ყოველივეს, მხოლოდ კოკაკოლა იქნება მარად მომდინარე წყალი და იგი წყალი უფრო მეტის მქნელია, ვიდრე ჩემი როში.

II

ციბრუტა ბაღვაში და ისინი რომ წავიდნენ, ზემოდ მოხსენიებული მდინარის მარცხენა სანაპიროზე მდუმარედ მყოფ ადამიანებს შორისშუა ნელ-ნელა დაიწყო ახმიაზება-აშრიაღება. ნელ-ნელა, უმუჯღუგუნოდ, ერთმანეთის შეუხედავად კოლექტიური საზოგადოების წევრები თოთი-ოროლა წინადადებას ჰაერში უშვებდნენ. ჰაერიც ღებულობდა ყოველგვარი ოპოზიციურობის გარეშე ამ ოღრო-ჩოღროდ გაოცებულ სიტყვებს და უფერულად ფანტავდა მათ კოკაკოლას გაყოლებით;

უკვე მოსაღამებულები და ამ წევრების ახლოით მდებარე სოფლებიდან ნახირის ბლავილი შემოისმა, რაც გახლდათ აუცილებელი პირობა თავისთვის ალაპარაკებულ ადამიანების საკუთარი ფიცრულებისკენ წასვლისა; მიდიოდნენ კოლექტიურნი და ძლივს მიჰქონდათ ერთიოდე ფარატინა ფურცელი, ბენედიქტეს, ალიგორასა და ციბრუტას საჩუქარი, სადაც გრამატიკული ნესების დაცვით არა, მაგრამ გასაგებად რამდენადმე მაინც, ახლებური ცხოვრების ალაღმართალი მოთხოვნილებანი ჩაწიკნიკებულები. განსაკუთრებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს ადგათ გლახად ცუდი დღე; მათ უფროსობის გამო თონი არ ესაჭიროებოდათ და როგორი წარდგებოდნენ მრისხანე კომისის წინაშე არც იმათ იცოდნენ და, მითუმეტეს, არც მე; უარეს-ვარესობა იყო უფრო ქვემო უფროსობაშიც. თავმჯდომარის მოადგილეები, უბნის ზედამხედველები, ბრიგადირები, მთავარი ბუღალტერი და კიდევ რამდენიმე ტვინით გამოტენილი კაცი გახვიპტული რჩებოდა; ჰა და ჰა ნოყიერ ანუ ფართო გაღიმებას თუ დაიმსახურებდნენ. შემდეგ კი თავისუფლება ელოდათ, რაც, ბუნებრივია, თანამედროვე გაგებით, მეტად საპატიოა, მაგრამ ეს თანამედროვე გაგება, ჩვეულებრივი ადამიანებისათვის, თუნდაც ისინი არაჩვეულებრივი ადგილობრივად ხელმძღვანელები ყოფილიყვნენ, ჯერ კიდევ არ იყო გასაგები, მათ შეგნებული არ ჰქონდათ, როგორ გამოეყენებინათ თავისუფლება, თორემ ვინ ოხერი ჩაეჭიდებოდა მიჩვეულ ოთხფეხა სკამს, რომელმაც დროთა განმავლობაში უკანაღის გვარიანი დაბეჭვა იცის და გამაგრებულ ძლიერ კუნთოვანში სისხლის მიმოქცევა პიროვნების საზიანოდ ხანგრძლივდება.

როგორც კი დააკმაყოფილეს ნახირის ტრადიციული პირობები და პატარ-პატარა საოჯახო წვრილმანებიც მილაგდა, რადგან ყველამ წერა-კითხვა თითის გაყოლებით მაინც იცოდა, ჩაუჯდნენ იმ მძიმე ფარატინა ქალაღს და წავიდა მათემატიკური (უფრო სწორად არითმეტიკული) გაანგარიშებანი; სამი სოფლის: დღნორისის, ფეხმოუკიდებლისა და ჩხუტერის ათასზე ბევრად მეტი კოლნევი თავდაუზოგავად ანგარიშობდა. ზოგი თავის ნამდვილ მიღწევას, ზოგი სხვისას (ხვარ გამასწრებსო), ზოგი ბებიაშისას; უმეტესობა მოანგარიშეთაგან საკმაოდ გონებაგახსნილი აღმოჩნდა; მათ ში-

შის დაუფლებასთან ერთად, აქა-იქ მიძინებული გაბედულება გამოუღვიძდათ და ცოტაოდნავ გამამაცურდნენ.

ასეთი ადამიანები უმთავრესად ფეხმოუკიდებლის ვრცელ უბანში ცხოვრობდნენ. ამ უბანს ძველთაგანვე მოპარული სახელი ხელბარქილბარქი ერქვა; უბნის ახლად გონებაგახსნილთათვის ეს სახელწოდება ნამდვილად არ იყო შეურაცხყოფელი; აი, მათი რეალისტურად ნაფიქრი:

რა ვქნათ, რა გვეშველება, მთელ უბანში ასამდე ოჯახი ვართ და სამი კინკლა თონი თუ გამეიძებნება თლათ! ათი თუ არა, ოთხი-ხუთი მაინც უნდა გქონდეთო; კაი, უფროსობა არ გვინდა, მარა საშვალოც თვარ დავერჩით, დევილუპებით, ამდენ თავისუფლებას რა მოუვლის; მართლა ჩიტები ხვარა ვართ, ვიფრინოთ და ვიჟღურტულოთ; დავადგინოთ ასე: თითოეული ჩვენგანი ლამლამობით სხვა უბნებსა და სხვა სოფლებში გედევიაბრებით, ძან მალულად და მჩრიად, ვერავინ უნდა იყნოსოს ჩვენი სუნი და ფრთხილი ფახაფუხი, ავნაპნოთ საუფროსოებს გაცვეთილი თოხები, ტარების გამოცვლას და ახლის დაგებას იოლად მოვახერხებთ, თანაც მათი დაძველებისათვის ციგნობა და მაიმუნობა აგერ, ჩვენს ბუხუტისა მივანდოთ, ხუთიანზე შეგვისრულებს თხოვნას კაპიკებად; იმ ტარებს ჩვენი თითის ანაბეჭდები კი ექნება და რალა გაგვიჭირდება.

მთლად წარმატებულად არ განხორციელებულა ეს ოპერაცია, მაგრამ ვინ-ვინებმა ცოტათი გაიუმჯობესეს აღჭურვილობა. ბარეორი ფაქტიც დაიჭირეს ფხიზელმა ძაღლებმა და ყოფა ეტირათ, ზოგი ბარეორი სასურველ ობიექტამდე კი მიცოცდა, მაგრამ სიმამაცე გზაში დახარჯული აღმოაჩნდა და უკან ჩაფსმული შემობრუნდა. ანაპვნის სრულყოფილებას ხელი ნამდვილი საუფროსოების მიერ თოხების საკუთარ სანოლში შენახვამაც შეუშალა; სხვის სანოლამდე მისვლა, მოგესხენება ურთულესი და საფათერაკოა, რა იცი, რის ტარს წაავლეე ხელს! რომელი დედაშენი ან მამათქვენი გიშველის იმ გარემოებაში.

განსაკუთრებული ჯაფა მჭედელ ანდრიას დაადა; ჭედა და ჭედა თოხები, ნამგლები, თანაც ახალ-ახალ ნახაზებს კითხულობდა; გასკდა კაცი მუშაობით, სამაგიეროდ მაყუთიც უხვად დააგროვა. იგი ყველაზე უფრო მადლიერი გახლდათ ბენედიქტე კიმერიელის მთავრობისა; ანდრია ალკოპოლის სმასაც გადაეჩვია, რადგან არ ეცალა ალკოპოლისთვის; ამის გამო ცოლი ფოტინე დაუტკბარუნდა; ოდნავ შუალამეობრივ მოცლილობისას ანდრიას სხვამხრივი ჯაფაც ადგებოდა; მჭედელი იყო და ისევე ჭედადა, ოლონდ ფოტინესთან ერთად, სამთამომავლოს. თანაც უნახავივით ფიქრობდა, რა კაი ყოფილაო; ჭედადა და ჭედადა, ოლონდ არ ეჭედებოდა;

ამათ, კონკურსანტებს, კი სახე უნათდებოდათ; ამასთანავე, თოხები, ნამგლები, ცელები და სხვანი უგროვდებოდათ და უგროვდებოდათ.

რიგითი საკოლნევიროები დილიდან საღამომდე სოფლურ სტადიონზე ფიზიკური კულტურით იყვნენ გატაცებული (არაა ეს სწორი ქართული, მაგრამ ამ შემთხვევაში გავა); ძნელი აღმოჩნდა ოცამდე ვირის ძალის დაგროვება; ამავე დროს გულაუჩქარებლობა, ხანგრძლივად სირბილისას; სამაგიეროდ სოფელში მოიკლო სიგარეტის გაბოლებამ. თითქმის აღარავინ ეწეოდა. კინალამ დაუსკდათ კუნთები. რომ იცოდეთ, რა სილაამაზეს წარმოადგენს ბუნჩულა ხორცოვანი მანდილოსნის მაგიერ ძლიერკუნთოვანს და მამალივით შეღერებულს რომ ხედავთ (შეიძლება არ გადაიროთ, მაგრამ შემინდეთ, კაცნო!). ვაი, ერთი ტყუილად დაწერილი ხუთასგვერდიანი რომანზე უკეთესი თვარაა მანდილოს-

ნებისგან განხორციელებული მდუმარე მიზიდულობა, თანაც ეს ამგვარი, საკონკურსოდ თუ სჭირიათ მათ. (მე, ყოველგვარ ამათებს, ისტორიული წყაროებით გონებაგანათებული, წარსულის განათებით ვუყურებდი. თქვენ კი, შესაძლებელია თანამედროვე პროგრესულობის მიერ ჩაბნელებულ ქვეყანაში სანთლის გაცრეცილ შუქზე მოგინიოთ დაუგემოვნებლად კითხვა. ბოდიში, თუ შეგშურდით!)

სოფლებში: დღნორისაში, ფეხმოუკიდებელსა და ჩხუტერში დიდი თუ პატარა კოლნევერი დიდის რუდუნებითა და სიფაქიზით ემზადებოდა მოულოდნელი გამოცდების ჩასაბარებლად. როგორც იქნა წესიერად, დამარცვლით ამოიკითხეს მრისხანე ფურცელზე გასუსულად მდებარე წინადადებები. რალაც ყრუ, მხოლოდ გვაიმუცელში მოზუბუყე ოპოზიციურობა კი დაეტყუთ, მაგრამ ქვეყნის შეყრა არც მოფიქრებითა და როგორც დაირწმუნეს თავი ჩათრევა-ჩაყოლიების გაგებით, ისე ოღრო-ჩოლოდ შეუდგნენ დავადების შესრულებას. ამ მიმდინარე საქმიანობაში ძირითადად ერთმანეთის შესაძლებლობათა დაზვერვა შედიოდა. ძალიან ჩუმათინე დაზვერვა. მართალია, წინასწარ კარტს არავინ ვინმეს არ უხსნიდა, მაგრამ ისხდნენ ადამიანები ბუხართან და ძლივძლივას იხსენებდნენ გასული ათი წლის მანძილზე ვის რა დამსახურება ჰქონდა სოფლის ველ-მინდვრებისა და სამშობლოს წინაშე. მიახლოებით გაანგარიშებებს დიდის წვალებითა და მონდომებით ჩამოანახშირებდნენ ხოლმე ნახშირის საწვრით გაპრიანებულ ფიცრებზე და რომელიმე კონკურსანტს გული მაშინ აუჩქარდებოდა, კონკურენტი რამდენიმე კილომეტრით თუ უსწრებდა. ამ ვითარებისას ძნელად მოქმედებდა ტრადიციულობაში ხანგრძლივად გამოცდილი წამალი >იპ>იპ და აჩქარებულად ავადმყოფი მხოლოდ პულსის დათვლით ერთობოდა. თუ კონკურენტი თავისი მონაცემებით (დაზვერვით მოპოვებულ მონაცემებზეა ლაპარაკი) ახლოს იდგა, დავუშვათ, რომელიმე ზოსიმესთან ან მარგარიტა კაიკაციშვილთან, გული არ აუჩქარდებოდათ ამ დასახელებულებს. თუმცა, ხანგრძლივად წაამუშავებდნენ გონებას, თუ როგორ გადაესწროთ მტრისთვის.

სოფლელები ერთი ან ორი შეხედვით მომცინარე, ძველებურ-შინაურულად კი გამოიყურებოდნენ, ვითომცდა კარგმეზობლობა-მიმოსვლას წინა არაფერი ედგა, მაგრამ თვალებიდან უნებურად მაინც ასხივებდა შხამიანი ასპიტი, ასისინებული და სისხლისთვის მწურვალი.

ამ დროს... დიხაც ამ დროს (უფრო სწორად, იმ დროს!) ბენედიქტე კიმერიელი უუმნიშვნელოვანეს საქვეყნო გადატრიალებებს იქმოდა და იქმოდა. ჯერ იყო და ცა გადალება, ლამაზ-ლამაზი ფერებით შეცვალა ძველი ფერი. სწორედ იმნარებით, ჩვენ კი არა, ასობით წლის მერე ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ დაიბადებოდა, აჭრელებული ცის შემხედვარე, თავად უნდა მიხვედრილიყო, იმ ფერების იქით ლურჯი სუფევდა.

შემდეგ გამოიმუშავა კანონი და სატახტო ქალაქის მცხოვრებლებს დაურიგა წერილობითად (მხოლოდ სატახტოსას, პატივისცემის ნიშნად), რომელიც ადამიანებს უკრძალავდა ტირილს, ნუნუნსა და წყევლა-კრულვას, თუნდაც ძლიერ მოშივებულზე. ვინც ამნაინრებს გაბედავდა, სხვის ღორულად ჭამა-ყლაპაზე აყურებინებდნენ ხუთი წელი. კიდევ და კიდევ იყო ბევრი რამ აღმაფროვანებელი, მაგრამ უკეთესთა შორის საუკეთესოა ჩემი მიხვედრილობით, ისტორიკოს ჯიმშერის მიერ ქვეტექსტურად მონოდებული არქარებული რეფორმისათვის დასაჭიროებული

ცნობა: ბენედიქტეს ძალიან უყვარდა მფრინავი ხალიჩა. იგი ამ ხალიჩაზე წამონოლილი ხშირ-ხშირად ჩაფრინდებოდა ხოლმე დედამინაზე არსებულ როგორც მდიდარ, ისე ჩამორჩენილ ქვეყნებში: სკვითიაში, პაჭანიკეთში, ჯიგარეთში, კურკანტელაში, ჯილანგარეთში, განვიმებულში, საქათმეში, ბალახვანსა და კიდევ უამრავში (ამ ქვეყნებიდან რომელია ძლიერი ან სუსტი, თქვენ თავად გაარკვიეთ). სწორედაც ასე ამბობს ჯიმშერი – წამონობოდაო ხალიჩაზე. მგონი გადაშლილ წინადადებებში უნდა იკითხებოდეს – მარტო ხვარ წამონობოდაო. რეიზა გადაშალა იმ შეშინებულმა, ძნელი სათქმელია. ვისთანაც უნდოდა, წამონოლილიყო. ცუდი ამაში არაფერია. მეფეც იყო და ადამიანიც ბენედიქტე. ესეც ასე, მაგრამ რატომ მიმოდიოდა, ერთ სიტყვასაც არ ასველებს ის ოჯახაშენებული ჯიმშერი.

ხოლო ამათ თვალეში ასპიტი სისინებდა. რამდენიმე კოლნევერმა შეფარვით ასპიტობას ვერანაირად გაუძლო და კაიმაგრად აღრენილი ძალებივით ეცნენ ერთმანეთს. მაგალითად: კიკიესა და ამირინდოს ორთაბრძოლა ამგვარი ფრთიანი გამოთქმებით მიმდინარეობდა:

- შენ რაფერ უნდა მაჯობო, შე თოხის უვიცო, შენ! - (კიკიე)
- რაფერ და დაბარებულებით!
- გაგხეთქავ ნაკერავზე და კბილებს ხელში დაგაკაკებებ!
- სიჩქარეშიც ვერ გადამიგდებ!
- რას ვერ გადაგიგდებ სიჩქარეში?
- მაგი მე ვიცი!
- კაი, მაგი შენ იცოდე, მაგრამ ამიხსენი ჩემზე მეტი თოხი რაფერ მოაგროვე?
- მე რომ თავს ვიკლავდი, ბიძია, ვშრომობდი და ვმუშაობდი, შენ კოკაკოლაზე ბაყაყებს იჭერდი ანკესით!
- მტყუენის!
- მასეც იყოს!
- კაი, შევეშვით ამ ამბავს. გამაგებინე შე ჩემზე ცუდო, პროფესორებმა რატომ დაგინერეს თოხით ბელტების დამტვრევაში გენიოსიაო?
- არ ვარ თუ?! კითხე, ვისაც გინდა, ტყულა არავინ დამინერდა კარგს!
- მაინც ვერ ნახვალ ჩემზე წინ. მაგ ყალბ ცნობას თავზე დაგახვეენ!
- მაგის იმედი დეიკავე, შენ! საბუთი საბუთია, შენი თავის ხელა ბეჭედი აზის ზედ! სადაც ისურვო, იქ მიჩვილე, მაინც დვეირტყამ უფროს მეთოხეობას, შენ კი ჩემი შესტიორკა იქნები!
- ამ შეფრთიანებას, ბუნებრივია, კაცური თაქი მოჰყვა. რიგრიგობით დებდნენ ერთმანეთს ძირს და სანახაობრივადაც გამოირჩეოდა მათი შეტაკებანი. ხოლო სხვანი, სხვანი მეზობლები, ვაშლს იხრიშნებოდნენ და უწესურად უყურებდნენ ორ გამწარებულ მამაკაცს.
- ქალთა შეძიძგილავებაზეც გვინერს მემატინე. მაგალითად, კუნთება ანიკოს და ოთარაანთ ჩამომავალ კესანეს ისე დაუწინკნით ერთმანეთი, თავმოტვლებილი დარჩენილან, რაც, ყველანაირი შეხედვით, ძალიან ამაზრზენი შესახედავი სურათია. მათი უკანასკნელი ამოქლოშინებულად ნათქვამი შემოგვრჩა მხოლოდ:
- შენ არ მიგელწიოს ციბრუტას თავმჯდომარეობით მონყობილ კონკურსამდე (კესანე).
- შენც ვერ მიგელწიოს და მანამდე მენახე შენსავე ზალაში კარგად მონყობილი!



III

როგორც იქნა მოახლოვდა გამხურვალეების თვე; ალი-გორას ბრძანებით ბრწყინვალე ადამიანებისაგან შემდგარ-მა კომისიამ (შეიძლება ვთქვათ, დასვენებულ ადამიანების-გან შემდგარმა კომისიამ) სოფელ ფეხმოკიდებულის კან-ტორაში დაივანა; კანტორის სახურავზე ბენედიქტეს სურა-თით დამშვენებული დროშა ფრიალებდა, კარგი დროშა;

ფეხაკრებით შემოდოდნენ კონკურსანტები კანტორის შენობაში და შორეულ გზაზე გასაგზავნად ამანათივით შეფუ-თულ თავიანთი ღირსების დამადასტურებელ ნივთებს მი-თითებულ ადგილზე აწყობდნენ; მთელმა გამხურვალეებამ ასეთ მილაგება-მოლაგებაში ჩაიარა; ხვითქი გასდიოდა კო-მისიის უჩინო წევრებს, რომლებსაც შავად საქმიანობა ევა-ლებოდათ, ხოლო თეთრად მოსაქმიანენი თვის ბოლოს ჩა-მობრძანდნენ ციბრუტას წინამძღოლობით და ნელ-ნელა, გა-ჭიანურებით შეუდგნენ სხვადასხვა რანგის ბრძოლაში ჩარ-თული კოლნეერების ბარგი-ბარხანის თვალიერებას;

ძლიერ ნერვიულობდნენ კონკურსანტები; ბარეორს თა-ვი შეეხვია და სამწუხარო ატკივილებას, მისი ჭკუით, გარეთ არ უშვებდა;

ციბრუტა, სოფელელებთან პირველი შეხვედრისას, ჩემო ძვირფასებო კი იძახდა, მაგრამ ამჯერად მკაცრი გამო-მეტყველებით გამოირჩეოდა; მას ღიასაც სურდა მეტად მნიშვნელოვანი სახელმწიფო დავალება ფრიადზე შეესრუ-ლებინა და ძალიან გაოცებული სიმკაცრე მაშინ გამოიჩინა, როცა ზერელედ გადახედვისას მრავალ-მრავალი შეფუ-თულობა შემოხეულ-გამომწვარი გახლდათ; ჯეროვნად დაფიქრებისას დაასკვნა, რომ ვირთხები შემოსეოდნენ იქაურობას, მაგრამ უკანვე წაიღო მოტყუებულად ნაფიქ-რი, თავადვე როცა შეამოწმა შეფუთვანი; ციბრუტას აჭ-მევდა ვინმე შაყირს? თანაც მრავალნი რომ ყოფი-ლიყვნენ?! თურმე კონკურსანტების არასათანადოდ შემ-ზადებულნი, მანამდე რომ ვერ მოასწრეს თოხებისა და ნამ-გლეების დაძველება, ვერც გაცვეთილები მოიპარეს და მთლად ხახამშრალი რჩებოდნენ, ბოლო რიგში ჩამდგა-რიყვნენ მჭედელ ანდრეასთან და პირდაპირ სამჭედლო-დან მოარბენინებდნენ აშიშხინებულ შრომით იარაღებს ფეხმოკიდებულის კანტორისკენ და იქვე ფუთავდნენ; შავმუშებს დამწვრის სუნი ნამდვილად ეცემოდათ, მაგრამ ამდენ გაგიჟებულად მოპაექრესთან რომელი ჭკვიანი ატეხავდა ომს და იმათაც შავ ფეხებზე მოიკიდეს ფუთაცა და მისი გამოხეულობა;

ავარდა, კაი მაგრამაც ავარდა ციბრუტა, სულ ლინინ-ლინინით გამოყარა ახლობის გამო გაპრიალებული ინტრუ-მენტები, ხოლო რომელნიც თვალში მოუვიდა, უკანვე ჩააბრუნა;

განსაკუთრებით ციბრუტა ბატონს მაშინ გადმოეკაკლა ორივე თვალი, როცა ერთმა თოხმა თქვა: არა ვარ ამ კაცის, მე კოლიასი ვარ! მერე და მერმე სხვა შრომითებმაც ეგრევე რომ შეუბერეს, სამი თქამი გამოიძახეს სატახტოდან და ციტრუტას ზოგიერთი რომ შეუკეთეს;

როგორც იქნა კომისიონერებმა დაალაგეს მიწვდილი ხარახურა; შიგადაშიგ, მონდომებით გარედან სამიოდე მოყურადემ საბოლოო სიების გამოფენამდე, რის ვაივაგ-ლახით ერთ-ორ მჩატე შემმონებელს დაცინცლა თავისი არცთუ მთლად სახარბიელო ქულათა რაოდენობა და მორი-დებით, მოსალამობისას, ჯერ დაკაკუნებით, ხოლო შემდეგ კარის ფაქიზი შეღებით მოახერხა ციბრუტასთან შესვლა;

– ბატონო, ჩვენ ნოტებიც წარმოვადგინეთ და თუ იქნება გათვალისწინებული? – ჰკითხა ცოტათი ხანშიშესულმა.

– რაის ნოტები? კონსერვატორიაში ხვარა ვართ? – გა-იკვირვა დამხდურმა.

– სიმღერის ნოტები, ბატონო, მაგარი ნიჭი გვაქვს ამ საქმეში! – შეთამამდა, მეორე ოდნავ ხანშიშესული.

– იქინე სიმღერა ეწერა, სადმე?

– არ ეწერა, ბატონო, მარა მუშაობისას სიმღერა რომაა საჭირო, თქვენ თუ არა, ბალანა ხარ ჩემთან შედარებით, მა-მამშენ-ბაბუაშენს მაინც ეცოდინება. – ეს წინადადება ორ-თავემ წარმოთქვეს ხმაშენწყობით.

– თქვენ შერეკილები ხვარა ხართ? მითხარით და გამა-გებეთ!

– არა ვართ, პატივცემულო, შერეკილები, სიმღერა ძა-ლას მატებს ადამიანს, გვარიანად მშრომელობს სიმღერულ ჩაკვარახჭირებისას! – ისევ სცადეს ბედის შემობრუნება მოხუცებულობისკენ გადახრილებმა.

– ვერა, ვერ გვეთვალისწინებთ, მაგ თქვენს ნიჭი-ერებას, ინსტრუქციის დარღვევისთვის თავზე ხახვს დამაჭ-რიან!

– არ ნეგეჩხუბებით, ბატონო, თქვენ იყავით კარგად და უსაფრთხოდ, მარა კაი საქმეს რომ გთავაზობთ, გვიან მიხ-ვდებით.

– მე ახლავე ვხვდები ყველაფერს! გამასწარით გარეთ, თორემ დოვუძახებ მანდატურებს. რისი წამჩხუბელები ხართ, თქვე ჩემის ვართაქედებო! – განგებ განრისხდა ციბრუტა.

ისინი კი გამოიძურნნენ.

გამხურვალეების შემდეგ დადგა გამაგრილებელი. კან-ტორის თავზე ისევ ღიმილიანად ფრიალებდა ბენედიქტე. ხოლო ქვემოდ, ეზოში, უზარმაზარი დაფა ორ ბოძკინტაზე მიეყუდებინათ ნახშიროვან წარწერებით. ეს წარწერანი იუნყებოდნენ გამარჯვებულთა ვინაობას, რომელთა სახე-ლები ელვისებრ მოედო სამივე სოფელს. დოლ-ზურნა-კლარნეტ-აკორდეონით ქეიფობდნენ ბედნიერები, ხოლო უბედურები, ანუ შტატდაკარგულები ანუ თავისუფლებამი-ლებულნი ბლაოდნენ, რომელთა გოდება აგერ, ა, ჩვენს საუ-კუნემდე აღწევს.

მაგრამ მოხდა უფრო დიდი ამბავი.

ერთთვიანი ქეიფის შემდეგ უფროსი, საშუალი და რიგი-თი კოლნეერები ახალი ენერგიითა და მტკიცე მუხლის ამ-ძგერებლობით თავთავიანთი ველ-მინდვრებისკენ რომ გა-ემართნენ, მივიდნენ და ნახეს ვინმე, ჯდა, მცინარი წყლისა პირას (კოკაკოლას ნაპირზე). იგი ვინმე ბუზუნის შავი ნაგა-ზი იყო. მან დაქადნებული ყეფით თქვა:

– აი, ველ-მინდვრები, უკვე გაყიდულია, ეს მდინარეც მიყოლებულია ზედ, ახლოს არ მიეკაროთ, თორემ რაც კი გაქვთ ნასაჭმელი, ეგრევე ჩავახრამუნებ!

– კი მარა, ჩვენ გამარჯვებულები რომ ვართ და საბუ-თიც რომ გვაქვს და ციბრუტას ხელმოწერაც რომაა ზედ, არაფერს ნიშნავს? – ერთად თქვა ყველამ.

– მაგი, ძამა, თამაში იყო, მასხრობა იყო, კაიფი იყო, ჩადევით მაგ საბუთი ხალამში და წყათე ხშირ-ხშირად გა-მოუცვალეთ. ახლა კი ჰაიდა, თორო მოვიდა ალესილი კბი-ლები!

ისინი უთავბოლო ბატებივით წავიდნენ. ისინი მაგარი გათამაშებულები აღმოჩნდნენ. ისინი ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე ცხოვრობდნენ. ისინი მხოლოდ ადამიანები იყ-ვენენ. ისინი...

გამორჩეული ოსტატის ხელში რომ ყველა სიტყვა ოქროსავით კრიალებს, ამის დასტურად ვახტანგ ჯავახაძის დღევანდელი პუბლიკაციაც გამოდგება.

მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პოეტი რითმებს ქარბორბალაში მოხვედრილი ხმელი ფოთლებივით ატრიალებს, თავის ნებაზე ათამაშებს და იმგვარ ილუზიას ქმნის, თითქოს პოეზია მართლაც მხოლოდ „თამაშად და უჩანს მღერად...“

მაგრამ ეს სილალე ნურავის შეაცდენს: ქარბორბალაც, რომელზედაც ახლა მოგახსენეთ, სიჭარბაგის ქარიშხალია და რითმებსაც – შესაძლოა, ათასჯერ გამოყენებულთ – მაინც სიახლის კრიალი გადასდით...

ხოლო ვისაც პოეზია მხოლოდ „თამაში და მღერა“ ჰგონია, ვურჩევთ, წაიკითხოთ ვახტანგ ჯავახაძის ეს ლექსები და ბოლოს და ბოლოს დარწმუნდეს, რომ „პოეზია ძველთაგანვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ და ეს დარგი დღევანდელ განწყობილებათა, სიძნელეთა თუ მოვლენათა გადმოცემასა და ანალიზში ზოგჯერ ყველა სხვა მეცნიერებას, ვთქვათ, ამ საქმისათვის მონოდებულ სოციოლოგიასა და ჟურნალისტიკასაც კი სჯობია, ოღონდ ერთი პირობით:

თუ პოეტი დიდებული ჯავახაძე იქნება!

ვახტანგ ჯავახაძე

## დანადგული რითმები

მესამე ლექსი კარგია...

*შოთა რუსთაველი*

1.

სახარება მათესი,  
მარკესი და მარკოზი.

მარკაზუა – მარკიზი:  
ნაყვარება ნარკოზი,

გახარებაც მარკესი –  
ანუ მოკამათესი.

დაცხრენ მოკამათენი:  
ათენი და ანკარა,

ადამი და მადამი –  
ევაც – მამასადამე.

სარამ გააჩალიჩა:  
ირანული ხალიჩა,

აფრიკული კიბე და  
ტიბეტური რიკული.

პილატეს და პირატებს  
პირადი ჰყავთ პილოტი.

კლეოპატრას ევასა  
პატროკლე და ერეკლე:

სად ერეკლე მეორე  
და სად პეტრე პირველი?!

ბონაპარტემ – კუტუზოვს,  
გუდიაშვილს – გუტუზომ –

ვერაფერი დააკლეს:  
კარტი შეხვდათ უტუზო.

პოლკოვნიკი კაპიტანს  
გენერლობას დაპირდა,

აკრძალულის გაცნობაც  
გაბედა და გარისკაც

(გენერალო, გახსოვდეს  
შენი ჯარისკაცობა!).

2.

რატიანი იცინის,  
როგორც ბაგრატიონი.

ხარხარებენ პრინციები:  
დაივიწყეს პრინციპი!

ხოლო პაკისტანელი  
მოძღვრავს, როგორც ლენინი.

ბელადების მონათა  
კერა – მიწის ბურთია:

გალამ უმაღლ მონათლა:  
„პარტია“ და „პურტია“.

წელიწადი – ასათი –  
შავზე შავი წიგნია:

იყო (არის!) ასეთი! –  
იყო (არის!) ასეთი! –


ჯვარი აქაურობას!  
პირი ხისკენ მიქნია!

მრავალს მაინც აბოდებს,  
ართიმია ანუხებს:

ტყეებს ისე ჩეხავენ,  
არ ითვლიან ნაფოტებს.

სამართალში აგ ზავნის  
სამადაშვილს თამადა,

თემიდა კი ყოველთვის  
ინყებს ანათემიდან.



3.

ინვის დასალიერი:  
ინირება მოცარტი.

ფაუსტს – მეფის დობილთან  
ასმენს მეფის დობილი,

თანაც მეპისტოლეტე  
უტევს ეპისტოლეტი,

როგორც მაქსიმილიანს  
მარქსის მაქსიმუმები

ანდა – ფაქსიმილიან  
მილიონერს – მილერი.

გერმანელმა სპირიტმა  
დაივიწყა ლუთერი.

ლუკმას სტაცებს პირიდან  
მხატვარს კომპიუტერი.

ლამაზ-მოდელიანი  
თავს ინონებს პიკასო,

თავს არ იკლავს დალევით:  
დადის ფეოდალივით:

სახის აპლიკაციებს  
აფალსიფიკაციებს:

ხატავს კაცის მაგიერ –  
კაცის პროვოკაციებს,

ეტნას ეტმანება და  
პარაბოლებს აბოლებს.

ყდები მოსნონს ბუკინისტს  
პუშკინის და დანტესი,

სურს მარტინის რეცეპტი  
ბარმენს განამარტინოს.

დგას მაზეპა-მეხანძრე  
და ცეცხლს ეთამაშება,

აქებს ცვეტაევასა:  
ევასავით ევასა.

4.

ორნი მიდიოდინ –  
ორი დიდი ოტია:

ერთი გენიოსია,  
ერთიც – გონიოშია.

ფლანი ცდილობს – ოდიშთან  
მერცხალივით მიფრინდეს:

ექებს გენი-ოტის და  
იდი-ოსის ჰიბრიდებს,

ვერ იტანს და ვერ ითმენს  
ქვეტექსტებს და ქვერითმებს.

კარადიან ტომების  
გარანტიას ელიან:

აქეთ – კალანდაძე და  
იქით – კალანდიები,

მაგრამ გარანტიები  
ყალბი მასკარადია,

თუმცა ასკარტიან  
ალმასივით ანთია.

თონეშია ტოლფასი  
ტოპაზი და ტონუსი.

სათაფლიაც ტოლფასი  
სარდაფია, სარდაფი –

ანუ ანტისასახლე  
ბროლისა და სადაფის,

მაგრამ მალე არევენ  
პარია და მპარავი:

კვალს არ ტოვებს არავინ –  
გარდა დინოზავრისა.

5.

ქარი აცემინებდა,  
სიო ქუჩებს მინებდა

და ქარვასლის მინებთან  
დადგენენ რითმის გიჟები:

ჩუმად ისარჯებიან,  
ჩუმად ისარჯებიან:

ჩემი რიქმაჩებია:  
გაუმარჯოს რიქმაჩებს!

ხათრი-მათრი-ყადრი და  
პატრი ნაინატრი და

კადრი: ბადრი მთოვარე  
იყურება ჩადრიდან.

გაიხადეს მინდვრებმა  
ლილოჭრელი თექა და

გაიმართა დეკადა  
იათა და დეკათა.

ნანვიმარზე – შირაზის  
ვარდი ტირის სილაში.

იკოცნება ოცნება –  
ნახატი და ნახაზი –

საკანთა და საგანთა  
უტყუარი უარით.

ხდება სხვა საოცრებაც:  
აქტეონის ნაგაზი

კვდება ცოდვისაგან და  
წყდება იაგუარიც.

6.

სისინებენ სანები,  
ხინინებენ ხანები

და მთებს ამრისხანებენ  
სვანები და სხვანები.

იზეპირებს ზეფირებს  
პროტეზების პროტესტი.

ებრალება ებრაელს  
გორელი და გორილა:

გორილების ახვართა  
გამო გამოყვარყვარდა:

არადანთა რჩეულებს  
ძალას არ ატანდა და

მიჰყვებოდა თანდათან  
ფეხდაფეხ და ტანდატან:

აქეთ – ლამაზმანები,  
იქით – რამაზმანები –

დანყვილდნენ და მიიღეს  
მთვარის აბაზანები:

დაცხრა სიასამური  
ვნების ატმოსფეროსი:

შენც ეროსის მხარდამხარ  
დადიხარ და ხარ და ხარ,

ხარბი რითმა ხანდახან  
დედოფალთან დაგანვენს.

ნალდი პარადოქსია:  
ფარა დოქში პეტელობს.

მიკოტი კიოტას  
ინვეეს საიქიოდან.

ფინაჩების ბინაში  
კატა ლოკავს კატალოგს.

ვისაც ქადა უყვარდა,  
კატა გადაუყვარდა:

მეც არ მიყვარს კატები:  
ვაჟას ადვოკატების

კასტას მივემატები:  
შემაყვარეს თავგები.

დამექადა მე კატა,  
როგორც ჩეკა-მეკათა

„ალფა“ და „ომეგა“ და  
გზები გადამეკეტა:

შპიკი გადამეკიდა  
მედინა და მექადან.

გავაგორე შაშები:  
მოვიშორე შიშები:

გამოვცვალე შუშები:  
შევაგროვე შეშები,

ჩემი ჭრელი შოშია  
ტყეთა სადროშოშია:

ვინც გაჩეხოს ტყე მალე –  
ტყემალი და ტყიბული!

ველარ ვიტან ბატრაკებს,  
ველარ ვიტან ბადრაგებს:

ბატრაკების ბადრაგი  
საქმეს გამიჭადრაკებს.

მიყვარს სიტყვა „ბოდიში“,  
მიყვარს ბევრი ბადიში,

ჩიტი მიყვარს ბუდეში,  
თევზი მიყვარს ბადეში,

მიყვარს ბუდეშური და  
იმერლების პატიჟი.

8.

უნმანური კუჭმაჭი  
უჯმაჯურებს მივართვი.

წინაკა და ნიორი  
სინიორამ მიძაგა.

მესია და მისია –  
ერთად შემომისია,

მაკიაჟი – მისია,  
მაგიაშიც – მაგია.

ღმერთო ჩემო, ურჩების  
მაგალითი მაშინებს:

რატომ არ გააჩინე  
საქალეთი – მუნჯებად!

მაგრამ – სარა ბერნარი  
ან – მარია კალასი?! –

სამაროვან ყვავილებს  
სძინავთ თავის ქალაში.

სდუმან, სდუმან, სდუმან და  
კერპი პარტიტურათა –

ველარ გაგვამასპინძლდა,  
ველარც გაგვისტუმარდა.

9.

ბაჯალლო და ბარახლო! –  
უნდა წავაბალახო

რითმა, ხელი არ ახლო  
სტრიქონს: დანაღმულია!

და ასწავლის მორევის  
განაღმვას და მორევას –

თეიმურაზ ორივეს –  
ერთი – შოთა – პირველი:

კარგაო მესამეც! –  
ეს პატივი მეცა მეც,

და შენც პატივცემულო,  
ნუგეშინი მეც და მეც.

ნაღდმა და ჭეშმარიტმა –  
შოთას თვალ-მარგალიტმა –

ჩემი ლოგარიტმების  
არიტმიაც გართმა.

მომწონს ძმაბიჭობია:  
გრიმები და მანები, –

მაგრამ ყველას სჯობია  
შოთას „ნათარგმანები“.

მაიმედებს მაგია  
ორთა ამაგიანთა:

ჩვენი „ილიადა“ და  
ჩვენი „აკაკიადა“.

10.

ჩვენი სინედრიონი  
ლეღავს, როგორც ენგური,

ბახტრიონი ამხნევებს,  
მხედრიონი აქეზებს.

მთაშია თუ ბარშია,  
სწყურია თუ არ შია:

ჭაჭის არაყს – ბორჯომის  
H2O არჩია.

ულვინობას ვერ ითმენს:  
სვამს: in vino ვერitas!

კნიაზ დისამიძე  
არ ყოფილა სამინე:

მიმონმებენ სამი A,  
სამი B და სამი C.

ვისაც ვკითხე, ვისაც კი –  
ურჩევნია ლენონი.

დამინუნეს სტალინი  
და ვისოცკის გიტარაც.

რამიშვილის გიტარა  
მიქეს რამიშვილებმა,

შენ ცეკვავ და ლილინებ,  
მე კი რა მეშველება,

როცა მეტირება და  
მეგურამიშვილება?!

ღმერთო, მომეც შეძლება! –  
არაქათი მეცლება,

წარამარა მეცვლება  
ფერ-ფურ-ფარ-ფორ-ფირ-ფერი.

სადღაც წვიმა ატირდა:  
სახურავებს უწყება:

ინურება მარტი და  
ველოდები უწყებას –

მიქელ-დე-გაბრიელის  
კომისარიატიდან.

11.

წამეტირა ცამეტი  
მეტიჩარა ბადიში.

დამესაჯა ნეტავი  
მეცამეტე მესაჭე.

მეცენატის მესიჯებს  
მიხარისხებს სენატი.

აზარმაცებს ვაგროვებ:  
მაზარმაცებს ყაზარმაც.

დავგმე ლაზღანდარანი:  
მოვიხილე დარანი:

მოვიხილე ტარანი:  
შამაია მეგონა!



## ჰონეზია

შევიძინე გალია,  
დავიჭირე კალია:

გალია და კალია –  
გახლავთ ანომალია.

ჩუმად არამზადობენ  
სატირე და სათოფე:

რითმაც მოვინადირე,  
მაგის დედაც ვატირე!

12.

ახლა ისე წირავენ,  
ჩაყოლა სჯობს ჩათრევას:

წვიმა ავაყირავე:  
დავამსგავსე შადრევანს.

ვერვინ გამაანგარა:  
წყარო მომწონს ანკარა,

მომწონს ბოლოქანქარა –  
არა ბოლოკარკაზი.

ხანჯალი და ქარქაში:  
რკო – რკოში და რქა – რქაში,

მირჩევნია სასახლეს  
შენსას – ჩემი კარკასი:

არ ატეხო განგაში:  
მტკვარს გაგიცვლი განგაში.

განა ბადენ-ბადენი –  
მომწონს ატენ-ატენი

და მოყურიადენი –  
მეცხრე და მეათენი –

რითმის მონილადენი –  
ბატონი და პატენი

(ჩვენ ხომ, ჩქიმი პატენი,  
გუშინ დავიბადენით

და დღეს ელექტორატებს  
ყურში ბამბებს ვატენით!).

13.

მდიდრებს გავეჯიბრები:  
მშიშრებს უყვართ „ჯიპები“!

ძმა ვარ არლეკინოსი:  
წვიმა მიყვარს კინოში:

კინოს დავუპატენტე  
გედის პა და პა-დე-დე.

მოვიცილე მოცილე –  
სამგლე ანუ სალომე,

მოვამზადე სალონი –  
საიერუსალიმე

და სამივე სალომე  
გავაბესალომე.

კარავი და მეკარვე  
გამოვააშკარავე,

გავანბილე დამქაში  
და დამკაში გავედი:

დამხვდა სამი ბატკანი:  
ტეხავს ერთი მათგანი,

სიტყვებით მადგანან  
ენის წვერზე რითმები:

რითმა იყო პირველი,  
მაგრამ გასაკვირველი –

გამიფრინდა ფრინველი:  
– გამარჯობა, ვერლიბრო!

14.

თითქოს ენა დამენება:  
დამინება მემუქრება:

წავალ მამაზეციერთან:  
ალარ მედედამინება!

## ქრონიკა

„მურმან ლებანიძის 100 ლექსი“ – ასეა დასათარებული ახალი წიგნი, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტმა“ შესთავაზა მკითხველს და პრეზენტაციაც საკუთარ ჭერქვეშ გამართა.

ეს მშვენიერი კრებული, დახვეწილი დიზაინით, უკვე მეთხუთმეტეა სერიული გამოცემიდან – „პოეტის 100 ლექსი“.

„ინტელექტის“ დირექტორმა და აღნიშნული საგამომცემლო პროექტის ავტორმა კახმეგ კუდავამ უკვე ხორცშესხმული ამ კარგი საქმის გამორჩეულობასა და თავისებურებაზე ისაუბრა.

პრეზენტაციას მოუწყინარი სიყვარულით და ჩვეული გულით-თადობით უძღვებოდა მიხეილ ქურდიანი.

სიტყვებით გამოვიდნენ: ჯემალ სეფაშვილი, ნოდარ ტაბიძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახაძე, მეუფე... ერეკლე სალიანი, მანანა ასათიანი, დავით ტაკიძე და ია სულაბერიძე, რომელმაც ნაიკითხა აგრეთვე მურმან ლებანიძისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ახალი კრებულის შემდგენელი და რედაქტორია ელენე ჭავჭავაძე.

წიგნის წინასიტყვაობა ნოდარ ტაბიძეს ეკუთვნის.



ლექსი ალბათ საიდუმლოს გამხელის მცდელობაცაა, ოღონდ ისე, რომ ლაღატს, გაცემას არ მიემსგავსოს. რაც უფრო ღრმა სასონარკვეთიდან მოდის სათქმელი, მით უფრო განცდის სწორფერი სიტყვებით აფორაჯდება დროში ჩამარხული პოეზიის მარმარილოს სხეული. ამდენწლიანი შედეგების მერე შეიჩხევა, შეიშმუშნება, შეიფაკლება და უჩინარ სისხლძარღვებში წკანწკანით გაიკვლევს გზას...

რალაც ატავისტურზე, ძალიან ძველზე, გაუცნობიერებელზე დარდობს თითქოს ნინო დარბაისელის წარმოსახვა. რალაც ძალიან მწარეთი და მნიშვნელოვანით ისუსხება მისი რეალური სამყარო, კონკრეტულ შემთხვევაში მთვარის ცივ შუქზე მგლისა და ჯაჭვის მეტაფორით რომ გამოისახა. ამ ელემენტის მეტაფორულ სპექტრში ღრენით გაიეღვებს ანეგეტილი ძალის შურდული, რომელიც ისევე მიილტვის და მიისწრაფის თავისი სისხლისა და ხორცის, თავისი ნახევრისაკენ, როგორც შვილი მამისაკენ, ქალი კაცისაკენ...

რაზე წუხს ნინო დარბაისელის ელემენტი? – მოთვინიერებაზე, თავისუფლების დაკარგვაზე, ღირსების დამცრობაზე, ჯგულის გადაგვარებაზე...

ასე მგონია ნაწილობრივ მაინც ამოვიცანი პოეტის გულის ღვიარება, ასეთი ექსპრესიით რომ გამოიგლოვა ყოველივე.

მაკა ჯოხაძე

ნინო დარბაისელი

ელემენტი

სოფლის ბოლოს ძილ-ბურანი მორევია მონადირეს.  
ხარის ლეში გელის სიბნელეში.  
მგელო, დღემდე, იცი, როგორ მოგელოდი?  
მაგრამ ნეტა ველარ იკრა გეში!  
რა ახლო ხარ! პირქარს მოაქვს შენი სუნი,  
ნარ-ეკალსაც შერჩენია ბენვი,  
თოვლზე მგლური ნაკვალევი დაგიტყვია.  
მეშინია, არ აცდება ცხელი ტყვია.  
გულზე შენი ნაკბილარი მენვის.

გახსოვს, როგორ ავინწყვიტე?  
ყეფა-ყეფით მოვყვებოდი ბილიკს,  
ახლო მაინც ვერ გავებდე შენთან მოსვლა,  
გიელავდა ალესილი კბილი,  
მაგრამ იგრძენ შორიდანვე შენი სერი,  
მოგიშვირე უსუსური კისერი,  
დამსუნთქე და მერე ლოკვით დამისველე  
ეს კისერი, ჯაჭვით გადანაქუცი,  
დამავინწყდა შიშიცა და უშიშობაც,  
მოგდუნდი და უცებ მოგელაქუცე.  
გვერდით გდიე,  
მამჩნევი და ვერც მამჩნევი,  
წინმხედველმა ველარც მომიცილე.  
ვინ რა იცის მარტომგლისა,  
მგელზე უფრო უმგლესისა  
ბურჯღნაობა, თავმიდებით ძილი.  
ბოლოს ქანცი გაგვეცალა,  
ზედ ზამთარი და შიმშილი დაგვერთო,  
ავირიეთ, უკვე ერთად ველარ ვძლებდით,  
ველარ ვძლებდით ველარც უერთმანეთოდ  
და წამოველ, გადმოვსერე ტყე და ბეჭი,  
ჩავირბინე მინდორი და ბაგები,  
გალეული ისევ პატრონს მივადექი,

შენი ცალი, შენთან ნაბუნაგევი.  
კუდექიცინას დამიყარეს უხვად ძვლები  
და პატრონიც ჩემით კმაყოფილია.  
საძაგელო, იცი, როგორ მოგელოდი,  
მე, ძუმგლობის ვერშემძლები ფინია?  
გატრუნული ლუკმას პირს არ ვაკარებდი,  
სალაფავი ჯამში დავაობე.  
დე, ყოველდამ ჩაერაზათ ურდული,  
მეგუღვოდა მორღვეული ღობე.

კისერს მადევს ჯაჭვი, მტკიცედ მონანწავი.  
რანამს კარი გაიღება,  
მავალია ავი ყეფა,  
მერიდება მპარავი.  
ყმილისთვის პატრონისგან  
ფერდში კავი არ ამცდება,  
გაურჩებულს არ დამინდობს არავინ,  
მაგრამ რალამ გამაყუჩოს,  
ფათერაკი ახლო თუა?  
დამიძახონ უწვრთნელი და ცრუ...

დაიჭექა!!!

იქნებ თოფი გაუვარდა მონადირეს?  
შფოთავ, გულო და საგულეს ანგრევ.  
არ იქნება, მგელს ის ტყვია მიეკაროს,  
ჩადექ, ჩადექ, ნამგლევო და სამგლე!

მაგრამ რატომ აიშალა არემარე,  
თავქვე რატომ ჩამორბიან გაჩქარებით,  
რალას ნიშნავს უეცარი მაშხალები,  
ალეებისგან რალად მესხმის ბრუ?

შავნისლიდან გამოცურდი მთვარის კიდეც,  
მგლოვიარეს ნუ დამაგდებ, ნუ!  
ვინ გაიგოს შენგან კიდე  
ჩემი გულის ღვიარება,  
ყველა ყრუა,  
ყველა უა-უუ-უუუუუ...

სიმონ ლეისი

# ჩვენი ერთადერთი ქოლგა

\*

**ხელოვნების როლის შესახებ  
პოლარულ ექსპედიციებში, კარკოდ,  
და ცხოვრებაში, ზოგადად**

რამდენიმე წლის წინათ, ალბათ, გახსოვთ, ინგლისელი მსახიობი ჰიუ გრანტი ლოს-ანჯელესის პოლიციამ დააკავა, როდესაც იგი საჯარო თავშეყრის ადგილას, ლამის პეპელასთან ერთად ფრიად პრივატული საქმიანობით იყო გართული. უბრალო მოკვდავთა უმრავლესობისათვის მსგავსი ფათერაკი მხოლოდ უსიამოვნო თავგადასავლად დარჩებოდა, მაგრამ ასეთი ცნობილი მსახიობისათვის შესაძლოა, კატასტროფული შედეგები მოეტანა: მთელი მისი ჰოლივუდური კარიერა იმ წუთას უფსკრულის თავს გამოეკიდა. ამ გაგანია მარაზში მსახიობს ამერიკელი ჟურნალისტი გამოეცხადა და... ძალზე ამერიკული კითხვა დაუსვა: „ღებულობთ თუ არა ამჟამად ფსიქოთერაპევტის რჩევებს? – არა, – უბასუხა გრანტმა, – ჩვენთან, ინგლისში, წიგნებს ვკითხულობთ“.

საუკუნუნახევრით ადრე კარლ გუსტავ იუნგმა უფრო ტექნიკური ტერმინებით ჩამოაყალიბა ამავე ფენომენის ზუსტი კორელატი: „როდესაც პიროვნება ჰკარგავს კონტაქტს მითიურ სამყაროსთან და მისი ეგზისტენცია დაიყვანება მხოლოდ ფაქტების სამფლობელომდე, მისი მენტალური ჯანმრთელობა დიდ საფრთხეში ვარდება“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: ადამიანები, რომლებიც არ კითხულობენ არც რომანებს, არც ლექსებს, რისკავენ, შეეჯახონ ფაქტების კედელს ანდა გაისრისონ რეალობის ტვირთქვეშ. და მაშინ სასწრაფოდ უნდა მოუხმონ დოქტორ იუნგსა და მის კოლეგებს, რათა ნამსხვრევების შენება სცადონ.

ხომ არ აგვიანებენ მომრავლებას ფსიქოთერაპევტები მაშინ, როცა რომანისტებისა და პოეტების რიცხვი მცირდება: შეიძლება კლინიკური ფსიქოლოგიის განვითარება დამთხვევითა და შთაგონებული წარმოსახვის დაშრეტას. ასეა თუ ისე, თვალსაჩინო პრაქტიკოსებმა ამაზე იფიქრეს.

ერთ დღეს რაინერ მარია რილკეს ლუ ანდრეას-სალომესათვის უთხოვია, ფსიქოანალიტიკური კონსულტაცია გაენია მისთვის. ქალბატონმა უარი უთხრა და ეს ასე დაასაბუთა: „თუ ანალიზი წარმატებული იქნება, თქვენ შესაძლოა, ლექსები ველარ დაწეროთ“ (ერთი წუთით წარმოიდგინეთ: ვინმე მოხერხებულ თერაპევტს კაფკა რომ განეკურნა მისი ეგზისტენცური საწუხარისაგან, თანამედროვე ადამიანის მდგომარეობა თავის ყველაზე ღრმადმწვდომ ინტერპრეტატორს დაჰკარგავდა).

ბევრი ძლიერი და კარგად აპატირებული პიროვნება თითქოს არ საჭიროებს წარმოსახვით ცხოვრებას. ასე მაგალითად, წმინდანები რომანებს არ წერენ, როგორც უკვე შენიშნა ჰენრი ნიუმენმა – და მან იცოდა, რაზეც ლაპარაკობდა, ვინაიდან თავად იყო თითქმის წმინდანი და ორი რომანიც დაწერა. პრაქტიკული სულისკვეთებისა და საქმიანი ადამიანები მტრულად არიან განწყობილნი ფიქციის ყოველგვარი

ფორმისადმი და ამას სახიფათოდ ფრიგოლურ და დამასუსტებელ გაქცევად მიიჩნევენ. ამასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივი ფაქტია, მაგალითად, ცნობილი პოლარული მკვლევარის მაუსონის (Mawson) მითითება, თავისი შვილებისათვის რომ მიუცია: არასოდეს წაიკითხოთ რომანები, სამაგიეროდ, მთელი ყურადღება დაუთმეთ გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიებსა და ისტორიულ ნაშრომებს, – ესაა ერთადერთი საკითხავი, რაც უზრუნველყოფს ჯანსაღ ინტელექტუალურ განვითარებას.

ეს მოსაზრება იმსახურებს, რომ ცოტა ხნით შევაჩეროთ მასზე ჩვენი ყურადღება, ვინაიდან იგი ასახავს ორ ძალზე გავრცელებულ გაუგებრობას. პირველი შეცდომა ისაა, რომ ნებისმიერ ლიტერატურულ ნაშრომს არ განიხილავენ, როგორც წარმოსახვით ქმნილებას, რაც მის დეფინიციაშივე ძვეს (და თუ დასაწყისში ნაშრომი ასეთ შთაბეჭდილებას არ ქმნის, კარგ ხელში მოხვედრისას, აუცილებლად იქცევა ასეთად: სიმენონის საყვარელი საკითხავი, თურმე, სატელეფონო ცნობარი ყოფილა). ჟანრული კლასიფიკაცია – რომანები და ისტორია, პროზა და პოეზია, ფიქცია და ესე – კონვენციურია და მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ბიბლიოთეკარებს კომფორტი შეუქმნას. რომანისტები ანმეოს ისტორიკოსები არიან, ხოლო ისტორიკოსები – წარსულის რომანისტები და ყოველი ნაწერი, რაც გარკვეული ლიტერატურული ხარისხითაა აღბეჭდილი, უმთავრესად პოეზიისაკენ მიისწრაფის.

მაუსონის მეორე შეცდომა მომდინარეობს, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილო შეხედულებისაგან იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება იყოს „ჯანსაღი“. ჩვენ უკვე გავგაფრთხილა ცნობილმა ექიმმა ფარაბემმა: „სიჯანსაღე დროებითი მდგომარეობაა, რაც კარგს არაფერს მოასწავებს“. პრობლემა კიდევ უფრო სიღრმისეულია – უნამუნომ კარგი დიაგნოზი დასვა: „ადამიანი, მხოლოდ იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ ის ადამიანია, ვირთან თუ კიბორჩხალასთან მიმართებაში უკვე ავადმყოფი ცხოველია – ვინაიდან ცნობიერება ავადმყოფობაა“.

და არადგან მაუსონმა ანტარქტიკისაკენ წაგვიყვანა, არ მინდა ისე მოვწყდე ამ რეგიონს, რომ არ გავიხსენო მკვლევარი შეკლტონი (Shackleton), რომელიც ჭეშმარიტი, სხვაგვარად შთაგონებული გმირი გახლდათ. ხომალდის დაღუპვის შემდეგ, კატასტროფის ყველაზე მძიმე წუთებში, როდესაც ეკიპაჟის ყველა წევრთან ერთად, საჭირო გახდა ისიც შემსუბუქებულყოფი ყოველგვარი ზედმეტი ტვირთისაგან, შეკლტონმა სასტიკი უარი თქვა გადაეგდო ბრაუნინგის ლექსების ნიგნი, რომელიც ამ წუთამდე გვერდიდან არ მოეშორებინა. ერთ მშვენიერ დღეს, ალბათ, ვინმე უნივერსიტეტელმა უნდა დაწეროს ასეთი დისერტაცია – „პოეზიის როლი პოლარულ ექსპედიციებში“, – მანამდე კი კარგი იქნებოდა, თუ ძალიან არ გადავუხვევდი ჩემი თემიდან.

ის, რისი ხაზგასმაც მსურდა, ასე უბრალოდ შეიძლება ითქვას: ჩვენი შინაგანი წონასწორობა ძალზე მყიფე და დაუცველია, რადგანაც გამუდმებით ყოველდღიური რეალობის განსაცდელისა და აგრესიის სამიზნეს წარმოვადგენთ; ყოფიერების ომების შედეგი მუდამ სათუთა და საბოლოოდ, ხდება ისე, როგორც მარია ვარგას ლიოსას ერთი პერსონაჟი შენიშნავდა ძალზე კარგად ჩვენი საერთო მდგომარეობის შესახებ: „ცხოვრება ქაქის ტორნადოა, სადაც ერთადერთი ქოლგა – ხელოვნებაა“.

**ფრანგულიდან თარგმნა  
ნიმო ციმაკურიჩა**

მერაბ ლალანიძე

## რომენ როლანის კეთილი თვალები

რომენ როლანი (1866-1944), პირველ ყოვლისა, მწიგნობარი და მუსიკათმცოდნე იყო, წიგნისა და მუსიკის ტრფიალი. იგი მთელი ცხოვრების მანძილზე სანერ მაგიდასთან იჯდა და შრომობდა, – როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, დროს ვერც სეირნობისათვის იმეტებდა და ვერც ჭამისათვის, არც სვამდა და არც ენოდა, ოთხ ან ხუთ საათზე მეტი არასოდეს ეძინა და მისთვის ერთადერთი სულისმოთქმა ფორტეპიანოსთან მიჯდომა იყო. მემუარისტებს, ალბათ, ისიც უნდა დაუფიქროთ, რომ მან თითქმის ყოველი ტაქტი იცოდა, რაც კი ოდესმე დაუნერია ოდნავ მაინც ღირებულ კომპოზიტორს. მას ძალზე ბევრი წიგნი ჰქონდა ნაკითხული და იმასაც ამბობენ, რომ იგი იცნობდა ყველა ქვეყნისა და ყველა ეპოქის ისტორიას, ფილოსოფიას, მწერლობას. იგი იყო ერნსტ რენანისა და ლევ ტოლსტოის მონაფე და მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ლამის ყველა სახელგანთქმული ადამიანის მეგობარი.

რომენ როლანი რამდენიმე ათეული ტომის ავტორია. მას დაწერილი აქვს რომანები და მოთხრობები, პიესები და ესეები, გამოკვლევები და სტატიები, ბიოგრაფიები და რეცენზიები. მისი ლიტერატურული მოღვაწეობა ნობელის პრემიით აღინიშნა, რაც მეოცე საუკუნის მწერალთათვის თითქმის უკვდავების ტოლფასია. მაგრამ მისი ბელეტრისტიკის გადაკითხვის შემდეგ მკითხველი ძნელად თუ დაეთანხმება სვედ აკადემიკოსთა პატივცემული კომიტეტის განაჩენს, მით უმეტეს, თუ ამ მკითხველს ისიც ახსოვს, რომ იმავე კომიტეტს შეუმჩნეველი დარჩა როლანის რამდენიმე თანამედროვე და თანამემამულე, – მაგალითად, მარსელ პრუსტი, პოლ კლოდელი ან პოლ ვალერი. ნობელის ზემოთხსენებული კომიტეტის გადაწყვეტილების მიუხედავად, ნამდვილი მწერლობის ნამდვილი მოყვარული ძნელად თუ მიუჩენს ადგილს როლანს მეოცე საუკუნის ნამდვილი ლიტერატურულ პანთეონში, თუმცა საბჭოთა იდეოლოგიური მანქანა ათწლეულობის მანძილზე არწმუნებდა ათასობით მკითხველს, ბიბლიოთეკარსა თუ სტუდენტს, რომ რომ იმ საუკუნეში ევროპულ-ამერიკულ ლიტერატურულ სივრცეში ჯექ ლონდონის, თეოდორ დრაიზერისა და რომენ როლანის რომანებზე უკეთესი ბევრი არაფერი დაწერილა, და ეს იმიტომ, რომ მათ კაპიტალისტური გარემოს დაძლევაც კი მოახერხეს და საკუთარ შემოქმედებას თითქმის სოციალისტური რეალიზმის პრინციპები დაუდეს საფუძვლად. თუმცა სიმართლე რომ ითქვას, „ჟან-კრისტოფის“ ავტორის მიმართ ნაფიც საბჭოთა იდეოლოგთა გულჩვილობას არა იმდენად ამ ბუნდოვანი „სოცრეალიზმისადმი“ მისი ერთგულება განაპირობებდა, რამდენადაც ის უბრალო მიზეზი, რომ როლანი ევროპულ ინტელექტუალთა იმ ნუსხაში შედიოდა, რომლებიც საბ-



ჭოთა რეჟიმის მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილი. სასურველად არ იყო მიჩნეული ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ხანდახან ეს სიმპათია უბრალო დუმილითაც გამოიხატებოდა, – დუმილით ბოლშევიკურ სისასტიკეთა და სიმხეცეთა მიმართ. თუმცა არც ისაა დასავინყებელი, რომ რომენ როლანი – ჰუმანისტი და პაციფისტი, კაცი, რომელსაც, შტეფან ცვაიგის სიტყვებით, ყველაზე ნათელი და ყველაზე კეთილი თვალები ჰქონდა, მართლაც ვერ ხედავდა საჩვენებელი სტალინური კოლმეურნეობა-ქარხნების მიღმა ყოვლისგამჭოლ სახელმწიფო ძალადობას, გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებს, შიშისა და დასმენის გამყინავ გარემოს. ერთ პირად წერილში იგი სანტიმენტალური გრძობებით იხსენებს გენრის იაგოდას რომანტიკულ, ბავშურად უმანკო მზერას. და ეს ის იაგოდაა, ჩეკისტური მგზნებარებით რომ ხელმძღვანელობდა პროფესიული მკვლელებისა და საღისტების ბანდას, რომელსაც მონაცვლეობით ვე-ჩე-კა ან ო-გე-პე-უ ანდა ენ-კა-ვე-დე ერქვა და რომელსაც იაგოდამდე ძერჟინსკი და ემენ-ჟინსკი, ხოლო მის შემდგომ ეჟოვი და ბერია ედგნენ სათავეში.

სწორედ იმ დროს გულაგის შემზარავი მანქანის მარწუხებში მოქცეული ოსიპ მანდელშტამი, მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი პოეტი, შეშლილობის ზღვარზე მისული, თავის აკვიატებულ აზრს ებლაუჭებოდა, რომ მის ადგილ-სამყოფელს რომენ როლანი მოიკითხავდა, მისი ბედ-ილბლით შეწუხდებოდა და ბარაკისაგან, შიმშილისაგან, ყინვისაგან დაიხსნიდა. მაგრამ რომენ როლანმა ამის შესახებ, შესაძლოა, არაფერი იცოდა. ამ დროს იგი, შესაძლოა, გენრის იაგოდას რომანტიკული, ბავშვურად უმანკო თვალების შესახებ ფიქრობდა.

მაგრამ ნუ ვიქნებით მკაცრი და დაუთხოვბელი წიგნებისა და მუსიკის მოთაყვანე მწერლის მიმართ, – იგი თავად არასოდეს ყოფილა არც მკაცრი და არც დაუნდობელი. განა უსამართლობა არ იქნება არ გავიხსენოთ, რომ იგი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა, ხოლო ამ ბედკრულ ნახევარში კი (და შემდგომაც) მთელს დასავლურ ინტელექტუალურ სამყაროში მემარცხენეობის საყმანწილო სენი ბობოქრობდა, განსაკუთრებით ფრანგულ გარემოში, სადაც ანდრე ჟიდის ან ალბერ კამიუს ინტელექტუალური სიფიზილზე და ზნეობრივი ვაჟკაცობა იყო საჭირო საბჭოთა კომუნიზმის ხასხასა წითელ სამოსზე უზარმაზარი სისხლიანი ლაქების დასანახად. შესაძლოა, ტოტალიტარიზმთან შეთანხმების ეს ცოდვა გარდაუვალიც იყო, რადგან იმას, ვინც, ერთი მხრივ, ბურჟუაზიულ ფასეულობებზე თქვა უარი, ხოლო, მეორე მხრივ, რელიგიური განცდის დაკარგვის შემდეგ სამყაროში მეტაფიზიკური აბსოლუტის არსებობა გამოირიცხა, კომუნიზმსა და ნაციონალ-სოციალიზმს შორის უნდა გაეკეთებინა არჩევანი. ამ ალტერნატივის მიღმა კი სოციალური და ინტელექტუალური სიმარტოვე და უნიდაგობა ილანდებოდა. არც ისაა დასავინყებელი, რომ რომენ როლანი, ყველა მნიგნობრივსა და ინტელექტუალის მსგავსად, არასრულფასოვნების გრძობით იტანჯებოდა, რომელსაც, წიგნებისა და მუსიკის ყველა მოყვარულის მსგავსად, ის ეჭვი ღრღნიდა, რომ თავად არასწორი და მანკიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ხოლო სწორი და სრულფასოვანი ცხოვრება კი უბრალო, ჩვეულებრივ, მშრომელ ადამიანებში ჩქეფდა, რომლებიც თავს არც რეფლექსებით იტკიებენ და არც სკეფსისით, თუმცა როცა თავად

## ესაისტიკა

შექმნა ამგვარი უბრალო და ჩვეულებრივი პერსონაჟი, – კოლა ბრუნინი, – ვერც იგი გაათავისუფლა ფიქრის, სევდისა და ეჭვისაგან.

და განა შეგვფერის სიმკაცრე მწერლის არჩევანის შეფასებისას, განა უსამართლობა არ იქნება, არ გავიხსენოთ, რომ საბჭოთა მკითხველი ათწლეულების მანძილზე მადლიერებით ფურცლავდა როლანის წიგნებს სიყვარულისა და ხელოვნების, თანამშობისა და შთაგონების შესახებ, კითხულობდა უზარმაზარ, მრავალტომიან „ჟან-კრისტოფს“ და მთავარ გმირში არეკლილ პროტოტიპთა შორის წმიდა ქრისტეფორესაც ხედავდა, იმ ქრისტეფორეს, რომელსაც მგზავრები ერთი ნაპირიდან მეორეზე საკუთარი მხრებით გადაჰყავდა, რომელმაც ერთხელ, მისთვის მოულოდნელად, მაცხოვრასაც გაუწია სამსახური. როლანისეული გმირული ბიოგრაფიების კითხვისას კი, რომელიც საბჭოთა აუცილებელ სასკოლო საკითხავში შედიოდა, ადამიანს შეიძლება აღმოეჩინა, რომ მიქელანჯელო არა იმდენად შუასაუკუნეობრივ სიბნელეს შეჭიდებული ტიტანი იყო, რამდენადაც გენიალობისა და ტრფობის ხუნდებით სულდამძიმებული ოსტატი, რომ ბეთჰოვენი არა იმდენად მასების მილიონიან მსვლელობათა მეხოტბე იყო, რის გამოც იგი კომუნისტებსაც და ნაციონალ-სოციალისტებსაც თავიანთ თანამოაზრედ მიაჩნდათ, რამდენადაც მარტოობითა და გაუგებრობით გათანგული მუსიკოსი, რომ ლევ ტოლსტოი არა იმდენად „რუსეთის რევოლუციის სარკე“ იყო, რამდენადაც ცხოვრებისა და რწმენის ფუნდამენტური კითხვებით გაოცებული და დატანჯული მოაზროვნე.

განა უსამართლობა არ იქნება არ გავიხსენოთ, რომ მიქელანჯელოსა და ჰენდელის, სტენდალისა და ბეთჰოვენის, ტოლსტოისა და მაღერის შესახებ როლანისეული ფურცლების კითხვისას უსახურ და უგემურ საბჭოთა ბიოგრაფიებს შეჩვეულ მკითხველს თავისუფალი სუნთქვისა და ადამიანური შეხვედრის გადავინყებელი გრძნობა ეუფლებოდა; რომ მაჰატმა განდის შესახებ მისი წიგნიდან აშუქებდა აღტაცებული კალმით დახატული წმიდანის, რომელიც სიმართლისა

და იმედის ზიგზაგ გზას მიუყვებოდა, და არა ბრიტანული იმპერიალიზმის აგენტი, როგორც საბჭოთა მოქალაქეების კომინტერნსდროინდელ თაობებს მოძღვრავდნენ და არც კოლონიალისტების წინააღმდეგ აჯანყებული რევოლუციონერი, როგორც ამავე მოქალაქეების შემდგომ თაობებს ასწავლიდა მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელო. ანდა როლანის შთაგონებული და მიმზიდველი წიგნები რამაკრიშნასა და ვივეკანანდას შესახებ განა თითქმის ერთადერთი საშუალება არ იყო, ადამიანს თვალი მაინც მოეკრა აღმოსავლური სულის ამ დიად მოციქულთათვის, იქ, სადაც ჰორიზონტს მარქსიზმ-ლენინიზმის ბერნი პლანტაციები ფარავდა და მაშინ, როცა კომუნისტური გვალვისაგან გადახრიოკებულ ტრამალებზე სულის ყოველგვარი შერხევა აკრძალული და დაუშვებელი იყო.

ამიტომ ვერც რომენ როლანი, საბჭოთა კავშირისა და მაქსიმ გორკის დიდი მეგობარი, გადაურჩა უშიშროების ორგანოთა ფხიზელ მზერას და მისი ნაწერებიც მოხვდა აკრძალულ წიგნთა ინდექსში. თუნდაც დღეს უკვე პენსიაში მყოფ თბილისელ ჩეკისტებს შეუძლიათ გაიხსენონ, რომ ამ 25-30 წლის წინათ შინაური ჰიპებისა და კრიშნაიტების, იოგებისა და ანთროპოსოფების ბინათა ჩხრეკა-დარბევისას რომენ როლანის ტომები ინდური მისტიკისა და სულიერი ცხოვრების შესახებ საკონფისკაციო სიაში – მეტად საპატიო მეზობლობაში – აღმოჩნდებოდა ხოლმე. განა უსამართლობა არ იქნება არ გავიხსენოთ, რომ რომენ როლანი იმგვარადვე უჭერდა მხარს სტალინსა და მის პარტიულ ამხანაგებს, როგორც კნუტ ჰამსუნი გერმანულ ნაციონალ-სოციალისტებს, სარტრი – ჩინელ მაოისტებს, მარკესი – კუბელ კომუნისტებს. როლანი, მათგან განსხვავებით, ალბათ, დღევანდელ მკითხველს ნაკლებად აინტერესებს, იგი მათ, ალბათ, ტალანტიტაც ჩამორჩებოდა, – იგი წიგნებისა და მუსიკის მოყვარული იყო, რომელიც წიგნებისა და მუსიკის, სიყვარულისა და ტანჯვის შესახებ აღფრთოვანებით, განცდით, ცოდნითა და მოწინებით წერდა. და კიდევ, როგორც ამბობენ, რომენ როლანს კეთილი თვალები ჰქონდა...

## ქრონიკა

ის, რომ დედაქალაქში ტექნიკური უნივერსიტეტი აღმოჩნდა პრეზენტაციისათვის მაინცდამაინც შესაფერისი ადგილი, არავის გაჰკვირვებია, რადგან ახალი წიგნის ავტორმა მოღვაწეობის მნიშვნელოვანი წლები სწორედ ცოდნის ამ ტაძარში დაჰყო.

წიგნის სახელი მეტად თანამედროვედ და აქტუალურადაა შერჩეული – „გლობალანსი“. ავტორი უხვტიტულოვანი მეცნიერი და ცნობილი პიროვნება – გოჩა ჩოგოვაძე.

პრეზენტაციის თარიღი – 8 მაისი.

20 მონოგრაფიის, 120 სამეცნიერო ნაშრომის, 6 გამოგონებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული მრავალი სამეცნიერო-პოპულარულ პუბლიკაციათა შორის ახალი გამოცემა რომ განსაკუთრებულად ღირებული გამხდარა, დაასაბუთა კიდევ ავტორმა თავის ვრცელ გამოსვლაში. წიგნის წარდგინებაც უფრო შემოქმედებით საღამოდ გარდაიქმნა და გახანგრძლივდა.

ლონისძიებას უძღვებოდა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხეცურიანი.

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსებმა: თამაზ გამყრელიძემ და როინ მეტრეველმა; მეცნიერის შვილმა, საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ და სხვებმა.

წესისამებრ, არ დანანებით გულითადი სიტყვები, გამოიხატა შთაბეჭდილებანი და საინტერესო შეხედულებები წიგნის შესახებ. ხაზგასმით ითქვა მის აქტუალურ და ყოვლისმომცველ საჭირობოროტო თემატიკაზეც.

გოჩა ჩოგოვაძემ მადლობა გადაუხადა მრავალრიცხოვან აუდიტორიას, რომელიც, შეიძლება ითქვას, მეტად წარმომადგენლობითი გახლდათ, რადგან ქართული მეცნიერების, კულტურის მოღვაწეთა თუ პოლიტიკურ ელიტას იკრებდა.

ავტორმა ისაუბრა წიგნის დაწერის საბაზზე თუ მიზნებზეც. დასძინა, რომ ემოციური მუხტით, საკუთარი ცხოვრებისეული ეპიზოდებით გამდიდრებული ნაშრომი წარმოადგინა, ამიტომაც წმინდა მეცნიერულ სტილს პოპულარული თხრობა შეუნაცვლა.

გოჩა ჩოგოვაძემ ისიც დასძინა, რომ მარადიული და ფასეული მისთვის სამშობლო, ოჯახი, წინაპრები და მომავალია. ლონისძიების განმავლობაში დიდი ეკრანიდან არ ქრებოდა მომხიბლავი სახეები ჩოგოვაძეების საოჯახო ალბომიდან, რის ფონზეც მეტად ამაღლევბელი მოსასმენი აღმოჩნდა მამის, ცნობილი ინჟინრის გიორგი ჩოგოვაძის ანდერძი, რომელიც თვითონ ბატონმა გოჩამ წაიკითხა. სამი დროის და თაობათა უწყვეტობას კი განასახიერებდა ოჯახის უმცროსი წევრი, ყმანვილი გიორგი ჩოგოვაძე – საგანგებოდ რომ ჩამოეყვანათ უცხოეთიდან ბაბუას პატივსაცემად...

წიგნი „გლობალანსი“ სამეწივანია. ქართული, რუსული და ფრანგული გამოცემები მოსკოვშია დაბეჭდილი მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, ცნობილი ხელოვანისა და ქველმოქმედის ზურაბ წერეთლის გულითადი თანადგომით.

ქართული წიგნის რედაქტორია თემურ ჯვაცოვანიძე.

# მოლოდინი განგაშის ველზე

\*

ნინო დეკანოიძეს  
ესაუბრა  
რენე კალანდია

– ბატონო რენე, საუბარი დავიწყეთ 2003 წელს სამი ერთად დასტამბული წიგნით (ბარემ გამოცემის ხარისხზეც წინდანი – ქველმოქმედის უშურველობა ბეჭდვით ამჩნევია).

სამი ძმა მკითხველის სამსჯავროზე – ეს მართლა ორიგინალურად მოფიქრებული, მომხიბლავი და ალბათ რისკიანი წარდგინებაა.

მხოლოდ და მხოლოდ ხალისიანი პასუხის მოლოდინის იმედად გითამამდებით: თქვენ სჯობიხართ, ზაური თუ გენო?

– უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ, ბატონ როსტომ ჩხეიძეს, მთლიანად რედაქციის თანამშრომლებს და წიგნიერ საქართველოს მოგილოცოთ, ჩემთვის ძვირფასი გაზეთი – „ჩვენი მწერლობა“ – ჟურნალად გადაქცევა, ანუ გლობალისტურად რომ ვთქვათ – ტრანსფორმირება.

სამტომეულთან დაკავშირებით: რადგანაც პირველად მეძლევა სამადლობელი სიტყვის შესაძლებლობა, თქვენი ნებართვით, საჯაროდ მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ გია ჯობთაბერიძეს – ჭეშმარიტი ქველმოქმედებისთვის. პირადად არც ვიცნობ, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ძირძველი სოხუმელი ვართ. აქვე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს საყვარელ მეგობრებს ქალბატონებს ელზა მეტრეველსა და ნანა ჭულუხაძეს, ბატონ გიორგი წერეთელსა და კიდევ ერთ დიდებულ უცნობს – ირაკლი ხუციშვილს. სამტომეულის ესთეტიკური მხარე ამ ადამიანთა უანგარო გარჯამ განაპირობა.

ჩემთვის უმადურობა მიუტყევებელი ცოდვა იქნებოდა. გაბრიელ გარსია მარკესის სამშობლოში დაწყველილად ითვლება ოჯახი, სადაც ერთ-ერთი შვილი ლექსების წერას დაიწყო: მიმანია, რომ ჩვენი ოჯახი სამგზის დაწყველილია...

წყევლას გაბრიელ გარსია მარკესის სამშობლოში თუ უწერია ახდენა, საქართველოზე არ უნდა ჭრიდეს... და თქვენ ეს ვარაუდი ახლავე შეგიძლიათ დამიდასტუროთ.

მოგესხენებათ, რომ რესპონდენტის როლში ხშირად არა ვარ და, რადგანაც ზოდიანოთი კორჩინიცი ვარ – უკანდახევა მომინება, რამეთუ „ყოველი ახალი, მივინყებელი ძველია“ ანუ სამტომეულის გამოსვლამდე ვამბობდი: „... ზაურ კალანდიას ექსპრესიით დამუხტული რომანების შესახებ მშვენიერი და საოცრად ანალიტიკური წერილები გამოაქვეყნეს ლევან ბრეგაძემ და ვლადიმერ მიკუშვილმა. რა თქმა უნდა, ორივე გერმანისტი შესანიშნავად იცნობს გერმანულენოვანი ექსპრესიონიზმის (გერმანია, ავსტრია, ჩეხეთი) წარმოშობის ისტორიას, ამ მიმდინარეობის ძლიერ თუ სუსტ მხარეებს და, დარწმუნებული ვარ, რომ ზაურ კალანდიას მწერლური შესაძლებლობების შეფასებისას ფქვილი ქატოში არ აერეოდათ. გარდა ამისა, ჩემი დაკვირვებით ზაურ კალანდია თავის პროზაში – რომანებსა და მოთხრობებში – ბოროტად არ იყენებს იმ ხალხურ საუნჯეს, ზეპირსიტყვიერებას, ლეგენდებსა და თქმულებებს (თუნდაც მეგრული ენის ცოდნას!), რომლითაც

ასე მდიდარი კოლხეთი და როგორღაც, მწერლური ალლოთი ახერხებს „ოქროს კვეთის“ მიგნებას.

გენო კალანდიამ, ვფიქრობ, რომ ჩემს გარდა ქართული პოეზიის სხვა ერთგული მკითხველებიც განაცვიფრა უაღრესად ტრაგიკული ლექსების წიგნით „რეკვიემი“ და, საერთოდ, ბოლოდროინდელი ლექსებითაც.

ალბათ, აფხაზეთის დაკარგვა გახდა პოეტისათვის ის ნაღმი, რომელიც აფეთქდა და ამ აფეთქებით შეძრწუნებული პოეტის ლექსები ნაღმის ნამსხვრევებად და მლაშე ცრემლებად იქცა... ამ წიგნმა კიდევ ერთხელ მაგრძნობინა პოეზიისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული ნოტების მაღალი ჟღერადობა, მარადიული სევდის არსებობა და შემახსენა სამიოდე ათეული წლის წინათ ლუდვიგ ფოიერბახის ერთ-ერთ ტომში ამოკითხული „პოეზიის დანიშნულების შესახებ“ გამოთქმული აზრის მნიშვნელობა: „არა მზის ამოსვლას, არამედ მის ჩასვლას უმღერდა ძე კაცისა თავის პირველ სიმღერას“.

„რეკვიემს“ უბრწყინვალესი ესეი მიუძღვნა ქალბატონმა მაკა ჯოხაძემ და რალა უნდა დავამატო... მისი „რეკვიემი“ და ბოლოდროინდელი ლექსები უფრო ფერწერული ტილოებია, ხოლო მისი ლექსიკა (განსაკუთრებით – სონეტებში!) ბევრად უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია, ვიდრე ამ სტრიქონების ავტორისა, ანუ ჩემი...

ჩემს შესახებ ხშირად წერდნენ, რომ პოეტი-გრაფიკოსი ვარ და ა.შ. მოკლედ, კრიტიკოსებმა უკეთ იციან თავიანთი საქმე და მათ ფუნქციებში ჩარევას არც ვაპირებ, თუმცა ერთ ფრიად საინტერესო შემთხვევას გავიხსენებდი: როდესაც 1984 წელს სოხუმში ჩემი „ოთხი სიმის ოთხი სხივი“ გამოვიდა, ერთ-ერთი მეგობარყოფილი თუ ყოფილი მეგობარი მიყვებოდა, რომ სოხუმში სუკ-ის თანამშრომლებს მისთვის უთხოვიათ, აეხსნა და გაეშიფრა, თუ რას ვწერდი, რა იგულისხმებოდა ამა თუ იმ სტრიქონში და ა.შ. ჰოდა, მასაც აუხსნია (წარმოგიდგინათ, მე მიყვება ამას?!), რის შემდეგაც იმ სუკ-ელებს უთქვამთ: კიდევ კარგი, რომ ასე გაუგებრად წერს, ბევრი მკითხველი მაინც არ ეყოლებოდა...

კიდევ ერთი რამ, რაც აუცილებლად უნდა ვთქვა: ბოლო ათი წლის განმავლობაში ვითომც კეთილისმყოფელნი ძალზე ხშირად ცდილობენ ჩვენი – ძმების დაპირისპირებას რაც, გარდა იმისა, რომ სრული უაზრობაა, დიდი უზნეობაც გახლავთ, მაგრამ რევოლუციური ჟინით ალტკინებულებს არ სურთ ამისი გაგება, რომ ყველა ომი საზიზრობაა, სისასტიკეს ბადებს და კაენის ცოდვა დამაფიქრებელი უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის: ძმის ძმაზე, მამის შვილზე თუ შვილის მამაზე გადაკიდება-წასისინება უმძიმესი ცოდვაა...

ძმებში ჯობნის საკითხი ჯერჯერობით არც დამდგარა, რადგანაც მადლობა ღმერთს და სამივე პატიოსნად ვემსახურებით მრავალსაუკუნოვან ქართულ სიტყვას და შეძლებისდაგვარად ვცდილობთ, რომ ჩვენი სიტყვით – წიგნებით მართალი ვიყოთ საკუთარ თავთან, მშობელ ხალხთან და უფალთან და თუ როგორ გამოგვდის, შეფასება თქვენთვის მოგვინდვია.

მითუფრო სპორტსმენები არა ვართ, პირველ-მეორე-მესამე კვარცხლბეკებზე რომ ავხტეთ და ჩამოვხტეთ... თუმცა ასაკის მიხედვით გენო ხუთი წლით წინაა, ხოლო – ზაური – ხუთი წლით უკანაა, ანუ უმცროსია... მაგრამ, რადგანაც „ხალისიანი პასუხის მოლოდინის იმედად“ ბრძანდებით, შევეც-



დები, როგორც შუათანა ძმამ ჩემი სამაგიდო წიგნის (ალექსანდრე ნეიმანი, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონი“) ერთ-ერთი, სახელდობრ 366-ე გვერდით გიპასუხოთ:

**საშუალო, შუათანა** – არც ავი, არც კარგი, არც მკვდარი, არც ცოცხალი, არც ფლავი, არც ჩლავი, არც ღვინო, არც წყალი...

– უნდა მოვასხნოთ, რომ კონტექსტი შეუსაბამო მიგითვით, რადგან თქვენი პოეზია გამორჩეული სისადავით იკითხება, უხმაურად აწყობილი სიტყვებით ნათელ, მაგრამ არასაზივომ განწყობილებას აჩენს. მარტოსულობით თითქოს მეტოქეობით პრაქტიციზმით გასხვილ ირგვლივით... და მაინც შეგეკითხებით, ამ ჩვენს განუკითხავ დროში რა ძალა შესწევს პოეტს და ვინ არის იგი?

– შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ჩემი სახით ე.წ. საკუთარი ცხოვრებითა და შემოქმედებით მარადიულად უკმაყოფილო პიროვნება აირჩიეთ, რომელიც თავისი ნაცოდვილარის ძაგება-განქიქებას კარგა ხანია მიეჩვია, ხოლო ქების სიტყვას – ბრუტოსის ხანჯალივით უყურებს. კრიტიკა რაღაცას მაინც მასწავლის, დაფიქრების, შეცდომების გაანალიზების შესაძლებლობას მაძლევს, ქათინაური და ქებათა ქება – მადუნებს, მახარმაცებს და სიმშვიდის ბაცილებით მასწავლებს...

„გამორჩეულ სისადავესთან“ დაკავშირებით: აკაკის ღვთაებრივ სისადავეზე თითოეული ჭეშმარიტი პოეტი ოცნებობდა, მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, მაგრამ ის ურთულესი და უმადლესი პილოტაჟი რომ შეასრულო, ანგელოსის ფრთები გჭირდება უბრალო მოკვდავს და თითქმის შეუძლებელია...

აკაკის „განთიადი“ პირადად ჩემთვის – მკითხველისთვის – მცხეთის ჯვარიცაა, ქართული საგალობლებით მოგვრილი ჟრუანტელიც და უფლისკენ მიმავალი ქართველი ადამიანის ლოცვაც...

მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ არ არსებულა თავისი დროით, საუკუნით კმაყოფილი შემოქმედი – კატულუსიდან – ვეი, შენ ჩვენო საუკუნევე, ცეტო და კახაბე! – ვაჟა-ფშაველამდე – „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოვედ წვიმად?“ და მე რა უფლება მაქვს, რომ კმაყოფილი ვიყო?..

საერთოდ პოეზია გულდაწყვეტილი და მარტოსული ადამიანის სფეროა და ალბათ ამ მარადიულ წრეში ტრიალი მომიწევს – აღსასრულამდე...

– **პოეტმა საკუთარ თავზე უნდა იმუშაოსო – მთარული ფრაზა, ცოტა არ იყოს ხორკლიანიცაა და საკამათოც. თქვენ რას გულისხმობთ საკუთარ თავზე მუშაობად?**

– რამდენიმე წლის წინათ მეგობარმა პოეტმა მამუკა ნიკლაურმა გამოსცა ლიტერატურული წერილების წიგნი, სადაც შესულია, თუ არ ვცდები, ამგვარი სახელწოდების სტატიაც „მწერალს არა აქვს დასვენების დღე“. ვეთანხმები მას და ვფიქრობ, რომ დასვენება საიქიმიც გვეყოფა, ხოლო „საკუთარ თავზე მუშაობაში“ ალბათ იგულისხმება პუბლიკაციისათვის გამზადებული ტექსტების ტონი და მკითხველებთან ახალი შეხვედრის მოლოდინში მყოფი ავტორის (პოეტი, პროზაიკოსი) შინაგანი შფოთიანი განწყობილება და პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტი მწერლისთვის... ანუ იგულისხმეთ ისე, რომ ახალი პუბლიკაციის მოლოდინში ჯარისკაცებივით მივლოლავთ განგაშის ველზე... მკითხველი დაინახავს და შეაფასებს, თუ ვინაა გენერალი და ვინ – ეფრეიტორი, ხოლო ავტორი ნებისმიერი პუბლიკაციის შემდეგ უბრალოდ უძღურია ბალღივით და ვერაფერს შეცვლის, ანუ თავს ვერ გაიმართლებს მკითხველის წინაშე – უდროობით, უფულობით და სხვა უამრავი უუუუ – ნამძღვარებული არგუმენტებით... თუმცა, უნიჭობაც უ-თი ინება...

– **თარგმანებზეც გკითხავთ. სულ ახლახან მსოფლიო პოეზიის ბიბლიოთეკის სერიით ალექსანდრს ჩაკსის ლექსების კრებული გამოსულა, თქვენს მიერ ლატვიურიდან ქართულად ამეტყველებული. თარგმანები ამშვენებს ზემოთხსენებულ თქვენს ერთგომეულსაც – ავტორთა მრავალრიცხოვანებით.**

რა თვალსაზრისით ირჩევთ უცხოელ ავტორებს, მხოლოდ სულიერი ნათესაობის გამო?

– ლექსების წერა 14 წლისამ დავეიწყე და, როგორც ჭაბუკი პოეტი, მეც მონოთეისტი ვიყავი, თანატოლებთან თამამად ვაცხადებდი: „გალაკტიონი ჩემი ღმერთია“, შემდეგ – „ტიციანო ჩემი ღმერთია“, შემდეგ კი „გრანელი ჩემი ღმერთია“ და ა.შ. ტ. ტაბიძისა და ტ. გრანელის ლექსების კრებულები მოგვიანებით გამოვიდა. მხოლოდ მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონების არსებობა უკვე ბიძგს მაძლევდა, რომ უმნიშვარი სტრიქონებით შემეწუხებინა ჟურნალების – „პიონერი“ და „დილა“ – თუ გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის კეთილსინდისიერი თანამშრომლები, რომლებიც დაბეჯითებით მირჩევდნენ, რომ ჩემი „ლექსები“ რედაქციაში გაგზავნამდე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისთვის მიჩვენებინა, მაგრამ ჩემს სიჯიუტეს საშველი არ დაადგა...

ბალტიისპირეთს თუ არ ჩავთვლით, უცხოეთში არ ვყოფილვარ და მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის პანთეონები მიწახავს. პატივს მივაგებ იმ ხალხთა კულტურას, ვეცნობი მათ პოეზიას და, თუ სულიერად ახლობელი პოეტია, ვთარგმნი კიდევ... ასე რომ, რაც ხანში შევედი, პოლითეისტი გავხდი ანუ ჩემი პანთეონიც ინტერნაციონალური გახდა...

რა თვალსაზრისით ვარჩევ?

გიპასუხებთ:

ა) იმ ენაზე უნდა ვკითხოვლობდე და დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ ჭეშმარიტი პოეტი და პატოსანი ადამიანია.

ბ) ქართველი მკითხველის გემოვნებას უნდა აკმაყოფილებდეს.

გ) კიდევ ერთი, მის წაკითხვამდე ჩემთვის უცნობი კუთხით დამანახოს ეს ბებერი სამყარო და, ლექსების ავტორი თუ ცოცხალია, ჩემი – მთარგმნელის ჯაფა-წვალემა მის პოეზიაზე, ალალ იყოს, თუ გარდაცვლილია, – ღმერთმა ნათელში ამყოფოს!

სულიერი ნათესაობისა და მთარგმნელის პოეტური ალღოს გარეშე ნებისმიერი თარგმანი წინასწარვე მარცხისთვისაა განწინარული.

– **ლატვიურ კულტურას, ლიტერატურას ზერელებდ არ უნდა იცნობდეთ, როდის და რატომ დაინტერესდით ამ ქვეყნის სულიერი საგანძურით?**

– ჩემი დაინტერესება ლატვიით და, საერთოდ ბალტიისპირეთით?

1963-67 წლებში სამხედრო-სავალდებულო სამსახურმა მომიწია სსრკ საზღვაო ფლოტის ხომალდებზე. ჩემთან ორი ლატვიელი და ერთი ესტონელი მსახურობდა. ახლაც კი მახსოვს მათი გვარები. ხომალდის საზღვარგარეთ გასვლის წინ ოთხივე ჩამოგვწერეს, ანუ სხვა ხომალდებზე გადაგვანაწილეს. როგორც ჩანს, ხელმძღვანელობამ იფიქრა, რომ უცხოეთში დავრჩებოდით... ადრე მტკივნეულად განვიცდიდი, უცხოეთში რომ არ ვყოფილვარ; ამჟამად – უცხოეთი მოგზაურისთვის თვალსაზრისით არც მაინტერესებს: კარგა ხანია, ჩემი „მგლოვიარე ჯიბის“ (ილიას ეპითეტი) დაუნერელი კანონებით ვცხოვრობ.

1968 წლის სექტემბერში გენო ლატვიიდან დაბრუნდა, რამდენიმე ნაჩუქარი წიგნი და ლატვიელი პოეტების (ოიარს ვაციეტისი, ვიზმა ბელშივიცა, მარის ჩაკალასი, იმანტს აუზინში და სხვა) ლექსების პნკარედები ჩამოიტანა. წავიკითხე და



საოცრად დამინტერესა: ვერლიბრის ამგვარ სახეობას (ვრცელი ლექსი – რიტმის მონაცვლეობით, ალაგ-ალაგ გარეული რითმები ანუ რეფრენის ღერძზე აგებული ლექსის სიუჟეტის განვითარება და ა.შ.) თითქმის არ ვიცნობდი, რადგანაც რუსები ყველაფერს რითმავდნენ... რიგის წიგნის მალაზიაში („წიგნი-ფოსტით“) ბარათი გაავაგზავნე და მათაც „ლატივიური ენის სახელმძღვანელო“, ლექსიკონები და პოეტური კრებულები გამოგიგზავნე. შევუდექი მეცადინეობას, თანაც სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს განყოფილებაზე ვსწავლობდი. ახალგაზრდა ლექტორი მყავდა, ან განსვენებული პროფესორი ჯემალ სილაგაძე. ნარმოშობით ბორჯომელი, კაცური კაცი იყო.

იცოდა, ლექსებს რომ ვწერდი. ერთხელ მასთან წამომცდა, რომ ლატივიური ენის შესწავლა დავინწყე. გაოცებულმა შემომხედა და მითხრა, რომ მან ლატვიის პ. სტუჩკას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და დახმარებას დამპირდა. თითქმის ორი წელი დავდიოდი მასთან სამეცადინოდ, საცხებით უანგაროდ მეხმარებოდა. ვილის ლაცისის ერთ-ერთი პატარა მოთხრობაც ერთად ვთარგმნეთ და გაზეთში დაგბეჭდეთ. მას მერე ლატივიური პროზიდან არაფერი მითარგმნია, ხოლო ლატივიურ პოეზიასთან ცოდვილი ვარ და ზუსტად ორი ათეული წლის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ ცნობილი სერიით „მომე რესპუბლიკების პოეზია“ დასტამბა ჩემს მიერ თარგმნილი „ლატივიელი საბჭოთა პოეტები“, ანუ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარის 17 ლატივიელი პოეტის ლექსთა კრებული, რომელთა „საბჭოელობის“ დადგენა მაშინ ფრიად გამიჭირდა. თუმცა რევიზიონისტულ საუკუნეში ნიჰილიზმის ყვავილებს რომ ვხედავ, ხშირად ვფიქრობ: იქნებ ამაოდ დავშვარი და ეზრა პაუნდის ლექსი მახსენდება, ღმერთს თამბაქოს ფარდულის მოქირავებას რომ სთხოვს...

– მაინცდამაინც ხშირად არ სტუმრობთ დედაქალაქს. ამას წინათ შევესწარი, ჩემთვის მეტად საპატივცემულო პიროვნებამ, მწერალმა ქალმა გაიხარა თქვენი ნახვით „ჩვენი მწერლობის“ რედაქციაში. თხუთმეტი წელია აღარ შევხვედრივართო... გაიხსენა სოხუმი და განთქმული ძმური მასპინძლობა კალანდიებისა.

გაკითხავთ უფრო იმედისა და არა დარდისთვის. როგორ გესახებათ, კვლავ შორია სოხუმამდე?

– დედაქალაქში ჩემი იშვიათი სტუმრობის მიზეზი 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული ძმათამკვლელი ომი გახლავთ: სხვებთან ერთად თქვენი მონა-მორჩილი პოეტიც ჩამოფრინდა სოხუმიდან – ეროვნული მთავრობის გვერდით სიკვდილისთვის გამზადებულიც, მაგრამ უკვე გვიანლა იყო: შანდორ პეტეფის ბედისწერის განმეორება არ მოხერხდა... სწორედ მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში შევხვედი ქალბატონ მაკა ჯონაძეს, რომელსაც დიდად ვაფასებ. საოცრად მიყვარს მისი ექსპრესიული სტილით დანერგილი მოთხრობები თუ წერილები. იგი მაღალი ძაბვის პროზაიკოსია – სავესტ ქართული პატიოსნებით, სისხლით, ნერვით, ქრისტიანობით, და, რაც მთავარია, პირთამდე სავესტ ქართული ცნობიერებით... გარდა ამისა, საერთო მეგობარიც გვყავდა ბალტიისპირეთშიც: უდიდესი ლატივიელი პოეტი ქალი ვიზმა ბელშევიცა (1996 წლის ნობელის ნომინანტი), რომელიც გასული წლის ზაფხულში გარდაიცვალა და ორთავეს საოცრად გვატკინა გული.

მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ავტობუსიდან ან მანქანიდან დანახული ტაძრებისა და საყდრების დანახვისთანავე პირველს იწერენ... ქაშუეთის დიდებული ტაძრის ბრალი სულაც არაა, რომ უფლის სახლიდან ეროვნულ მთავრობას ტყვიას ესროდა მავანი და მავანი. ეს პირქუში სი-

მართლეა და შელამაზება-შეთითხნა არა სჭირდება. თითოეულმა ცოდვილმა კარგად უნყის თავისი ცოდვის სიმძიმე და, ვიდრე დროა, უნდა მოინანიოს! ცხოვრებაში ასეა, პატიოსან ხალხს ხანგრძლივი მესსიერება აქვს, უნამუსოებს – ხანმოკლე. მე მსაჯული არა ვარ, უზენაესი მსაჯული ჩემი გატანჯულ-გასაცოდავებული ხალხის მესსიერებაა და სხვა არავინ...

პირველს სწორედ ამიტომ არ ვინერდი ქაშუეთთან და 15 წლის შემდეგ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სულის მოსახსენებლად 31 მარტს დავანთე სანთელი. ზვიადი და მერაბი ჩემი სულიერი ძმები იყვნენ, როგორც ათასობით სხვა ქართველობისთვის და კიდევაც მემამყება, რომ მათთან რამდენიმე შეხვედრა მექონდა და ჭიქა ამინევი.

რასაკვირველია, მართლმადიდებელი ქრისტიანიც ვარ, მონათლულიც, მაგრამ წარამარა (ავტობუსებში) პირველის წერას მირჩევნია განმარტოებით მივყავსლო ტაძარს თუ საყდარს...

მეოთხედი საუკუნის წინათ ვთარგმნე ჩემი დიდი ლატივიელი მეგობრის, პოეტის, მთარგმნელის, პოლიგლოტის ულდის ბერზინის ერთ-ერთი უსათაურო ლექსი:

**ზის კაცი ვინმე სამიკიტნოში ღვინოს სვამს დინჯად და კითხულობს ბიბლიას თანაც (იგი ყველაფერს ერთად აკეთებს და ალბათ სწორად იქცევა რადგან გულში აქვს რწმენა). შემდეგ კი მიდის ეკლესიაში ჯიბეში უღვევს ბოთლი ღვინო და მას ეუბნება ღმერთი შენ შვილო ჩემო სადღაც გხედავდი და ქე კაცისა ამბობს ამ დილით ვიყავ სამიკიტნოში ჰო ასეაო ამბობს უფალი.**

**სხვანი კი სხვანი ეკლესიაში მიდიან მერე ერთხმად ამბობენ მამაო ჩვენო რომელი ხარ ცათა შინა წმინდა იყავს სახელი შენი მაგრამ გულში არა აქვთ რწმენა და შემდგომ სხედან სამიკიტნოში მაგიდასთან და მუსაიფობენ ჰო ეშმაკმა დალახვროს**

**ჰოი ვერც კი ხვდებიან არც კი ხედავენ რომ იმთა გვერდით ჰგეის უფალი.**

დედაქალაქში გამოსახამთრებლად ჩამოვედი და გამიხანგრძლივდა სტუმრობა.

სამეგრელოში შეშა არნახულად გაძვირდა შარშან და გაყინვა მელოდა, თბილისში – ქალ-ვაჟთან ჩამოვედი, ოთახი, სადაც ჩემი ვაჟიშვილი გიორგი ცხოვრობს საოცრად ჰგავს სევასტოპოლის ჰაუპტვახტის საკანს, სადაც ახალგაზრდა და ურჩ მეზღვაურს მამწყვდევენ ხომალდის მეთაურის განკარგულებით. კარზე ჩემი საყვარელი მწერლის ჰაინრიხ ბიოლის დიდებული პორტრეტი. სევედიანად ვაკვირდები და მახსენდება ჩემი ადრე გარდაცვლილი მეგობრის თენგიზ პატარაის მიერ შესანიშნავად თარგმნილი მისი რომანი „უკაცო სახლი“... ამჟამად ძმები კალანდიების სახლიც დროებით უკაცო სახლია. როგორც კი დათბება, უნდა ჩავაკითხო.

არც ერთ პოეტსა და პროზაიკოსს არა აქვს მორალური უფლება, რომ ათასობით ლტოლვილს იმედი გადაუწეროს... ამ ადამიანებს არავითარი ბრალი არ მიუძღვით, რომ ჭკუანაკ-ლული პოლიტიკოსებისა და ამბიციური მთავრობის ხაფანგში მოხვდნენ და ლტოლვილებად იქცნენ. მათი ერთადერთი „დანაშაული“ მათი ქართული სისხლია, ხოლო ერთადერთი – მიტოვებული სახლ-კარი და საფლავეები... ღმერთო, უშველე მათ რწმენას დაიმედებით ალავსე ისინი! ამინ.

სოხუმში ერთ დროს საქართველოს ტელევიზიით ნანახი გურამ პატარაიას ბრწყინვალე კინოფილმი „შორია გურჯის-ტანამდე“ მახსენდება და თვალსევდიანი ვიზორები ჩემთვის კუთვნილი მერმისის სივრცეში...

ქეთევან ტომარაძე

## მიხეილ ჯავახიშვილის შარაჯა

საგურამოელი გლეხი, დიდდაჩემის, მართა ბინჩიგაურის უმცროსი ძმა გიორგი, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში მთელს მცხეთა-მთიანეთში განთქმული ვაჟკაცი იყო. გამოცდილმა მონადირემ სიმღერა და ცეკვა-თამაშიც ლაზათიანი იცოდა და კიდევ შეენოდა. ლხინსა და დროსტარებაში კი ძმაკაცებს ტოლს არ უდებდა. ბუნებით ლალსა და თავისუფალს ერთ ადგილზე რა გააჩერებდა, ხან მთას იყო ცხვარში და ხან ბარად.

უნდა ითქვას, რომ საგურამოელები, რეგიონის დანარჩენი სოფლების მკვიდრთაგან, განსაკუთრებული თავმონებით გამოირჩეოდნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ დავით გურამიშვილის „სამშობლოში“ – როგორც თავად ამბობდნენ ხოლმე – ცხოვრობდნენ და მეორეც, ილიას სააგარაკო სახლის გურამიშვილების მამულში მდებარეობა ძალზე ეამაყებოდნენ.

ნარმოსახვის უნართა და ფაქტების ცოდნით, საგურამოელი გლეხები ბევრ განათლებულ ადამიანს არ ჩამოუვარდებოდნენ. მთელი იმ მხარის სოფლის მოსახლეობას კი, რაღაც თვისებებით, მართლაც რომ აღემატებოდნენ. ამ მხრივ გამორჩეულ პატივისცემას მათ თვალში წინამძღვრიანთკარელები იმსახურებდნენ. ეტყობა, ისინი მიაჩნდათ თავიანთ ტოლად და სწორად. თუმცა, გულის სიღრმეში მაინც ფიქრობდნენ, ღირსებით დიდად ვერ გაგვიტოლდებიან, თავმოსანონი და სატრბახო ჩვენზე ნაკლები აქვთო.

ისე შეესისხლხორცებინათ ილიას თხზულებები საგურამოელ გლეხებს, რომ ლამის მისი გმირების ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ზოგს ოთარანთ ქვრივს ადარებდნენ, ზოგში გიორგის ხედავდნენ, თავიანთი ლუარსაბი და დარეჯანი, გლახა ჭრიაშვილიც ჰყავდათ და ერთმანეთს ილიას ლექსების ცოდნაშიც ხშირად ეჯიბრებოდნენ. თითქმის ას ნელს მიტანებული გლეხები კი ხალისით ჰყვებოდნენ საგურამოსა და მცხეთის ისტორიას და ილიასა და ოლლა გურამიშვილის ამბებსაც დაურთავდნენ ხოლმე.

დიდდაჩემს არაერთხელ ჰყავდა ნანახი ილია. თორმეტი წლისა ჭავჭავაძის ბატებს მწყემსავდა და ამას როდი თაკილობდა. უკვე ქალაქში გამოთხოვილს არაერთხელ გაუხსენებია ის წლები: როგორ გამოელაპარაკა ილია პატარა მწყემს გოგოს, მადლობის ნიშნად როგორ აწუქა ერთი ბატი; როგორ ურიგებდა ოლლა ყოველ დღესასწაულზე სოფლის ბავშვებს საჩუქრებს, ტკბილეულსა და სათამაშოებს, როგორ უღვივებდა პა-

ტარებს სიკეთისა და მოყვასის სიყვარულის გრძნობას და ცდილობდა, რომ წერა-კითხვა სოფლის ყველა ბავშვს სცოდნოდა.

ბერბიჭაშვილის გვარის ხსენებას საგურამოელები ერიდებოდნენ, შეთქმულებით ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებდნენ. თითქოს მის სახელსა და გვარს ტაბუ ჰქონდა დადებული. ის არგასახარო, ზოგჯერ იტყოდა ხოლმე მართა ბებო და გუმანით ვხვდებოდით, რაღაც ბოროტ ძალას გულისხმობდა. ცოტა რომ წამოვიზარდეთ და დავფრთიანდით მრავალრიცხოვანი შვილიშვილები, მაშინლა გავიგეთ, ისიც სულ სხვა წყაროდან, ილიას მკვლელის სახელი.

დიდდაჩემს სიკვდილამდე სანოლთან ედო ილიას თხზულებების კრებულის პირველი აკადემიური გამოცემა და ვინ იცის, მერამდენედ კითხულობდა ყმანვილქალობაში ერთხელ უკვე გადაკითხულსა თუ გაგონილს. კითხვა შვილებსა და შვილიშვილებსაც შეაყვარა და ოჯახში წიგნის კულტი გამაფიქრა. დედით უნდილაშვილს თავი ირანში დანინაურებული უნდილაძეების ნათესავად მიაჩნდა, ერთი ძირი გვაქვსო, ამტკიცებდა. ამას სხვა უნდილაშვილებიც უდასტურებდნენ და გვარის გენეალოგიის ირგვლივ არსებულ ვერსიებს დანვრით ჰყვებოდნენ. ამგვარ გარემოში გაიზარდა გიორგი და, გასაკვირი როდია, რომ წიგნისა და მწერლობისადმი სიყვარული და მონივნება მასაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.



გიორგი ბინჩიგაური შვილიშვილთან ერთად

გიორგი ადრე დაცოლშვილდა. თავისი მხარის ქალი შეერთო ცოლად. თავისავით ემზიანი და მომხიბლავი არსება. ორი ვაჟი შეეძინა. მერცხლებივით ლამაზები და თვალტანადები გაიზარდნენ. მაგრამ ახალგაზრდა, ჯანდონით საესე კაცს შვილებში გახარება და ოჯახური ბედნიერება არ ენერა. ისტორიის ბორბალი უკუღმა დატრიალებულიყო, ქვეყნის თავზე შავი ღრუბელი შეგროვილიყო და მკაცრი და უღმობელი ბედისწერა სულ სხვა მომავალს უქადადა გიორგის, საგურამოელთა სულსა და გულს, ყველას ქომავსა და მომავს.

არც პატიოსანი შრომა აცალეს და არც ღარიბი ოჯახის ფეხზე წამოყენება, შარი მოსდეს და ციხეში გამომწყვედვით დაემუქრნენ: ჩვენი მტერი ხარ, თოფიარალასწმული იმიტომ დადხარ, რომ ახალგაზრდა ხელი-სუფლებას გინდა ავნო, კოლექტივიზაციას ხელი შეუშალო და ხალხი ჩვენს წინააღმდეგ აამხედროო. მართალია, არც უამისობა იყო, გიორგი სახადივით ვერ იტანდა ბოლშევიკებს და თავის დამოკიდებულებას მათ მიმართ, დიდად არც მალავდა, შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, მათთვის რამე არ ეხი-მანდრა. თავისი თანატოლებიც აიყოლია და როგორც უფროსები ერთმანეთში ჩურჩულით იტყოდნენ ხოლმე, სერიოზული წინააღმდეგობისთვისაც ემზადებოდა. მამაჩემი ხანდახან, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად რომ ჰქონებოდა უკვე პატიმრობაგამოვლილ გიორგის, ბიძაჩემო, მაინც რას აპირებდიო, ეშმაკურად ჩაიცივნებდა და მოკლედ უპასუხებდა: აბა, რას მეკითხები, შენც ხომ კარგად იცი რასაცო.

გიორგი ოცდაჩვიდმეტში დაიჭირეს და შუა აზიაში უკრეს თავი. იქ მან თითქმის ოცდახუთი წელი გაატარა. ჩვენი ბავშვობის მოგონებებიდან არასოდეს ამოიშლება მართა ბებოს ქოთქოთი და გაუთავებელი ზრუნვა შორეულ და უცნობ ქვეყანაში, რომელიც ჩვენს წარმოდგენაში ჯოჯოხეთის მსგავს

რალაც ბოროტ სამყაროს უტოლდებოდა, ამანათების გაგზავნაზე გაუთავებელი ზრუნვა – რა შეიძლებოდა და რისი უფლება არ ჰქონდა, რა ჩააღწევდა იქამდე და რა ვერ გაუძლებდა ტრანსპორტირებას. ხშირად იჯდა და ზამთრის გრძელ ღამეებს წინდების ქსოვაში ათენებდა. ერთის მაგივრად რამდენიმეს დაქსოვდა. ჩემი გიორგისთანა გაჭირვებული იქ სხვაც ბევრიაო, იტყოდა ხოლმე და წინსაფრის ქვემო-დან ცხვირსახოცს ამოიღებდა, ცრემლებს მოინმენდა. ეს მართლაც მძიმე, უსიხარულო და უსაზღვრო სევდით სავსე წლები იყო ჩვენი ოჯახისათვის, რომელიც სულ იმის შიშსა და მოლოდინში აღამ-ათენებდა, კიდევ ვინმესთვის არ წაველოთ ხელი და გიორგის გზაზე არ გაეყენებინათ.

ორმოცდაათიანი წლების დასასრულს, მოგონებებით დამძიმებული და ჯანგაბილი დაბრუნდა გიორგი სამშობლოში. ნათესავებსა და ახლობლებს დღემდე ახსოვთ მისი და-კოყრილი სხეული, მთელ ტანზე პატარ-პატარა ბურთებივით რომ ეყარა ცემა-ტყეპისგან გადაგვარებული ხორცები.

ლაგერის ამბების მოყოლას რომ დაიწყებდა, გაცეცხულ და შემფოთებულ მსმენელს უნებლიეთ აღმოხდებოდა, რა ძალამ გადაგარჩინაო. ციხეში გიორგის თავისი ხელით ჩონგურს გამოეთალა. ჩამოჰკრავდა სიმებს, ზედ დაამღერებდა, ქართულ ჰანგებს ოხვრასა და ცრემლს ამოატანდა და ამით იოხებდა თურმე გულს, სამშობლოს ნატვრით გამოწვეულ სევდას იქარებდა. ამან გადამარჩინა და მაცოცხლა, თორემ რაც მე გაჭირვება და უბედურება ვნახე, ნეტა, ცოცხალი როგორღა დავდივარ ამ ტიალ დედამინაზეო, იტყოდა ხოლმე დანანებით.

განსაკუთრებით შემზარავი და შთამბეჭდავი იყო მის მი-ერ მოთხრობილი პატიმართა აჯანყების ამბები, ტრაგიკული დასაწყისითა და ასეთივე ფინალით. ტანკებით აჯანყებული ფლეტის შემადრწუნებელ სცენებს გიორგი ცრემლის გარეშე ვერ იხსენებდა. გარშემომყოფებსაც აიყოლიებდა და დაიწყებოდა ერთი ვაი-ვიში ადამიანური სისასტიკისა და უგუნურების უკიდევანო ზეობის გამო.

გიორგის ბევრი მონათხრობი, სამწუხაროდ, დაიკარგა. არავინ იზრუნა მათ ჩანარაზე. როგორც ხდება ხოლმე, ვერავინ იფიქრა, რომ ის ერთი ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და ეს საზარელი ისტორიებიც მასთან ერთად გამოესალმებოდა ნუთისოფელს, გაქრებოდა, მესხიერებიდანაც თანდათან წაიშლებოდა და სამუდამო დავიწყებას მიეცემოდა. ანდა, იქნებ მსმენელის ძალღონეს აღემატებოდა ამგვარი გაუგონარი სისასტიკის მოსმენა და თანაც ქალაქზე გადატანა, ხსოვნის რომელიმე კუნჭულში ადგილის მიჩენა, მათთვის მარადისობის სტატუსის მისანიჭებლად.

ერთი უცნაური ამბავი კი მის ახლობლებს დაამახსოვრდათ და ხშირად ჰყვებოდნენ კიდევ, როგორც მწერლის ცხოვრების, მისი ხასიათის საინტერესო შტრიხსა და თავისებურებას.

გიორგი რომ დაიჭირეს, ენკავედეს დილეგში ჩააგდეს და განაჩენის გამოტანამდე იქ კარგა ხანს აყურყუტეს. პატიმარი ცივსა და ნესტიან საკანში მარტო არ ყოფილა. უღმობელ განაჩენს იგი ორ მწერალთან, მიხეილ ჯავახიშვილთან და ნიკოლო მინიშვილთან ერთად ელოდა.

ეს ეპიზოდი გიორგის განსაკუთრებით მწარე მოგონებათა ციკლში შედიოდა. იგი იხსენებდა, როგორ იჯდა ნიკოლო საკანში თავჩაქინდრული და მძიმე ფიქრებს მისცემოდა. მიხეილ ჯავახიშვილი კი სიგარეტის წევით წინ და უკან დადიოდა, ვერ ისვენებდა, მთელი ღამე ფარაჯამოსხმული ბოლთასა სცემდა. როგორც ჩანს, გული უგრძობობდა, რომ აღსასრული ახლოვდებოდა.

გათენებისას ბრალდებულ ჯავახიშვილს გამოუძახეს. მიხეილი საბოლოოდ დამშვიდობებია თანასაკნელებს. გასვლის

წინ ფარაჯა გაუხდია, ახალგაზრდა კაცისთვის გაუნვდია და თან შემდეგი სიტყვები დაუყოლებია: აიღე ეს ფარაჯა გიორგი, ეგებ შენ მაინც გამოგადგეს, მე ის აღარაფერში დამჭირდებაო. გასულა და უკან აღარც დაბრუნებულა. მერე რაც მოხდა, თქვენც კარგად იცითო, იტყოდა ხოლმე თვალცრემლიანი გიორგი და ღრმად ამოიოხრებდა.

მწერლის ფარაჯა გიორგი ბიჩინიაურს მართლაც რომ გამოაღდა. განუსაზღვრელი ვადით შუა აზიაში გადასახლეს, ლაგერამდე რამდენიმე კვირა მატარებლით ამგზავრეს. უმეტესი დრო ჯეზუიტების გაატარა. ყველას უკვირდა, როგორ გადაურჩა საგურამოელი გლეხი, ეს მოჯანყე სულის, ქედმაღალი და სიცოცხლის მოტრფიალე კაცი დახვრეტას.

ბოლშევიკებს, ინტელიგენციის, განსაკუთრებით, მწერლებისა ეშინოდათ. მათ კარგად იცოდნენ, რომ მწერლურ სიტყვას გასროლილი თოფზე გაცილებით მეტი ძალა და წონა ჰქონდა. გიორგი კი, ეტყობა, ერთ უბირ ანარქისტად მიიჩნიეს და სიცოცხლეს ამიტომ აჩუქეს. მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლეს. ოჯახი დაეწერა. დააავადმყოფდა. შუა აზიაში ცოლად თანაკატორელი შეერთო, თბილისში ჩამოიყვანა და რეაბილიტირებულმა ცხოვრების დარჩენილი წლები მარიასთან, მწარე მოგონებებთან და ტკივილებთან ერთად ძალღუმადურად გაატარა.

ჩვენი ფოსტა

გიორგის სიცოცხლე!

გო, ამჯერად, როგორც ყურნალის თანამშრომელს, მინდა შემოგთავაზო ასეთი წინადადება: ახლა ავსტრიაში ვარ, ვენაში. ავსტრიაში რამდენიმე უაღრესად საინტერესო ლიტერატურული ჟურნალი გამოდის, რომელთა ირგვლივ თავს იყრიან ნამყვანი ევროპული მწერლები. ერთ-ერთი მათგანია ზალცბურგში გამოშვებული „Salz“, რომელთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მათ ადრე ერთი ნომერი მთლიანად ქართულ ლიტერატურას დაუთმეს. სამომავლოდაც ექნებათ მსგავსი პროექტები. ამჯერად შესაძლებელი იქნებოდა, „ჩვენი მწერლობის“ ერთი ნომერი დათმობოდა ამ ჟურნალის ავტორებს. მე ადრე მიხდოდა მათთვის ამ აზრის შეთავაზება, მაგრამ არ ვიცოდი, საქართველოში რომელი ჟურნალისთვის შემეთავაზებინა ეს საქმე. გზობო, როსტომთან ისაუბრე და თუ თანახმა იქნებით, ერთი მეგობარი რედაქცია გეყოლებათ. მე ამ რედაქციის თანამშრომლები უნდა ვნახო ერთ კვირაში და შევთავაზებდი, რომ მათ მოემზადებინათ ნაკრები „ჩვენი მწერლობის“ ერთი ნომრისთვის, სადაც თავს მოიყრიდნენ როგორც ღრმა კლასიკოსები, ისე თანამედროვე ავტორები. ქართული პარანოიდული სიტუაციის გათვალისწინებით, საჭიროდ ვთვლი დავაზუსტო, რომ ამ საშური საქმიდან არავითარი პირადი სარგებელი არ მამოძრავებს. შეგიძლია ეს წერილი ასევე გაცნო რედაქციის წევრებს. თუ „ჩვენი მწერლობის“ რედაქციის სამომავლოდაც ექნება სურვილი, შესაძლებელია ასეთი თემატური ნომრების მომზადება სხვა ავსტრიული, გერმანული და ფრანგული ჟურნალებისთვის (გული მწყდება, რომ ჩემი კონტაქტები მხოლოდ ჩემთან რჩება და ქართულ მწერლობას სურვილი არა აქვს ამ სიკეთის გამოყენების, თითქოს ასე განებივრებული ვიყოთ საერთო საქმისთვის პირადი კონტაქტების გამოყენების სიკეთით).

გეხვევი ძმურად  
დათო პარპაძე

# ორი კაცის საზოგადოება

\*

## განხილვა ელგუჯა თავჯარიძის მონოგრაფიისა

– საზოგადოება დავარსოთ, – ეტყვის ერთხელ გიორგი შარვაშიძე მამია გურიელს, ნათესავსა და სულიერ მეგობარს, – ისეთი საზოგადოება, რომელშიც მხოლოდ ის ხალხი გაერთიანდება, ვინც ჩინის მაძიებელ თავადებსა და აზნაურებს არც ხელს ჩამოართმევს და არც სალამს მისცემსო.

ეს გახლდათ მკაცრი პროტესტი იმ შემადრწუნებელი საზოგადოებრივი დინების წინააღმდეგ, თუ როგორი ფაციფუცითა და მიზანდასახულებით იყიდებოდა საქართველო ჩინ-მედლებსა და კარიერაზე. ამ პროცესს ყოველნაირად უპირისპირდებოდა გიორგი შარვაშიძე – როგორც აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე და როგორც შემოქმედი – პოეტი და პუბლიცისტი, მაგრამ ძალიან რომ აემღვროდა გული, ასეთ უკიდურესობასაც მოინდომებდა, იქნებ ამ გზით გამოავახიბლო გადიდკაცების ბანგით გაბრუებული თვისტომნიო.

მწარედ ჩაიციინებდა ამ ნათქვამზე მამია გურიელი:

– მაშინ, ჩემო გიორგი, მე და შენ თუ მივესალმებით მხოლოდ ერთმანეთს, დავიკრიფოთ გულზე ხელები და ვიართო. დღეს ხომ ყველა ორჭოფია, ყველა ჩინის მომლოდინე ან ამ ბიზის გაჩარხვის სურვილით ანთებული. ჩვენ, კი ბატონო, კიდეც მივესალმით და ხელიც ჩამოვართვათ ერთმანეთს. საზოგადოება ორი კაცისა გამოგვივა და ეგ იქნება, მესამეს ვერ ვიპოვნით, დამპყრობლის ჩინი არაა სურდეს, სიზმარშიც არაა ნატრობდესო.

ეპოქის სული გამოიხატება ორი მოღვაწის ამ ხანმოკლე გასაუბრებაში, და თვითონ ორივე პიროვნება წარმოსდგება იმ სახით, რომ სურვილი გიჩნდება, რაც შეიძლება მეტი შეიტყო მათზე, მათ სულიერ განდგომილებასა და პროტესტანტულ სულისკვეთებაზე. და დააფასო ის მკვლევარიც, ვინც ხელიდან არ გაუშვებს ასეთ ეპიზოდებს და ხელახლა შემოიტანს საზოგადოებრივ-სალიტერატურო მიმოქცევაში.

ელგუჯა თავბერიძის წიგნშია ჩართული ეს ეპიზოდი – „უბედო მამულის ყმა“, ბიოგრაფიულ ნარკვევად რომ ჩაუფიქრებია ავტორს გიორგი შარვაშიძეზე და ამ ჩინებულ თხზულებაში, რომელშიც მარჯვედაა შერწყმული მეცნიერული და ბელეტრისტული ნიჭი, დიდძალი მასალაა გადამუშავებული, გააზრებული და მიმზიდველ თხრობაში გამოლილი, მეტად კოლორიტული მოღვაწის პორტრეტიც რომ ხელშესახებად წარმოსდგება და მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს, უფრო კი დასავლეთი მხარის ისტორიული ფონიც.

**როსტომ ჩხეიძე** ამ ეპიზოდის გახსენებით გახსნის იმ ლიტერატურულ თავყრილობას, ამ წიგნის განხილვასაც რომ მიეძღვნება და გიორგი შარვაშიძის ხსოვნის საღამოდაც გადაიქცევა. ორატორთა გამოსვლებისას კი ძალდაუტანებლად შემოვა მსჯელობაში ელგუჯა თავბერიძის კიდეც ერთი ახალი კრებული – „სანიტარული დღე“, რომელშიც თავი მოუყრია მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა და ჩანახატებს და კიდეც ერთხელ ადასტურებს უნიადგობას ნიჰილისტთა ოცნებისა, თითქოს სალიტერატურო კრიტიკა არც არსებობს და არც იარსებებს საქართველოში.

როსტომ ჩხეიძე წარმოსახავს ავტორის პორტრეტს, როგორც წიგნის გმირის სულიერი ჩამომავლისა და ასაბუთებს, რომ სწორედ ესაა საყრდენი იმისა, რომ გიორგი შარვაშიძეც და მაშინდელი საზოგადოებრივ-კულტურული ყოფაც ასეთი შთაბეჭედაობითა და ნიუანსობრიობითაა გააზრებულიც და შეფასებულიც. საერთოდ კი ელგუჯა თავბერიძე ჩვენს თვალწინ იქცა ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს მემბტიანე-დოკუმენტალისტად და თითქოს მის ნაწერებში გრძელდება ის ხაზი, რაც ასე მკაფიოდ შემორჩა ჩვენს ცნობიერებას შალვა დადიანის რომანში – „გვირგვინიანების ოჯახი“ – ჩართული შენაკადებით. იგი თანდათან გადადის მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაზეც და ამ უანში კიდეც უფრო ვრცელ ტილოებს უნდა ველოდეთ მისგან. არის თემები, რასაც მხოლოდ იგი თუ მოჰკიდებს ხელს და შესაფერის ყალიბშიც მოაქცევს.

**ნონა კუპრეიშვილი** საუბარი დაიწყო ელგუჯა თავბერიძის „უბედო მამულის ყმა“ შესახებ იმ კითხვის დასმით, რომელიც, მისი თქმით, ხშირად ებადება ჩვენი უახლესი წარსულის თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმი მიძღვნილი ყოველი ახალი ნაშრომის გაცნობისას. ამჯერად მკითხველს წარუდგა XIX საუკუნის II ნახევრის გამორჩეული ისტორიული პიროვნება გიორგი შარვაშიძე. სწორედ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზის გაცნობისას წარმონდობა ისიც, თუ ორი ტრადიციულად ურთიერთსაპირისპირო თვითრეფლექსიდან („მე ქართველი ვარ და ამით ვამაყობ“ და „უბედური ვარ იმიტომ, რომ ქართველი ვარ“) რომელს ანიჭებს უპირატესობას ჩვენი ავტორი. გიორგი შარვაშიძის პიროვნების ფენომენი იმგვარადაა გააზრებული, რომ ირკვევა – ელგუჯა თავბერიძე არცერთ ამ საეჭვო ღირებულების დებულებას არ ეყრდნობა. წიგნის ავტორის მიზანია დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის თვითგადარჩენის იმგვარ საშუალებათა აქცენტირება, რომელიც იმდენად პროტესტის აქტიურ ფორმებთან (საბრძოლო მოქმედებები, აჯანყებები, შეთქმულება) არაა დაკავშირებული, რამდენადაც შინაგან, სულიერ შეუვრცობლობასთან, ცნობიერების სიმყარესთან, საკუთარი მენტალობის დაცვის შეგრძნებასა და, რაც მთავარია, ცდუნებებით აღსავსე ყოველდღიურობის დაძლევისათან.

რა მდგომარეობაა ამ თვალსაზრისით რუსული თვითმმართველობის პირობებში მცხოვრებ საქართველოში? ავტორი შემთხვევით როდი გვაცნობს მამია გურიელისა და გიორგი შარვაშიძის განზრახვას ახალ დროებასთან შეურიგებელ ქართველთა საზოგადოების შექმნის შესახებ, რომელშიც, სამწუხაროდ, აქ დასახლებულ პირთა გარდა სხვა არც არავინ მოიაზრება. „გადაგვარებული, რუსის ჩინს მონატრებული ქართველობა დამპყრობელზე უმეტეს ვნებს ერსა და ქვეყანას“... – წერს ელგუჯა თავბერიძე. ეს არამარტო ამ წიგნის გმირის მრწამსია, არამედ იმ თითო-ოროლა ქართველისა (პირველ რიგში, ცხადია, აკაკი წერეთლის), რომლებიც სულიერ საქართველოს იცავდნენ.

მომხსენებელი შეეხო ელგუჯა თავბერიძის ლიტერატურული წერილებისა და ესეების კრებულსაც „სანიტარული დღე“. მინდოდა ლიტერატურულ თემათა ის არეალი გამეცნო, რომელშიც და რომლის გამოც გაჩნდა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების ესოდენ მიუკერძოებელი ანალიზი – განაცხადა მომხსენებელმა. მანვე წარმოადგინა ავტორთა ის არასრული სია (რევაზ გაბრიაძე, გოდერძი ჩოხელი, ირაკლი ლომოური, მაკა ჯოხაძე, თამარი ფხაკაძე, გაია ხოფერია, ავთანდილ ყურაშვილი და სხვ.), რომელიც ელგუჯა თავბერიძეს თანამედროვე ლიტერატურული პროცესის დეფინიციით დაინტერესებულ მკვლევრად წარმოგვიჩინა.

მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის კლასიკოსთა (გიორგი ლეონიძე, ოთარ ჩხეიძე) მისეული შეფასება. „ო. ჩხეიძე ილიას სიმართლის თქმის პრინციპით მოაზროვნე მწერალი-აო“ – იტყვის იგი ამ მწერლის ტრილოგიის შეფასებისას.

განსაკუთრებით საინტერესოა ე.წ. ქუთაისური ციკლის ლიტერატურული წერილები და ესეები. განუმეორებელი ხიბლითაა აღსავსე ელგუჯა თავბერიძის მიერ დანახული ქალაქი. ამ განუმეორებლობას ქმნიან კოლორიტული ადამიანები (კირილე ლორთქიფანიძე, კალისტრატე ჩიკვაიძე, მამია გურიელი, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი გრძელიძევილი), რომლებიც ქალაქში „სამოთხრობე მასალად“ აღიქმებიან. „არ უჩანდა აღჩუს დასასრული“ და „ერთ კოვზ წყალში“ თავიანთი მნიშვნელობით ლიტერატურული წერილის დანიშნულებას აღემატებიან და მხატვრულ ნაწარმოებებად, ნოველებად აღიქმებიან. ე.წ. მეორე პლანის მწერალთა ცხოვრებას (მაგ. გიორგი ჭალადიდელი, გრიგოლ აბაშიძე) ელგუჯა თავბერიძე ახალი თვალთახედვით წარმოგვიჩენს. საზომად კი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაბნეულ მოღვაწეთა თუ პოეტთა დახასიათებისას უტყუარი და მიუკერძოებელი მემტაიანის, აკაკის, შეფასებებს ეყრდნობა (სხვათა შორის, ასეა გიორგი შარვაშიძის შემთხვევაშიც).

კრებულში ცნობილ ისტორიულ მოვლენათა რეინტერპრეტაციის გარდა წმინდა წყლის სამეცნიერო კვლევის შედეგებსაც იპოვნით. მაგ. წერილში „რექვიემი ცოდვილთათვის“ ქუთაისის საკათედრო ტაძრის ოციანი წლების კომპაგშირების მიერ დანგრევის ამბის ახალ მნიშვნელოვან ფაქტებს აღმოაჩენთ.

**გურამ ოდიშარია:**

„ელგუჯა თავბერიძის ამ წიგნს შარშან, წლის დამლევს, გიორგი შარვაშიძის სახელობის პრემია მიენიჭა. სხვაგვარად არც უნდა მომხდარიყო – გიორგი შარვაშიძეზე დანერგულ ამ შესანიშნავ წიგნს სწორედ მისივე სახელობის პრემია უნდა მიანიჭებოდა.“

საქართველოში, სამწუხაროდ, კარგად არ იცნობენ საოცარი კაცის – გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობას, მის შემოქმედებას. ელგუჯა თავბერიძის წიგნის მისიაა – დაიწყოს ამ ვითარების გამოსწორება.

2006 წელს სრულდება გიორგი შარვაშიძის საიუბილეო, 160-ე წლისთავი და, ვფიქრობთ, ღირსეულად აღინიშნოს – ჩატარდება დიდი საიუბილეო საღამო; იმედი გვაქვს, დაიდგმება მისი ძეგლი და ასევე, რაც მთავარია, გამოიკვეთა გიორგი შარვაშიძის თხზულებათა სრული კრებული. ამ საქმეში, დარწმუნებული ვართ, დიდ სამსახურს გასწევს ბატონი ელგუჯა თავბერიძე, რომელიც, როგორც ვიცო, უკვე თავს უყრის გიორგი შარვაშიძის ნაწარმოებებს“.

**იოსებ ჭუმბურიძე:**

„როცა ელგუჯა თავბერიძის წიგნი „უბედო მამულის ყმა“ ნავიკითხე, ძალიან ცნობილი აღმოსავლური სიბრძნე გამახსენდა: „მითხარი, ვინ არის შენი მეგობარი...“

იმას, რასაც აქ ვგულისხმობ, ასევე ძალიან ცნობილი ქართული ანდაზაც მიესადაგებოდა.

ცხადია, მიბაძვას არ ვგულისხმობ. ისეთი ჭკუითა და ინტელექტით აღჭურვილ ლიტერატორზე, როგორც ელგუჯა თავბერიძეა, მსგავსი რამ არც უნდა გავიფიქროთ.

ხოლო რასაც ვგულისხმობ, საქრახისი სულაც არ მგონია. რატომ უნდა გვიკვირდეს, მეგობრები ერთი იდეით რომ იყვნენ განმსჭვალულნი.

მიბაძვა, აქ მხოლოდ ერთ „ნიუანსშია“: თავის წიგნს ელგუჯაც „ლიტერატურულ ცდას“ არქმევს.

ამით ხაზს უსვამს, რომ როსტომ ჩხეიძის „ორდენის“ (უბრჭყალებოდ, სკოლას ვიტყვოდი) წევრია, რაც ბუნებრივად ეამაყება.

სინამდვილეში ეს „ლიტერატურული ცდაც“ შედარებით მცირე ზომის ბიოგრაფიული რომანია. ამ უანრზე ჩვენში, ცოტა არ იყოს, გაიოლებული წარმოდგენა ჰქონდათ. როსტომ ჩხეიძემ დაამტკიცა, რომ მაღალი დონის ბიოგრაფიული რომანის შექმნას მხოლოდ ბიოგრაფიის ცოდნა კი არა, გამორჩეული მწერლური ნიჭი და ოსტატობა სჭირდება.

ვფიქრობ, ელგუჯა თავბერიძეც ამ მეგნებით და უშიშრად შეექიდა გიორგი შარვაშიძის თემას და უდავო წარმატებაც მოიპოვა.

ამას მოწმობს მისი წიგნის თუნდაც ერთი თავი – „მძიმე მოთხრობა“, რომელიც გიორგი შარვაშიძის ყველაზე საუკეთესო ლექსის „ვარადას“ ანალიზს ეთმობა.

უაღრესად საინტერესოა დალულუნების მისეული ახსნა: „დალულუნებას პირველყოფილი იერი დაჰკრავს: კი არ დავინუნუნო, ამოვიოხრო, დავილულუნო. ერთდროულად, მღერი-სა და ტირილის ინტონაციაა მტრედით უწყინარი კაცისგან ნათქვამ ამ სიტყვაში – სიმღერით ნამღერი წუხილია და ტირილით გამოსხატული სიხარული იმავდროულად... ხომ საოცრად პროზაული, მართლაც რომ დამძიმებული სიტყვათმეთანხმება – მძიმე მოთხრობა, მაგრამ რა ორგანული, ზუსტი, თითქოსდა ამ ლექსის განწყობილებისათვის აუცილებელი და თანაც პოეტური. ძნელია, ასეთი ფრაზა ლექსის ბუნებრივ ნაწილად აქციო, პოეტური მუხტი არ შეანელო, არ დაამინო“.

ასე წერაც (ასეთი ანალიზიც) ძნელია!

ადვილი რომ იყოს, ხომ ყველა დანერდა!

**თამაზ ჯოლოგუა:**

„ელგუჯა თავბერიძეს, როგორც ლიტერატორსა და მკვლევარს, სამწუხაროდ, აქამდე არ ვიცნობდი, რაც, რასაკვირველია, მისი ნაკლი არაა – ჩემი ნაკლია! ამ ბოლო დროს კი მან ზედიზედ ორი წიგნი გამოსცა: „სანიტარული დღე (წერილები. ესეები)“ და „უბედო მამულის ყმა“. პირველ წიგნზე ამჟამად ვერაფერს ვიტყვი, რამდენადაც ჩვენი დღევანდელი შეხვედრა ეძღვნება ელგუჯა თავბერიძის მეორე წიგნს, რომელშიც გიორგი შარვაშიძის ცხოვრება და შემოქმედება განხილული.“

გიორგი შარვაშიძეს ბედმა მძიმე ხვედრი არგუნა. მისი ბავშვობა და ყრმობა აფხაზეთის სამთავროს აგონიას დაემთხვა. საერთოდ, XIX საუკუნე, მოგვსენებათ, საქართველოში ეროვნულ, სახელმწიფოებრივ თუ პიროვნულ უბედურებათა ერთი გაბმული ჯაჭვია და ამ ფონზეც კი მკაფიოდ იკვეთება გიორგის მამის, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძის, ტრაგიკული ფიგურა.

პოლიტიკურმა ვითარებამ მიხეილი აიძულა, რუსეთის მოკავშირე გამხდარიყო, თუმცა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რუსეთი მოკავშირეობას არ დასჯერდა და 1860-იან წლებში, ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილება რომ დაასრულა, აფხაზეთის სამთავროც გააუქმა, ხოლო ტახტნარტმეული მთავარი რუსეთში გადაასახლა. თანაც, ეს ყველაფერი გაკეთდა ცინიკური, ადამიანის ღირსების დამამცირებელი ფორმით – სასიკვდილოდ დაავადებული, აუტანელი ტკივილებით დატანჯული მიხეილ შარვაშიძე, რომელსაც სხვების დაუხმარებლად სიარულიც კი არ შეეძლო და, უფლებააყრილი, ამასლა მოითხოვდა, მისთვის იმერეთსა და რაჭაში ცხოვრების უფლება მიეცათ. მოტყუებით გამოიყვანეს ოჩამჩირიდან (თითქოსდა ფოთში მიჰყავდათ), გზაში გემი მოაბრუნეს და აფხაზეთის უკვე ყოფილი მთავარი ნოვოროსისკში ჩაიყვანეს, საიდანაც ჯერ სტავროპოლში გადაიყვანეს, საბოლოოდ კი საცხოვრებლად ვორონეჟი მიუჩინეს. ვორონეჟში მი-

ხელ შარვაშიძემ მხოლოდ რამდენიმე თვე იცოცხლა. რუსეთის ხელისუფლებამ კი თავისი უსამართლობა და სისასტიკე იმით „გამოისყიდა“, რომ აფხაზებს „დიდსულოვნად“ დართო ნება, ცხედარი სამშობლოში ჩამოესვენებინათ და მოქვის ტაძარში სათანადო პატივით დაეკრძალათ.

აფხაზთა აღმოფხვრელი სინდისი ამან ვერ დააკმაყოფილა. ისინი 1866 წლის ივლისში აჯანყდნენ, სოფელ ლიხნში მათ დასამოშმინებლად ჩასულ პოლკოვნიკ კონიარს ჯერ ჯარი ამოუნყვიტეს, შემდეგ სამთავრო რეზიდენციის ბუხარში დამალული კონიარიც გამოათრიეს და დახოცილებს ისიც ზედ დააკლეს, სამთავრო ტახტის მემკვიდრე გიორგი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად გამოაცხადეს და სოხუმს მიადგნენ, თუმცა აჯანყებულები დამარცხდნენ, რის შემდეგაც რუსულმა ხელისუფლებამ გიორგი შარვაშიძე დაატყვევა და რუსეთში გადაასახლა.

ჩვენ, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება დოკუმენტური მასალა გიორგი შარვაშიძის გადასახლებაში ყოფნის პირველი წლების გარშემო. არადა, ეს საინტერესო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ, უნდა ვიფიქროთ, სწორედ ამ წლებში მოხდებოდა საბოლოოდ ჯერ კიდევ ყმანვლი გიორგი შარვაშიძის პიროვნული პრინციპებისა და ეროვნულ-მოქალაქეობრივი მრწამსის ჩამოყალიბება. მოგვიანებით კი მას უკვე პეტერბურგში ვხვდავთ, სადაც საიმპერატორო ოჯახშიცაა მიღებული და პეტერბურგის არისტოკრატიულ ელიტაშიც. თავისი დროის კვალობაზე განათლებულ, ევროპული ენების მცოდნე, ლიტერატურული გემოვნებითა და ნიჭით დაჯილდოებულ, შთამბეჭდავი გარეგნობისა და არისტოკრატიული მანერების ახალგაზრდა კაცს პეტერბურგში ფუფუნებით ცხოვრება და ბრწყინვალე კარიერა ელოდა. მაგრამ გიორგი შარვაშიძემ გადაჭრით თქვა უარი ბედის „საჩუქარზე“, ჩამოვიდა თავის ბედკრულ სამშობლოში, დაფუძნდა ქუთაისში და აქ ეწეოდა მწერლის, პუბლიცისტისა და საზოგადოების მოღვაწის მძიმე ტვირთს. ამასთანავე, მან იცხოვრა უკომპრომისო მამულიშვილის ცხოვრებით და, – სიმონ ჯანაშიას სიტყვები რომ გავიმეოროთ, – „სამარის კარამდე შერჩა თავის კეთილშობილსა და ამაყ პოზიციას“.

გიორგი შარვაშიძის პიროვნებაში, მის თვითშეგნებაში, მისი ცხოვრებისა და აზროვნების წესში გაერთიანებული იყო აფხაზი და ქართველი ხალხების საუკეთესო თვისებები და აუცილებლად დადგება ის დღე, როცა დაველევთ მტრის ხელით გაღვივებულ უსასტიკეს კონფრონტაციას, უკანასკნელი წლების ტრაგედიას ისტორიის სამსჯავროს დაუტოვებელ და ჩვენ ყველანი, – აფხაზებიცა და ქართველებიც, – გიორგი შარვაშიძეს, როგორც ჩვენი ისტორიული და მომავალი ერთიანობის სიმბოლოს, ძეგლს დაუდგამთ მის მშობლიურ სოხუმში.

ამჟამად კი იმის თქმალა შეგვიძლია, რომ ელგუჯა თავბერიძემ სასიქადულო აფხაზსა და, იმავდროულად, სასიქადულო ქართველს შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა.

**წინო ვახანია:**

„უბედო მამულის ყმა“ გიორგი შარვაშიძეზე დაწერილი ერთ-ერთი საუკეთესო წიგნია. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მიხეილის მემკვიდრე რუსებმა ხან წყალობით აავსეს, ხან – შერისხეს, მაინც ვერ გაარუსეს, სული ვერ ნაუნყმი-



ნონა კუპრევიჩილი და ელგუჯა თავბერიძე

დეს. ელგუჯა თავბერიძის წიგნიდან ჩვენს თვალწინ ცოცხლდება ადამიანი. დაუმორჩილებელი პიროვნება, ვისთვისაც მტრის წყალობაზე სასიამოვნო მტრის რისხვა იყო. თითქოს ელიზბარ ერისთავის ქადილი გვესმის: რუსები ერისთავებმა მოიყვანეს და ერისთავებივე გარეკავენო.

შარვაშიძეებსაც ევლო წილი რუსების მოყვანაში, გიორგი კი ჯერ რუსთა წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებას მეთაურობდა, მერე კი ლექსებით დასტიროდა საკუთარსა და ქვეყნის უბედობას.

ღმერთს მაღლობს სწირავდა ეს აშკარა თუ ფარული მეამბოხე, რომ აფხაზი იყო, ქართველი იყო და შენდობასაც ითხოვდა, რომ თავისი, საკუთარი ახსოვდა, სხვისას ვერ ეთვისებოდა, ვერ ეგუებოდა და გულისმომკვლელად ღლინებდა „ვარადას“.

**გივი გამრეკელი**

„გიორგი შარვაშიძეზე ვრცელი ბიოგრაფიული ნარკვევი არ არსებობს. ორჯერ გამოიცა მისი ლექსებისა და პიესების წიგნი აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას წინასიტყვაობით, რომელიც ქართული ისტორიისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საოცარი ცოდნითაა დაწერილი. მაგრამ დღემდე გაუნაღიზებელი რჩებოდა გიორგი შარვაშიძის მდიდარი პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ბატონი ელგუჯას დიდ დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ მან თავის წიგნში აფხაზთა უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის პორტრეტი შექმნა, რისთვისაც სხვადასხვა მწერალთა და მოღვაწეთა მოგონებები და თვით გიორგი შარვაშიძის წერილები გამოიყენა. ამ წიგნის წამკითხველი დარწმუნდება, თუ რა სურვილებით, რა მიზნებით უნდა ცხოვრობდეს აფხაზი, როგორ ურთიერთობა ჰქონდეს ქართველებთან, ესენი კიდევ როგორ უფრთხილდებოდნენ მათ ჭეშმარიტ შვილებს.“

სასურველი იქნებოდა, უფრო ვრცლად ყოფილიყო მოთხრობილი გიორგი შარვაშიძის ცხოვრების პეტერბურგულ პერიოდზე, მის დამოკიდებულებაზე რუსთა იმპერატორთან და ა.შ. ასევე ზოგიერთი გვარი, ჩემი აზრით, უკეთესად შეიძლება გადმოქართულდეს, მაგ. პრინცი ოლდენბურგი კი არა ოლდენბურგელი სჯობს, რადგან რუსულში გვაქვს... *Олденбургски*. თუმცა ეს წვრილმანება, მაგრამ, სჯობს უამისობა, რადგან როცა წიგნი მოგწონს და კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, დასანანია ლაფსუსიც, ელგუჯა თავბერიძის ეს ბიოგრაფიული ნარკვევი კი ჯერ ხომ კარგადაა დაწერილი, მერე სადღეისოცაა, რაც უფრო მეტი ქართველი და აფხაზი წაიკითხავს, მით უკეთესი, დარწმუნდება, როგორ უნდა აენყოს ჩვენი ყოფა, გაიგებს, რას ფიქრობდა ეს დიდი აფხაზი, აფხაზეთის პატრონი გიორგი შარვაშიძე.“

**გიორგი ლოზუანიძე:**

„ელგუჯა თავბერიძის ბიოგრაფიული ნარკვევი „უბედო მამულის ყმა“ ბოლო წლების ერთ-ერთ საინტერესო ნამუშევრად მესახება, სადაც შესანიშნავადაა წარმოდგენილი არა მხოლოდ გიორგი შარვაშიძის პიროვნული პორტრეტი, არამედ ის საზოგადოებრივი და სოციალური გარემო, სადაც წიგნის მთავარ გმირს ტრიალი და, საერთოდ, ცხოვრება უწევდა.“

ჩანს, ელგუჯას დანვრილებით შეუსწავლია მთელი დოკუმენტური მასალა, დეტალურად დაულაგებია და, რაც მთავარია, ისე ორგანულად ჩაურთავს თხრობის საერთო მდინარეებში, რომ წიგნი ნაუფორიბილად, დიდი ცნობისნადილთა და ლაღად იკითხება.

თუმცა ქართული ბიოგრაფიული რომანის სტილისტიკა, რომლის მიღწევებიც ელგუჯა თავბერძის შემოქმედებითად აუთვისებია, უკვე დიდი ხნის ტრადიციას ითვლის და სულ ბოლოს ამ ჟანრის თვალსაჩინო ქმნილებად როსტომ ჩხეიძის „ბედი პავლე ინგოროყვასი“ წარმოგვიდგა. ბუნებრივია, როცა ბატონი როსტომის წიგნის მსგავსი ნაშრომი შენს თვალწინ იქმნება, ძნელია მის გავლენას თავი დააღწიო. როსტომის სტილის არაერთი დეტალი ელგუჯა თავბერძის ამ ნარკვევშიც განხილავდა და, მე გგონი, ავტორს არც უცდია ამ გავლენას ხელიდან დასხლტომოდა.

მეგობრებს ისე უყვართ და ეძვირფასებათ ერთმანეთი, რომ მეორეს პირველის აღმოჩენები სულაც სათავისოდ ეგულვის, მაგრამ ალბათ მაინც სჯობდა, წერის მანერა უფრო ინდივიდუალური ყოფილიყო, მითუმეტეს, რამდენადაც ვიცი, როსტომ ჩხეიძე და ნაირა გელაშვილიც მეგობრობენ, მაგრამ ეს მათ მწერლურ მანერაზე არ აისახება. ნაირა გელაშვილის ბოლოხანს გამოქვეყნებული ბიოგრაფიული რომანები, ჰოლდერლინისა და ელზე ლასკერ-შულერის რომანები ამავე ჟანრის ბრწყინვალე ნიმუშებია, მაგრამ როსტომისა და მისი სტილი შეიძლება იმდენად არის განსხვავებული, რამდენადაც ამ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს.

სხვა მხრივ, კიდევ გავიმეორებ: შესანიშნავი საქმე გააკეთა ელგუჯა თავბერძემ. დიდი სიყვარულით იმუშავა წიგნზე და თავისი გმირი ჩვენც ისეთი დიდებულით წარმოგვიდგინა, როგორც ამ ბიოგრაფიის, ამ ცხოვრების კაცს შეშვენის.“

**ტრისტან მახაური:**

„გასულ წელს თითქმის ერთდროულად გამოვიდა ელგუჯა თავბერძის „უბედო მამულის ყმა“ და ოთარ ჭურღულის „შარვაშიძეები“, სადაც წარმოჩენილია გიორგი შარვაშიძის ღვანლი საქართველოს წინაშე (ოთარ ჭურღულია შარვაშიძეთა გვარის სხვა წარმომადგენლებსაც მიმოიხილავს, მაგრამ ეს ჩვენი საუბრის თემას სცილდება).

გიორგი შარვაშიძის გახსენება მეტად საჭირო და აქტუალურია, რადგანაც ახალმა თაობამ ან ნაკლებად, ან თითქმის არაფერი იცის მის შესახებ.

ელგუჯა თავბერძე, ყვრდნობა რა წინამორბედ მკვლევართა თუ ბიოგრაფთა ფაქტობრივ მონაცემებს, ცდილობს ახლებური კუთხით დაგვანახოს გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი დეტალები, დააზუსტოს და გაასწოროს ზოგიერთი სადავო საკითხი; იგი ეკამათება ცნობილ მეცნიერებს გიორგი შარვაშიძის შემოქმედების რიგი ნიმუშების შეფასებაში. ეს კი განსახილველი წიგნის დიდ ღირსებად მიმაჩნია.

გიორგი შარვაშიძე სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული საქართველოსთან. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილს ერთნაირად უყვარდა აფხაზეთი, სამეგრელო, გურია, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი... მთელი დასავლეთი და აღმოსავლეთ საქართველო! იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ აფხაზეთი არ მოეწყვიტათ დანარჩენი საქართველოსთვის. დღეს, საქართველოს გამთლიანებისათვის, ისევე გიორგი შარვაშიძის მაგალითი გამოგვადგება.

ერთ ფაქტზეც მინდა შევანერო თქვენი ყურადღება: რამდენიმე წლის წინათ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა აფხაზი პოეტების ლექსები, რომლებიც ანტიქართული განწყობილებებითაა სავსე. მის საპირისპიროდ მე შევადგენდი

ქართველ მწერალთა ნაწარმოებების კრებულს, რომელიც აფხაზეთისადმი სიყვარულის გრძნობით არის გამთბარი, სადაც მთელი სისრულითაა წარმოჩენილი აფხაზი კაცის ღირსება და ზნეობრივი სიმალლე.

სასურველია ხელახლა და რაც შეიძლება დროულად გამოიცეს გიორგი შარვაშიძის ნაწარმოებთა კრებული ბატონი ელგუჯას თაოსნობით.

**ავთანდილ ყურაშვილი:**

„დღეს კარგი დღეა, ძალიან კარგი დღე. იმის თქმა მინდა, ჩვენ რომ აქ მოვიყარეთ თავი, ამ განახლებულ საღამოზე და მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე სჯა-ბაასი გვინევს, სწორედ ამიტომ არის ძალიან კარგი დღე. ამინდიც ხომ მშვენიერი დაგვედარა, თავისთავად ესეც დიდებული რამ არის, ესე იგი, ჩვენი შეხვედრა ერთნაირად ახარებს ღმერთსაც და კაცსაც.“

მადლობა ბატონ როსტომს (მის თანამზრახველებს, მხარდამჭერებს) ამგვარი სიხარულის არაერთგზის ავტორს და მონაწილეს აქაც, თბილისში და იქაც, ჩვენთან, ქუთაისში.

დაიხ, მადლობა იმისათვის, რომ ცდილობს, ხელი შეუწყოს ჩვენი დღეების ლიტერატურული ცხოვრების გაძლიერებას – საერთო ქართულ მდინარეებში მის მოქცევას... ეს ძალიან საშური საქმეა, მეტად საჭირო და საშური საქმე... ახლა ბატონი ელგუჯა თავბერძის მშვენიერ წიგნზე... წინა გამომსვლელებმა განსაკუთრებით ქალბატონმა ნონა კუპრეიშვილმა, ისე პროფესიულად ისაუბრეს ამ წიგნის ღირსებაზე, იმდენი კარგი სიტყვა ბრძანეს, აღარ ვიცი, ისეთი რა უნდა ვთქვათ, ავტორსაც რომ გაუხარდეს და მსმენელსაც გულზე მოხვდეს. ერთი სიტყვით, ძნელია კუდის კუდში გამოსვლა, სათქმელს აღარავინ ტოვებს... მიუხედავად ამისა, მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ამ წიგნის გამოცემის საჭიროება, მისი მნიშვნელობა – იდეოლოგიური, პოლიტიკური, ლიტერატურული... იგი არა მარტო ქართულად, აფხაზურად, რუსულად, ინგლისურადაც უნდა დასტამბულიყო და ისე გავკვერცხვინებინა ქვეყნის ოთხივე მხარეზე... მოფიქრალ და მიზანსწრაფულ სახელმწიფოში სწორედ ასე მოიქცეოდნენ... გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დანერგულ ამ მშვენიერ წიგნს, რომელიც ასე დიდებულად წარმოაჩენს აფხაზი კაცის სულიერ სიმალლეს, ხორციელ სიღამაზეს, ვაჟკაცურ ბუნებას, ქართული სახელმწიფოებრიობისათვის უშეღავათო და თავგანწირულ მის ბრძოლას, გულგრილად ვერ ნაიკითხავ, გულგრილად კი არა, სულმოუთქმელად ჩაიკითხავ, რომ იტყვიან: ბოლომდე ჩაყლაპავ, ცრემლს მოგადენს, გულს აგიჩუყებს, მაგრამ სისხლსაც აგიჩქროლებს და საქვეყნო საქმისათვის ბრძოლის გადახდას მოგანდომებს...“

იმის თქმაც მინდა, გიორგი შარვაშიძეზე ახალი თითქოს რა უნდა ვთქვა კაცს, იმდენი რამე ნავიკითხავს და გავგიგონია მასზე, მაგრამ ბატონმა ელგუჯამ მოახერხა ამ ჩინებული მოღვაწის ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედ იმ წახნაგით, იმ ენით, იმ აზრით, იმ სტილით, იმ მარად ქართული სულის ამონაკენისით ეჩვენებინა და შემოქმედა მკითხველისათვის – რომ აფხაზი კაცის ძვირი ჩვენს ბაგეს ვერასოდეს გადმოსცდეს. აქვე ურიგო არ იქნება თუ გავიხსენებთ: ლეჩხუმში აფხაზი ლამის სიღამაზის და მშვენიერის ამსახველი სიტყვაა, როცა ვინმე მოსწონთ, ასე ახასიათებენ: „აფხაზივით ზიჭია“, „აფხაზივით მარდია“, „აფხაზივით მამაცია“. ისეთი ხალხური ლექსიც ვიცი, ასე რომ იწყება: „აფხაზურად გამოჭრილო ქალამანო, ცქვიტო...“

რა ძვირზეა ლაპარაკი, გვითქვამს კი ოდესმე ძვირი?! ამიტომ, ვიმეორებ, იმის თქმა მინდა, ეს დღე მართლაც კარგი დღეა, რომელიც ასევე ძალიან კარგ წიგნს მოჰყვავს, მადლობა ავტორს – წიგნისაც, ამ ლიტერატურული საღამოსაც.“



# მინიატურები

## მისის კაცობრიობა

მინდა, რომ შავ თმებს შენ მივარცხნიდე.  
ისიც მინდა, რომ სათვალის მინებს შენი მაისურით მინ-  
მენდდე.

კიდევ მინდა, რომ დილაობით, თოხლო კვერცხს შენი  
ხელით მიფრცქენიდე.

მინდა, ისევ მბანდე ფეხებს, როგორც მაშინ, მუცელი  
რომ მიშლიდა და მე ვერ ვიბანდი, შენ კი დამცინოდი, მერე  
კი ტყავის გაძრობამდე გულიანად მიხეხავდი ტანს, თით-  
ქოს ასი წლის დასაბანი ვიყავი...

მინდა, ძილის წინ ჩემს ლოგინთან ანთებულ წითელ ნა-  
თურას აქრობდე, საბანს მაფარებდე და პატარა ბავშვი-  
ვით მეუბნებოდე – დაიძინე ახლავე, ჩქარა თვალები დახუ-  
ჭე და დაიძინე...

მე კი სარკის წინ ვდგავარ...

მე ცალი ძუძუ მეორეზე დიდი მაქვს (რძე დაგიშრება  
და ისიც დაგიპატარავდებაო),

მუცელი ხბოს პირში ნალექი ქალღღიღითა მაქვს დაჭ-  
მუჭნული (დრო გავა და გაგისწორდებაო),

ფეხები 22 წლის წინანდელი მღულარე წყლის ნაკვალე-  
ვითა მაქვს დაშრამული (22 წლის წინაც არწმუნებდნენ  
დედაჩემს გაიზრდება და გაუვლისო),

შენ კი მაინც მეუბნები, მისის კაცობრიობა ხარო...

გინდა და ვარ...

## ჩემი მისამართია სალხინებელი

ჩემი ჭერი სულით ავადმყოფის იატაკია,

ჩემი იატაკი მღვდლის ჭერი...

მე სალხინებელში ვცხოვრობ...

მოკლედ შუაში ვარ,

და მე რა შუაში ვარ...

წერილები მომწერე, გრძელი წერილები,

წერწყვით დასველებულ კონვერტებში ჩადე და გამო-  
მიგზავნე,

მარკებიც დააკარი, ყვავილებიანი მარკები,

ფოსტალიონს უთხარი, მისამართი არ შეეშალოს,

მღვდელს არ დაუტაკუნოს კარზე და ხელი არ შეუშა-  
ლოს ლოცვაში, ისიც ეყოფა იმ სანყალს, ყოველ დღე ჩემი  
შვილის სათამაშოების სეტყვას რომ უძლებს,

იმ სულით ავადმყოფსაც არ ჩაუგდოს წერილი ხელში, რა  
ვიცი, ან არ შეჭამოს, ან გვერდი არ მოახიოს და ისე გახსნას,  
მერე რაღა აზრი ექნება კონვერტის ისე გახსნას, მე რომ მიყ-  
ვარს...

უთხარი, კართან რომ მოვა ზარი არ დარეკოს (კი მაქვს  
წარწერა: გთხოვთ ზარი არ დარეკოთო, მაგრამ მაინც  
„აზარუნებენ“ ხოლმე), ბავშვი არ გამიღვიძოს,

ნამღვილი წერილი მომწერე, მართლა ნამღვილი,



მე ნინო ვარ.  
ვაპირებ გავხდე 27 წლის.  
გეხვეწებით, მეტს ნულარ დამანე-  
რინებთ...

პატივისცემით  
ნინო თარხნიშვილი

შენი სუნი რომ ექნება ისეთი,  
შენი ლურსმული ასოებით მომწერე,  
ალარ მომწერო იმეილები, მომბეზრდა „აკადნუსხუ-  
რი“...

ახლა მიდი და ეძებე ამ დიდ ქალაქში, სად ცხოვრობს  
პირველ სართულზე მღვდელი, მესამეზე სულით ავადმყო-  
ფი და შუაში მე...

## ის დღე

ოთხ კედელს შუა გამომწყვდეული გიჟი ვარ,  
რომელიც თავს იმით ვირთობ, რომ ყოველ წუთს  
პულსს ვისინჯავ,

რა არ ხდება, უცებ გული რომ გამიჩერდეს, მერე სად  
წავიდე?..

რა იქნება...

ერთ დილას პირი მე რომ გაგპარსო, ლოყა გაგიჭრა და  
გატკინო,

სამსახურიდან დაბრუნებულს, კარი რომ არ გაგიღო  
და შეგამინო,

დედაჩემის მომზადებული სადილი რომ არ გაგიტობო  
და მოგამშო,

დიდხანს, ძალიან დიდხანს, რომ არ მოგაფერებინო და  
თავი მოგანდომო...

რა იქნება...

ერთ დღეს რომ მოხვიდე და პეპლების საჭერი ბაღე მო-  
მიტანო,

ქუჩაში გავიდოდი და იმ დღეს დავიჭერდი პირველად  
რომ შემეხე და რაც კი სხეულზე ბუსუსი მაქვს, ყველა  
ყალყზე რომ დამიყენე...

მოვიყვანდი ამ დღეს სახლში და სადმე გამოსაჩენ ად-  
გილას (თუნდაც ტელევიზორის თავზე) გადმობრუნებულ  
ჭიქაში ჩავსვამდი...

მერე შენ მოხვიდოდი და როგორც წესრიგის მოყვა-  
რულ ადამიანს შეჭფერის, იტყობი:

– ამ ცარიელ ჭიქას აქ რა უნდა?..

და სამზარეულოში გაიტანდი...

მერე მე შემოვიდოდი, ველარ გადავიტანდი ამ დღის  
ხელმეორედ დაკარგვას, ცივ კედელს მივადებდი შუბლს  
და მოთქმით ავტირდებოდი,

ამ მოთქმით ტირილზე, ჩვენი გოგონა შემობაკუნდე-  
ბოდა, თბილი ხელებით ხელზე მომქაჩავდა, სანოვარას გა-  
მოიღებდა, ცხრაკბილიანი პირით გულიანად გამილიმებდა  
და მრავალმნიშვნელოვნად მკითხავდა:

- ფაფა?  
გიჟი არა ვარ? აბა რა ვარ! - საკუთარი შვილის ფაფას რომ დანვავე, მაშ რა ხარ?  
...ახლა რომ ბარგი შეეკრა და თავი მოვიკლა, გამომეკიდები?  
იმ დღეს გამომეკიდებოდი...  
როგორ დამიკარგე ის დღე მეორედ...

**ნებატინი**

- ტვინი გამიხმა...  
- გასაგებია, და რაში გამოიხატება ეს ტვინგამხმრობა?  
- იცით, მე პროფესიით ფერადი ბუშტების გამყიდველი ვარ, ჩემი საქმის ნამდვილი პროფესიონალი, ყოველ შემთხვევაში, ადრე ასე ვფიქრობდი. სულ ახლახან კი აღმოვაჩინე, რომ ფერებს ველარ ვარჩევ...  
- ააა. იცით, თქვენ ტვინი კი არ გაგიხმათ, უბრალოდ დალტონიკი გამხდარხართ.  
- დალტონიკი?  
- დიახ, ადამიანი, რომელიც ფერებს ვერ არჩევს.  
- კი, გამიგია ეგ სიტყვა. მგონი, სადღაც წავიკითხე კიდევ, ძაღლები დალტონიკები არიან, ყველაფერს შავ-თეთრად ხედავენო...

...  
- ძაღლი ვარ...  
- ბატონო?  
- იცით, მე ფერებს ვერ ვარჩევ, ვატყობ, ნელ-ნელა როგორ ვძაღლდები...  
- ჰოოო, საქმე რთულადაა, თუმცა გამოსავალი მაინც არის - უღალატეთ!  
- ვუღალატო?  
- ჰო, უღალატეთ ვინმეს, რამეს, ძაღლები ხომ ყველაზე ერთგული არსებები არიან ამ ქვეყანაზე, ჰოდა, თქვენც ადვილად და უღალატეთ და მერწმუნეთ, მაშინვე აღმოაჩენთ, რომ ძაღლი აღარა ხართ...

...  
ამ დიალოგიდან რამდენიმე წუთში ქუჩაში გამოვედი, ხალხი ჩვეულებრივად მოძრაობს, პრინციპში არც არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, მე გავხდი ტვინგამხმარი, დალტონიკი ძაღლი, რომელიც სულ ცოტა ხანში გახდება ტვინგამხმარი, დალტონიკი და მსოფლიოში პირველი მოღალატე ძაღლი.

...  
დღეს ბევრს ვიფიქრებ, ძალიან ბევრს ვიფიქრებ იმაზე, თუ როგორ შეიძლება გიღალატო...  
ხვალ „წითელი ფანრების ქუჩაზე“ წავალ, ალბათ ვინმესთან გიღალატებ, მერე იმის ოთახიდან გამოვალ, ხვეული კიბით ქვევით ჩამოვალ, წითელი ფანრის ქვეშ დავდგები, ჩემი გამხმარი ტვინის ერთ პატარა ნაწილში გადარჩენილ შენი ფოტოს ნეგატივს გამოვაძკრენ და დაგბეჭდავ - შენ დგახარ ქუჩაში მარტო, შავი თმით, შავი თვალებით და თეთრი კაბით, ხელში კი ორი ფორთოხლისფერი ბუშტი გიჭირავს...  
მე მსოფლიოში პირველი მოღალატე ძაღლი ვარ, რომელიც ფერებს ხედავს...

**შოპის ღამე**

ოთხფეხა მაგიდასთან სამფეხა სკამზე ვზივარ...  
წინ ცარიელი თეფში, თხილიანი კალათი და რალაცნაირი ლვინით სავსე ჭიქა მიდგას...  
მე, რვა თვეს მუცლით ნატარებმა, იმდენი შეეძელი, რომ ჩემი შვილი ცხრა თვეს ვატარე... და მერე ვითომც არაფერი - ისე დავბადე...  
საათი გამიჩერდა და ახლა ვარაუდით უნდა გამოვიცნო, ის როდის დაიბადება.  
ფანჯარაზე შემოდგმული სანთელი წელში ვერაფრით გავმართე...  
რა ვიცი, აბა, იქნებ გამურული ფანჯრები შეეზიზღოს... დილით უნდა გამენმინდა...  
კარადიდან საგულდაგულოდ დაკეცილი, ჩემივე რძის სუნით გაჟღენთილი ჩემი შვილის თოთოების დროინდელი ნაჭერი გამოვიღე, დავფხრინე და ფანჯრები ჩამოვწმინდე...  
იმ ღამეს დამესიზმრა...  
ვითომ ის მეუბნებოდა: რძის სუნით რომ მომიტყუე, ძუძუ რატომ აღარ მომანოვეო...მე კიდევ ვეუბნებოდი, დედაშენი ხომ არ ვარ-მეთქი... იმან კიდევ ისეთი თვალეზით შემომხედა, რომ...  
მე იმ ღამეს ღმერთი ვიშვილე...

**მატლი**

P.S. ამას ბოლოში აწერენ ხოლმე, მე თავში ვწერ...  
ვნანობ მატლები შემოეჩვივნენ ჩემ სახლს. თეთრი და წვრილი მატლები, დალოღავენ ყველგან, კედლებზე, ჭერზე, იატაკზე, კარადებზე... გადავყარე ყვითელი ვაშლები, მოდამპლო კარტოფილები, ობშეპარული ფორთოხლები, მაგრამ მატლებს ვერაფერი მოვუხერხე.  
დავძარი სახლი და გადავდგი, გამხდარ ბეჭებზე მოვიკიდე ჩემი დამატლული სახლი და ორი-სამი სანტიმეტრით შევეუცვალე ადგილი. მაინც არ გამომედევენ ეს მატლიშვილები?..  
უნდა გეომოთ! თავი დაიცავით, გაიქეცით, ვისაც სად შეგიძლიათ, თავს უშველეთ, უნდა დაგხოცოთ...  
რალაც სითხე გამოვართვი ჩემს საეჭვო წარმომავლობის, ორიენტაციის, რეპუტაციისა და სამსახურის მქონე დამპალ მეზობელს, გაბადრულმა გამომიტანა პატარა ბოთლში ჩასხმული რალაც სითხე, რომელსაც ზედ ეწერა - „მოარიდეთ მატლებსა და ბავშვებს“, და თან დასძინა, მე ამითი დავხოცე... მერე გაიღრიჭა და ვითომ შემფოთებულ სახით, შავი და სწორი თმიდან დაკლაკნილი მატლი ჩამომაცალა და შორს მოიტყორცნა...  
სახლის კუთხეებში მოვასხი სითხე და ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა, მოხობავდნენ და მოლოღავდნენ მატლები, მოათრევდნენ დაბუჟებულ სხეულებს. დახოცილი მატლების გვამებს ჯერ კიდევ ცოცხალი მატლები ზურგზე იკიდებდნენ, მერე ისინიც ეცემოდნენ და იხოცებოდნენ. ფეხებზე დავიხადე მამაჩემის ნაჩუქარი ოქროსფერი ქოშები, ტანზე გავიძვრე დედაჩემის შეკერილი აბრეშუმის ცისფერი ხალათი და იმ ადგილას დავდექი შიშველი ფე-

ხებით, სადაც ყველაზე მეტ მატლს მოეყარა თავი... ბრრრ... რა საშინლად ცივები არიან, გაყინულები, იმიტომ კი არა რომ მკვდრები არიან, იმიტომ, რომ მატლები არიან...

მიყურებს თვალეში ერთადერთი ცოცხლადგადარჩენილი და მუცელგაბერილი მატლი, მიყურებს და მეუბნება:

- ორსულად ვარ...

...ორსული მატლი ვამშობიარე. რთული მშობიარობა ჰქონდა. ოფლი მდიოდა საფეთქლებზე, გულზე მენვეთებოდა და ყურის გამაყრუებლად ენვეთებოდა იატაკს. ბავშვი კი გადავარჩინე, მაგრამ დედას ვერ ვუშველე...სიკვდილის წინ პირობა მივეცი მე გაგიზრდი-მეთქი...

მეორე დილით იმ ნაბოზარ მეზობელს მივუკაკუნე კარზე, კარი გამიღო, საშინლად ყვირთვებილებიანი პირით გადამპლბული სუნი შემომაფრქვია სახეში, ახლალა მივხვდი, თურმე კაცი ყოფილა. რა გინდაო, უკმაყოფილოდ მკითხა, მგონი ლოგინიდან ნამოვავდე და თან ყველაზე საინტერესო დროს:

- არაფერი, შე დამპალო... მატლი მყავს სახლში, ნითელლოყებიან ვაშლში ცხოვრობს, დედას მეძახის...

ატიმის ხა

ერთი კარგად უნდა გამოვთვრო... სიყვარულით, სურნელებით და რალაც მაგისთანა სისულელებით კი არა, მამაჩემის ბიძის რეზინისბოტებიანი ფეხებით დაწურული ყურძნის წვენით (ღვინით)...

მერე მოვიდე სახლში ცხვირგანითლებული და თვალეჩანითლებული და ბუნტი ავტეხო. უმიზეზოდ, ისე უბრალოდ...

შენ, ჩემო ლამაზო ქმარო, ნელზე მომხვიო ხელი, ტახტზე დამაჯინო, ფეხებზე დამხადო და ენაზე ორი თითი დამაჭირო, გული ამირო, შუბლი ხელით დამიჭირო, მერე მიმანვინო და ყურში ჩამჩურჩულო – ახლა მოგემვებაო...

მთვრალი ვარ...ქალი არა ვარ!.. არც ხელები მაქვს... ატიმისყვავილობისთვის ხელები ამომივა, ორი ხელი... მექნება იდაყვები, ფანჯრის რაფას რომ დავეყრდნო და გარეთ გავიხედო, მექნება მაჯები, პულსი რომ გავისინჯო, მექნება მტევნები, შენ რომ დამიკოცნო, მექნება თითები, თმებზე რომ მოგეფერო ან უთვლო ბეჭდები გავიკეთო, მექნება მუჭები, წყალი რომ ჩავიგროვო, მექნება უბრალოდ ხელები, ბუსუსიანი ატიმები რომ ვჭამო, მექნება ერთი დარდი, რომ შემოდგომაზე არ დამცვივდეს ჩემი ლამაზი ხელები...

ჩემო ლამაზო ქმარო, თხოვნა უნდა გთხოვო: შემოდგომაზე ჩვენი სახლის ეზოში დამრგე, წყალი მისხი, ხელები რომ არ დამიხმეს, მინა გამიფხვიერე, ჩიტები დააფრთხე, ზედ რომ არ დამასხდნენ, ხომ იცი, როგორ მეშინია ფრინველების, გაზაფხულობით ბავშვები გაყარე, თითები რომ არ დამალენონ და დედას არ მიართვან წყლიან ჭიქაში ჩასანყობად...

ხე ვარ, ატიმის ხე...

P.S. არ ვიცი ეს ორი სიტყვა დედაჩემმა მოიგონა თუ სხვამ, მაგრამ ეს სიტყვები მხოლოდ მისგან გამიგია:

ქალთ-არაფერა და უ-ხელთ-ური ხარო, მეუბნება ხოლმე. ქალთ-არაფერა, მისივე განმარტებით, ქალის არა მსგავსს ნიშნავს.

უ-ხელთ-ური კი ადამიანს, რომელსაც არაფერი გამოსდის...

სიტყვაბი

ნერვებაშლილი ლოგინი დავალაგე და ნუხელ გატეხილი სიტყვის ნამსხვრევი შემერჭო ხელისგულში. ისე მეტკინა, ისე მეტკინა, რომ სისხლი ნამომივიდა...

კოკი, კოკი, (ჩემო ძაღლო) რატომ მომიკვდი, ხომ ამილოკავდი, ჩემო ერთგულო, გაჭრილ ხელისგულს...

ოთახებს ვგვი და გატეხილ სიტყვებს ვაგროვებ... საშინაო კაბის კალთაში ვიყრი და მერე საკუთარი ნალველით ვანებებ...

მე ახლა გატეხილი სიტყვების შემნებებლად ვმუშაობ. ადვილად მომაგნებთ, კარზე წერია, „ვანებებ გატეხილ სიტყვებს“.

პირველი დარდიანი დილას მომადგა – ჩემი მეზობელი მღვდელი, ჩუმად შემოვიდა თავდახრილი, მუჭში ჩამჩარა ნამსხვრევები და ისეთი თვალეებით და ხმით, როგორც მარტო ღვთის მოციქულებს აქვთ ხოლმე, მითხრა:

- სიტყვა გავუტეხე ღმერთს, არ მინდოდა, დედას გეფიცები, პირდაპირ ეკლესიის ეზოში დამივარდა...

ჭალარა თმაზე გადავუსვი გაჭრილი ხელისგული, არ იდარდო-მეთქი, სულ რალაც ორ ნუთში შევუნებე ჩემივე ნალველით გატეხილი სიტყვა და ღმერთთან გავატანე...

სხვის გატეხილ სიტყვებს ვანებებ საკუთარი ნალველით...

სამაგიეროდ, ჩემებს ვლენავ...

სკამზე ვდგები, ზევით ვნე ხელებს და ჩემ სიტყვებს ჭერიდან ვათხლიშავ კარგად გამოვვილ იატაკს...

ფეხებთან მოვიყრი დამსხვრეულ სიტყვებს...

თასმებგახსნილფეხსაცმელებიან ფეხებთან და განალველებ...

ალდგომის ღამე

ნითელ პარასკევს, მზეს აჰყვება დედაჩემი, ენდროს მოხარშავს ხახვის ფურცლებთან ერთად და 21 კვერცხს შელბავს... ნითელ პარასკევს, მზეს აყვები მეც. სამართებით გადავიპარსავ შავ თმებს და ნითლად შევიღებავ გადახოტრილ თავს და ხორბლისფერ ტანს... ალდგომის ღამეს, მაშინ, როცა ქრისტე ნამოდგება, თვალეებს მოიფშენეტს, დაამოქნარებს და გაიზმორება... ჰო, ზუსტად იმ ღამეს, დიდი მარხვის უკანასკნელ ღამეს, უკანასკნელ ცოდვას ჩავიდენ: წინ დაგიდგები, ჯერ გაგიტყდები, მერე თავს გაგაფრცქენვიინებ და გაგაკვირვებ, რომ ყვითელი კი არა, სხვა ფერის გული მაქვს.....გული დასწყდება დედაჩემს, დარდით მეტყვის, ალბათ დუღილი დავაკელი, კვერცხები კარგად ვერ შევლებეო...- არა, დე, შენი ბრალი არ არის, შენ კვერცხებს მე მოვპარე სინითლე, ალდგომის ღამეს ცოდვას რომ ვიდენდი...

თეიმურაზ დოიაშვილი

# მამრამ რადგანაც...

\*

## კანტი – კარამზინი – ბარათაშვილი

**ორი რამ აღავსებს სულს უდიდესი განცვიფრებითა და მონივნებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობ მათზე – ვარსკვლავებით მოჭედული ცა ჩემ ზემოთ, მორალური კანონი ჩემში.**

იმანუელ კანტი

პოეტური განსჯის საგანი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „ფიქრნი მტკვრის პირას“ ადამიანური ყოფიერების არსისა და ადამიანის დანიშნულების უნივერსალური პრობლემაა.

პავლე ინგოროყვას ზუსტი შეფასებით, აქ „მხატვრული ხილვა უშუალოდ გადადის ფილოსოფიურ ხედვაში“, ამიტომ ტექსტის ანალიზი, როგორც წესი, პოეტური სახეების ცნებითი კატეგორიების ენაზე გადატანის გზით ხორციელდება, კვლევის მიზანი კი ნაწარმოების მსოფლმხედველობრივი საზრისის ძიებაა.

ცხოვრების ამოებისა და სოფელზე ზრუნვის მოტივთა ანტითეზურ მიმართებას, როგორც ლირიკული კონფლიქტის კონკრეტულ გამოვლენას, მკვლევარნი განსხვავებულად განმარტავენ. დაპირისპირებული პოზიციების არსებობა მთლიან მხატვრულ სივრცეში ზოგისთვის ბარათაშვილის პოეტური მოდელის ანტიპოზიციურობის მაცნეა, სხვები კი, ვინც ლექსს გენეტიკურად „ეკლესიასტეს“ უკავშირებენ, ამოებების მოტივთან პოლემიკაზე მიუთითებენ და, საბოლოოდ, სოფელზე ზრუნვის გარდუვალობასთან შპრიზებას ხედავენ.

უფრო ფართო კონტექსტში ანტითეზა „ზრუნვის“ ცნების ფაქტურ შინაარსად გაიზარება და წარმოგვიდგება, როგორც არსებობის ღირებულებათა დამკვიდრებისათვის ბრძოლის მარადიული პრინციპი.

შეიძლება თუ არა სხვაგვარად განიმარტოს ანუ მოიხსნას ბარათაშვილის ლექსში შემჩნეული ე.წ. ანტითეზა, პოეტის ლირიკულ-ფილოსოფიური განსჯის ორპოლუსიანობა?

მიმართოთ ისტორიულ-ბიოგრაფიულ და ლიტერატურულ-კულტურულ რეალიებს.

\*\*\*

კეთილშობილთა სასწავლებელში ტატო ბარათაშვილი გამორჩეული მოწაფე იყო სოლომონ დოდაშვილისა, რომელიც მომავალ პოეტს სამშობლოს, ქართული ენისა და მწერლობის სიყვარულს უწერდა, მოაზროვნედ, მოქალაქედ და მამულისწოდ ზრდიდა.

ოცდაორი წლის ასაკში დოდაშვილი უკვე რუსეთის იმპერიაში გახმაურებული „ლოგიკის“ პირველი სახელმძღვანელოს (1827 წ.) ავტორი იყო. პროფესიონალი ლოგიკოსი და ფილოსოფოსი, იგი კარგად იცნობდა გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებლის – იმანუელ კანტის მოძღვრებას, დიდ პატივს მიაგებდა, როგორც თავადვე წერს, კენიგსბერგელი ბრძენის „ბამჟრინს ბენისს“.

აღიარებული ფაქტია, რომ სოლომონ დოდაშვილმა დიდი ზეგავლენა მოახდინა ყრმა ბარათაშვილის ფიქრთა მდინარე-ბაზე, სულიერ-ინტელექტუალური ინტერესების მიმართულებაზე. ასეთ ვითარებაში რეალობას არ უნდა იყოს მოკლებული ვარაუდი, რომ მოძღვარი მეტაფიზიკური ჭვრეტისა და განსჯისაკენ მიდრეკილ შეგირდს ევროპული კრიტიციზმის მესაძირკვლის – კანტის ფილოსოფიური სისტემის შესახებაც ესაუბრებოდა. ისიც დასაშვებია, რომ გონების შესაძლებლობათა დასაზღვრულობის კანტიანურ იდეასთან ერთად (გავიხსენოთ „შემოღამება მთაწმინდაზე“), დოდაშვილი, – თუნდაც აღმზრდელობითი მოსაზრებით, – განსაკუთრებულად კანტის უხალხლო კონტრასტულ მსახურებას განეჭვინა, აცნობდა და განუმარტავდა მოწაფეს. ამ კონცეფციაში ხომ უმნიშვნელოვანესი სწორედ მოპალეოპოსის, ზრუნვის კატეგორიაა!

ისტორიულ-ბიოგრაფიული ფაქტებით შემადგრებულ ვარაუდთან ერთად, ჩემი აზრით, არსებობს კანტის ფილოსოფიასთან შესაძლო კონტრასტის ლიტერატურული წყაროც, რომელმაც შემოქმედებითი ბიძგი მისცა პოეტურ-ეთიკური ტრაქტატის – „ფიქრნი მტკვრის პირას“ შექმნას, ზოგადად კი – სადინარი გაუფართოვა ბარათაშვილის გონით, რელიგიურ და ზნეობრივ ძიებებს.

წყაროს მიგნებაში ისევ სოლომონ დოდაშვილის წარმმართველი ხელი ამოიწნობა, მისი ავტორი კი რუსული სენტიმენტალიზმის ფუძემდებელი ნიკოლაი კარამზინია.

\*\*\*

ახალგაზრდა ნიკოლაი კარამზინმა 1789-1790 წლებში ევროპაში იმოგზაურა. თავისი შთაბეჭდილებანი მან აღწერა „რუსი მოგზაურის წერილებში“, რომელიც ჯერ პრესაში დაიბეჭდა, 1801 წელს კი ცალკე წიგნადაც გამოიცა. ამ ნაწარმოებმა – XVIII საუკუნის მიწურულის დასავლური ცხოვრების თავისებურება ენციკლოპედიაში – კარამზინს პირველი წარმატება და აღიარება მოუტანა არამარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. XIX საუკუნის ათიანი წლებისათვის წიგნი უკვე თარგმნილი იყო გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ ენებზე... წარმოუდგენელია, რომ ქართულ ინტელექტუალურ ელიტასაც არ გამოეჩინა ინტერესი იმ თხზულებისადმი, რომელიც რუსეთის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების წარმმართველსა და მეთაურს ეკუთვნოდა.

მოგზაურობის ბელეტრიზებულ დღიურში 1789 წლის 19 ივნისის თარიღით კარამზინს ერთი ჩანაწერი გაუკეთებია, სადაც კენიგსბერგში იმანუელ კანტთან შეხვედრას აღწერს. ახალგაზრდა ლიტერატორმა დიდ ფილოსოფოსთან საუბარი ანუ კანტის მსჯელობა საქაშთარი ფილოსოფიის არსზე, შეძლებისდაგვარად, ზედმინევით ზუსტად გადაიტანა ქალაქზე. მოგვაქვს დღიურის სათანადო ადგილი. კანტი განმარტავს:

*„მოქმედება ჩვენი განმსაზღვრელია. ადამიანი სავსებით არასდროს კმაყოფილდება იმით, რასაც ფლობს და მუდამ მეტის შეძენას ესწრაფვის. ამასობაში სიკვდილიც წამოგვეწევა იმ რაღაცისაკენ მიმავალით, რისი ქონა კვლავაც გვწადა. მიეცი ადამიანს ყველაფერი, რაც სურს და ის იმნამსვე იგრძნობს, რომ ეს ყველაფერი არ არის ყველაფერი.“*

რადგან ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვერ ვხვდავთ ჩვენი მისწრაფებების მიზანსა და დასასრულს, ვვარაუდობთ მომავლის არსებობას, სადაც კვანძი უნდა გაიხსნას. ამგვარი აზრი მით უფრო სასიამოვნოა ადამიანისთვის, რომ ამქვეყნად უთანაბროა სინანული და მწუხარება, ტკბობა და ტანჯვა. მე თავს იმით ვინუგეშებ, რომ უკვე სამოცი წლის ვარ და დასასრული მალე მოვა, ნინ კი სხვა, უკეთესი ცხოვრება მელის.

## ჰიპოთეზა

როცა იმ სიტუაციაზე ვფიქრობ, ამქვეყნად რომ განმიცდია, ახლა აღარ ვგრძნობ სიამოვნებას – ვხარობ მხოლოდ იმ შემთხვევათა წარმოდგენით, როდესაც გულში ამოკვეთილი ზნეობრივი კანონის შესაბამისად ვმოქმედებდი. დავარქვით ზნეობრივ კანონს სინდისი, კეთილისა და ბოროტის გრძობა – ესენი ნამდვილად არსებობენ: მე ვიცნოე, არავის შეუტყვია, მაგრამ მაინც მრცხვენია.

მომავალ ცხოვრებაზე რომ ვლაპარაკობთ, ალბათობა არ უდრის სინამდვილეს, მაგრამ გონება, რომელიც ყოველივეს გაიაზრებს, გვიბრძანებს, ვირწმუნოთ იმქვეყნიური არსებობა. რა დაგვემართებოდა, საიქიო საკუთარი თვალთ რომ გვენახა? – ძალიან რომ შეგვეყვარებოდა, ველარ შევძლებდით ახლანდელი ცხოვრებით ცხოვრებას, მუდამ გულის გამაწვრილებელ მოლოდინში ვიქნებოდით, ხოლო თუ არ ვირწმუნებდით, ვერც აქაური ცხოვრების სიმძიმის ფაშს დავიმშვიდებდით თავს – ეგების, იქ უკეთესი არსებობა გვექონდესო!

მაგრამ როდესაც ჩვენს განსაზღვრებაზე, მომავალ ცხოვრებაზე და ა.შ. ვსაუბრობთ, უკვე ვგულისხმობთ მარადიული შემოქმედებითი გონის არსებობას, იმას, რომ ყველაფერი მის მიერ რალაციისთვის, ყველაფერი სიკეთისთვის იქმნება. რა? როგორ? აქ უკვე ბრძენთაბრძენიც აღიარებს თავის უვიცობას. აქ გონება აქრობს თავის ლამპარს და წყვდიადში ვრჩებით – მხოლოდ ფანტაზია დანავარდობს სიბნელეში და ქმნის არარსებულს“.

თუ ბარათაშვილის ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“ დამონებულ ჩანაწერთან მიმართებაში განვიხილავთ, ზერელე

შეჯერების დროსაც კი მნიშვნელოვან აზრობრივ გადაძახილებს შევამჩნევთ. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის, როგორც მოქმედი არსების, განსაზღვრა, მარადიული დაუკმაყოფილებლობის („ალუფსებელი სანყაულის“) მოტივი. პრინციპული ღირებულებისაა პრობლემის განსჯა აღსასრულის თემასთან, სიკვდილთან კავშირში და, რაც მთავარია, ზნეობრივი კანონის, როგორც უპირობო იმპერატივის, აღსრულების მოთხოვნა.

ამჯერად თანხვედრათა დეტალიზაციის გარეშე, იმის ჩვენების გარეშე, თუ როგორ განიტოტება კანტის ძირითადი დებულებანი ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკაში, ერთი რამა არსებითი – ჰიპოთეტურად იქმნება ისეთი კონტექსტუალური სივრცე, სადაც გენიალური ქართველი პოეტის შემოქმედება მისი ეპოქის უმთავრეს სააზროვნო პრობლემათა არეალში ექცევა, ევროპული გონით-სულიერი მოღვაწეობის ნაწილად აღიქმება.

ბარათაშვილის ლირიკაც ხომ იმ ორ საოცრებას შორის მიმოიქცევა, რაც განცვიფრებითა და მონივნებით აღავსებდა იმანუილ კანტის სულს: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა – ზემოთ („შემოღამება მთაწმინდაზე“) და ზნეობრივი კანონი – ადამიანში („ფიქრნი მტკვრის პირას“)!

### მინაწერი:

დასასრულ, ერთი საგულისხმო დეტალი: იონა ხელაშვილისადმი გაგზავნილ წერილში (1826 წლის 27 მარტი) სოლომონ დოდაშვილი იმ მწერალთა შორის, რომლებიც „იხმამკინან უკვდავთა სხეულით“, კარამზინსაც მოიხსენიებს.

## გამოხმაურება

ნათელა ხუციშვილი

# სამართლიანი, თუმცა ამაო პროტესტი

„ლიტერატურული საქართველოს ა.ნ. 7 აპრილის ნომერში (№18) გამოქვეყნებულია შტეფი ხოტივარ-იუნგერის წერილი „კონზალიკი საქართველოს შესახებ“. სავსებით სამართლიანი და გასაგებია ავტორის უკმაყოფილება ჰაინც გ. კონზალიკის რომანში „შეხვედრა თბილისში“ დახატული საქართველოს სურათით, რამეთუ ქ-ნი შტეფი, ბერლინში მოღვაწე ქართველოლოგი კარგად იცნობს საქართველოს, ქართულ ლიტერატურასა და კულტურას; სწორედ ამიტომ ეჩოთირა მას ამ მორიგ ბესტსელერში დახატული სახელ და სახეწარმეული საქართველო. წერილის ავტორი ეყრდნობა 1991 წლის ბერგიშ-გლადბახის გამოცემას და თვალშისაცემ უზუსტობებს აამკარავებს, ალბათ იმ იმედით, რომ შემდგომი გამოცემები აღარ შედგება. მაგრამ არა...“

საქმე ისაა, რომ ეს ლიტერატურული უკულმართობა გაცილებით ადრე იქნა შემჩნეული და გაკრიტიკებული უფრო ახალი 1996 წლის ბასტაი-ლიუბეს X-XI გამოცემის საფუძველზე, რომელშიაც იგივე დამახინჯებული სურათია.

ეს პირველი „შეცხადება“ ამ სტრიქონების ავტორისაა და გამოქვეყნებულია გაზეთ „ლტერნატივაში“ 2000 წელს (№8, 18.04-1.05) სათაურით „ჰაინც გ. კონზალიკის რომანი „შეხვედრა თბილისში“ ანუ საქართველო უქართველებოდ“. ესეც დაგვიანებული და ამაო გაბრძოლება იყო, რადგან კონზალიკის „შედეგები“ გასული საუკუნის II ნახევრიდან მილიონიანი ტირაჟებით უკვე სარეველასავით მოსდებოდა მსოფლიო წიგნის ბაზარს.

ხსენებული კრიტიკა იმთავითვე უშედეგობისათვის იყო განწირული, რადგან მოსახდენი უკვე მომხდარიყო.

სულ მცირე იმედის ნაპერწკალი მაინც ღვივოდა, რომ ვინმე უფრო „წონიანი“, სათანადო ოფიციალური ინსტანციის უფლებამოსილი პირი გამოეხმაურებოდა და წიგნის გამომცემლებს საკადრისი განცხადებით მიმართავდა. ამით, ცხადია, დიდად არაფერი შეიცვალებოდა, მაგრამ „იქითურები“ იმას მაინც გაიგებდნენ, რომ „აქეთურებს“ კონზალიკის თავგადაკლულ მკითხველთა მასისგან განსხვავებით არათუ რამე გაეგებათ, არამედ კარგად იციან განსხვავება ტყუილსა და მართალს შორის, ღირებულსა და იაფფასიანს შორის, მით უფრო თუ საკითხი უშუალოდ მათ ქვეყანას ეხება.

ჩვენს მეორე, ასევე უშედეგო ცდას, წარმოადგენდა ამავე თემაზე გაკეთებული მოხსენება გერმანიის გაერთიანებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე გოეთეს ინსტიტუტში 2001 წლის 3 ოქტომბერს, პროგრამაში ამჯერად სათაურია „საქართველო მრუდე სარკეში“ (Georgien im falschen Spiegel).

მოხსენება გერმანულ ენაზე გაკეთდა იმ იმედით, რომ გერმანელი მსმენელებიდან ან ადგილზევე წარდგენილი მოხსენების ტექსტის შესაძლო მკითხველთაგან ვინმე ყურად იღებდა ნათქვამს და სათანადო რეაგირებას მოახდენდა, ანუ

ხმას მიაწვდენდა გერმანულ გამომცემლობებს თუნდ **post factum** ან პრევენციისთვის მაინც.

რამდენადაც ვიცი, არც ეს მომხდარა.

ამ ფონზე საგულისხმოა გერმანელი ქართველოლოგის სამართლიანი შენიშვნები, მაგრამ რა? ისევ ჩვენ, ქართველებს გვიზიარებს თავის გულისწყრომას... უფრო უპრიანი არ იქნებოდა, რომ გერმანელ ავტორს იმავდროულად გერმანელი გამომცემლობისთვისაც მიემართა კრიტიკული შენიშვნებით?

თან თავისი წერილის ბოლო აბზაციც გერმანულად მიეყოლებინა: „გამომცემლობამ, რომელმაც ამ ნაწარმოებით დიდი მოგება ნახა, ეს თანხა გერმანიაში ქართული რომანის გამოცემას უნდა მოახმაროს“.

საინტერესოა, როგორ უნდა განხორციელდეს ეს უმისამართო, უტოპიური მოთხოვნა... აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ წერილშიაც გვხვდება ერთი-ორი უზუსტობა. მაგალითად, კონზალიკის „შეხვედრა თბილისში“ (და არა „შეხვედრები“) 1966 წელს კი არ გამოვიდა, არამედ 1986-ში, 1966 წელი კი რომანის მოქმედების დროა. სტატიის მეოთხე აბზაცში მოხსენიებული „ქართველი მხატვარი არკადი ლუკიანოვიჩ ბედერიანი“ მეცხრე აბზაცში „სომეხი ბედერიანია“ და რაც მართალია, მართალია „ისევ მთვრალია“. კონ-

ზალიკის თავბრუდამხვევი ტექსტი ვის არ აურევს დაჯორებს?

ცოტა უცნაურად გვეჩვენება ქ-ნი შტეფის გამონათქვამი რომანის ანოტაციაში კონზალიკისთვის აღვლენილი დიტი-რამბების ნაკითხვის შემდეგ: „აღარ მიკვირს, თუ რატომ მჭირდება ევროპაში იმის ახსნა, თუ რატომ ჰქვია საქართველოს საქართველო და სად მდებარეობს ეს ქვეყანა“.

ნუთუ ევროპელები კონზალიკის იმედად იყვნენ და არიან ქვეყნის ადგილმდებარეობის, სახელის და თავისებურებების დადგენა-გაცნობის საქმეში? ნუთუ ისინი სხვას არაფერს კითხულობენ, არაფერს ისმენენ ან უყურებენ? მით უმეტეს, ბოლო ხანებში, როცა საქართველოს თემა მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში გახშირებულია, როცა ამ ქვეყნის სახელი მისი მტერ-მოყვარე სახელმწიფოთა ენებში დამკვიდრებული ნაირსახეობით – Грузия, Georgian, Georgia (გრუზია, გეორგიენ, ჯორჯია, გინდაც ვრასტან ან გურჯისტან) შესაშური სიხშირით ისმის და იწერება.

როგორც ჩანს, ევროპელ მკითხველს უნდა განემარტოს, რომ კონზალიკის ამ რომანის X-XI გამოცემის დროს – 1996 წელს – საქართველო არათუ „რუსლანდი“, არათუ ყოფილი საქ. სსრ, არამედ დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს რესპუბლიკა იყო და არის.

კრიტიკა

დალილა ბედიანიძე

სტრიქონი – ტოტებს გადანასკული

ელა გოჩიაშვილის პირველი ლექსები გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს გამოჩნდა ჩვენს პრესაში და მათ მალევე მოჰყვა მისი პირველი წიგნი. მას შემდეგ პოეტმა ლექსების ოთხი კრებული გამოსცა. „შაბიამანი“ ახალი, ბოლო წიგნია.


ელა გოჩიაშვილის ლირიკული გმირი ეს-თეტია. იგი თვით ყოველდღიურ ყოფით მომენტებში შეიგრძნობს პოეტურ, ამაღლებულ, უფაქიზეს, უნატიფეს განცდებს. მშობლებისადმი მიძღვნილი ლექსი იქნება ეს თუ სამშობლოსადმი, დებისა თუ სხვა ახლობლებისადმი, ყველგან პოეტის ნატიფი ხელი იგრძნობა. თვითონ ელაც ხომ ასეთია: ჩუმი, მოკრძალებული, თავმდაბალი, მგრძობიარე და ნატიფი სულის ადამიანი, ვისაც ასე ჰგვანან მისი ლექსები: არაპათეტიკური, შემპარავი, მათრობელა, რომ წაეკიდება მკითხველის სულს და ვიდრე ბოლომდე არ წააკითხვებს თავს, არ მოეშვება და მერეც, ნაკითხვის შემდეგაც ბევრს უტოვებს მკითხველს საფიქრელს, საოცნებოს.

ელა გოჩიაშვილის პოეტური სამყარო ხასიათდება მცხრალი, თბილი ტონებით. იგი არასოდეს უწევს ხმას, ვინაიდან პოეტი-ტრიბუნი კი არ არის, ინტიმური განცდების აღმწერია. მისი მტკივანი სულის ძახილი გულს ესმის და არა მხოლოდ ყურს.

სამშობლო ხარ! – ამას აღარ ეშველება, მაგრამ თუ არ მოგვიკითხავ დიდხანს, მე წინდანინ მებრალეები იმ დღისათვის, როცა მოგვიკითხავ.

ასე იწყება ზემოხსენებულ კრებულში პირველი ლექსი „მათქმევინე, დე!...“, რომელიც ქართველ პოეტებს ეძღვნება. ამ ლექსში სამშობლო და დედა გაიგივებულია და უფაქიზესი განცდებით არის აღწერილი და მოსალოდნელი წამი, როცა საქართველოს – ჩვენი დუხჭირი ყოფიდან გამომდინარე – მხოლოდ უკიდურესი გაჭირვების ჟამს გაახსენდება მივიწყებული პოეტები, რომელნიც მოსავლელი და საპატრონებელი დარჩა, მისთვის თავდადებული ხალხი, მაგრამ უკვე გვიან იქნება – ეს მოკითხვა უკვე ყოფნა-არყოფნის მიმანიშნებელი გახდება. ღმერთმა ნუ ქნას, რომ დადგეს ასეთი დღე და საქართველოს ქართველი პოეტები არა მხოლოდ ძნელბედობის ჟამს გაახსენებოდეს. ამ ლექსით ელა გოჩიაშვილი ცდილობს, შეახსენოს მკითხველს, რომ მესიტყვეთა დავიწყება კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს...

„შაბიამანი“ ვერლიბრით არის დაწერილი და სიუჟეტისანი ლექსია. აქ მოთხრობილია, თუ როგორ მოინამლა თავი პოეტის მეზობელმა ვანო პაპამ შაბიამნით. თვითმკვლელობა დიდი ცოდვაა და პოეტი ლოცულობს თვითმკვლელის სულის სახსნელად, ევედრება უფალს, თვითმკვლელობის ცოდ-



ვა მიუტევოს. ლექსს რეფრენად გასდევს სტრიქონი „უფა-ლო, რამე უსაშველე თვითმკვლელების უგზოუკვლობას“. წელან ვთქვით, რომ ელა გოჩიაშვილი ესთეტია. ესთეტი რომ არ ყოფილიყო, სანამლავს „ულამაზესს“ არ უწოდებდა და ლამაზი მხატვრული სახეებით ვერ აღწერდა თვითმკვლელობას მევენახე ვანო პაპასი, რომელიც „მთელი ცხოვრება ვენახს წამლობდა შაბიამანით, ადგა და ერთხელ თავსაც უწამლა (ალბათ)“:

**დედაკაცი რომ თვალმოშორებით დაიგულა,  
გამოიტანა მარნიდან მალვით (ალბათ)  
და მიბრეცილ-მობრეცილი ჯამის გასწვრივ  
გახსნა მუჭა (ალბათ),  
მიაშვავა შაბიამანი – ცის ფხვნილივით.  
მუხლზე აიგდო გრილი კოკურა (ალბათ),  
დაჰკრა ჯამს წყალი (ალბათ),  
ამოურია,  
ამოურია წიფლის ნაფოტით,  
ფხაკაფხუკით (ალბათ),  
გახსნა ცის ფხვნილი, –  
ამოხედა თხევადმა ზეცამ  
გლეხის ჯამიდან  
ცისფერთვალა გოლიათის  
ცალი თვალვით (ალბათ)“...**

ეს ლექსი, გარდა იმისა, რომ შემზარავ თვითმკვლელობას რომანტიკული თავგადასავლის სახით წარმოგვიდგენს, ხასიათდება ქართული კოლორიტივითაც. უაღრესად კოლორიტულია მასში გარემო, ნივთები და თვით შაბიამანი, რომელსაც ქართველი მევენახეები ვენახის შესანამლად იყენებენ. ასევე უაღრესად კოლორიტულია ლექსი „ბრის!“ ციკლიდან „კახურები“:

**ჯიშიანი ძაღლების ცხვირწინ,  
საკუთარი კუდების წრეში  
სხედან და, – ყეფენ...  
ბრისს!  
უძაღლო ქვეყანაში მაინც იყეფეთ  
თქვენ პატრონიანებო!**

ამ პატარა ლექსში გარდა ღრმა ქვეტექსტისა, ჩატეულია ფოლკლორიც: გამოყენებულია ანდაზა „უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენ“. ნამკითხველს მყისვე თვალწინ წარმოუდგება ძაღლები თბილისის ქუჩებში – პატრონიანები და უპატრონოები. რომელსაც პატრონი ჰყავს, ჯიშიანადაც ის ითვლება, ხოლო ზოგი ჯიშიანი ძაღლი პატრონს მოკლებული დანაწანალებს, როგორც ამ ლექსის ლირიკული გმირი, შეჭიდებული ცხოვრების უკუღმართ და მკაცრ კანონებს.

ფოლკლორიდან გადმოსული სტრიქონები გვხვდება ლექსშიც „ბალადა“, რომელიც ეძღვნება პოეტის მიერ გამორჩეულ მცენარეს ძახველს:

**ძახველი მედგა ისეთი,  
ავ თვალს არ ენახებოდა,  
გამისხლტებოდა სტრიქონი,  
ტოტებზე გაესკვნებოდა...  
ძახველი მედგა, – მიყვარდა,  
მიმინო არა მყავდა;  
ბლომა ხეების პატრონი  
ადგა და ამიშარდა.**

აქ ვხვდებით პერიფრაზს ქართული ხალხური სიმღერებიდან „მიმინო მყავდა, მიყვარდა“, რომელიც ოსტატურად არის ჩაქსოვილი ლექსში.

ასევე ვხვდებით ქართულ ანდაზას ლექსში „თქვენ თუ დამმალავები ხართ...“:

**არაფერი გამოდგება  
სიყვარულის წამალად;  
კაცმა ჭირი რომ დამალოს,  
ჭირი თავს არ დამალავს.**

შდრ. „კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალა“. ფოლკლორულია ასევე ლექსის „ნეტავ ვისთვის“ ერთი პასაჟი:

**მადლსაც უნდოდ გადახსნის,  
როგორც ატლას ბრონეულს,  
გარეთ – გასაგებია,  
შიგნით რაა – ნახოს...  
ქველი საქმის წიაღშიც,  
ვით ათასი მარცვალი,  
ათასფერი მიზეზი  
და მიზანი სახლობს;**

აქ იოლი ამოსაცნობია ქართული ხალხური გამოცანა ბრონეულზე: „გარეთ ატლასი, შიგნით – ათასი“. ქართული ხალხური ლექსის დამუშავებას წარმოადგენს ლექსი „ნეტავ არ გაგლვიძებოდა“:

**ნეტავ არ გაგლვიძებოდა,  
ისევ ძილ-ქუში გდებოდა,  
ჩემო ნიბლია სამშობლოვ,  
შენ რომ წაგიღო ალაღმა,  
მტრისას! და მტერსაც აშოროს.**

შევადართო:

**ნეტავ არ დაგძინებოდა  
ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა.  
ჩამოგიქროლებს ალაღი,  
წაგიყვანს მაღალ მთაზედა.**

მთლიანად ფოლკლორულია და ხალხური მოტივებით არის განმსჭვალული ლექსი „ჭეჭეთობის ღამეს“ („ჭეჭეთობას“ აღმოსავლეთ საქართველოში „ჭიაკოკონობას“ უწოდებენ). აქ ნახსენებია მეგრული მითებიდან გადმოსული წყარიმშაფა, ოჩოკოჩი, ტაბაკონაზე თავშეყრილი კუდიანების მეფე როკაპი. კონტექსტი, რომელშიც ისინი მოიხსენიებიან, მთლიანად მითოსურია, ხალხურ ზნე-ჩვეულებებს ემყარება.

ლექსში აღწერილი ჭეჭეთობა ღამეს პოეტის განცდები:

**შეესივნენ ავსულები ღამის კიდობანს,  
გადაჩხრიკეს, დახრეს, დაფერთხეს;  
ვისაც უცეცხლოდ მოატანეს,  
ურჩს და დაუცველს ვისაც წაასწრეს...  
მე არ დავანთე დიდი კოცონი,  
არ მოვიხმარე ცეცხლი ფარივით,  
მე არ გავფრთხილდი, რომ ვთქვა მართალი,  
და შემამჩნიეს, რალა თქმა უნდა,  
და ჭეჭეთობა ღამეს გამთვალეს.**



.....  
გათვალისწინებთ ვარ, განწირული ვარ,  
არსად ჩანს, ვინაც უნდა მიშველოს;  
იქით ქვეყანა – დიდი და ბევრი,  
აქეთ მე – ერთი და უმნიშვნელო.  
სიყვარულისთვის მედგება ბრალი.  
სად არის, ვინაც უნდა მიშველოს?

მიმზიდველი მხატვრული სახეებით არის აღსავსე ამ ლექსში პოეტური ხილვები. აი, მაგალითად, როგორ ხატავს ავსულს, დემონს ელა გოჩიაშვილი:

**ჭეჭეთობა ღამე მთავრდება  
და აჩქარებს ბილიკს ავსული;  
ტაბაკონიდან გადმოშორდა თავის მოძმეებს  
შორით ახარბებს  
და ამაყი სიფრთხილით მიაქვს  
ბანჯგვლიან მკლავზე დაფენილი ნაალაფარი –  
ჩემი სულის ცახცახა ნისლი,  
და როკაპიც ტუჩებს ილოკავს.  
ჭეჭეთობა ღამე მთავრდება.**

ეს არის ლექსი სიყვარულის სინამდვილე და მარადიულობაზე, რომელსაც მისი ავტორის მაღალი რწმენის გამო ვერ ერევია კუდიანები. წმინდაა ჭეჭეთობა ღამის მთვარე და წმინდაა სულის ხსნის ნადილი. თუმცა ლექსი მთავრდება სტრიქონით „მე ჭეჭეთობა ღამეს დამლუპეს“, მაგრამ დალუპვისა არაფერი ეტყობა ლექსის ლირიკულ გმირს, პირიქით – იგი გადარჩენილია. ლექსში ერთმანეთს ერწყმის მითი და რეალობა, პოეტური ხილვები და მკაცრი სინამდვილე. ასევე წარმოსახულია პოეტის ავტობიოგრაფიული, გარდასახული ჭეჭეთობა ღამით:

**მე – ჩემი ღმერთის მონა-მხვეალი  
ჩემივე სისხლის ფარით ვირთვები;  
წყვილი ლოდივით მინგრევს ხერხემალს  
პოეტისა და ქალის ტვირთები.**

ყურადღება გავამახვილოთ ღმერთის ხსენებაზე და მივყვეთ ელა გოჩიაშვილის ლექსებს. ღმერთი ამ ლექსებში არა მხოლოდ პოეტური ფიგურაა, არამედ ყველა გრძნობისა და სიცოცხლის სათავე. რელიგიური გრძნობა ფოლკლორის გვერდით ელა გოჩიაშვილის ლექსების კიდევ ერთი მასაზღვრებელი წყაროა:

**რაც შეთხზულია უფლის ნიაღში,  
ვერ გავქეცევით ვერასდიდებით.  
მივდივართ...  
ყველა საკუთარ ჩონჩხს და  
საკუთარ ცრემლებს მივეზიდებით...  
ვისაც გვიყვარდა და ცეცხლი გვერგო,  
ვინც გზას და კოცონს შემოვრჩით ერთი,  
მივიტანთ ნაცარს და დავასვენებთ  
ჩაფიქრებული ღმერთების ფერხით...  
თავს რით ვიმართლებთ,  
შენდობის ღირსი  
რა მოგვაქვს, ვის რა მოგვაგონდება...  
ათასნაირი მიღელავს მგზავრი,  
ათასნაირი ისმის გოდება.  
მივდივართ...**

**ქრება ნაფეხურები,  
ნალექილია გზები ბინდებით,  
მარტოობის და ტრფობის ეკლებზე  
დაძენილ სულებს მივეზიდებით**

(„ვინ რას მივიტანთ“...)

ეს ლექსი მორწმუნე სულის ამოძახილია. ყოველივე ღვთის მიერ არის განსაზღვრული, ადამიანი ტანჯვისათვის არის გაჩენილი და მისი შვება მხოლოდ იმ წამშია, როცა უფალს საკუთარ ცოდვებს გაუმხელს, აღსარებას ეტყვის და შენდობას მიიღებს, იმ შენდობას, რომლისაც, როგორც ლექსშია ნათქვამი, უბრალო მოკვდავი ღირსნი არა ვართ. მას შემდეგ, რაც ევამ შესცოდა და სამოთხის ბაღში აკრძალული ხილი იგემა, ცოდვიანია ადამის მოდგმა. მაგრამ ეს უკვე სხვა ლექსის თემაა და გვხვდება ლექსში „ბიბლიურ ევას“:

**მოგიჯახუნეს კარი  
მოლანდებული ბაღის;  
რა გეშველება ახლა  
ცოდვით სასეს და დაღლილს...  
გედრიკებოდეს ფეხქვეშ  
ყოფნა-არყოფნის კიდე,  
ცრემლში აზელილ ლუკმას  
სისხლის წვიმაში მკიდევ.  
ღლის დაღამება სიმწრით,  
სიმწრით ღამეთა თევა,  
გაუქმებული ფრთები  
და იმედების მსხვერველა...  
შენ რა გითხარი, ევა...  
შენ რა გითხარი, ევა...**

ელა გოჩიაშვილის ლექსებს თემატური მრავალფეროვნება ახასიათებს, ეს მისი მდიდარი სულიერი ცხოვრებით არის განპირობებული, მისი ლექსების თემებიც სულიდან არის ამოზიდული და არა ყოველდღიური ცხოვრებით ნაკარნახევი. ყოფით თემებს იგი არ ეტანება და თუ ისინი მაინც გვხვდება აქა-იქ, მუდამ გასულიერებულია. მაგალითად, ლექსები „თამაში“ და „სიზმარში... სიზმარში“ უშვილო ქალის სევდით არის ნაკარნახევი, რომელიც მის წარმოსახვაში არსებულ ნაოცნებარ შვილთან ურთიერთობაზე მოგვითხრობს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ელა გოჩიაშვილის მიძღვნილი ხასიათის ლექსები: „მონტიკეტესა“ და „კაპულეტებს – ყველა ღირსეულ პოეტს“, „უამრავ Ne-ს“, „ორეულის გარეშე“ (ნუგზარ მწარიაშვილს), „ვაი, სიმარტოვენო“ (გივი გეგეჭკორს), „სტრასბურგის მთვარე“ (ომარ თურმანაულს), „დავით მჭედ-ლურს – პოეტს“, „გაცოცხლდი, გეხვენიტი, გაცოცხლდი“ (ნინოს), „ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის (ვუძღვნი მშობლებს), „ლიას, ნიას – ჩემს დებს“, „დედას“, „მთების დუმილი“ (ვუძღვნი ფსიქიკურად დაავადებულებს), „ცრემლი სამყაროს ღანვზე“ (ბორენა ჯაჭვლიანს).

ამ ლექსებში ჩანს მოსიყვარულე შვილი და და, მეგობარი, რომელიც ჩვეული სიტბოთი და ღრმა გრძნობით ევერება თავის ახლობლებს. ეს სიტბო ელა გოჩიაშვილის ყველა ლექსისათვის არის დამახასიათებელი. მის ლექსებში ჩვენ ვერ შევხვდებით განყენებულ მსჯელობებს და ცივ, გულუვრუნველს. რაც მოდის, მისი გულიდან მოდის, გულიდან არის ამოხეთქილი, თუმცა ზოგჯერ გაუჩინებელი, ხორკლიანი სტრიქონებიც შეინიშნება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათად და ამასთან – ასეთ სტრიქონებსაც აქვს თავისი ხიბლი – ისინი დაუმუშავებელ მარგალიტებს ჰგვანან, პირველყოფილ მარგალიტებს, ასე რომ უხდებიან და ამკობენ ელა გოჩიაშვილის პოეტურ სამყაროს.

ვახტანგ დავითაია

# ცხოვრების ფურცლები

22. VIII. 1988. დღის პირველი ნახევარი საზაფხულო უნივერსიტეტის სახელოსნოებში გავატარე. 2.00 სთ-ზე ვოიციკლეშიცკისთან ერთად ქალაქ პუასში ნავედით ლე კორბუზიეს „ვილა სავოის“ სანახავად. სერჟიდან სულ რაღაც 10 კმ-ზეა. რამდენი მითია შეთხზული XX საუკუნის ამ „ყველაზე დიდ და ყველაზე არასაყვარელ არქიტექტორზე“. მიუხედავად მისი უცილობო გენიალობისა, სიცოცხლეში მისთვის საქებარი და თბილი სიტყვები ცოტამ თუ გაიმეტა, არც ოჯახური ბედნიერება არგუნა ღმერთმა, „უძიროდ გადაშენდა“, სიკვდილიც ტრაგიკული ხვდა, თავის სოფელში, როკენ-რიუნკემ მარტენში ხმელთაშუა ზღვაში დაიხრჩო ეს 78 წლის გენიოსი. გულმა უღალატა. სამაგიეროდ დიდებულად დაასაფლავეს. „იგი ალექსანდრე დიდა თანამედროვე ქალაქისა“ – ასეთი სათაურით ამცნო მისი ტრაგიკული სიკვდილი სამყაროს პარიზის ერთ-ერთმა გავლენიანმა გაზეთმა. იგი ლუერის ეზოში დაასვენეს, აქედან გააცილა პარიზმა მისი ნეშტი თავისი სოფლისაკენ. სამგლოვიარო მიტინგზე კი ერთმანეთს ეჯიბრებოდა მისადმი სიყვარულში ოფიციალური საფრანგეთი და ყოფილი მოწინააღმდეგენი.

არქიტექტორთა შორის კორბუზიე იყო პირველი ადამიანი (ალბათ უკანასკნელიც), რომელიც პოპულარობით და თავისი სახელის გარშემო ატეხილი სკანდალებით ტოლს არ უდებდა მის თანამედროვე მსახიობებსა და პოლიტიკოსებს. კორბუზიე ქალაქმგებმარებელი და არქიტექტორი, ფერმწერი და მოქანდაკე, დიზაინერი და „ახალი არქიტექტურის“ დიდი თეორეტიკოსი, ბრწყინვალე პოლემისტი, ლირიკოსი პოეტი, – ასეთია კორბუზიეს მოღვაწეობის კიდევანი.

„ვილა სავოი“ „ახალი არქიტექტურის“ ქრესტომათიაა, მისი დედა ენაა. აქ რეალიზებულია ამ სტილის ხუთივე პრინციპი (სახლი სვეტებზე, ბრტყელი სახურავი, თავისუფალი ფსაადი, თავისუფალი გეგმა, ჰორიზონტალური ფანჯრები), სანამ „ვილამდე“ მიხვალ, პარკი უნდა გაიარო. პარკი შემოღობილია, მიკროფონით უნდა აცნობოთ მუზეუმის მესვეურებს თქვენი გვარი და სახელი, რის შემდეგაც ჭიმპკარი ავტომატურად იღებდა. ერთ-ერთ ოთახში მოხუცი ქალბატონი ზის, თვალყურს ადევნებს ყველას და ყველაფერს. ნამეტანი შავია, ზანგი ნამდვილად არ არის (ანატომიურად), მაგრამ არც ფრანგია. თუ რამე შეეკითხე კორბუზიეს და ამ ვილის შესახებ, არ მოგეშვება, ყველაფერს დეტალურად მოგიყვება.

უცნაური ბედის გამოდგა ეს შენობა. სახლის მეპატრონე, სავოი, გაკოტრებულა და გარდაცვლილა. ქ-ნ სავოის ძალიან გასჭირვებია ამ სახლის მოვლა-პატრონობა. ომის დროს გერმანელებს დაუკავებიათ, შემდეგ ამერიკელები მოსულან, სახლი ნაწილობრივ დაზიანდა, პირწმინდად გაუძარცვავთ. ქ. პუასის ხელისუფლებას, რომელსაც მაინცდამაინც გულზე არ ეხატებოდა ეს სახლი, მოუხდენია მისი ექსპრობირაცია, რათა გაეთავისუფლებინათ ეს ნაკვეთი ქალთა ლიცეუმის მშენებლობისათვის. ყველაფერი ეს ხდებოდა ლე კორბუზიეს ზურგს უკან. ის იმ დროს ინდოეთში, ფენჯაბის შტატის ახალი დედაქალაქ ჩანდიგარჰის მშენებლობაზე იმყოფებოდა ხანგრძლივი პერიოდით. ერთ-ერთმა ახალგაზრდა არქიტექტორმა, რო-

მელმაც შეიტყო ამის შესახებ, სასწრაფო დეპეშა აფრინა „თანამედროვე არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესის“ (CIAM) შტაბ-ბინაში. მეორე დღესვე საფრანგეთის კულტურის მინისტრის ბ-ნ მალროს მაგიდაზე 250-მდე საპროტესტო დეპეშა იდო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. მინისტრის ბრძანებით „ვილა სავოი“ სასწრაფოდ შეიტანეს საფრანგეთის „ისტორიული ძეგლების“ სიაში, თუმცა ამ ქვეყნის კანონით არქიტექტურულ ძეგლად მხოლოდ გარდაცვლილი ავტორების ნაწარმოების შეტანა იყო ნებადართული.

23. VIII. 1988. დღეს სერჟის ცენტრში ასეთი სურათის მონემ გავხდი. ცისფერთვალა 14-15 წლის ფრანგი გოგონა ორთვალა „კალიასკით“ ასეირნებს ზანგის ტყუპ ბავშვებს. ეჭვგარეშეა, ეს გოგონა მათი გადიაა. ბედის ირონია! თავის დროზე საფრანგეთში ზანგები ჩამოიყვანეს შავ მუშებად და ხელზე მოსამსახურებდად. ახლა კი! ესეც თქვენი დემოკრატია. მომეჩვენა, პარიზი საკმაოდ გადაშავებულ-გადაყავისფერებულია.

24. VIII. 1988. გუშინ პარიზიდან დამირეკა დანი კარავანმა, შემატყობინა, რომ ხვალ დილის 10 საათზე ჩამოვა სერჟიში, ერთად ვნახავთ „დიდ ლერძს“, შემდეგ დავბრუნდებით პარიზში, სახელოსნოში, – მთელი დღე ჩემს განკარგულებაში უნდა იყო. ჩვენ პრალაში იუნესკოს სიმბოზიუმზე იგოცნით ერთმანეთი. ძალზე გახსნილი და უშუალო კაცია. იგი ისრაელშია დაბადებული 1930 წელს. იქვე დაამთავრა სამხატვრო სასწავლებელი, შემდეგ სწავლა გააგრძელა იტალიაში, ფლორენციაში, მხატვარ კოლაჩთან, დანი იმდენად არქიტექტურული მოქანდაკეა, რომ დაუფერებელიც კია, მას სპეციალური არქიტექტურული განათლება არა აქვს მიღებული, ის სუფთა გეომეტრიული ფორმებით მანიპულირებს. ხშირად იმეორებს კორბუზიეს სიტყვებს: „გეომეტრია და ღმერთები ერთ ტახტზე მეფობენ“. მისი პირველი დიდი ნამუშევარი, რომელმაც ფართო აღიარება მოუტანა, იყო ნეგევის მონუმენტი ანუ „სიცოცხლის მონუმენტი“ (1963-1968 წ.წ.). ეს მონუმენტი ისრაელის სამხრეთშია, ხმელთაშუა ზღვასა და მკვედრ ზღვას შორის, ბიარ შების უდაბნოში. იგი აღიმართა ისრაელის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ნეგევის რაზმის საპატივცემულოდ. ნეგევის მონუმენტი, ეს სხვადასხვა გეომეტრიული ფორმების კომპოზიციაა, ტრადიციული სიმბოლოებით, მზის მოძრაობა, დღის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად წარმოაჩენს ამ არქიტექტურულ ფორმებს. ნეგევის მემორიალში მკაფიოდ წარმოჩინდა დანი კარავანის ინტეგრესთა მიმართულება. 1976 წელი უმნიშვნელოვანესია დანის შემოქმედებით ბოგორაფიაში. მისმა კომპოზიციამ „იერუსალიმი – მეგობრობის ქალაქი“, ვენეციის ბიენალეს ოქროს მედალი დაიმსახურა. 1978 წელს, დანი კარავანი მართავს გამოფენას ბელვედერის ფორტზე, ფლორენციაში. ბელვედერის პლატო (ფორტი) მკაცრი გამოცდის პოლიგონია, აქ წარმატებას დიდი სახელი და პოპულარობა მოაქვს. 1979 წელს, დანი ანახლებს მუშაობას ქ. კოლენში ლუდვიგის მუზეუმის წინა მოედნის გაფორმებაზე. 1980 წელს მას უკვეთავენ სერჟის „დიდი ლერძის“ პროექტს.


დანი ზუსტად დათქმულ დროს ჩამოვიდა. „დიდი ლერძის“ დათვალიერება სან კრისტოფის ბელვედერის კოშკიდან დავიწყეთ. ძალზე მკაფიოდ აღიქმევა აქედან ლერძის ყველა ელემენტი. ლერძი კუთხით ჰკვეთს არქიტექტორ ბოფილის „სვეტებიან სახლს“, შემდეგ „ხილის ბაღი“, „ესპლანადა 12 სვეტი“, „ტერასა“, „სცენა“ – აქედან ვინრო პერპენდიკულარული ლერძი იღებს სათავეს და ებჯინება ჟერარ ფილიპის სახლ-მუზეუმს, შემდეგ, „დიდი ლერძი“ კვეთს „აუზს“, რომელიც მდინარე ოისის ყურეა“ და მდინარე ოისს და ებჯინება „ასტრონომიულ მოედანს“, ბოლო კვანძია „გზავჯარედინი“. ბელ-

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №9, 10

ვედერის კომპიდან გარკვევით ჩანს, რომ ეს სამი კილომეტრის სიგრძის ღერძი მიმართულია პარიზის დე ფანსისაკენ.

რა არის „დიდი ღერძი“? ვის მოუვიდა თავში მისი მშენებლობა ამ პრაგმატულ საუკუნეში? ჩემი აზრით, ეს თავისებური ხარკია ტრადიციის მიმართ. გავისხენოთ პარიზის ცნობილი არქიტექტურული ღერძები, ვო-ლე-ვიკომტის (XVII ს.) და მარლის (XVIII ს.) ბაროკალური პარკების მძლავრი ღერძები. „დიდი ღერძი“ თავისებური მხატვრული ლიცენციაა, მას რაიმე უტილიტარული დანიშნულება არ გააჩნია.

24. VIII. 1988. ღმერთმა მოგცეს ქ-ნი მიშელივით გზამკვლევი, მან პომპიდუს ცენტრი ხუთი თითვივით იცის, სად რა გამოფენაა, სად რა ფილმს უჩვენებენ, სად რა ლექციაა, სად რა სუვენირი, ნიგინი და პლაკატი იყიდება და სხვა... დათვალე რა ბოლო სართულიდან დავიწყეთ, ვერ წარმოვიდგინე თუ პარიზი ასეთი თეთრი იყო, იქნებ მზე მატყუებს? რა უტაქტოდაა ამოვარდნილი მონპარნასის შავი კომპი. ზემოდან ხელისგულივით ჩანს დეკორატიული აუზი და შენობის წინა მოედანი. აქ უამრავი ხალხი ირევა, მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ჯადოქრები, მუსიკოსები, ტროტუარზე მხატვრები. ისინი უჩვენებენ თავიანთ შესაძლებლობებს. პომპიდუს ცენტრზე იმდენი რამ დაინერა და გამოქვეყნდა, მის განმეორებას აზრი არა აქვს.



ვაჟას სამყარო – პოეზიის სახლი

25. VIII. 1988. დილით ვათვალე რებ დანის კატალოგებს. „დიდ ღერძზე“ ცალკე, სოლიდური ჟურნალიცაა გამოშვებული, გამოჩენილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნის და კრიტიკოსის პიერ რესტანის წინასიტყვაობით. აი, რას წერს ეს ქებაში სიტყვაძუნნი კაცი:

„მრავალი მოსაზრების გამო სერჟი-პონტუაზის „ექს მაჟორი“ (დიდი ღერძი) თანამედროვე ფრანგული ურბანიზმის და ახალი ქალაქების ისტორიაში უნიკალურ ფენომენს წარმოადგენს, უპირველესად ყოვლისა, კულტურული და ადმინისტრაციული სტრატეგიის თვალსაზრისით, ასევე განწყობილების გამო, რომელსაც ის გამოხატავს და ბოლოს, იმ განსაკუთრებული შემოქმედის გამო, როგორცაა დანი კარავანი“.

მისაბაძია ფრანგების, საერთოდ დასავლეთის, ყურადღება ობიექტის ბიოგრაფიისადმი. ყველა მასალა, პირადი წერილიდან სამთავრობო გადაწყვეტილებამდე, ოფიციალური თუ მეგობრული შეხვედრები, განხილვების ოქმები და სხვა, ყველაფერი, რაც კი ეხება ობიექტს, იდეიდან რეალიზაციამდე, სკრუპულოზურად არის სისტემატიზირებული, ფოტოგრაფირებული და წიგნებად, ალბომებად, ბროშურებად გამოცემული. ასეა „ექს მაჟორზე“, ლუერის პირამიდაზე, „დიდი თაღზე“ და სხვა ობიექტებზეც.

26. VIII. 1988. დილის 9.30 სთ-ზე მე, ქ-ნი მიშელი და კორინა გავემგზავრეთ ქალაქგარეთ ახალი სავაჭრო ცენტრის „Mammoth“-ის (მამონტი) დასათვალე რებლად. ეს დღეები სერჟი პონტუაზში მიდიოდა მასიურებული აგიტაცია, რომ 25 აგვისტოს იხსნება ახალი სუპერ სავაჭრო ცენტრი, ყველგან გაკრულია პლაკატები ყვითელი მამონტით (ეს სავაჭრო ცენტრის ემბლემაა). მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო დღეა, მრავალათასიან პარკინგზე მანქანის სადგომს ვერ იშოვი, ეტყობა ინტერესი დიდი იყო და უამრავი ხალხია ჩამოსული ახლო-მახ-

ლო ქალაქებიდან. ინტერიერი ერთი თვალუწვდენელი სივრცეა, რაც შეეხება შემოთავაზებულ საქონელს, აქ იყიდება ყველაფერი ნემსიდან უახლოესი მოდელის ავტომანქანამდე. ყურადღებას იპყრობს მომსახურების მაღალი დონე. შესასვლელის წინ, მანქანების სადგომ მოედანსა და შენობას შორის, დიდი ფერადოვანი საბავშვო მოედნებია. სანამ მშობლები საყიდლებით არიან დაკავებული, უფროსი ასაკის ბავშვები აქ ერთობიან, სხვადასხვა ატრაქციონებით. უსაფრთხოების მიზნით ყველაფერი გასაბერი ელემენტებისგანაა შესრულებული, სავაჭრო პავილიონს მრავალი შესასვლელი აქვს, მის ორივე მხარეს „ბავშვთა ოთახებია“, ეს ღია პოდიუმებია. ძუძუთა ბავშვები შეგიძლიათ „კალიასკით“ დატოვოთ, შეგიძლიათ ხელზე ჩააბაროთ ზედამხედველებს, მარცხნივ კი უკვე ფეხადგმული ბავშვების ოთახია, ტელევიზორებით და სათამაშოებით. თუ გნებავთ, ბავშვები თან გაიყოლიოთ, ამისთვის სპეციალური ურიკებია, რომელსაც წინ ბავშვების ჩამოსაჯდომი სკამები აქვს. ერთი სიტყვით, ოღონდ იყიდე რამე.

სალამოს 5.00 საათისთვის ნატივი ხელოვნების სკოლის საგამოფენო დარბაზში უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. გამიკვირდა და რა თქმა უნდა გამებარდა, დარბაზში ბ-ნ ჩარლ სემსერი რომ ვიხილე. მან მითხრა, რომ უკვე მოასწრო გამოფენის დათვალე რება, მოსწონს ნამუშევრები, ზოგიერთი მათგანი კი განსაკუთრებით. შემდეგ ხელი მომიკიდა, ჩამოყვა პლანშეტებს, ახალგაზრდებმაც მისდიეს. „განსაკუთრებულში“ კი აღმოჩნდა ხეგასურეთის სოფელი ბისო, სვანეთის და აფხაზეთის (სოხუმში) მუზეუმები, გორის „გამარჯვების“ მემორიალი, „ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანში, „ხსოვნის კუბი“ სენაკში, კულტურის ფონდის საგამოფენო დარბაზის პროექტი, ქუთაისის მემორიალი, საქართველოს ფლორისა და ფაუნის მუზეუმი – „მონადირის სოფელი“ თბილისში, მხატვრის სახელოსნო ქუთაისში, სოფელ ცხუნკურის ცენტრი, მემორიალი ქ. სმოლიანისათვის.

ბ-ნმა ვარნიემ დამსწრეთ გააცნო ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფია, სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნი სემსერი, მიშელ ჟავენი და ჩემი არქიტექტორი, ხელოვნებათმცოდნე პაველ ჰალეკი, რომელიც ამ დილით ჩამოვიდა და ჩემ გვერდით ოთახში ცხოვრობს მანსარდამში. შემდეგ შედგა ჩემი საავტორო გამოსვლა. თემა: „კონტექსტი არქიტექტურაში“ სლაიდების ჩვენებით, პარალელური დიაპროექტორებით. ლექციას წინ უძღოდა საქართველოს ისტორიის, არქიტექტურის და ხელოვნების ისტორიის მიმოხილვა.

მრავალი კითხვა იყო დარბაზიდან.

კითხვა: რას ითხოვთ არქიტექტურისაგან?

პასუხი: არქიტექტურამ უნდა დააახლოვოს და გააერთიანოს ადამიანები, ქვეყნები.

კითხვა: უახლოესი პერიოდის რომელი ნაწარმოებები მოგწონთ?

პასუხი: მომწონს ნაწარმოებები, რომლებიც რეგიონალურ ნიშნებს ატარებენ და რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც ემოციურია, თავისთავადია. ლე კორუზიეს კაპელა რონშანში, კიმიო იოკოიამას ბუდისტური ტაძარი შიოჰონდო, უდ ზონის სიდნის ოპერის თეატრი, შუკეელსონის „დიდი თაღი“, კუროკავა, ისოზაკი, ჰანს პოლანი.

კითხვა: თქვენ რეგიონალიზმის მომხრე ხართ, როგორ შექმნით პროექტს თუკი დაკვეთას მიიღებთ არა საქართველოში, არამედ სხვა ქვეყანაში?

პასუხი: რეგიონალიზმი პრინციპია, პოზიციაა და გულისხმობს კონკრეტული ადგილის, კონკრეტული კულტურული და ისტორიული ფონის, კონკრეტული კლიმატური და ლანდშაფტური ფაქტორების გათვალისწინებას. სხვა ქვეყნებშიც ზუსტად ამასვე გავითვალისწინებდი.

კითხვა: რეგიონალიზმი ხომ არ ზღუდავს შემოქმედებით თავისუფლებას?

პასუხი: არცერთი პრინციპი არ ვარგა, რომელიც ზღუდავს შემოქმედებით თავისუფლებას. თუ თქვენ იცნობთ კუროკავას, ინგლანდის, დახინდენის ნამუშევრებს მათი სამშობლოს გარეთ, დარწმუნდებით, რომ რეგიონალიზმი არათუ ზღუდავს, პირიქით, ის უფრო საინტერესო მიგნებების წყაროა და გააჩნია კონკრეტული მისამართი.

კითხვა: თქვენ თქვით, რომ ინტერნაციონალური ინყება ნაციონალურიდან, მხოლოდ ნაციონალურ კულტურაზე დაყრდნობა ხომ არ ზღუდავს პროგრესს?

პასუხი: მე არასდროს და არსად მისხენებია „მხოლოდ ნაციონალურ კულტურაზე დაყრდნობა“. პირიქით, მე ვთქვი, რომ დღეს ნაციონალური კულტურის ფარგლები ძალზე ფართეა, რომ დღეს „ნაციონალური“ მთელი საკაცობრიო კულტურის გამოცდილებას გულისხმობს-მეთქი, დოსტოევსკი უაღრესად რუსი მწერალია, ამავე დროს უაღრესად ინტერნაციონალურიც, ჩინგიზ აიტმატოვი ყირგიზი მწერალია, იმავე დროს მთელ მსოფლიოს ეკუთვნის, ასევეა ქართველი მხატვარი ნიკო ფიროსმანიც. ინტერნაციონალური ეს აზროვნების მასშტაბი და სიდიდეა.

კითხვა: რა აზრისა ხართ ჰაი ტეკზე, დეკონსტრუქტივიზმზე, პოსტმოდერნზე?

პასუხი: ისევე, როგორც ცალკეული შენობა, ყოველი არქიტექტურული სტილი, უპირველესად ყოვლისა, ფსიქო-ემოციური ფენომენია. ჰაი ტეკი, რომლის კლასიკური ნიმუშიც პომ-პიდუს ცენტრია, ერთი შეხედვით უშუალო და გულწრფელია, თითქოს არაფერს მალავს, ყველაფერი სააშკარაოზე გამოაქვს, თითქოს ლოგიკურია. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქითაა. ტექნიკა, ტექნიკური პროგრესი, როგორც წესი, ეს საშუალებებია და არა მიზანი. ჰაი ტეკი საშუალებას აქცევს მიზნად. ის ემოციების თვალსაზრისით საკმაოდ ერთნიშნაა. ჰაი ტეკში არ არის მასისა და დეტალის იერარქია, მთავარი და მეორეხარისხოვანი.

დეკონსტრუქტივიზმი, არამყარი, არასაიმედო, აგრესიულობამდე აქტიური და ისტერიულია. დეკონსტრუქტივიზმი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გაგაკვიროს, გაგაოცოს, მაგრამ მას არ შეუძლია გახადოს ადამიანი ოდნავ უფრო ბედნიერი, ამაღლებული ან გააკეთილშობილოს ის. მისი მისწრაფებაა იყოს პირველი, განსხვავებული და ერთადერთი. ვერ იტანს მეზობლებს და ანსამბლს. ემოციური თვალსაზრისით ერთნიშნაა – ინვესს გაკვირვებას, დაბნეულობას.

პოსტმოდერნიზმი არ არის არავითარი დიქტატი, ძალადობა, ზენოლა. იგი მშვიდობიანი და მყარია, საიმედო და კეთილგანწყობილია, აღძრავს მოგონებებს. პოსტმოდერნი კეთილსინდისიერი და მართალია. თქვენ ალბათ გაგიკვირდებათ პოსტმოდერნთან მიმართებაში „კეთილსინდისიერების“ და „მართლის“ ხმარება. საქმე იმაშია, რომ მასში ნამდვილი არაფერია, რომ ის თეატრია, ფარსია, პირობითია, გნებავთ დაიჯერეთ, გნებავთ არა. ემოციების მხრივ მრავალფეროვანია.

საავტორო გამოსვლამ თითქმის ორ საათს გასტანა. მას-პინძლები კმაყოფილები არიან. როგორც ჩანს, არ მოელოდნენ აუდიტორიის ასეთ ინტერესს და აქტიურობას.

ქ-ნი მიშელი და ბ-ნი ბერნარდი სტუმრებს სახლში ვახშამზე ეპატიუებიან. სამი მანქანით მივადექით ტაიონების ცარიელ სახლს (ყველანი ლექციაზე იყვნენ). დაფაცურდნენ მასპინძლებიც და სტუმრებიც, მაცივრიდან გამოყარეს რაც ჰქონდათ, ტაფებზე რაღაც შიშინებეს. პაველმა ჩეხური არაყი ჩამოიტანა, მე ქართული ღვინოები მივაშველე. თუმცა ბ-ნი ბერნარდს ათასნაირი ღვინო აქვს. გამართა იმპროვიზებული ლხინი, იყვნენ ჩარლ სემსერი, ბერტრანდ ვარნიე, მიშელ ჟავენი, ვოიციკ ლემიეცკი, ორი მანდილოსანი ბ-ნი ბერტრანდის სამსახურიდან, პაველი, მე და მასპინძლები.

27. VIII. 1988. დღეს შაბათია. ქ-ნი მიშელი და ბ-ნი ბერტრანდი მე და პაველს (ჩეხი პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე) ქალაქგარეთ ისტორიული ადგილების მონახულებას გვთავაზობენ. ტოიონების სახლიდან სეზანის ფუნჯით უკვდავყოფილ ნისკვილამდე სულ რაღაც 500 მეტრია. ბედიც ამ ნისკვილს ჰქონია, რამდენი მისი თანამომძე აღიგავა პირისაგან მინისა უსახელოდ, ისე, რომ დღეს არავის ახსოვს. ამ პატარა ნისკვილს კი სათუთად ინახავენ. მაუბუისსონის სააბატონი (Abbaye de Maubucison) ხის ქანდაკებების გამოფენაა, ცალკე დარბაზებში კი არქეოლოგების მიერ მოპოვებული განძია ექსპონირებული. როიამონტის სააბატოს (Royamont Abbey) მთელი კომპლექსი კარგადაა შემონახული. სასახლე პერიმეტრალურადაა შეკრული, ქმნის ვრცელ შიდა ეზოს, სადაც პარკია გამართული. ეს სააბატო ლუი IX (შემდგომში „წმინდა ლუი“ წოდებული) დააარსა 1298 წელს და შუა საუკუნეებში საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და გავლენიანი სააბატო იყო.

პონტუაზის ნისკვილისა არ იყო, არც აუვერსის ეკლესია გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული არქიტექტურული და ისტორიული მახასიათებლებით, გარდა იმისა, რომ მას ვინსენტ ვან გოგის ფუნჯი შეეხო (ტილო დღეს პარიზის იმპრესიონიზმის მუზეუმს ეკუთვნის), იმ ადგილას, საიდანაც ვან გოგი ამ ეკლესიას ხატავდა, დადგმულია პატარა მემორიალური დაფა. ეკლესიის სიახლოვეს აუვერსის სასაფლაოზე ერთმანეთის გვერდით გალავნის ქვის კედელთან განისვენებენ ძმები ვინსენტ და თეო ვან გოგები. ორი ერთნაირი პატარა მარმარილოს ფილა მიანიშნებს მათ სამუდამო სასუფეველს. ვინსენტმა 37 წელი იცხოვრა და მთელი ეპოქა შექმნა ფერწერაში, თეომ, მხოლოდ 34 წელი და მთელი სიცოცხლე ეპილეფსიით დაავადებული გენიოსი ძმის მზრუნველობას შეაღია. პირველი გარდაიცვალა 1891 წელს (თავი მოიკლა), ხოლო მეორე ერთი წლის შემდეგ, თითქოს ცხოვრების მიზანი დაკარგა და განერიდა ამ საუფლოს. შთაბეჭდილებებით დატვირთულები, დაქანცულები დავებრუნდით სახლში, „ჩვენ გვჭირდება საფუძვლიანი რელაქსაცია“, – განაცხადა ბ-ნმა ბერნარდმა და ვახშმის სამზადისს შეუდგა. მხარი აუბეს ჟან ბატისტმა და კრისტოფმა. საორად ჰარმონიული და ღია ოჯახია, ბიჭებთან უამრავი თანატოლები მოდიან, გოგონები, ბიჭები. ხან ეზოში იკრიბებიან, არის ერთი ჟივილ-ხივილი, ხანაც სარდაფში, დახშულ, თითქმის ჰერმეტიულ „მუსიკალურ სალონში“, სადაც სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტებია, დამონტაჟებულია მიკროფონები და გამაძლიერებლები. ბ-ნი ბერნარდი პოლიტიკისადმი გულგრილი არ არის, კარგად შეეწყო პაველს. ქ-ნი მიშელი, რაღაცნაირად არა ფრანგია, რაც აქ ვარ, სულ ერთი და იგივე ტანსაცმელი აცვია, ჯინსის შარვალი და თხელი, უყელი, მოკლესახელოიანი მუქი „კოფტა“. ასე დადის ხელოვნების სკოლაში, სტუმრად, პარიზში თუ ექსპურსიაზე.

დასასრული შემდეგ ნომერში

ომარ ხაიამი

# როზაიები

\* \* \*

უქონლობისა არა მჭირს საფიქრალ-სავაგლახო რამ,  
ან განა მიტომ არ ვთვრები, ვინმეს არ შევეუძრახო რამ,  
ღვინოა გულის სალბუნი, მოსალხენ-საინახო რამ,  
მე, ჩემო, შენგნით დავბრმავდი, შენ იქნებ დაინახო რამ.

\* \* \*

რა მინდოდა, რატომ დამსვა უხილავმა ძალამ აქ მე?  
მომატყუეს, წუთისოფლის ძაგებაა ჩემი საქმე,  
ჩემს დიდ შემქმნელს ავემრიზე, ვერ მივმხვდარვარ  
ყოფნის მიზეზს –  
ან ჩემს ყოფნას რა ფასი აქვს, ან არყოფნას რისად ვაქნევ.

\* \* \*

აზრთა მბრწყინავ მარგალიტებს ბასრი ჭკუით ხვრეტდა  
ვინაც,  
ვინც ჩემობდა: ვიცი ღმერთი, მისი სადგომი და ბინა,  
ჯერ მეუფის სიდიდეზე გაბედა და წაიყბედა,  
მაგრამ ვერ თქვა ვერაფერი, დაღლილს ისე მიეძინა.

\* \* \*

თუმცა სახით და თმით – ლამაზი – ბევრს ვჯაბნი, ნასებს,  
ღანვად ტიტა მაქვს, საროდ ავდეგ სხეულის ხაზებს,  
მაინც არ მესმის, ამ სანუთროს წარმავალ ბაღში  
მხატვართ მხატვარმა ნეტავ რისთვის შემამკო ასე?

\* \* \*

გარდასულზე ნუ ინაღვლებ, ვერ დაიწყებ თავიდან,  
წურც ხვალინდელს ნუ მოფარჩავ დარდის მოსართავითა,  
ორ დღეს ცოცხლობ, არას გარგებს ორი დღისთვის წუხილი:  
დღისა, ჯერ რომ არ დამდგარა, და დღისა, რაც წავიდა.

\* \* \*

რადგანაც ქვეყნად კაცის ბედი ასე ყოფილა:  
დარდით დამდნარი კაეშანზე გადამხობილა,  
ნეტავი იმას, ვინც აქედან მალე წასულა  
და ასჯერ ნეტავ იმას, ვინაც სულ არ შობილა.

\* \* \*

მე ის არა ვარ, ვისაც წასვლის დაზაფრავს ჯავრი,  
რაკილა მუდამ ჩაუვლელი მერჩივნა ჩავლილს,

მაღალმა ღმერთმა სულ ცოტა ხნით მასესხა სული,  
უკანვე მივცემ ვალს, როგორც კი მოანვეს ყავლი.

\* \* \*

ცხოვრების წიგნში ვიმკითხავე ცნობისწადილით  
და ბრძენს უეცრად გულს აღმოხდა ხაფი ხადილი:  
ნეტავი იმას, ვინც მთვარის დარ სატრფოს ეხვევა  
ღამით და, ღამე ხანგრძლივია წელიწადივით.

\* \* \*

უფლის განგებას ვერ ჩავწვდებით ჩვენი ფიქრებით,  
ვერც მის ხელნაწერს წავიკითხავთ, ისე მივქრებით,  
მე და შენ ახლა სქელი ფარდის მიღმა ვბაასობთ  
და როცა ფარდა აიხდება, აღარ ვიქნებით.

\* \* \*

ბედმა ცხოვრება მუდამ შავი ფერით მიხატა,  
სევდით დამლენა მანვე, ვინაც შემქმნა თიხადა,  
მადლობა უფალს, რომ ამ ქვეყნად ნაღველი მაინც  
უხვად მომცა და სამოწყალო არ გამიხადა.

\* \* \*

ამბობენ, უფალს თურმე ბევრი მხეველ-მსახური  
ჰყავს სამოთხეში კეთილთათვის გადანახული,  
თუმც იმ ნისიას ნაღდად სჯობს ეს ნაღდი აილო,  
რადგან შორიდან ტკბილად ისმის დოლის ბრახუნი.

\* \* \*

რაკი შენი ცხოვრებიდან მიგისხლტის და წასვლას ჩქარობს  
წამი, წაწვდი, არ გაუშვა, რომ დარდში არ ჩაიაროს,  
სიცოცხლეა ამა ქვეყნის უმთავრესი საგანძური,  
მწყურვალევით დაენაფე მაცოცხლებელ ლხენის წყაროს.

\* \* \*

გაზაფხულდა, ინათა, ცაა ნამაისარი,  
ჩიტს მგალობელს გულში სჭირს სიყვარულის ისარი,  
თუმც ბულბულთა გოდება რანაირი ტრფობაა,  
რომ კვდები და ვერ ამბობ – სიყვარული ის არი.

\* \* \*

მშვენიერო, გათენდა და ვიდრე შემზარავი  
ყამი წამოგვწვია, ტრფობის დავცეთ კარავი,  
ჩქარა, თორემ აქ მყოფნი დიდხანს ვერ დარჩებიან  
და დღემდე არც იქიდან არ მოსულა არავინ.

\* \* \*

მაგ შენს თვალეში რა სადარდელს გაუკვესია,  
იყოს და ჭმუნვას არ დანებდეს – კაცის წესია,

რაკილა მე და შენი ბედი ჩვენ ხელთ არ არი,  
განგებას ბრძნულად დამორჩილდე, უკეთესია.

\* \* \*

სანამ დარდმა არ გამოძრა, არ შევიქენ სანამ ხელი,  
მანამ ღვინით ვერასოდეს გავისველე მშრალი ყელი,  
სხვის მარილში პური ისე ერთხელაც კი ვერ ჩავანე,  
ვიდრე ჩემივ ჯიგრის ცხელი ქაბაბი არ გეახელი.

\* \* \*

ბედის ჩოგნით რეტდასხმულო, უბადრუკო, თეთრო  
ბურთო,  
არაფერი არ უნდა თქვა, თავი სადაც უნდა დურთო,  
ვინც ამ ქვეყნად მოგვიყვანა, თავის ხოშზე გვათამაშებს,  
არასოდეს არა გვკითხავს, თქვენ რა გსურთ ან როგორ  
გსურთო.

\* \* \*

ჯობს ცოტა გყავდეს მეგობარი, შენი მიზანი  
უნდა ის იყოს, მარტოობის გახდე ხიზანი,  
რადგან ვიზეც კი დაღლილს გული ჩამოგიყრდნია,  
როცა გონების თვალს აახელ, მტერი ის არი.

\* \* \*

ვაგლახ, არასდროს გამეკვირტა ცხოვრების ნარი,  
თუმცა ვედრებით დავაოლე ზეცა და მყარი,  
ნეტავი ყოფნის ნესტიანი და ვიწრო დილეგში  
ერთხელაც ვრცელი არყოფნისკენ გამეგნო კარი.

\* \* \*

მეუფეო, რატომ სწყალობ ყველა ქურდს და გაიძვერას,  
არ მოაკლებ სრა-სასახლეს, ავეჯს, სარჩოს და თბილ  
კერას,  
ალალ კაცს კი ხმელა პურზე დასვამ... მართლაც ახი არი,  
ამისთანა ბედს რომ კაცმა მიაფუოს, როგორც ჯერ არს.

\* \* \*

ალონზე დუქნის კარებს მოვაშურე, საიმედოს,  
გზაზე მთვრალი კაცი შემხვდა, მხარზეც ღვინის დოქი  
ედო,  
ვუთხარ: ღვთისა არ გრცხვენია, ასე როგორ გაილეშე?!  
მითხრა: ღმერთი მოწყალეა, დალიე და ბევრს ნუ ყბედობ.

\* \* \*

მან, ვინც მშვენიერთ მიანიჭა თლილი სახენი,  
შეყვარებულებს გაუჩინა სევდა მსახვრელი,

აი დარდი, თუ სიხარული არა მრგებია,  
სამაგიეროდ, სევდა ხომ მაქვს თავზე საყრელი.

\* \* \*

მნდუო, ეს გული თუ ხელიდან ერთხელ წავიდა,  
ზღვაა, მითხარი, სად წავიდე თავის თავიდან,  
კაცს – უმეცრებით სავსე ქურჭელს – გონი რომ  
ჰქონდეს,  
თავს უსათუოდ დაიხრჩობდა სატრფოს კავითა.

\* \* \*

აილე თასი, დავიყუჩოთ ძველი იარა,  
ჯობს მოსალხენად მივაშუროთ ბაღს და იალაღს,  
ვიჩქაროთ, თორემ ბედისწერამ მრავალი კაცი  
ზოგი დოქად ქმნა, ზოგიც კიდევ ღვინის ფიალად.

\* \* \*

ხამს თვალწინ გედგას სატრფოს სახე მთელი სიცოცხლე,  
წამისთვის გეგოს ლხენის მახე მთელი სიცოცხლე,  
რაკილა ბოლოს იქით წასვლა არც შენ აგცდებდა,  
სიზმრად იგულე ის, რაც ნახე მთელი სიცოცხლე.

\* \* \*

მე რას მერჩი, თუკი, ღმერთო, თვით მოზილე ჩემი თიხა,  
ჩემი ხორცის პერანგი და ზედაც ხერხემლის ხარისხა,  
ანათეო, გამომიშვი, აქ მზე დამხვდა დიდი ქიშით,  
ამ კამკაშა სინათლეში აბა როგორ მემარისა?!

\* \* \*

ამქვეყნიურ დარდის ჩაკვლა ლალის ღვინის თასში  
მინებს,  
გულს ნაღველით დაღამებულს ოდენ ღვინო  
გააბრწყინებს.  
ასე ვიზამ – ძალით შერთულ ჭკუა რწმენას გავეყრები.  
მერე ვაზის ასულთანაც\* სიხარულით ვიქორწინებ.

\* \* \*

შენც დანყნარდი, ჩემო ძმაო – კლდეთა მორღვეულო  
რიფო,  
განა ქვეყანა ბაღია, სულ რომ ია-ვარდი კრიფო,  
სიცრუე და ორპირობა წუთის ქვეყნის თვისებაა,  
არ იქნება რომ სულ ეგრე გეამხანაგ-გეარიფოს.

სპარსულიდან თარგმნა  
გიორგი ლოპხანიძე

\* ღვინის გავრცელებული მეტაფორა შუასაუკუნეთა სპარსულ პოეზიაში.

დაიბადა 1953 წელს ქ. კაუნასში. ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების (1976 წ.) შემდეგ ერთხანს ლიტვური ენციკლოპედიის რედაქციაში მუშაობდა, მერე სამხატვრო ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრაზე. 1986 წლიდან ემიგრაციაშია. 2001-2004 წლებში ხელმძღვანელობდა რადიო „თავისუფლების“ ლიტვურ განყოფილებას.

მისი პირველი მოთხრობები ლიტვურ ლიტერატურულ

პრესაში 1969 წლიდან გამოჩნდა. 1977 წელს გამოიცა მისი პირველი კრებული „უსაზღვრო სამყარო“, რასაც მოჰყვა სხვადასხვა კრებულებიც. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მისმა რომანმა „გველის მზერამ“, რომელიც ოც ენაზეა თარგმნილი და რომლის მიხედვითაც ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნა კინო და ტელე-ფილმები.

2004 წლიდან ცხოვრობს ამერიკაში და მუშაობს, როგორც დამოუკიდებელი ფოტოგრაფი.

თომას საულიუს კონდროტასი


# კენტავრი საბჰარეულო ბერბზე

არის ჩვენში რალაც, რის გამოც სულ ვცახცახებთ. რაც გვაიძულებს, გავყუჩდეთ და დავიმალოთ, როგორც იმალება ქურდი, ღამის სიბნელეში ანდა კაცი, ნასვამ გულზე რომ აწყენინა მბრძანებელს და გულის ფანცქალით ელის, რით დამთავრდება ყველაფერი, რა განაჩენს გამოუტანენ. რა იმალება იქ, ჩვენი სულისა და სხეულის სიღრმეებში? საიდან მოდის ეს უცნაური განცდა, რომელიც ყველასათვის ნაცნობია. მახსოვს, მამაჩემი, კუკუვაიტისი, ნასადილეგს, დღის ძილისგან გამოფხიზლებული, შეშინებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, თითქოს შორიახლო ჩა-საფრებულ მტერს ეძებდა. არ ვიცი, რატომ იქცეოდა ასე. მაშინ მეგონა, თავის სიცოცხლეს დაჰკანკალებდა. როცა წამოვიზარდე, მივხვდი ვცდებოდი, ვცდებოდი. ჭეშმარიტება ძალზე მარტივი და ამავე დროს ძალზე რთული აღმოჩნდა. ეს მტერი ჩვენშივე იყო ჩაბუდებული. რამდენჯერმე შევნიშნე, რომ ჩვიდმეტი წლის ვაჟიშვილი, შვიანტარაგისი, ისრის სროლისა, თამაშისა თუ ფიქრის დროს უცბად კრთებოდა, თვალის გუგები უვიწროვდებოდა და კუნთები ეჭიმებოდა, როგორც აფთარს ნახტომის წინ. ჩვენ ყველანი – მამაჩემი, მე, შვიანტარაგისი – ძლიერი, ჯანმრთელი, ღონიერი მამაკაცები ვართ და თავისუფლად შეგვიძლია რქები მოვუგრიხოთ ცხოვრებას, ბეჭებზე დავცეთ ანდა მუხლზე დავაჩოქოთ. ერთი სიტყვით, მიზნების მისაღწევად მორჩილ იარაღად ვაქციოთ, მაგრამ რალაც გვიშლის ხელს. ჩვენ დუნენი ვართ და დონდლონი. სულ ეჭვი გვეპარება ჩვენს აზრებსა და გრძნობებში; და ჩამოვგავართ თითებგაფარჩხულ ხელისგულს, რომლიდანაც ქვიშასავით მიედინება სიცოცხლე. სწორედ ამიტომ, ნაცვლად იმისა, რომ ვბატონობდეთ სიცოცხლეზე, თვითონვე ვნებდებით მის ძალაუფლებას. სულ რალაცას ველით ღრმად დარწმუნებულნი, რომ ეს „რალაცა“ უბედურებაა.

ვფიქრობ, ჩვენს გვარში ვილაცას დიდი შეცდომა მოუვიდა და ამ შეცდომის შედეგები გვდევს თან. ხანდახან მგონია, ვიცი კიდეც, რა შეცდომაა ეს. ერთი სიტყვით, ჩვენი უძლურების მიზეზი წარსულშია საძიებელი.

აი, რა მიაბო ვარშასმა:

დათვის ტყავზე იყო მიწოლილი, გარშემორტყმული არყისა და კუნელისაგან გამოთლილი ადამიანთა და ცხოველთა უამრავი ფიგურით, რომელთაც ფერფლისა და ქონის ნაზავი ესვათ. ვილაც-ვილაცებს, ვისაც ეს ფიგურები ნანახი ჰქონდათ, კერპები ეგონათ, მარტოობისას თავყანს რომ სცემდა ვარშასი. თვითონ კი გამანდო:



იმ ცხოველთა და ადამიანთა ხატებაა, მე რომ სიცოცხლეს გამოვასალმეო. ვფიქრობ, ერთიც სწორია და მეორეც. ნანახ სახეებში განხორციელებული ვარშასის წარმოუდგენლად ხანგრძლივი სიცოცხლე დროთა განმავლობაში მისთვის წმინდად იქცა. ამიტომაც გააღმერთა ყოველდღიურ საქმიანობაში გამოხატული თავისი რეალური ცხოვრება და პირად ცხოვრებად კი არა, საყოველთაოდ მიიჩნია. ღამლამობით, როცა ქარის მოტანილ ტყის, მინის, ყანისა და სახლების ხმებს მიაყურადებს ხოლმე, ვარშასი რწმუნდება, რომ ასე დიდხანს მის მიერ მოკლულ ადამიანთა სიცოცხლის ხარჯზე იცხოვრა.

შეიძლება ვცდები კიდეც და ეს ფიგურები უბრალოდ ოთახის ისეთივე სამშვენისია, როგორც ყოფილი მონადირის ოთახში ირმისა თუ ჯიხვის რქები.

– ვარშას, რალა მოკლული ადამიანთა ფიგურებით მორთე აქაურობა, არ ჯობდა იმათი ხატებისათვის გეყურებინა, ვინც შექმენი?!

სახზე ძლივსშესამჩნევმა ღიმღმა გადაჰკრა. სიბერი-საგან გაძვალტყავებული თითები აუცახცახდა, ოდნავ გახსნა გადათეთრებული ბაგეები და მიპასუხა:

– ამას მაშინ გაიგებ, უტიანის, ჩემი ხნისა რომ მოიყრები. რბილი, სასიამოვნო ხმა აქვს. მისი სიტყვების მერე ოთახში ჰაერი ოდნავ ირხევა. ვარშასი გაურბის პასუხს, კაცმა რომ თქვას, ის არც მაინტერესებს. მოხუცს დიდი, ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს და ჩემთვის ესაა მთავარი. ამაზე მსურს მასთან საუბარი.

ვარშასი ის მსახურია, რომელიც ვარშასს ხედავს. არა, სწორად ვერ ვთქვი. უბრალოდ ჩვენს სახლში გარკვეული ფუნქცია აღარ აკისრია. აღარც ოთახებს ალაგებს, აღარც საძინებელს აწესრიგებს, აღარც თავადის ქალი, ვისგალე, შემოჰყავს ჩემთან – ასეთი რამეებისთვის კარგა ხანია ბებერია, მაგრამ თავისებურ სამსახურს მაინც გვიწევს. ვარშასი ჩვენი ერთადერთი საიმედო საყრდენია შეცნობადობის რთულ გზაზე, გვიჩვენებს გამოსავალს, როცა ფიქრისაგან თავგზააბნეულებმა აღარ ვიცით, როგორ მოვიქცეთ. გვეშვლის, როცა არ ვიცით, როგორ დავსაჯოთ



დამნაშავე და გვეხმარება, როცა გვსურს შევიცნოთ საკუთარი თავი, გვსურს გავიგოთ, ვინა ვართ და საიდან მოვდივართ.

ვარშასს წერილების წერაც შეუძლია. იგი მამაჩემის, კუკუვაიტისის, მსახური იყო. ჯერ კიდევ პატარა ბიჭი, ბაბუაჩემს, ჟივინბუდასს, ემსახურებოდა. მას უცილოდ აქვს პასუხი ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მე მოსვენებას მიკარგავს. ვისაც წერილების წერა შეუძლია, ნაზიარებია იმ საიდუმლოებებს, რომლებიც ადამიანებს სხვისთვის გაუმხელელად ჩააქვთ საფლავში. თუმცა ვარშასს ჩემგან დაფარული არაფერი ჰქონია.

მან აიღო ხორცის ნაჭერი და უფერო, რბილი ღრძილებითა და შემოცვეთილი კბილებით დაუნყო ლოდნა. წინ, მაგიდაზე, გამხმარი ხორცი თეფშზე ედო. თან ლოდნიდა, თან გამჭოლ მზერას არ მაშორებდა, თითქოს ბრალს მდებდა, მასავით ბებერი რომ არ ვიყავი.

კარი ბოლომდე მოღებულყო. მის მიღმა მზესა და ქარს ფერხულში ჩაება ხეები, ბუჩქები, ბალახები და აქა-იქ შემორჩენილი ღრუბლები. ჩახჩახა მზის ელვარე სხივები გულგრილად დანათოდნენ დედამინას. ჩემს მოსასხამში გავეხვიე და იმაზე დავიწყე ფიქრი, როგორ ამეხსნა ვარშასისთვის, რა მსურდა შემეცყო მისგან. აქ, ნახევრად სიბნელებში, იგი ისეთი მსუბუქი და გამჭირვალე ჩანდა, ნებისმიერ წამს შეიძლება ყინულივით გამოხვალყო.

– ვარშას, ძალიან მინდა რაღაც ამიხსნა.

არაფერს მპასუხობს, მზერას აყოლებს ქარის დაბლა ქროლვასა და მინასთან მოქანავე მერცხალს. და ამ წუთში, შემიძლია დავიფიცო, იცის, რაც მაინტერესებს.

– მითხარი, ვარშას, ჩვენ, ვინც ქვეყნის შუაგულში ვცხოვრობთ, რატომ ვგრძნობთ თავს ისე, თითქოს ქვეყნის დასალიერს ვიმყოფებოდეთ? ასე მგონია, თითქოს ვიღაც გარე სამყაროსაგან ისე გვიცავს, როგორც მებაღე თავის ბაღჩეულს გარეშეთაგან.

ვარშასი დუმს და თავს აქნევს.

– არა, ვარშას, შენ იცი, ყველაფერი იცი და გიბრძანებ, ამიხსნა, რას ველით?!

– ბრძანება შენი საქმეა! ოღონდ, გახსოვდეს, ჩემს ასაკში ამას მნიშვნელობა აღარ გააჩნია.

– მითხარი, ვარშას! – ჩემი ხმა ნელინელ კარგავს სიმკაცრეს.

– ხალხს უხარია, თუ მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობს. ძალიან ცოტაა ქვეყნად კაცი, რომელიც შენსავით, შენი ვაჟივით და შენი ახლობლებივით მშვიდად ცხოვრობდეს. შენ ბედნიერი ხარ. მაშინ, როცა ათასგვარი ხიფათით აღსავსე სამყარო ცხიმიანი ხორციით სავსე ქვაბივით თუხთუხებს, რადგანაც კაცის სიხარბეს ზღვარი არ გააჩნია, შენ მშვიდად ხარ. არავითარი განსაცდელი არ გელის. არც შენს სიცოცხლეს, არც საბრძანებელს არავინ ემუქრება, არავინ ემტერება.

– ტყუილია, ვარშას! რასაც უნდა ვაკეთებდე, ვგრძნობ, ზურგიდან ვიღაც მითვალთვალვებს. ვცდილობ, სწრაფად და მოულოდნელად შემოვბრუნდე, რომ დავინახო, ვინ არის. ამოდ. ვერავის ვხედავ. მაინც ვიცი, ვიღაც მითვალთვალვებს. ასე უთვალთვალვებდნენ მამაჩემს, ასე უთვალთვალვებენ შვიანტარაგისს. ჩვენ სულ თავდასხმის მოლოდინში ვართ. რა არის ეს, ვარშას, შენ ხომ იცი, გვითხარი?!

ვარშასი წერწყვით დამბალ ხორცის ნაჭერს ყლაპავს. ლუკმა ზანტად მიემართება საყლაპავიდან ქვემოთ. ოთახი

სიბერის მძაღლე სუნით ისეა გაჟღენთილი, რომ ამ სუნს ვერც მორით ნაშენი კედლის ღრეჭობებში გარჭობილ, გამხმარ სამკურნალო მცენარეთა სურნელი ახშობს.

– ვიცი, – მპასუხობს ჩუმიად, – ვიცი.

ოთახში მერცხალი შემოფრინდა. ჩვენს ზემოთ წრე შემოხაზა. რაღაც ჩაიჭიკჭიკა და გაფრინდა. ამ არემარეში უამრავი ჩიტი იყო, მაგრამ ამ წუთში მერცხლის გამოჩენა იმის მაუწყებლად მივიჩნიე, რომ მოხუცს ეკრძალებოდა ჩემთან საუბარი. ერთ წერტილს მიჩერებული შესაფერის სიტყვებს ეძებდა.

და აი, რა მიაბმო ვარშასმა!

– ყველაფერი კენტავრის ბრალია, – დაინყო, – და კიდევ ეირემფერდენის მსახურის, იუჩასი.

ხმას ხან აუნევდა, ხან დაუნევდა. თითქოს გრძელ, მდორე სიმღერას მღეროდა.

– მაგრამ მანამდე მუშაუკის ვაჟი, ატილა გამოჩნდა. ისეთი საშინელი, დაუნდობელი და მრისხანე იყო, რომ ხალხმა ღვთის როზგი უწოდა. საკუთარი ძმები – აჩარა, როჰა და ბლედონი – სიცოცხლეს გამოასალმა. მერე მათ შორეული მიწების დედოფალი და თერთმეტი ათასი უდანაშაულო ქალწულიც მიაყოლა. უხაროდა, სისხლი ნიაღვარივით რომ მოედინებოდა, ნეტარებას ანიჭებდა ნითელი ფერი, რომლის დანახვაზე ნესტოები იმ მგელივით უთროთოდა, ლემის სუნი რომ იკრა. რაკი ძმები მოიშორა, ატილა უნგრეთის მინათა ერთპიროვნული მმართველი გახდა. მადაც გაეხსნა და თავისი ტომის ხუთასკაციანი სისხლმონყურებული ჯარით იტალიისაკენ დაიძრა. ყველა ცოცხალი არსება გაურბოდა და მინის ჯურღმულს აფარებდა თავს. ატილას მრისხანებით დამფრთხალი პონტოს სამეფოს უფლისწული, მარკუს აგრელიუს პალემონასი, ოთხი გვარის პატრიციებთან ერთად ნავში ჩაჯდა და ზღვაში გავიდა. ზღვებსა და ოკეანეებში დიდი ხნის ხეტილის შემდეგ მათ ნემუნასში შეცურეს და სათავისკენ გასწიეს. ისეთ ადგილს ეძებდნენ, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მშვიდი ცხოვრების დაწყება, რადგანაც ეჩვენებოდათ, ატილა ფეხდაფეხ მოგვედევსო.

რამდენიმე ხნის შემდეგ დუბისში შეცურდნენ, მდინარის ორივე მხარეს მაღალი მთები იყო აღმართული. მდინარისიქით ვრცელი ველები და ათასი ჯურის ცხოველებით – ტურებით, მელიებით, ღორებით, ციყვებით, ლოსებით, ირმებითა და შვლებით – სავსე ხშირი, ტანაყრილი მუხრანი გაშლილიყო.

ტბებშიც ბლომად მოიპოვებოდა მდინარეებიდან და შორეული ზღვებიდან შემოსული ნაირ-ნაირი თევზი. ნემუნასი ხომ ზღვის შორიხლო ილებს სათავეს. სწორედ ამ მდინარეთა – დუბისის, ნემუნასის, იუროს – ნაპირებზე დასახლდნენ და გამრავლდნენ პონტოელები, ხოლო თავიანთ ახალ სამკვიდროს შემაიტია უწოდეს.

პალემონასთან ერთად მოხულ ოთხივე საგვარეულოს თავისი გერბი ჰქონდა. ერთისა იყო კენტავრი, მეორისა – სვეტები, მესამისა – დათვი, ხოლო მეოთხისა – ვარდი. საგვარეულოს მამამთავარნი იყვნენ: დაუსპრინგასი, პროსპერ ცეზარინი, იულონი და ჰექტორი. პალემონასს სამი ვაჟი შეეძინა, მაგრამ შთამომავლობა მხოლოდ ერთმა, კაუნასმა, დატოვა. მის ვაჟებსაც, კიარნიუსსა და გიმბუტასს, თითო-თითო ვაჟი ჰყავდათ. კიარნიუსს – ჟივინბუდასი, ხოლო გიმბუტასს – მანტილა. როცა ჟივინბუდასი იმხელა გახდა, რამხელაც ახლა შენი შვილია, თავადმა კიარნიუს-

მა, მე, თერთმეტი წლის ბიჭი, ბისენაიდან ხელზე მოსამსახურედ მომიყვანა.

– მოიცა, მოიცა, ვარშას, – ვუთხარი, – კიარნიუსი პაპაჩემის მამა როგორ იქნებოდა? რაიმე ხომ არ გეშლება? შენ თვითონ არ მითხარი, კენტავრის გერბის მამამთავარი დაუსპრინგასი იყო? ეს დიდი ხნის ამბავია და, აბა, კარგად გაიხსენე!

– წყნარად, თავადო, კარგად მომისმინე, არაფერიც არ მეშლება. პაპაშენი მანტილას ძმა იყო, გიმბუტასის ვაჟი, და შენ დღეს პალემონის თავადი იქნებოდი, რომარა იუჩასი. ღმერთმა ნუ ქნას მისი ახლად მოვლინება!

ვარშასი დადუმდა. მივხვდი, გონებას იკრებდა, რათა მთავარი სათქმელი ეთქვა. მე გაქვავებული ვიჯექი და ვგრძნობდი, როგორ მიხურდა სახე.

– იუჩასი სულ პირველად თავად კიარნიუსის მეჯინებემ, სუდვასმა, შენიშნა. მდინარე გადმოეცურა და გავარვარებულ ქვიშაზე ტანისამოსს აშრობდა. კარგა მაღალი კაცი იყო, ასე ოცდაათი-ოცდათხუთმეტი წლისა. ნადირივით ძლიერს გაურკვეველი ფერის თვალები ჰქონდა. მისი მზერა ნებისმიერ საგანს ხვრეტდა. ერთი უცნაურობა სჭირდა: ოთხი დოქიდან ერთ-ერთში რომ ყოფილიყო რძე, იუჩასი სწორედ იმას წასწვებოდა, რომელშიც რძე ესხა. მაგრამ ამაზე მეტად იმან გაგვაოცა, რომ მთელ უზარმაზარ სხეულზე ბენვის ნასახიც არსად გააჩნდა: არც თავზე, არც ნიკაპზე, არც ილიამი და არც იქ, სადაც ყველა მამაკაცს აქვს. არ ჰქონდა არც წარბები და არც წამწამები. მზეზე გარუჯული იუჩასის თავის ქალა შაშვის კვერცხივით გლუვი იყო. ჩვენ გაცნობილნი შევეყურებდით, ის კი ისე იქცეოდა, თითქოს გაკვირვების საგანი თვითონ კი არა, ჩვენ ვყოფილიყავით. არა, ვერ ვიტყვი, ქედმაღალი იყო-მითქო. ხომ შეეძლო ეთქვა, თავისუფალი კაცი ვარო. ეჭვიც არავის შეეპარებოდა. მაგრამ არა, გვითხრა, მსახური ვარო.

– მე, იერემფერდენის მსახური, იუჩასი ვარ, – ასე წარუდგინა თავი თავადს და მოახსენა, – იერემფერდენი სალამს გითვლითო!

არც თავადმა და არც დიდებულებმა არ იცოდნენ, ვინ იყო ეს იერემფერდენი ან რა უნდა ეპასუხათ. მართო ჰკითხეს:

– რა გსურთ ჩვენგან, იუჩას, ან ვინ არის იერემფერდენი?

– იერემფერდენი ჩემი მბრძანებელია. ნება არ დაურთავს მასზე გელაპარაკოთ. მხოლოდ მიბრძანა, ფრიად სამწუხარო ამბავი გაცნობოთ. მართალია, არ სურს ტკივილი მოგაყენოთ, მაგრამ... თავადო, უბრძანეთ, თქვენი ძმა მოიყვანონ, მხოლოდ მასთან ერთად უნდა გადმოგვცეთ ჩემი ბატონის დანაბარები, მანამდე კი მიჩვენონ, სად შეიძლება მოვისვენო. ორმოცი დღე და ღამე მოვდიოდი, თვალს არ მომიხუჭავს, ძალიან დავიღალე.

იუჩასი ძალზე უბრალოდ, პრანჭვა-გრეხის გარეშე ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ხმის ძალიან ყველა მოგვწუსდა. თავი არც კი ჰქონდა სასთუმალზე მიდებული, ჩაეძინა და მხოლოდ მაშინ გაეღვიძა, როცა სასახლის ეზოში კაუნასიდან მობრუნებული თავად გიმბუტასის ცხენის ფლოქვეების ხმა გაისმა.

იუჩასს ოთხი დღე და ღამე გაუნძრევლად ეძინა. არაფერი უჭამია. რამდენჯერაც მივუტანე საჭმელი, პირი არაფრისთვის დაუკარებია. საოცარი იყო ისიც, რომ

თვალისა ეძინა. მე რომ ოთახში დავდიოდი, მისი გუგები ჩემს ყოველ მოძრაობას უთვალთვალედნენ, მაგრამ თავს დავედებ, ეძინა. იღო მოდუნებული სხეული, მშვიდად სუნთქავდა, გახსნილი ბაგებიდან წინ გადმოგდებული ენა უჩანდა. ტურის კუთხებიდან კი დორბლი ნიკაპზე ჩამოსდიოდა და ზედვე ახმებოდა.

დარბაზში შემოსვლისთანავე იუჩასმა თავიანი სცა ორივე თავადს და მათ პირდაპირ დადგა. ჩვენ სულგანაბულნი ვუცდიდით, რას იტყოდა.

– პალემონასის საგვარეულოს სალამს უძღვნის იერემფერდენი და მისი მსახურის, ანუ ჩემი მეშვეობით, გაცნობებთ, რომ თქვენი გვარი მეთორმეტე თაობაში შეწყდება!

თავად გიმბუტასს გახვდეთ, მთლად ნაცრისფერი ედო. მახვილის ტარი ჩაებლუჯა, მაგრამ იუჩასს თვალს არ დაუხამხამებია.

– თქვენ ან ერთმანეთს ამოხოცავთ, ან თავად ამოწყდებით. იერემფერდენმა, რომლისგანაც ამ ცის ქვეშეთში დამალული არაფერია, დაინახა, როგორ კვდებოდა უკანასკნელი პალემონასი ღვინის თასის ხელში! სულ ესაა, რისი გადმოცემაც დამავალა მბრძანებელმა.

იუჩასი დადუმდა. შეკრებილებმა ერთმანეთს სიბრაზით და შიშით გადახედეს. ვერაფერს მიმხვდარიყვენ. პირველად თავადი გიმბუტასი გამოერკვა და დაიყვირა:

– გათოკეთ ეს მატყუარა და მოლაღატე!

მსახურები თავადმა კიარნიუსმა შეაჩერა:

– ჩვენს ადგილს ვინ დაიკავებს?!

– კენტავრის საგვარეულო! – დაუფიქრებლად უპასუხა იუჩასმა.

– კენტავრის მერე ვილა იქნება?

– ეს მე არ ვიცი, მაგრამ იერემფერდენს ნამდვილად ეცოდინება.

– მერე სადაა ეს იერემფერდენი?! – ისევ დაიღრიალა თავადმა გიმბუტასმა. – მიჩვენეთ მისი საბრძანებელი, რომ ჭკუა ვასწავლო.

– იერემფერდენს ჭკუას ვერავინ ასწავლის, – აუღელვებლად მიუგო იუჩასმა. თან ისე მშვიდად შეჰყურებდა თავადებს, კაცი იფიქრებდა, ვნებათაღელვა მისთვის უცხო ხილიაო. – მასზე ნუ სწუხართ, დროა საკუთარ საგვარეულოს მიხედოთ.

– თუ ის, რაც გვაცნობთ, მართალია, საქმეს როგორ უნდა მივხედოთ?

– ჩვეულებრივად, – კვლავ დინჯად განაგრძო იუჩასმა, – თქვენი ერთ-ერთი შტო კენტავრად უნდა იქცეს.

ეს სიტყვები მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. უკმერგეს მიწებზე დავსპრუნგის უკანასკნელი ჩამოვავალი ცხოვრობდა და იმ წუთიდან, როცა აქ მყოფ თავადთაგან ერთ-ერთი თანხმობას განაცხადებდა მიელო კენტავრის გერბი, განწირული იყო.

ცოტა ხანს ისევ დაისადგურა სიჩუმემ, რომელიც კვლავ თავადმა გიმბუტასმა დაარღვია.

– მე ამ ქაჩალის არცერთი სიტყვის არა მჯერა, – ფეხების ბრახუნით წამოხტა განრისხებული გიმბუტასი. – ჩვენი გვარი მარადიულია, არავის მივცემ უფლებას ამაში დაეჭვდეს. კენტავრს მოვკლავ და აღარ დაგვემუქრება საფრთხე პალემონასის ჩამომავლებს არც ახლა, არც მომავალში. მე ვამბობ ამას, მე, გიმბუტასი!

– კენტავრი დაიკავებს პალემონასის ადგილს, – გაიმეორა იერემფერდენის მსახურმა იუჩასმა.

თავადი კიარნიუსი თვალს არ აცილებდა მოსულს, მე-რე წამოდგა და ისეთი რამ უთხრა იუჩასს, რომ თავად გიმბუტასს სიბრაზისაგან კანკალი დაანყებინა.

– უცხოტომელო, მე მჯერა შენი, ამიტომაც თანახმა ვარ, ჩემი ვაჟი, ჟივინბუდასი, გახდეს კენტავრი!

ტუჩებმოკუმულმა თავადმა გიმბუტასმა დარბაზი ამა-ლასთან ერთად დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ ცხენის ფლოქების ხმაც გაისმა. ისინი წავიდნენ.

– დღეიდან თქვენ მხოლოდ ერთი რამ დაგრჩენიათ, – წარმოთქვა იუჩასმა, – ელოდოთ, ელოდოთ, როგორ მიჰყვებიან ერთმანეთს თქვენი ნათესავები. თქვენ იცხოვრებთ დიდხანს და აუჩქარებლად, თქვენს ნათესავებს კი მჩქეფარე, მშფოთვარე და ხანმოკლე სიცოცხლე ელით. ყოველი ნაბიჯი დაინყებასთან მიაახლოებთ, მაშინ, როცა ყოველი თქვენი ნაბიჯი თქვენს ხვედრ დიდებულებასთან მიგახლებთ.

– თანახმა ვარ! – ყრუდ წარმოთქვა თავადმა კიარნიუსმა.

– ხო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის, – იუჩასი კიარნიუსის ყურთან ისე დაიხარა, ძლივს გავარჩიეთ მისი სიტყვები, – ეს არა კმარა. გვარის სიცოცხლისა და დიდებისათვის საზღაურია საჭირო.

თავადი კიარნიუსი შეკრთა, შეიშმუნა, მერე გამსწორდა და იუჩასი თავით ფეხამდე შეათვალეირა.

– არა, მე არაფერს ვითხოვ, – ძლივსშესამჩნევი ღიმილი გაუკრთა სახეზე მოსულს, – არც მე, არც იერემფერდენი თქვენგან არაფერს ვითხოვთ. შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, თავადო! თქვენ ხომ უნდა იცრუოთ, ღმერთები გააცუროთ, – ჭერისაკენ აფშიკა თითი, – რაკილა არა გსურთ შეურიგდეთ ხვედრს, ბედისწერამ თქვენს საგვარეულოს რომ განუშობდა. ეს ხომ დანაშაულია, ყოველი დანაშაული კი ისჯება, განა არა?

– რა საშინელებას უნდა ველოდეთ? ეს არ განუჭვრეტია იერემფერდენს?

– არა, მან ეს არ იცის, მაგრამ მე ჩემდათავად არ მომწონს კენტავრი. რა საზიზღრობაა, ნახევრად კაცი, ნახევრად მხეცი.

– ეს ხომ მხოლოდ გერბია! – ეჭვით წარმოთქვა თავადმა.

– ჰო, რა თქმა უნდა, – დაეთანხმა იუჩასი, – მაგრამ ცხადი ისაა, რომ თუ მას დაეპატრონებით, მხოლოდ მაშინ შეძლებთ თქვენი საგვარეულოს ხსნას.

– მაგრამ... – ეჭვმა შეიპყრო თავადი, – საზღაური ძალზე მძიმე ხომ არ იქნება?! – და ჩვენსკენ მობრუნდა, თითქოს ჩვენგან ელოდა მხარდაჭერას.

– მამა, მე თანახმა ვარ, გავხდე კენტავრი! – თქვა ჟივინბუდასმა.

იუჩასი გასწორდა. მთელი ეს ხანი პირველად გაიღიმა, თავისი სალი, თეთრი კბილები გამოაჩინა და დარბაზი დატოვა. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ უკვალოდ გაქრა. მას მერე მისთვის თვალი აღარავის მოუკრავს.

ვარშასი გაჩუმდა და ჩემს ზურგს უკან რაღაცას დაასო მზერა. მივტრიალდი. კარებში ჩემი ვაჟი, შვიანტარაგისი იდგა. სახეზე ეტყობოდა, თავიდან ბოლომდე ყველაფერი მოესმინა. გავმწარდი. დავიხარე, რომ კენჭი მომეძებნა და მესროლა. ვარშასმა თვალთ მანიშნა, გაჩერდიო.

მით უკეთესი. ადრე თუ გვიან შვიანტარაგისსაც ხომ უნდა გაეგო სიმართლე. ხომ დადგებოდა დრო, როცა მსგავსი კითხვები ჩემსავით აუფორიაქებდა სულს.

– კიდევ რამდენ ხანს უნდა ველოდოთ, ვარშას? – ჰკითხა მან.

– ცოტაც, მბრძანებელო! – უპასუხა მოხუცმა, – შენ თავად კიარნიუსის მეოთხე თაობა ხარ. გიმბუტასისაგან კი მეცხრე თაობა დაიწყო. იუჩასი მართალი იყო. ისინი ჩქარობენ, იცოცხლონ; ჩქარობენ და მალე კვდებიან. გიმბუტასის ვაჟმა, მანტივილამ, ორი ძე დატოვა – ვიკინტასი და ერდვილა. ვიკინტასი უძეოდ გადაეგო, ერდვილას ერთადერთ ვაჟს, მინგაილას, ორი ვაჟი შეეძინა: სვირმანტასი და გინველასი. გინველასმა შვა ბორისი, ბორისმა – როგვოლოდა, როგვოლოდამ – გლები და არც ამას დაუტოვებია შთამომავლობა. სვირმანტასმა შვა პრისიმანტასი, ლიუზარტასი და ტრენიოტასი. პირველი ორიც უძეოდ წავიდა იმ ქვეყნად. ტრენიოტასს შეეძინა ალგიმანტასი, ალგიმანტასს – რინდაუგასი. რინდაუგასს ორი ვაჟი ჰყავდა, დავსპრუნგი და მინდაუგასი. დავსპრუნგს ტაუტვილასი შეეძინა, მაგრამ არც მას დაუტოვებია მემკვიდრე. მინდაუგასის ვაჟებს ვაიშვილკასი, რეპეიკისი, გირსტუტისი და რუკლისი ერქვათ. მათგან ცოცხალი მხოლოდ უმემკვიდრეო ლიტვის დიდი მთავარი ვაიშვილკასია, რომელსაც არავინ არაფრად აგდებს, არც ბოიარები, არც თავადები. რაც ყველაზე ამაზრზენია, ამ უბედურს სინდისის ნატამალიც არ გააჩნია. სულ გალეშილია და, თუ იუჩასმა მართალი თქვა, მას მერე შენი რიგია, შვიანტარაგის.

– ახლა კი მარტო დავგვტოვე, შვილო, – ვთხოვე. შვიანტარაგისი უხმოდ დამემორჩილა, შებრუნდა და კარისკენ გასწავა. ამ ცოტა ხანში ისე დასერიოზულებული და დავაჟკაცებული მეჩვენა, მოულოდნელობისაგან გული მომიკვდა.

მარტო რომ დავრჩით, ვარშასმა მკითხა:

– კმაყოფილი ხარ, რაც მოისმინე?

– გულწრფელად გეტყვი, ვარშას, არ მესმის, რატომ ჰგავს ეს მტკივნეული ლოდინი უბედურების მოლოდინს? სწორედაც რომ უბედურების. არადა, სხვაგვარად უნდა ყოფილიყო თითქოს.

– საქმე ისაა, რომ შენ მიეჩვიე ლოდინს. ოღონდ არ იცი, რის ლოდინს. ადამიანის ცხოვრება წელიწადის ოთხ დროს ჩამოჰგავს. ზაფხულს სიხარული ეფარდება, დანარჩენი სამი დრო ცივი, პირქუში და ღრუბლიანია. ასე ყოფილა კაცის გრძნობებიც. – მიპასუხა ვარშასმა და მივხვდი, მეტი არაფერი ჰქონდა სათქმელი. მეტიც არაფერი იცოდა და ვერაფრით დამეხმარებოდა.

ისევ აიღო გამხმარი ხორცის ნაჭერი და ისევ დაუნყო ლოდნა. „საზიზღარი სახე აქვს სიბერეს“, გავიფიქრე, როცა მისი სამყოფელიდან მზითა და ცივი ქარით გაჯერებულ დღეში შევაბიჯე. მერე ჩვეულ ლოდინში განვლო ოთხმა თვემ. ვიდრე მოხდებოდა ის, რაც, როგორც ჩანს, უნდა მომხდარიყო, და რამაც ძირფესვიანად შეცვალა ჩემი დამოკიდებულება სამყაროსა და, საერთოდ, ადამიანის ბუნებისადმი, ვარშასმაც კი ვერაფერი მირჩია. იჯდა ყარყუმის ბენეში გახეული, თვალს ადევნებდა ათინათის ციმციმს კედელზე და მიმტკიცებდა:

– იუჩასი, ყველაფერში იუჩასი იყო დამნაშავე!

სინამდვილეში კი ალბათ კარგა ხნის წინათ მიწას ამოფარებული იუჩასი არაფერ შუაში იყო. მაგრამ ვარშასს არა სურდა თავისი მარცხის აღიარება. რაღა ფასი ექნებოდა მის ხანგრძლივ სიცოცხლეს, თუკი აღმოჩნდებოდა, რომ არის ამ ქვეყნად რაღაც, რასაც ვერ ჩანვდა, რისი შეც-

ნობისათვისაც გონება და ძალა აღარ იყო. მე აღარ შევენი-  
ნალმდევე მოხუცს, უბრალოდ გული მტკიოდა, როცა ვხე-  
დავდი, როგორ იტანჯებოდა და როგორ ებრძოდა თავის  
უსუსურ მესხიერებას.

\* \* \*

პირველ თოვლს დაველოდეთ. მაშინ ნადირის ნაკვალე-  
ვი კარგად ჩანს და მთელი დღე შეგიძლია შეუსვენებლივ  
სდიო. მერე კი დიდებული ნადირობა გავმართეთ. მეზობე-  
ლი მინის მფლობელებიც კი მოვიწვიეთ. წინასწარ ვტკბე-  
ბოდით მოსალოდნელი გასართობით. გრილი ზაფხულის,  
გრძელი, თბილი შემოდგომის მერე კარგად ნაკვები, ჩასუ-  
ქებული ნადირი, ახალი, ჭრაჭუნა თოვლი ვნებებს გვიმ-  
დაფრებდა. თითქოს ძლივს შეხორცებულ ჭრილობებს ეხე-  
ბოდნენ. წარმოიდგინეთ თოვლის ჭრაჭა-ჭრუჭი ცხენების  
ნესტოებიდან ასული ოხშივარი, მამაკაციური, უხამსი ხუმ-  
რობები, მეძებართა გამალებული ყეფა, ოფლჩამომდინარი  
სახეები, თავბრუდამხვევი დევნა და ისრის სროლა, დაჭრი-  
ლი ნადირის ხახიდან მონანწკარე ერთი ციცხვი თბილი,  
მოტკბო სისხლი, ხორხს რომ ელამუნება, და შეუდარებელ  
სიმაძღრეს ინვევს, სულს აცოცხლებს, გული კი გამალებ-  
ბით ინყებს ძვერას.

ოთხი შუბი გამიტყდა. იმის მაგივრად მსახური გამეგ-  
ზავნა მათ მოსატანად, ცხენი შემოვებრუნე და თავქვე და-  
ვეშვი. ჩემს შევარდენს ნესტანი ჰქვია. საგანგებოდ გამინ-  
ვრთნა ვარშასმა და მას მერე ნადირობისას არ მომიცილე-  
ბია. ნესტანს თვალების ახვევა არ სჭირდება. ცხენს რო-  
გორც მოვაჯდები, ვუშვებ და ისიც თავზე დამტრიალებს.  
ხანდახან, თუ თვითონ სურს, მხარზეც მაჯდება. მაგრამ ეს  
ძალზე იშვიათად ხდება. უფრო ხშირად მე ვიხედები მაღლა  
და ვხედავ, მოკრიალებულ ცაზე როგორ ლივლივებს ლა-  
ლად გაშლილი ფრთები.

შარშანწინ, ზამთარში, ცხენიდან ჩამოვვარდი და მუხ-  
ლი ვიტკინე. ნახევარი დღე თოვლში ვეგდე. წამოდგომისა  
და ცხენზე შეჯდომის თავი აღარ მქონდა. სიცივე მთელ  
სხეულში ატანდა, თავი უკვე მიცვალებული მეგონა. მაგ-  
რამ მოულოდნელად მსახურები დამადგნენ თავს. თურმე  
მათი მეგზური ნესტანი ყოფილა, მოთმინებითა და ერთგუ-  
ლებით რომ დასტრიალებდა იმ ადგილს, სადაც უბედურე-  
ბა შემემთხვა.

და აი, აღვირი რომ მოექაჩე და ისარივით გავფრინდი  
შინისაკენ, ვილაც ჩამეჭიდა მხარში. თავი მოვებრუნე და  
ჩემი ერთგული შევარდენი დავინახე. მის ბასრ ბრჭყალებს  
ლაბადა გაეხვრიტათ და ტკივილამდე ჩასჭიდებოდნენ  
კანს. მე მხარი გავიქინე. ნესტანმა ბრჭყალები მოადუნა,  
მაგრამ მხრიდან არ მომშორებია. სხვა დროს იქნებ მივ-  
მხვდარიყავი, რომ შევარდენი რალაცას მანიშნებდა, მაფ-  
რთხილებდა თუ მიცავდა, მაგრამ იმ წუთს ისე ვიყავი  
აღელვებული, ყურადღება არ მიმიქცევია მისთვის. ახლა  
ვფიქრობ, ჯობდა, ჩემ ზემოთ ენავარდა, ეგებ ყველას  
სცოდნოდა, სად ვიყავი და ამცდენოდა ის, რაც არ ამცდა.

ცხენიდან ეზოში ჩამოვხტი, შინ შევვარდი და საძინებ-  
ლისაკენ გავიქინე. იქ ვინახავდი შუბებს, საჭიროებისთანავე  
ხელთ რომ მქონდა. ჩემი მეუღლის, თავადის ქალ ვისგა-  
ლეს მსახურმა, ბალჩიუკემ რომ დამინახა, დაფრთხა და  
ფერფლით სავსე ურნა ხელიდან გაუვარდა, მაგრამ არც  
ამას მივაქციე ყურადღება. მალე საძინებლამდე მივალნიე,  
შუბს დავწვდი. გული ისევ სანადიროდ მიწევდა. და ის იყო

ნასასვლელად შემოვებრუნდი, რომ დავინახე ის, რის და-  
ნახვასაც არაფრით ველოდი: ჩვენს ვრცელ, ბუნვის ზენრე-  
ბით დაფენილ სარეცელზე ორნი ინვენენ, ქალი და კაცი.  
არა, არც მსურდა და, ღმერთია მოწმე, არც არაფერი ვი-  
ცოდნი. მათ იმ წუთში მივატანე, როცა ცხოველურ ვნებას  
ორივენი დავინყებამი ჩაენთქა. ქალის გაშლილი თმები  
სასთუმალს ფარავდა. თვალდახუჭული, თეთრი, ელვარე  
სახე ჩემი ცოლის, ვისგალეს სახე იყო. ასე ლამაზი არასო-  
დეს მინახავს. ოღონდ მამაკაცი ერთი შეხედვით ვერ გა-  
ვარკვიე, ვინ იყო.

ჩემი ხელი გონებაზე სწრაფად ამოქმედდა. წამოვიყვი-  
რე, როგორც ნადირობისას, რათა მკლავს ძალა მისცემო-  
და. შუბი გავაქანე და, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავ-  
ტყორცნიე.

კარგად ალესილმა შუბისპირმა მამაკაცის ტანში გაია-  
რა. მან შეჰყვირა, წამოიმართა და მაშინვე გვერდზე გადა-  
ვარდა. შევნიშნე, რომ შუბის პირმა ვისგალეს მკერდი გაუ-  
კანრა. მერე გავხედე მამაკაცს და ვიცანი, ეს იყო ოცი  
წლის ახმახი მსახური ლისიცა. მას რალაც ზადის გამო სა-  
ხეზე სულ დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა, ამიტომაც  
უფრო ჭკვიანი ჩანდა, ვიდრე სინამდვილეში იყო. მგონი,  
სიკვდილმა მანამდე მოუხნრო, ვიდრე სიყვარულის თავ-  
დავინყებისაგან გამოერკვეოდა და მიხვდებოდა, რა მოხ-  
და. გაზაფხულის ნიაღვარივით იფეთქა სისხლმა მისი სხე-  
ულიდან და ვისგალეს მუცელსა და ბარძაყებს გადაეგლო.  
მან თვალები გაახილა და მზერა დამარჭო. თუმცა ჯერ  
არაფერი ესმოდა და ვერც ვერაფერს ხედავდა. მეგონა,  
ტირილსა და ვიშვიშს დაინყებდა, როგორც ყველა ქალი  
ასეთ დროს. მაგრამ როცა მისი მზერა საყვარელს გადაწ-  
ვდა და მერე ისევ ჩემსკენ მობრუნდა, არცერთი ბგერა არ  
დასცდენია, არც განძრეულა, არც საკუთარი სიშიშვლის  
დაფარვა უცდია. მარტო ყურადღებით მიაღვენებდა  
თვალს, როცა მეორე შუბს ნაწვნიდა.

– უკან გაგაყოლებ! – ჩემივე ხმა ჩამესმა.

– ჩვენ არ გავჩნდებოდით, რომ არ ყოფილიყო სხვა  
ცხოვრება, რომელიც გველის.

სახე დამემანჭა, მაგრამ გულის სიღრმეში დაბნეულო-  
ბა ვიგრძენი. ვისგალე ჭკვიანი, ძალიან ჭკვიანი ქალი იყო  
და დღემდე ვერ მივმხვდარვარ, რამ უბიძგა, ფარული სიყ-  
ვარულის ციცაბო ბილიკს შესდგომოდა. იმ წუთას კი ის  
ვიგრძენი, რომ მისი ეს ჭკვიანური სიტყვები ახლა უადგი-  
ლოდ ჟღერდა და, ამდენად, არც გულწრფელად იყო ნათ-  
ქვამი. მის ხმას მერყეობა ეტყობოდა. თითქოს ჭოკით სინ-  
ჯავდა ჭაობს, პირს ხომ არ დააღებდა იქ, სადაც ნაბიჯის  
დადგმას აპირებდა. მე არც ადრე მესმოდა და არც ახლა  
მესმის ქალებისა. ისინი ძალიან უცხონი არიან. თითქოს  
ჩვენს გვერდით ცხოვრობენ, მაგრამ ამავე დროს სხვაგა-  
ნაც აქვთ ბინა, როგორც კატებს, რომელთაც ვერასოდეს  
განვრთნის ადამიანი. ახლა ამაზე თავის მტკრევა არა  
ღირს, მაგრამ დედაჩემიც კი, რომელსაც უსაზღვროდ ვუყ-  
ვარდი, ჩემთვის უცხო იყო. ქალების ყველაზე დიდ უცნაუ-  
რობად ისიც მიმანია, რომ სჯერათ, თითქოს შესანიშნა-  
ვად ესმით ჩვენი: ვაჟიშვილების, ქმრებისა და ძმების.

– რატომ გააკეთე ეს? – ვკითხე.

– გავაკეთე? კი არ გავაკეთე, ვაკეთებდი! სულ ვაკე-  
თებდი!

ახლავა მოეგო გონს, თავს ვეღარ ფლობდა, მთელი  
სხეულით ცახცახებდა. სიბრაზისაგან ლამის გაგიჟებული-

ყო. მხარზე შევარდენი მეჯდა, ხელში შუბი მეჭირა და შეურაცხყოფელ სიტყვებს ვისმენდი. რაც უფრო ცხარდებოდა იგი, მით მეტად ვმშვიდდებოდი მე. სისხლგამშრალი ბაგეები წარმოთქვამდნენ:

– შენ ყველაფერი ფეხებზე გკიდია შენი წყეული ბედის გარდა! რა კაცი შენა ხარ! სხეები მტკიცედ დააბიჯებენ დედამინაზე. ჭამენ, სვამენ, ნადირობენ და კუთვნილის მიგება არც ქალთათვის ავიწყდებათ. მათ ყველაფერი რიგზე აქვთ და ათასნაირი ნაგავით არ იტენიან თავს. მერე რა, თუ სხეებზე დიდი და ძლიერი ხარ, თუკი ყოველი ჩრდილის გეშინია, თუკი მუდამ შენთვის ცხვირში დუღლუნებ და მთვარეულივით დააბიჯებ. მე ჩემი მსახურებისაკი მშურს. იმათ ხანდახან საკუჭნაოში მაინც ნაჩმუგნის ვინმე. მე კი... მე შენ მხოლოდ იმისთვის გჭირდებოდი, რომ შენნაირი თავადუკა გამოემჩერე. კენტავრები!!! ნახევრად ცხენი, ნახევრად კაცი. ჯობდა, თავიდან ბოლომდე ცხენი ყოფილიყავი. იცი, რას ამბობს ხალხი თქვენზე და რაზე კვდებიან სიცილით?! მაგათ გერბში ჭაკი კი არა, ფაშატია ჩახატული!

მე ავიბურძღლე, რაკი შვიანტარაგისსაც გადაწვდა. სხვა ყველაფერი ისეთი სისულელე იყო, რომ არა სიბრაზე, თვითონაც არაფრად ჩააგდებდა. მაგრამ არ მესიამოვნა, შვიანტარანგისს რომ უტეხავდა სახელს. შუბი შევმართე. ვისგალეს მუქი, ელვარე თვალები გაუფართოვდა.

– არა! – დაიყვირა, – შენ ვერ გაბედავ ჩემ მოკვლას! ვერ გაბედავ!

პასუხი არ გამიცია, ისე გავაქანე შუბი, თითქოს გატყორცნას ვაპირებდი.

– მე თავადის ქალი ვარ! – უკვე წიოდა, – მე ცოლი ვარ შენი, გესმის? არ გაბედო, მსახურებს ვუხმობ! ეი, მიშველეთ! უტიანის, შენ ვერ გაბედავ!

ის პირქვე დაემხო, სანოლიდან ჩამოცურდა და ჩემკენ გამოხობებდა სცადა. ლოყებზე ცრემლის ნიაღვარი ჩამოსდიოდა. ყვირილი ქშუტუნში გადაეზარდა.

– შენ ვერ გაბედავ! ვერ გაბედავ! ეს არ შეგიძლია! ვერ მომკლავ, უტიანის!

– შემიძლია! – ვუპასუხე, – იცი, რომ შემიძლია და ისიც იცი, ვერავინ შემაკავებს.

შუბი დავუმიზნე, ვისგალემ თავი აიღო და იმან, რაც დავინახე, შემაჩერა. სახიდან მუქი, წყლიანი თვალები გაჰქრობოდა, მათი ადგილი ქარსის ჩაყვითლებულ კენჭებს დაეკავებინა. გულგრილად მიმზერდნენ. ვცდილობდი გამეხსენებინა, სად მენახა ეს თვალები, ვისი იყო ასე ნაცნობი ეს მზერა. თვალები დავხუჭე და მესსიერება დავძაბე. გველგესლა! ასეთი თვალები და გამოხედვა აქვს გველგესლას. მაგრამ თვალის წამიერი ჩახუჭვა საკმარისი აღმოჩნდა,

რომ უფრო მთავარი და მნიშვნელოვანი რამ გამომჩინოდა. თვალი რომ გავახილე, მშვენიერი თავადის ქალი ვისგალე აღარსად იყო. ჩემს წინ ოთხ გალუნულ ფეხზე დიდი, ადამიანის სიმაღლის ხვლიკი იდგა. ყვითელი, დაყვლეპილი თვალები, ფარფლიანი კანი და წითელი, ბასრკბილებიანი, ამაზრზენი ხახა ჰქონდა. ლაბაბი უთახთახებდა. ადგილზევე გაქვავავდი. ხვლიკი დაიძრა, უნებურად უკან დავიხიე და შუბი მოვიმარჯვე. ხვლიკი აშიშინდა, კედელს აეკრა. გაქცევა დავაპირე, შემოვბრუნდი, კარებში ვარშასი იდგა. მან შემაჩერა, თვალთ ჩემს სანოლზე გაშხლართულ ლისიცაზე მიმითითა. შუბისტარს ჩავეჭიდე, შუბზე ავეჭული

სხეული ავნიე და ოთახიდან გავიტანე. ვარშასმა კარები გამოიჯახუნა და საკეტი გაუგდო. მოვბრუნდი, რათა მეკითხა, კიდევ რა უნდა მექნა. ძაფივით წვრილ ფეხებზე შემდგარ ვარშასს ჩაშავებული ძარღვებით დასერილი მკლავები, დონდლო კისერი და დიდი თავი უცახცახებდა. შუბი გვამიანად მოვისროლე, მსახურს მხრებზე მოვხვიე ხელი:

– ვარშას, გესმის, ნუ გეშინია?!

ის მაინც გათოშილ ბიჭუკელასავით კანკალებდა. ბუნდოვნად მახსოვს, თვითონ რას განვიცდიდი. მგონი, არაფერს.

\*\*\*


ნადირობის დამთავრებამდე ყველაფერი უნდა მომენსრიგებინა. დრო ნახევარი დღე მქონდა.

ლისიცა შორიახლო ტყის გაყინულ მინაში ჩავფალით. მაგრამ ხვლიკი? იმას რაღა ვუყო? იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რომ საძინებლის კარი უნდა შემეღო და შევსულიყავი. მაგრამ მისი იქ დატოვებაც შეუძლებელი იყო. ეს ორივემ, მეც და ვარშასმაც კარგად ვიცოდით.

– მოგეხმარებოდი, მაგრამ ასეთი რამეებისთვის ძალიან მოხუცი ვარ და ხელს უფრო შეგიძლი.

\*\*\*

ქარს შორიდან მონადირეთა მხიარული, ომახიანი შეძახილები მოჰქონდა. გულწრფელად შემშურდა მათი. კაცი სანადიროდ რომ მიდიხარ, იცი, დაჯანბნი ნებისმიერ ნადირს. აბა, ისე რა აზრი აქვს ნადირობას. ახლა კი, ჩემს სიცოცხლეში პირველად, იმის პირისპირ აღმოვჩნდი, რისი შეფასებაც არ შემეძლო, რაც არაფერს ჩამოჰგავდა. ამიტომაც საკუთარი ძალ-ღონისა და შესაძლებლობათა განსაზღვრაც მიჭირდა. ვიყავი ასე, გამოკიდებული ცასა და დედამინას შორის, ფეხქვეშ მეცლებოდა მინა, თვალები ცრემლებით მევესებოდა, რომ ვიხსენებდი, რა ბედნიერი ვიყავი ერთი თუ ორი საათის წინათ. როგორ მინდოდა, ისევ სანადიროდ ვყოფილიყავი. როგორ მინდოდა, არაფერი არ მომხდარიყო.



მხატვარი თამარ მინაშვილი

– უფრო ძლიერი და ალესილი შუბი შეარჩიე, – მითხრა ვარშასმა, – რაც უნდა წვეტიანი კბილები ჰქონდეს, შუბს მაინც ვერ გაუმკლავდება. ეგებ სახურავის ნაწილი აგვეხადა და იქიდან ამოგელო მიზანში.

– არა, არ შემიძლია!

ვარშასი ვერ მიმიხვდა. ამიტომაც აუხსენი:

– არ შემიძლია, საღ გონებაზე მყოფმა მოვკლა. ბოლოს და ბოლოს ეს ხომ... ვისგალეა – ძლივს ამოვღერლე მისი სახელი. ეს შემზარავი, ზიზლის მომგვრელი და ჩლუნგი ურჩხული არაფრით ჩამოჰგავდა ჩემს ლამაზ, მშვენიერ, ჭკვიან მეუღლეს, რომლის პირვანდელი ხატება ისევ თვალწინ მედგა. სამწუხაროდ, ეს სიმართლე იყო.

– თავიდან ხომ აპირებდი მოვკლას, ახლა, როცა თავისი სახე დაკარგული აქვს, უფრო იოლი არ არის?

– არ შემიძლია, – გაუუმეორე, – ნუ დამაძალებ, ვარშას. მაშინ სხვა იყო. ხელი გონებას არ დაჰკითხვია, ისე ამოქმედდა. ახლა გონება სჯაბნის.

– საქმე უფრო რთულად ყოფილა, – ჩაფიქრდა, – არ ვიცი, რითი მოგეხმარო. ნავალ, მარტოკა ჩამოვვადები, ეგებ მოვიფიქრო რამე.

არ შემეძლო დე არც მინდოდა მარტო დარჩენა, მით უფრო, რომ არ გამაჩნდა ათასნაირი ფიგურებით სავსე ბნელი ოთახი, სადაც წონასწორობის აღდგენას შევძლებდი. ამიტომაც ვთხოვე:

– დარჩი, ვარშას, ძალიან მჭირდება. – უსიტყვოდ დამეთანხმა.

დაფიქრდით და მალევე მოვისაზრეთ. სახლის შორიან-ლო, გორაკის ფერდზე ოდესღაც სარდაფი ამოვჭერი, დიდი იყო და გრილი, მძიმე მორებისაგან შეკრული კარი ება. თუ ზაფხულში ვინმე ჩვენთან კვდებოდა, გვამი იქ მიგვქონდა, რადგანაც იქ არ იხრნებოდა და მანამდე შეიძლებოდა მისი შენახვა, სანამ დაკრძალვისათვის ყველაფერი მზად იქნებოდა. ეს კი მოვიფიქრეთ, მაგრამ ის როგორ გამოგვეყვანა ოთახიდან და სარდაფამდე როგორ მიგვეყვანა, ამაზე ვიმტვრევდით თავს. თუმცა გამოსავალს მალე მივაგენით. სქელი თოკის ორი ბოლო ჩავამარყუჭეთ. ცხენი კარებთან სვეტზე მივაბით და ერთი ბოლო თავზე ჩამოვაცვიტეთ. მეორე ხელიკისათვის უნდა ამოგველო ყელზე. სახლში ბალჩიუკეს გარდა ათიოდე მოსამსახურე თუ იქნებოდა. ვუბრძანე, ყველანი დიდ დარბაზში შეკრებილიყვნენ. როცა თავი მოიყარეს, კარები გადავრავა, არა მსურდა, შინაურებს დავენახე და გაეცათ ჩემი საიდუმლო. დარბაზში გამოკეტილებს უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. ჩანს, ჩემმა მრისხანე სახემ და სისხლით შეღებილმა ტანისამოსმა დააფრთხო.

ბოლოს და ბოლოს, როცა დავრწმუნდით, ვერავინ გვხვდავდა, ჩვენი განზრახვის აღსრულება გადავწყვიტეთ. ვარშასი ძლივს მოათრევდა ჩემს შუბს. ორივე ხელი ჩაჭოდა, ძარღვები დაჭიმოდა, მაგრამ მაინც ეკავა. ღონე-გამოცლილი თითები არ ემორჩილებოდნენ. ჩალურჯებულ სახეზე დაძაბულობისაგან ბებრული სინითლე ეფინებოდა. ნაოჭებით დაღარული ტუჩის კუთხეები უთრთოდა, განზე გადგმული ფეხები ძლივს იკავებდნენ დამძიმებულ სხეულს, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად მომყვებოდა კვალდაკვალ. რა აიძულებდა? ერთგულება? ჩვევა? საკუთარი თავისადმი პატივისცემა? სიჯიუტე? რწმენა, რომ უიმისოდ ამას ვერ შევძლებდი? არ ვიცი.

მე მარყუჟს ვწნოდი. რაზას დავეჭიდე. დაიხმაურა, კარი შევგლიჯე. თავდასხმისათვის მზადმყოფს გული მო-

მიკვდა, თავს რომ არავინ დამესხა. ის იქვე იყო, სადაც დავტოვე. კედლის სიგრძეზე განოლილს, თავი იატაკზე ედო, მისი ერთი თვალი, ყვითელ სიცივეს რომ ასხივებდა, ჩვენ მოგვჩერებოდა.

როგორმე ფეხზე უნდა წამომეყენებინა. ვიდრე თავი იატაკზე ედო, მარყუჟს ვერ ჩამოვაცვამდი. ვარშასს შუბი გამოვართვი და მივუახლოვდი, ჩემდა გასაოცრად მღელვარებას ვძლიე, თითქოს მთელი ცხოვრება ასეთ ურჩხულებს ვიჭერდი. არცერთი ზედმეტი, მოუქნელი მოძრაობა არ გამიკეთებია. შუბი გავიშვირე და კისერში წავკარი. ისიც ზიზლს მგვრიდა, შუბისპირით რომ ვეხებოდი. თავი აილო და კბილები ავად გააღრჭიალა. სწორედ ამ დროს მარყუჟიც მოვდე. ცხენმა წინააღმდეგობა რომ იგრძნო, თავი აიწყვიტა და გაქანდა. ეს მეტისმეტი იყო. ხვლიკი ისე მკვეთრად შებრუნდა საწინააღმდეგო მიმართულებით, თოკი ყელში წაეჭირა. მთლად განითლებული ხახა ცახცახით ყლაპავდა ჰაერს. იმის მაგივრად, თავს დაგვსხმოდა და მარყუჟი მოედუნებინა, შიშმა აიტანა, აქეთ-იქით აწყდებოდა და საქმეს გვიიოლებდა.

ამ წუთებში ვარშასიც ჩემსავით მშვიდი იყო.

– საბრალო, სხეულთან ერთად ღმერთს გონებაც წაურთმევია, – თქვა მან, – საბრალო.

ბურთი გამეჩხირა ყელში, მაგრამ როგორღაც ამოვთქვი:

– გორაკისაკენ ნაიყვანე ცხენი, ვარშას. მე ყოველი შემთხვევისთვის შუბით უკან გამოგყვებით.

სულ მალე სარდაფის მძიმე კარი ხმაურით დაიხურა, რომ ერთგულად ედარაჯა უცნაური პირუტყვისათვის. ვარშასი ძლივს სუნთქავდა, მაგრამ ილიმებოდა. შორიდან შინისაკენ მიმავალი მონადირეების ხმა შემომესმა და ავჩქარედი, რათა დატყვევებული მოსამსახურეები გამეთავისუფლებინა.

სალამოს ისევ შემიპყრო სევდამ და სიბრაულმმა, ძლივს ვაიძულე თავი, სტუმრები სავახშმოდ მიმენვია.

არასდროს ასე არ მომნატრებია ჩემი მზეთუნახავი, ჭკვიანი ვისგალე. რას არ მივცემდი, ოღონდ ახლა ჩემ გვერდით ყოფილიყო. მამაკაცები რომ შეზარხოშდნენ, სასახლიდან გამოვედი. სიჩუმე იდგა. დიდი, თეთრი ფანტელები ეფინებოდა ყველაფერს. საღდაც მეძებარი ნკავნკავებდა, ნადირობისას გამოგლეჯილი გვერდი თუ ყელში გაჩრილი ძვალი აწუხებდა. სხვა ძაღლებს მიეტოვებინათ. ისინი სტუმრებს შორის დაძრწოდნენ და თავზესაყრელ შემწვარ ხორცს გამალებულნი შეექცეოდნენ. მე მიტოვებულ ძაღლთან ჩავიმუხლე, მოვუსმინე მის ჩივილს და ნამქერის გავლით ვარშასთან გავწიე. ის ცეცხლის ენათა თამაშს თვალებანთებული შუკყურებდა. არ შემობრუნებულა, ისე მითხრა:

– იუჩასის ბრალია, იერემფერდენის მსახურის, ერთი ღერი ბალანი რომ არ გააჩნდა ტანზე.

დავმშვიდდები-მეთქი, აქეთ ამიტომ გამოვწიე. სამწუხაროდ, არაფერი გამოვიდა და უკანვე მივბრუნდი ღამისა და თოვლისაკენ, რომელმაც უცხად ვადამითეთრა მხრებიც, თმა-წვერიც. გავარვარებულ სახეზე ფანტელები მადნებოდა. მთელი სხეული აქამდე განუცდელი გრძნობებით მევესებოდა, თითქოს ჩემი ცხოვრების კი არა, სხვისი ცხოვრების ზღურბლზე ვიდექი. ვისგალე!.. როგორ მაკლდა! ბლანტი და ცივი გრძნობები სულს მიხუთავდა. შუბლშეჭმუნხული ვიდექი ღია ცის ქვეშ და წარსულს მივტიროდი. ისევ გულის გამანვრილებლად ნკავნკავებდა ძაღლი და ისევ ვიუტად თოვდა.

სადღაც სხეულის სიღრმიდან ამოიზარდა შეგრძნება, რომ მართო არა ვარ და ეზოში კიდევ ვიღაცა დგას. ფიქრებში გართულს წელან არ შემინიშნავს, ახლა კი ორიოდ ნაბიჯის მოშორებით კაცი დავლანდე, ოღონდ ვერ გავარჩიე, თვითონ მხედავდა თუ არა. ასე დგომას აზრი აღარ ჰქონდა. თოვლი ჩამოვიბერტყე და მისკენ გავიწიე. ჩემთან შედარებით დაბალი, მაგრამ კარგა ზორბა კაცი იდგა ზურგით. თავი უკან გადაეგდო და ცას შეჰყურებდა. თოვლის ჭრაჭუნზე ზანტად, გულსუნადინოდ შემობრუნდა, შეწუხებული, თითქოს მნიშვნელოვან საქმეს მოსწყვიტესო.

– აქ რას აკეთებ?

– ვიცოდი, აქ იქნებოდი, – მიპასუხა, – დარბაზიდან რომ გამოხვედი, დაგინახე.

– ასეთ დროს რისთვის დაგჭირდი, შვიანტარანგის, მოხდა რამე? – დაიხ, ეს ჩემი ვაჟიშვილი იყო.

პასუხი არ გაუცია. ვიდექი და სულმოუთქმელად ველოდი, როდის მკითხავდა იმას, რაზეც საუბარი მაშინებდა. თოვლი აუტანლად ჭრაჭუნობდა, რაც მკაცრი, ცივი ღამის მაუნყებელი იყო. შვიანტარანგისი თითქმის ვერ გრძნობდა სიცივეს. პირდაღებული დიდ ფანტელებს იჭერდა. ამ წუთს შეშლილს უფრო ჰგავდა.

– ხმა ამოიღე, რა მოხდა? – ვუბრძანე.

შემობრუნდა. თვალეში ჩაგხედე. მთვრალი იყო. მას მერე, რაც ჩვენთან ერთად ნადირობის ნება დავრთე, სანადიმოდაც რჩებოდა. ხანდახან სვამდა კიდევ. არ მომწონდა, მაგრამ ვენდობოდი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, მშვენივრად იცოდა, რისი ღონე შესწევდა და რისი არა. არასოდეს უცდია, საკუთარი თავისთვის ეჯობნა.

ეს იშვიათი თვისებაა. ამ ცდუნებას მრავალნაცადი მამაკაცებიც კი ვერ უძლებენ.

– დედა სად არის. რაც მოვედი, ვეძებ და ვერ ვიპოვე. ველოდი ამ კითხვას.

– დასთან წავიდა სტუმრად.

– არ გამომემშვიდობა, ისე?..

– ჩქარობდა. – მეგონა პასუხი დააკმაყოფილებდა, მაგრამ ვცდებოდი.

– ვინ გააცილა? – ნასვამი შვიანტარანგისი ფრიად საღად აზროვნებდა.

– ლისიცამ.

– ლისიცამ? – ხმაში სევდა და სიბრაზე დაეტყო, – ლისიცამ? – ისე გაიმეორა, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა სურდა. ამის ნაცვლად მწარედ ჩაიკვნითა ტუჩი და გაჩუმდა.

მივხვდი, იცოდა ვისგალესა და იმ უბედური მსახურის ურთიერთობის ამბავი და შემრცხვა, რომ ჩემს ვაჟს ჩემზე მეტი შეეტყო. თავი ასწია და მის მზერაში ეჭვი დავლანდე.

– დარწმუნებული ხარ, რომ დასთან გაემგზავრა?

– კი.

ისე სწრაფად და ისე დაბეჯითებით ვუთხარი, შვიანტარანგისი მიხვდა, ჩემთვისაც ნათელი იყო ყველაფერი, რასაც თვითონ ამდენხანს მიმაღავდა.

– რატომ... რისთვის მოიქცა ასე? – ამჯერად ხმაში გულგატეხილობა და ირონია გაჟღერდა.

– ნუ განსჯი მშობლებს, შვიანტარანგის.

ხელი დანის ტარს ჩასჭადა.

– მოვკლავ ლისიცას! დავწვევი და დავკლავ. თუ საჭირო გახდა, მიწიდან ამოვთხრი, ქვესკნელიდან ამოვიყვან!

– აღარაა საჭირო.

სერიოზულად შემომხედა და ყველაფერს მიხვდა.

– დედა? ხომ თქვი, მან გააცილაო?..

– მთლად ასე არაა, აპირებდა.

– დედა სადაა? რა სჭირს?

– აქ არ არის! – ყინვა უჭერდა, მე კი ზურგზე ოფლის ღვარი ჩამომდიოდა.

ველარ ვუძღვებდი ამ კითხვებს.

– მოკალი?

– არა!

– არა მჯერა.

– გეფიცები! – ვუპასუხე და გულზე მომეშვა. რა იოლია სიმართლის თქმა.

– გმადლობთ, – მითხრა შვიანტარანგისმა, – ვერ ავიტანდი, ხელი მის სისხლში რომ გქონოდა გასვრილი.

პასუხის გაცემას არ ვაპირებდი, მან თვითონვე მიიღო თითი ტუჩებზე და სიჩუმისაკენ მომინოდა.

– ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ.

და აი, ამ წუთას, მე ისევ ვიგრძენი ზურგიდან ვილაცის მზერა. შვიანტარანგისიც შეკრთა, შინისაკენ გასწია. მე შემოვბრუნდი, გავიხედე. ჩემს ზურგს უკან სარდაფიანი გორაკი იყო.

\* \* \*

ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ დრო ხელში ადნებათ იმ ადამიანებს, რომელთაც შეგრძნებები გამძაფრებული აქვთ. ახალა მივხვდი, რატომ იკლავენ ულრანი ტყის სიღრმეებში ქურუმები ნყურვილითა და შიმშილით თავს. ამას სჩადიან, რათა შეიცნონ სამყაროს პირველქმნილი დიდებულება, რათა განიცადონ უწმინდესი აღმადგრენა, რომ ოდნავ მაინც მიუახლოვდნენ ყოფიერების არსს, რომელსაც არ გააჩნია არც თავი, არც ბოლო, არც დასაწყისი და არც დასასრული. მართალია, ქურუმთა სრულყოფილებას ვერ მივალნიე, მაგრამ მივხვდი, ისინი ვერ შეძლებდნენ სულის გაღვივებას მანამ, სანამ არ დათრგუნავდნენ სხეულს.

ვარშასი ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა. ის რომ არა, იმ ზამთარს სულს განუტყევედი. თაფლის, რძისა და მართოს ნაზავით მკვებავდა, ათასნაირი მცენარის ნაყენს მასმევდა. ძალად მჩრიდა პირში ობობას ქსელის გორგალს. მხოლოდ მისი ძალისხმევით ვსუნთქავდი. ზამთრის გრძელ ღამეებში, როცა ვბოდავდი, როცა ვყვიროდი, ჩემს წინააღმდეგ ვიღაც შეაიარაღეს-მეთქი. რომ არა ვარშასი, რომელიც ძლივსა იდგა ფეხზე, ალბათ ერთ დილას ფიფქთა ნელ ბორიალში ისე მოვკვდებოდი, ვერც კი გავიგებდი, რომ მოვკვდი. მაგრამ ვარშასმა არ მიმატოვა და ერთ დღეს, როცა ეზო წვეთების პირველმა წკაპანკუპმა აახმიანა, გამოვფხიზლდი, გავიღვიძე და მივხვდი, სად ვიყავი. ვინეტი ბენვებში გახვეული, რომელთა შორის ერთ-ერთი ჩემი ერთგული მსახურის, ვარშასის ყარყუმიც იყო.

მთელი ამ ხნის მანძილზე ყველაფერს არა, მაგრამ მაინც ბევრ რამეს მივხვდი. რაც ყველაზე მთავარი იყო, ვაპატიე ვისგალეს. მნიშვნელობას აღარ ვანიჭებდი, თუ როგორ გამოიყურებოდა. ჩემს წარმოსახვაში ხვლიკი არ არსებობდა. ცოლზე ვფიქრობდი როგორც ქალზე, ისეთ ქალზე, როგორც ვისგალე იყო, და თავს პირობა მივეცი, არასოდეს მიმეტოვებინა. მასზე ფიქრისას ის ზიზლიც, რასაც ამ ამაზრზენი ურჩხულისადმი განვიცდიდი, სადღაც ქრებოდა.

ნაბიჯების ხმამ გამომარკვია. სანოლში ბალჩიუკე შე-  
მოვიდა. ორი ოხშივარასული ჯამი შემოიტანა. ჩემს მზე-  
რას რომ წაანყდა, გაკვირვებულმა და გახარებულმა გაი-  
ლიმა:

– თავადო, რა ბედნიერებაა რომ გამოჯანმრთელ-  
დით!!!

– რა, ცუდად ვიყავი თუ?

გოგონა ჯერ დაიბნა, ვერ გაებედა ვერაფრის თქმა, ბო-  
ლოს თამამად მიპასუხა:

– ვერ გეტყვით, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს ასეთი  
ავადმყოფი. ხალხი ჭორობს... მაგრამ ვარშასმა თქვა,  
ავადმყოფობა და მალე გაუფრთხილსო! რა ბედნიერებაა!

ფანჯრიდან შემოჭრილი მზის ალმაცერი სხივი გოგო-  
ნას ნახევარ სახეს უნათებდა და მის სილამაზეს ამკვეთ-  
რებდა. ისეთმა ჟრუანტელმა დამიარა ზურგზე, თითქოს  
ორპირმა ქარმა დაბერაო.

– ბალჩიუკე, მოდი ჩემთან! – ვუთხარი.

ჯამები იატაკზე დააწყო და თრთოლვით მომიახლოვ-  
და. კინალამ ვისგალეს სახელი წამომცდა. მეჩვენებოდა,  
ყველაფერი, რაც მას მერე მოხდა, როცა მხარზე ნესტანშე-  
მომჯდარი შუბისათვის შინ მოვქროდი, ცუდი სიზმარი  
იყო. მაგრამ თვალი რომ გავახილე და ბალჩიუკეს ნახ წამ-  
ნამებს შევხედე, ზმანება გაქრა. როცა ყველაფერი დამ-  
თავრდა და ორივე დავმშვიდდით, დანვრილებით გამოვ-  
კითხე ბალჩიუკეს, თუ რა მოხდა, რა შეიცვალა იმ დროში,  
ვიდრე ამქვეყნად არ ვიყავი.

შინ მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარიყო. ქვეყანაში  
კი... თავად ლევს ნადიმის დროს დანით გაუგმირავს პალე-  
მონასების გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი ვაიმ-  
ვილკასი. მე ენა ჩამივარდა. წინასწარმეტყველება სრულ-  
დება თუ უბრალო დამთხვევაა? სასწრაფოდ ყველაფერი  
დანვრილებით უნდა შემეტყუო, ამიტომაც ბალჩიუკეს  
ვთხოვე:

– ჩქარა, ჩაიცვი და ვარშასი მოიყვანე! ჩქარა! მასთან  
საუბარი მსურს!

ბალჩიუკემ ჩაიცვა, სწრაფად მოისხა ლაბადა და კა-  
რისკენ გასწავა. შუა გზაზე გაასხენდა, რისთვის შემოვიდა,  
შემობრუნდა, სანოლთან ახლოს გადმომიდგა ჯამები, რო-  
მელთაც პიტნის, ქონდრისა და ხორცის სუნი უდიოდათ,  
და ვარშასთან გაიქცა.

– დიდება შემოქმედს! – თქვა წნელზე დაყრდნობილმა  
მოხუცმა (მისი ლანდადქცეული სხეულის შესაკავებლად  
წნელიც კმაროდა). იდგა და სიხარულით ანთებული თვა-  
ლებით შემომყურებდა. კაცმა რომ თქვას ახლა სწორედ  
მისი დახმარებით დავიბადე. ამ წუთს ჩემთვის ვარშასი მა-  
მარემსა და დედაჩემზე ძვირფასი იყო. მოხუცი მომიახ-  
ლოვდა და შუბლზე მაკოცა.

ბალჩიუკეს მართალი უთქვამს. ვაიშვილკასი მართლა  
მოუკლავთ. მაგრამ გოგონამ ყველაფერი არ იცოდა. თავა-  
დებს თათბირი მოუწვევიათ და ერთხმად შეთანხმებულან,  
რომ ტახტისთვის ყველაზე შესაფერისი შვიანტარაგისი  
იყო. მათ მაცნე გამოუგზავნიათ ჩემი თანხმობის მისაღე-  
ბად. რაკი მე საამქვეყნო პირი არ მიჩანდა, შვიანტარაგისს  
ვარშასისათვის უკითხავს რჩევა და მხოლოდ მერე უბრძა-  
ნებია, თავადებისთვის მისი თანხმობა გადაეცაოთ. მოკ-  
ლედ, გვირგვინის დადგამლა აკლდა, რაც რამდენიმე თვის  
მერე უნდა შემდგარიყო. იუჩასი არა ტყუოდა. მე ლიტვის  
დიდი თავადის მამა ვაგხდი.

– უტიანის, რაღაც ვერ გატყობ სიხარულს! – მითხრა  
ვარშასმა.

– მიხარია, ვარშას, როგორ არა. ოღონდ გული მიკვდე-  
ბა, რომ ამ სიხარულს ვისგალე ვერ იზიარებს. რა ბედნიე-  
რები ვიქნებოდით ორივე.

– სამწუხაროდ! – თქვა ვარშასმა და თავი ჩალუნა.

– როგორ არის? – ვკითხე. გული მწარე ნალველით მეც-  
სებოდა, როცა მასზე ვფიქრობდი ან ვლაპარაკობდი. – რო-  
გორაა ქალბატონი, ვარშას?!

– იქნებ ბატონი, რას გაიგებ ამ ხვლიკის სქესს?

– როგორაა? – გაუუმეორე.

– მთელი ზამთარი ვაჭმევდი. სარდაფსაც გულდაგულ  
ვუსუფთავებდი. ჯერ არ ვიცოდი, რა მეჭმია. ახლა ვიცი.  
ყველაზე მეტად უმ ხორცს ეტანება. დიდხანს პირს არ აკა-  
რებდა არაფერს, სულ კარებს შეჰყურებდა, თითქოს გაქ-  
ცევას ლამობდა. ახლა დამშვიდდა.

– იქნებ მოხდეს სასწაული და?..

– გული მიგრძნობს, სასწაული უკვე მოხდა. ეჭვი მეპა-  
რება, ოდესმე პირვანდელი სახით იხილო.

მეც იმავეს ვფიქრობდი, ოღონდ გულის სიდრემში მა-  
ინც ველოლიავებოდი იმედს.

– მერე რომელი გოლიათი შენ მყავხარ, ვარშას, არ გე-  
შინოდა?

– ავად რომ გახდი, მოთვინიერებული დათვი ვიყიდე.  
დათვის ძალიან ეშინია.

ჩვენ გავჩუმდით, მერე ისევ მე დავარღვიე სიჩუმე.

– აზრი ხომ არ შეგიცვლია, ვარშას?

– არა, დარწმუნებული ვარ, თქვენი წინაპრების სიც-  
რუის გამო მოგეზლოთ. დიახ, ეს საზღაური უნდა იყოს.  
ვფიქრობ, იუჩასმა ეს იცოდა, მაგრამ დუმილი ამჯობინა.

მე ადრეც ბევრს ვფიქრობდი ამაზე და იმავე აზრის ვი-  
ყავი. როცა ვარშასმაც დამიდასტურა, გულზე მომშევა.

– ვინაა თავდები, რომ უბედურების მსხვერპლი კიდევ  
ვინმე არ გახდება? შვიანტარაგისს, საეჭვოა, რამე ემუქ-  
რებოდეს. ისევ ვინმე შინაური გაინირება, მაგრამ ვინ? ყვე-  
ლანი ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ.

მე მივჩერებოდი ოთახის მზიან კუთხეს, სადაც ცოტა  
ხნის წინათ ბალჩიუკე იდგა.

– გმადლობთ, ვარშას, დანარჩენზე მე ვიზრუნებ.

\* \* \*

ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ადამიანის ცხოვრება-  
ში რაიმე ცხოველი უფრო დიდ ადგილს დაიკავებდა, ვიდრე  
ნათესავი და შინაური. მაგრამ ეს ასე მოხდა. ორი ადამიანი,  
ვინც ჩემს გვერდით ერთგულად გაატარა მთელი ცხოვრება,  
ასე ერთგულად და შეუმჩნეველად მტოვებდა. პირველი –  
ვარშასი, გულმოდგინედ რომ მივილიდა და ამდენი ძალ-ღონე  
შემადია, ჩანვა. მისი ავადმყოფობისათვის ყველაზე შესაფე-  
რისი სიტყვა იყო „მიხრწნილება“. თოვლი რომ გადნა, ვარ-  
შასმა თავისი მყუდრო ოთახიდან გარეთ გამოსვლა საერ-  
თოდ აიკრძალა. ყოველ ღონეს ვხმარობდი, გადაემერჩინა.  
ბოლოს მივხვდი, მომავალ ზამთრამდე ველარ გაატანდა.  
ბედთან შეგუებული, დამშვიდებული ინვა ბინდბუნდში, ხე-  
ლებს ველარ ამოძრავებდა, თვლები კი მანამ უქრებოდა, სა-  
ნამ მთლად დაკარგავდნენ ფერს. ბოლოს ამეთვისტოსავით  
მხოლოდ მკრთალ ნათელს გამოსცემდნენ. მასთან საუბარი  
შეუძლებელი გახდა. ეს საუბარი კი არა, ტანჯვა იყო. ნათ-  
ქვამი რომ გამეგო, ყური მის ბაგეებთან მიმქონდა, მაგრამ



მაშინაც, რას მეუბნებოდა, ნახევრად არ მესმოდა. საბრალოს დრო აერია. წარსული და ანმყო ერთმანეთში ჩაეხლართა. ერთხელაც შემომხვდა და მითხრა, პირობას გაძღვევ, კარგად მოვიქცევი, ვიქნები კარგი ბიჭი და აღარასოდეს ჩავისველებ ლოგინშიო... ასე ნელ-ნელა მეცლებოდა ხელიდან ვარშასი.

მეორე ადამიანი, ვის სიახლოვესაც ვსაკლისობდი, მაგრამ საყვედურის თქმასაც ვერ ვუბედავდი, შვიანტარაგისი იყო. როგორც კი მივუახლოვდებოდი, მაშინვე ცივად შებრუნდებოდა და გამეცლებოდა. მის საქციელს ვერაფრით ვხსნიდი. ჩანს, ჩემი ფიცისა არ სჯეროდა. და როცა სიბრაზემ გაუარა, დედის მონატრება ახრჩობდა. მე არაფრის ახსნას არ ვაპირებდი. ჯერ ერთი, არ შემეძლო, და მეორეც, არ მსურდა დაკარგული ნდობის ამ გზით მოპოვება. ახლა ჩვენ ისლა გვაკავშირებდა, რაც აკავშირებს ორ ადამიანს, ბედის განაჩენით იძულებულნი რომ არიან ერთ ჭერქვეშ იცხოვრონ. ვარშასმა მითხრა, რომ მთელი იმ ხნის მანძილზე, სანამ ავად ვიყავი, შვიანტარაგისს არათუ ოთახში არ შემოუხედავს, არც კი უკითხავს ჩემი ამბავი. მე არ ჩავძიებვარ. იქნებ მართლობა ერჩია. იქნებ ძალ-ლომესა და გონებას იკრებდა დიდი თავადის როლისათვის? როგორ მიხედოდა მის გულში ჩამეხედა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. ასეთ ვითარებაში ვარშასის ნაყიდ დათვის დავუშეგობრდი. მას კუთლუბუგი ერქვა. მშობლიური უღრანიდან გამოძევებული, ჩვეულ გარემოს მონყვეტილი, ისიც ახლობელ სულს ეძებდა. პირველ ხანებში ჯაჭვით დამყავდა, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ის, რაც მე სიბრაზე მეგონა, მისი ჩვეული ყოფა იყო. ასე მაგრძობინებდა, რომ არ ეძინა და ფხიზლობდა. გამოდებოდა ხოლმე ხორციტა და რკოთი და ყველაფრისადმი გულგრილი მინებოდა. და თუ ვინმე არ შეაწუხებდა, არც გაინძროდა. ამაში საბოლოოდ რომ დავრწმუნდი, ჯაჭვი შევხსენი. კუთლუბუგი კვალდაკვალ დამდედა, აზრად ისევ არ მოსდიოდა გაქცევა ან წინააღმდეგობის განევა. მაგრამ იძულებული გავხდი დამება, რადგან ჩემზე მონებულმა იგრძნო, მსახურები ავად უყურებდნენ. საკმარისი იყო ოდნავი შეკვივლება ან მკვეთრი მოძრაობა, რომ დათვი ბურდღუნით უკანა თათებზე დგებოდა და თავდასხმისათვის ემზადებოდა. გრძობდა თვალის დასანახავადაც ვერ იტანდა ვერაფერს. ამიტომ მთელი თავისი ცხოველური სულით მე მომეხდო. მეც არასოდეს ვიშორებდი. შორეულ მოგზაურობებშიც თან დამყავდა, რადგანაც ოთახში გამოკეტილი ბრდღვინავდა, კარებს ბრჭყალებით ფხოჭნიდა და მსახურებს თავზარს სცემდა. ცხენებსაც თავიდან კი ეშინოდათ მისი, მაგრამ მალე შეეჩვივნენ და შორიდან ჭიხვინით ეხმინებოდნენ.

ხშირად შუალამისას, უძილობის უამს, ყურს ვუგდებდი ჭრიჭინების მოძახილს, ალერსის ნიშნად ხელს ვუსვამდი კუთლუბუგს ზურგზე და ვუყვებოდი ათასნაირ სისულელეს, ხან ჩემს თავგადასავალსაც. მერე კი იმასა თუ ჩემს თავს ვეკითხებოდი: „რა აზრის ხარ ამის თაობაზე“.

კუთლუბუგი ვერ იტანდა ბალჩიუკეს. რაკი ქალები მეც უკვე აღარ მალელებდნენ, მას ჩემთან აღარ ვინვინდი. ვიღვიძებდი გამთენიისას, როცა დათვი ბურდღუნით მიწყებდა ფხვისგულთა ლოკვას, მაშინვე ვდგებოდი, წინა ღამეს მომარაგებულ ხორცს ვიღებდი და სარდაფში მივდიოდი. მას ყოველდღე ვნახულობდი. თავს პირობა მივეცი, მასში ხვლიკი კი არა, ვისგალე დამენახა, მაგრამ თავდაპირველად ძალიან გამიჭირდა. ბნელ სარდაფში ისეთი სიმ-

ყრალე იდგა, სული მეხუთებოდა. არასოდეს ეძინა. როგორც კი შევიდოდი, ორი ყვითელი თვალი გამჭოლ მზერას დამასობდა ხოლმე. სინდისი მქენჯნიდა. მართალია ხვლიკს საშინლად ეშინოდა დათვის, მაგრამ მე მაინც ვერ ვებედავდი მასთან უდათვოდ შესვლას, დათვი აინუნშიაც არ აგდებდა ხვლიკს. ხორცს ქვის იატაკზე ვაგდებდი და მაშინვე ვტოვებდი სარდაფს, რადგან ვიდრე იქ ვიყავი, ის საქმელს არ ეკარებოდა, მხოლოდ მე მიყურებდა. ამიტომ ვცდილობდი, არ დავყოვნებულყავი.

დრო გადიოდა. ნელინელ შევეგუე ჩემს ასეთ ყოფას. ერთი თვის შემდეგ მივხვდი, რომ მისი ეს დაჟინებული მზერა ნათელი გონების მაწყვებელი იყო, და ვცდილობდი, გამოვლაპარაკებოდი. შესვლისთანავე ვეკითხებოდი: „როგორ ხარ, ვისგალე?“ – მაგრამ პასუხად სიჩუმე მხვდებოდა. არც სიტყვა, არც მოძრაობა. მე მაინც მჯეროდა, რომ ესმოდა. თუმცა ამ აზრის დამამტკიცებელს ვერაფერს ვხედავდი. ალბათ ვცდებოდი და ვცდებოდი იმიტომ, რომ ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მასში რაიმე ადამიანური დამენახა. მალე მასთან საუბარსაც ისე მივეჩვიე, როგორც დამდამობით – დათვთან. მართო მე ვლაპარაკობდი. ვუყვებოდი ჩემს მწუხარებასა, საზრუნავსა და უბედურებაზე, ჩემს იმედებსა და სიხარულზე, და ყველაფერს რომ ამოვთქვამდი, ცოტა გულზე მეშვებოდა. ადამიანისთვის აუცილებელია ვიდაცასთან საუბარი, გულისტკივილის გაზიარება. ეს მას მერე გავიგე, რაც ცხოველს დავუშეგობრდი. დროდადრო ჩემი მეხსიერების სიღრმიდან ამოტივტივდებოდა ხოლმე რაიმე მოგონება ჩემი და ვისგალეს ცხოვრების დასაწყისიდან, ანდა ჩემი სიყრმისა თუ სიჭაბუკის დღეები მახსენდებოდა. ვიგონებდი და თან ვტიროდი. ხვლიკი ჩემს ცრემლებსა და გოდებას თითქოს ვერც ამჩნევდა, დათვი თუ ამილოკავდა ხოლმე დანამულ სახეს, – ისიც იმიტომ, ცრემლების სიმლაშე მოსწონდა.

უფრო და უფრო ბევრს ვფიქრობდი წარსულზე. რაც დრო გადიოდა, მეტისმეტად თვალნათლივ ვხედავდი ყველაფერს, უფრო მეტს ნიშნავდა თითოეული წვრილმანი. მე ისე ძლიერ მიყვარდა ვისგალე, თითქოს ჩვენ ახალი დანიშნულები ვიყავით და მთელი გულით მძულდა ყველა, ვისაც ოდესღაც ვერ ვიტანდი. ახლა ჩემთვის დედაც კი, ვისიც ბავშვობაში არ მესმოდა, უფრო ღვიძლი გახდა. ხოლო მამისადმი, ვისიც მაშინ ძალიან მეშინოდა, ახლა პატივისცემით გავიმსჭვალე. და მაინც, ჩემს ფიქრებსა თუ განცდებში მთავარი ადგილი ვისგალემ დავიკავა. მეხსიერებამ გააცოცხლა და ნამოტივტივა ისეთი წვრილმანებიც კი, რომელსაც ადრე ყურადღებას არ ვაქცევდი, ხოლო თუ ვაქცევდი, მაშინვე ვივინყებდი. ახლაც თვალნათლივ ვხედავდი აქნილ შიშველ ტანს, მაღალ მკერდს. თანაბრად ჩაწიკნიკებულ თეთრ კბილებს, როცა ჩემი ცოლი სიცილით ეთამაშებოდა ნადირის ტყავებზე მხოხავ შვიანტარაგისს. ხელს ვიშვრდი, მიხდოდა შევხებოდი მის შროკავ სხეულს, რიტუალურ ცეკვას რომ ასრულებდა, რათა ვაჟიმგვილი ძლიერი და ღონიერი ყოფილიყო. მაგრამ გარს სიცარიელე მერტყა. ბინდბუნდში იკვეთებოდა სკამი ან მაგიდა, ხოლო ის, რაც სიცილად მეჩვენებოდა, მოსამსახურეთა ღრიანცელი იყო. გული ისეთი მწუხარებით მევსებოდა. პირობა დავდე, მასზე აღარ მეფიქრა, რათა ასე უმონყალოდ არ დავტანჯულიყავი. მაგრამ დანაპირები ვერ შევასრულე. თავს ვეღარ ვიმორჩილებდი, ჩემდაუნებურად ვუბრუნდებოდი წარსულს და ამას მაშინ ვხვდებოდი, ზმანებები რომ

ქრებოდა. ახლა გაუფუგე ვარშასს, მივხვდი, ქონითა და მჭვარტლით გათხუპნული ფიგურების მნიშვნელობას და იმას, თუ რას ნიშნავდა თითოეული მათგანი მისთვის. არ ვიცი, ასე რამდენ ხანს გასტანდა, მარადიული ხომ ამქვეყნად არაფერია. ვარშასი მაფრთხილებდა: ყოველი შენი ნაბიჯი აზომ-ანონე, ყურადღებით იყავი. ჰაერში მოახლოებული საფრთხის სუნი ტრიალებდა. რაღაც უნდა მომხდარიყო.

ერთხელ დილაბნელზე გამეღვიძა. მართალია, დიდხანს არ მიძინებია, მაგრამ ამდენი ხნის მანძილზე გული პირველად უცნაური სიხარულით მევსებოდა. თვითონაც არ ვიცოდი, რა მიხაროდა. მთელი სხეული ახალგაზრდული ძალით ფეთქავდა. კუგულბუგასაც კი შევებრძოლე. ბოლოს აღელვებულმა და ომახიანმა ხორცი ავიღე, დათვს ჯაჭვი შევავი და გორაკისკენ გავემართე. უცნაური ღამე იდგა, ისეთი რიჟრაჟი იყო, რომელიც ყველაზე მწარე მალამოდ ედებოდა (ალბათ ასეთ ღამეებში ისახებიან ძლიერი, ჯანმრთელი და ჭკვიანი ბავშვები). ჩანს, არ ვცდებოდი, რადგან ისიც ჩვეულებისამებრ კუთხეში მიკუნჭული კი არ დამხვდა, სარდაფის შუაგულში იდგა, დრუნჩი აენია, თითქოს შორიდან მომავალ ხმებს უგადავდა ყურს.

შეუტყნობელი, გაუგონარი აღფრთოვანებისაგან თავბრუ მეხვეოდა და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ უგუნური აზრი დამბადებოდა. ამ ხნის მანძილზე პირველად მომინდა ცოტა თავისუფლება მიმენიჭებინა მისთვის, რომ მასაც ჩაესუნთქა განთიადის სუფთა ჰაერი, სინათლეს გადაჩვეული თვალებით შეეხედა ცისთვის, რომელიც რა ხანია არ ეხილა. გარეთ გამოვედი, კარი ღია დავტოვე, დათვი კი შორიხლო ხეზე მივაბი. მეც იქვე დავდექი და ვუთვალთვალე, რას იზამდა. ცოტა ხნის მერე მოუქნელმა სხეულმა სიბნელიდან ამოყვინთა და ნათელ ღიობში ჩადგა. გულისამრევი ურჩხული მრგვალი, ამაზრზენი ნესტოებით ყნოსავდა დილის ჰაერს. მერე გასრიალდა და ბალახებში ჩაეფლო. „თუ საჭირო გახდა, კუგულბუგის მეშვეობით უკანვე დავაბრუნებ-მეთქი“, – გავიფიქრე და მიხაროდა, გასეირნების საშუალება რომ მივცედი.

მოულოდნელად დათვმა ბრდღვინვა დაიწყო. მე მოვტრიალდი, ძლივს შევასწარი თვალი მხედრის სილუეტს. სმენას მისწავდა ცხენის ფლოქეთა თქარათქური. შვიანტარაგის მუხლებში მოემწყვდია ცხენის სხეული და შუბშემართული პირდაპირ მისკენ მიჰქროდა.

– არა! – დავიყვირე, მაგრამ უკვე გვიან იყო. შუბის წვერმა ხვლიკს გვერდი შეუნგრია და ხორცი ჩამოათალა. ხვლიკი ნამგალა მთვარესავით მოირკალა და ხახიდან უცნაური ბგერები ამოუშვა. შვიანტარაგისმა ცხენი შეაყენა, შუბი გაათავისუფლა და მეორე დარტყმისათვის მოემზადა. მე არ დავლოდებოვარ, შუბის ტარს მოვეჭიდე და წვერი ჩემსკენ მოვმართე. მხედარი შეტორტმანდა და ცხენიდან ჩამოვარდა. უმაღლე ხელი უშვა შუბს, ფეხზე ნამოხტა და ქარქაშიდან ხანჯალი იძრო, უკან დავიხიე და თან თვალს ვადევნებდი კუგულბუგასაც, რომელიც ჯაჭვის განწყვეტას ღამობდა და გაცოფებულ ჭაბუკსაც, რომლის სახეც უმოწყალო დარდს დაესერა. შვიანტარაგისმა მკლავი მოიქნია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დამარტყა. მუცელში უმწარესმა ტკივილმა დამიარა.

– ესეც შენ! – ღმუოდა იგი, – ესეც შენ დედაჩემის გულისათვის. ამიერიდან ვეღარ მომატყუებ! – კბილებს ისე აღრჭიალებდა, თითქოს ქვას ფშვნიტდა.

– შვიანტარაგის! – არ მეგონა, აზრადაც არ მომსვლია, რომ მიიმედ ვიყავი დაჭრილი. – არ გაბედო, მამა ვარ შენი, დედა კი...

მან ისევ მომიქნია ხმალი, ისევ დამარტყა და თან გამოსცრა:

– ესეც შენ!

კიდევ ორჯერ ვიგრძენი, თუ როგორ გლეჯდა ჩემს ხორცს ფოლადი. სხეული ნაკვერჩხალივით ღლოდა. ხელები ნავივლე მუცელზე და ახლალა დავინახე, რომ ხელმოსაკიდი აღარაფერი იყო. მუცელი აღარ მქონდა. ხელში ხორცის, სისხლისა და ტანსაცმლის ნაფლეთების ნებოვანი მასა შემრჩა. ფეხები მომეკვეთა და ბალახში ჩაცემულმა ისლა შევნიშნე, როგორ შეანწინდა შვიანტარაგისმა მოსასხამის კალთას სისხლიანი ხანჯალი, ქარქაში ჩააგო, მიტრიალდა და ცხენს მოახტა. მე დაძახება ვცადე, მაგრამ ვერ შეეძელი. იმიტომ კი არა, რომ ძალი არ მეყო, არამედ იმიტომ, რომ მთელი ჩემი სხეული კრუნჩხვამ აიტანა. ეს შიში იყო. წარმოუდგენელი, ცხოველური შიში, რომ ვკვდებოდი. არასოდეს, ცხოვრებაში არასოდეს ასე არ შემშინებია. მე, უტიანისი, აღარ ვარსებობდი. იყო მხოლოდ შიში, შიშველი შიში. მთელი სხეული შიშის სხეულად მექცა. ყველა გრძნობამ, ყველა განცდამ და ტკივილმა ერთ წერტილში მოიყარა თავი. თვალები გამიქვავედა, კანი მიწამცეცდებოდა. თავი ავნიე, რათა თვალი გამეყოლებინა მიმქროლავი შვიანტარაგისისთვის. იმან, რაც დავინახე, ბოლო მომიღო. მე აღარ ვარსებობდი. მე... ხვლიკად ვიქცეი! ჩანს, გვარში მენერა ხვლიკად სიკვდილი.

უცებ გონება გამინათდა. ყველაფერს ბოლომდე ჩავწვდი. ჩვენ ორივენი, მეც და ვარშასიც, ვცდებოდით. არც იურჩასს, არც კენტაფრის გერბს, არც ღმერთებს, არც ბედსა და ბედისწერას არ დავუმარცხებოვართ. მხოლოდ შიშმა გვაქცია მეც და ჩემი ცოლიც შესაზარ ურჩხულებად. ადამიანის ბუნებისათვის შეუსაბამო ეს განცდა, რომელიც ვერაფრით დავძლიეთ, გახდა მიზეზი ჩვენს თავს დამტყდარი უბედურებისა. ჩვენ გვეშინოდა, რომ გავქრებოდით, ვეღარ დავტკებოდით განცდებითა და გრძნობებით, მოვწყდებოდით ყველაფერს, დავიკარგებოდით. ანდა, უბრალოდ, ჰაერში გავიბნეოდით. ასეთი სიმძაფრით ბედნიერების განცდას უნდა დავნებებოდით, ჩვენ კი შიშმა შეგვიპყრო. თავზარდამცემმა შიშმა აგვიტანა, რომ სიცოცხლეს გამოვესალმებოდით. შიშმა გვაქცია ასეთებად. ნუთუ ამას რომ მიხვდე, აუცილებლად უნდა მოკლები? ჩემი უბედური, საბრალო, ჭკვიანი ვისგაღე... რა სასტიკად შეშინებულა მაშინ...

ოთხ თათზე წამოდგომა ვცადე, მაგრამ სისხლი ნიღვარივით მდიოდა და ბალახებს რწყავდა. განძრევაც არ შემეძლო. უცებ შეხება ვიგრძენი. თავი მოვაბრუნე, ის იყო, ჩემნაირი ხვლიკი, გვერდგამოგლეჯილი ჩემსკენ გამოცურდა და მომეკრა. მერე ნესტიანი ენით კისერი ამილოკა.

კენტაფრის საგვარეულოს წარმომადგენლები – თავადი უტიანისი და მისი მუწულე, ვისგაღე, ქალი და მამაკაცი, რომელთაც გამოსცადეს უმძაფრესი შიში, ორი ქარვისფერთვალეებიანი ხვლიკი ამომავალი მზის სხივებით განათებულ, ნამიან ველზე დაიღუპა.

შიშმა გავვითმა და შიშმავე შეგვეყარა ერთად.

ბედნიერი იყავ, შვილო ჩემო!

ლიტვურიდან თარგმნა  
ნანა დევიძია

\* \* \*

დიდი ხმაური და აჟიოტაჟი მოჰყვებოდა ხალხური სკაბრეზული ლექსების კრებულს „მოუკრეფავნი“, რომელსაც ვახუშტი კოტეტიშვილი შეადგენდა და თანაც ისე, უხამსი სიტყვა-გამოთქმები მრავალწერტილით კი არა ყოფილა დაქარაგმებული, არამედ ისევე ეწერა, როგორც მთქმელებისაგან გაისმოდა. და „დიოგენე“ სწორედ ამ სახით გამოსცემდა და ახალნაშობილ გოგო-ბიჭებსა თუ ხანშიშესულ ადამიანებს ძალუმად მიიზიდავდა თავისკენ – მაღევე გაქრებოდა ტირაჟი, რაც უჩვეულოდ გამოიყურებოდა ჩვენს საგამომცემლო ცხოვრებაში, და მეორე ჩამოიბეჭდებოდა...

ბევრს თუ უხაროდა, ბევრიც საზოგადოებისათვის სილის განვნად აღიქვამდა ამ კრებულის გამოცემას, ვახუშტი კი თავს იმით იმართლებდა: აბა, ნახეთ სხვა ქვეყნებში როგორ ხდება, სკაბრეზული ლექსების გამოცემა მე კი არ გამომიგონია, გინების ლექსიკონიც კი შეიძლება არსებობდეს. შორს რომ არ წავიდე და ჩემთვის მახლობელი სპარსული ლიტერატურით შემოვიფარგლო, კლასიკოსთა თხზულებებს რომ გამოსცემენ, ერთ რკალად ჩაურთავენ მათ მიერ შექმნილ სკაბრეზულ ნიმუშებსაც და უშუალო სახით და არა დაქარაგმებულსო.

მაგრამ სხვა ქვეყნებმა თავისი საქმისა იცოდნენ – როდესაც ძლიერი სახელმწიფო ხარ და არა გაგლეჯილ-გამოგლეჯილი და უზარმაზარ ტივზე განოლილივით მოტორტმანე, მაშინ ასეთი ექსპერიმენტები არაფერს დაუშავებს შენს კულტურულსა და საზოგადოებრივ ყოფას, მკითხველიც ლიტერატურულ მასალად აღიქვამს და არა პირად შეურაცხყოფად, სილის განვნად თუ ამგვარებად.

ხალხში ცხოვრობ და არა ბროლის კოშკში!.. და სწორედ იმ ხალხში და ისტორიის იმ მონაკვეთში, რისი გათვალისწინებაც ყველა ჩვენგანს მოეთხოვება, რათა თუნდ კეთილი განზრახვა, მკითხველის გასახალისებლად და სულის მოსათქმელად ჩაფიქრებული ამ გაუსაძლის დროში, უცნაურად არ შემოგვიბრუნდეს. ასეთ შემთხვევაში ვეღარც ის მობოდიშება გვიშველის, წიგნის სახელწოდებაშივე გატანილი – „მოუკრეფავნი“.

თუმც ასე ხომ რეცენზია შეიძლება გამოგვივიდეს.

მიზნად კი სულ სხვა რამ გვქონდა – ერთი გაკაფიების გახსენება, „მოუკრეფავნის“ წარდგინებას რომ მოჰყვებოდა თეატრალურ სარდაფში – მაინცდამაინც 14 აპრილს.

ტრისტან მახაური ამ ეპიგრამას გაუგზავნიდა ალექსი ჭინჭარაულს:

**მოუკრეფავში შესულა  
გუშინ ბატონი ვახუშტი,  
ყველა იქ შეურება –  
ჭკუამრთელი და ჭკვასუსტი.**



მეგობრული შარჟი  
გივი ყანდარელისა

**შენ გელი, ძია ალექსი,  
კაფია მითხარ, რას უცდი!**

რას დაუცდიდა და რას დაახანებდა, მაშინ ალექსი ჭინჭარაულიც ხომ აღარ იქნებოდა:

**სხვა საქმე გამოელია,  
მიჰმართა კაპრეზულებსა.  
აქეთ ჩვენ გვიშლის წერვებსა.  
იქ – წინაპართა სულებსა.  
ვახუშტის ყველაყისამა,  
მაგით იშოვის ფულებსა.**

განმარტებაც არ არის აუცილებელი, განგებ რომაა გადასხვაფერებული „სკაბრეზული“ „კაპრეზული“ – იუმორისტული ეფექტის გასაძლიერებლად.

... ჩემზე იყოსო, – დაიქადნებს ვახუშტი კოტეტიშვილი, ამ ჩანანერს რომ გადაიკითხავს.

იყოს, მე რა – ხელში მომყვა ეს სახალისო გაბაასება და რატომ დამეკარგა, არა კმარა, რაც უკვალოდ გამქრალა ალექსი ჭინჭარაულის ჩინებული კაფიები თუ ეპიგრამები, რომელთა ერთი წყებაც ასე მოხდენილად ასხმულა ერთი-ერთმანეთზე იმ საუკეთესო ლიტერატურულ პორტრეტში, ვახუშტი კოტეტიშვილს რომ შეუქმნია თავის ძველ მეგობარსა და პოეტურ მოშულარზე. და კბილსაც გაკრავს: უაღრესად სერიოზული ტიტულები სრულიადაც არ უშლის ხელს ყოვლად არასერიოზული ლექსების წერაშიო.

ჩემზე იყოსო – სულ ასე ექადნებინა ერთმანეთს.

\* \* \*

ლევან ბრეგაძე ბავშვობი-სას ხატვას რომ მოინდომებ-და, კიდეც მალევე ჩამოეხსნე-ბოდა ამ განზრახვას, რო-გორც შეუფერებელს მისთვის. დიდ განცდებთან არ ყოფილა დაკავშირებული მხატვრობა-ზე ხელის აღება. მაგრამ ისე მოხდება, რომ მისი ვაჟი, ოთ-ხი-ხუთი წლისა, ვერა და ვერ შეეგუება, როგორ თუ ხატვა არ გამომდისო, ნერვიულდე-ბა, ტირის, ძნელდება მისი დაწყნარება.



მხატვარი პაბლო პიკასო

მოიმარჯვებს ფანქრებს, ყინით ანთებული მიეტანება ფურცლებს და... ისევ აქვი-თინდება:

– არ ვარგა, არაააა, ვერ ვამგვანე-ე-ე-ე-ბ!

ლევანი რაც შეუძლია ამშვიდებს, გულს უკეთებს:

– რას ამბობ, გიორგი, რა არ მოგნონს, მშვენიერი ნა-ხატია.

მაგრამ ის:

– არაააა, არ ვარგაააა, აბა, ეს რა არიიიის!

და გრძელდება ასე, ვიდრე ლევანს გაახსენდებოდეს პაბლო პიკასოს ის პარადოქსული ფრაზა, უკე ხანშიშე-სულს რომ დასცდებოდა და ხელოვნებათმცოდნეობა მი-

სი შემოქმედების გასაღებს ამ სიტყვებში დაინახავდა:

– ძლივს არ ვისწავლე ისე ხატვა, ბავშვები რომ ხატავენ!

ეს „ისე ხატვა“ ახალი ესთე-ტიკის, ახალი მიმართულების, ახალი მსოფლხედვის დამ-კვიდრებაა დასავლურ ხელოვნებაში.

ლევანი სასწრაფოდ მოიძი-ებს პაბლო პიკასოს ალბომს, საუკეთესოდ გამოცემულს და ბავშვის თვალში კიდეც უფრო გრანდიოზულს, დაუჯდება შვილს, გადაუფურცლავს ალ-ბომს და იმ ფრაზასაც გაუმეო-რებს, გაოგნება რომ გამოიწვია

თავის დროზე და ჯერაც არ დაუკარგავს შთამბეჭდაობა.

– ნახე, შვილო, ეს ერთ-ერთი დიდი მხატვარია და ადა-მიანი ადამიანს თუ ჰგავს, შენობა შენობას, საგანი საგანს.

– ჩემსავით ხატავს, – უხარია ბიჭს, ნამტირალეც თვა-ლებს იწმენდს.

– ჰო, შენსავით...

და გიორგი აღარასოდეს ანერვიულდება, ვერ მივამ-გვანო.

„კონფლიქტი ამონურულიაო“ – იტყოდნენ ჩვენი უურ-ნალისტები, უნებურად რომ გადაწყდომოდნენ ამ სცენას.

\* \* \*

ანდაზის ძალა და მაღლი ისაა, რომ დროის ჩარჩოებში არ ემწყვედვა.

საუკუნეები წავლენ, საუკუნეები მოვლენ, ანდაზა კი იქნება და იქნება იმ ქვიშასავით, წყლით რომ არასდროს გა-დაილეკება.

და შემოგეშველება ისევე, როგორც შენს პაპას შეშველება, იმის პაპას, იმის პაპას, კიდეც იმის პაპას და კიდეც... გაუმ-ხნევებია, გაუხალისებია, აბურდულ რეა-ლობაში გზის გასაგნებად წახმარებია.

სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუცი-ასაც არა სცნობს ანდაზა.

მაგრამ ზოგიერთი ნიმუში შესაძლოა მოძველებული მოგვეჩვენოს და მისმა ხსენებამ ის შთაბეჭდილება აღარ მოახ-დინოს, რასაც ადრე იწვევდა.

– ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო.



მხატვარი თემურ სობაძე

სიბრძნესაც იტევს და მძაფრ ირონი-ასაც ეს ფრთიანი ფრაზა, ასწლეულებს გამოტარებული და პაპების ხელში ყო-ველთვის ახალივით აელვარებული, მაგრამ დღეს... დღეს გამოჩნდება ექოს-კოპია თავისი ჯადოსნური უნარით, წი-ნასწარვე დაბეჯითებით გამცნოს ახალ-შობილის სქესი და... მთელი თავისი სი-მახვილე დაკარგოს იმ შეგონებამ, რომ არ უნდა იჩქარო სახელის დარქმევა, ვიდრე ნაყოფი სამზეოს მოველინებო-დეს.

სახელს წინასწარვე არქმევენ ახალ-შობილთ, მისი პირველი წამოტირების მოსმენა რაღა აუცილებელია.

აბრამსაც, მათ შორის.

დრო-ჟამი ვერ ერევა ანდაზას, მაგ-რამ თითო-ოროლა ნიმუშს აგერ... აგერ...

სახლეპი და ფილმეპი

ტიპიური პროექტების მიხედვით აშენებული საცხოვრებელი სახლების უნუგეშო ერთფეროვნება კარგა ხანია გადაქცეულა მიმზიდველ თემად იმავე სახლებივით ერთფეროვანი ანეკდოტებისათვის.

კაცმა რომ თქვას, მართლაც ვერაფერი სიამოვნებაა, როდესაც მიდიხარ ქალაქის რომელიმე უბანში და სახლებს ერთმანეთისგან მხოლოდ ნომრით ანსხვავებ. დანარჩენი თითქმის ყველაფერი სტერეოტიპული აქვთ და იმ ტყუპებივით გამოიყურებიან, ერთნაირად რომ არიან გამოწყობილნი ერთი და იმავე მოდის, ერთი და იმავე ზომისა და ერთი და იმავე ფერის ტანსაცმელში.

საყოველთაოდ აღიარებული მსჯავრი ჩანასახშივე აქრობს ყოველგვარ განსხვავებულ მოსაზრებას და თავის ტყვეობაში აქცევს ყველას – ახალგაზრდას თუ ხნიერს, ჩინიანსა თუ უჩინოს.

მაგრამ ერთხელაც, მოულოდნელად ჩნდება საესეებით ახალი რაკურსი და ცხოველი ინტერესი ჩაენაცვლება ერთფეროვნებით გამოწვეულ ინდიფერენტობაში.

როგორც არაერთხელ უთქვამთ, მწერლობა არის არაჩვეულებრივის დანახვა ჩვეულებრივში და ჩვეულებრივისა – არაჩვეულებრივში.

და აი, ჯერომ სელინჯერის მოთხრობაში „ჭერი ასნიეთ, დურგლებო“ ვკითხულობთ, რომ მთავარი გმირი ამ ნაწარმოებისა სიმორ გლასი უსმენს საბავშვო რადიოგადაცემას, რომელშიც მისი მონაწილე ყმანვილები, წამყვანის დავალებით, საბინაო მშენებლობაზე საუბრობენ. ერთი მათგანი ამბობს, ამ სტანდარტულ სახლებს, ერთიმეორის მიყოლებით რომ ჩამწკრივებულან, ვერა და ვერ ვიტანო. მაგრამ მისი თანამოსაუბრე (სიმორის უმცროსი ძმა) შეედავება, რას ბრძანებთ, მშვენიერი სახლები არისო. სიმორი ეთანხმება მას და თავის დღიურში ჩანერს: მართლაც მშვენიერი რამ იქნება, შინ მიდიოდე, უცებ სხვის სახლში ამოყო თავი და შენი სახლი კი გეგონოსო (მერე ჩამოთვლილია აქედან გამოდინარე ექსცენსიკული გაგრძელებანი).

სელინჯერის ეს მოთხრობა, შესაძლოა, წაკითხული ჰქონდა კინორეჟისორ ელდარ რიაზანოვს, როდესაც თავის გახმაურებულ ფილმს „ბედის ირონიას“ იღებდა. მაგრამ ვინ იცის, ეგებ არც ჰქონდა წაკითხული და დამოუკიდებლად დაებადა თავში სიუჟეტი, სელინჯერის მიერ შთაგონებულად რომ მოგეჩვენება. ასეა თუ ისე, ამერიკელი მწერლის ნაწარმოებში გაკვრით გამოთქმული ორიგინალური აზრი ხორცშესხმულ იქნა საბჭოთა კინორეჟისორის ფილმში და აგერ ოცი წელიწადი იქნება, რაც მოსკოვისა თუ თბილისის ტელევიზია ყოველ ახალს წელს დაუზარებლად გვიმასპინძლებდა ამ საუცხოო კინოკომედიით და ჩვენც არ გვებზრდება მისი ყურება.

სტანდარტული სახლების პრობლემაზე პოლონელი კინორეჟისორი ანჯეი ვაიდაც ამახვილებს ყურადღებას.

თავის წიგნში – „კინო – ჩემი მონოდება“, რომელიც 1986 წელს დაუწერია, ვაიდა მოგვითხრობს, რომ ერთხელ, დიდი ხნის წინათ, ახალმშენებლობათა კვარტალს ათვალიერებდა. ნაღვლიანად შენიშნავს, სახლების ერთფეროვნება მთრგუნავდაო. მსგავსი ნაგებობანი, ცხადია, შემდგომშიც უნახავს,



ანჯეი ვაიდა

მაგრამ უსიამო გრძნობას ყოველთვის თან სდევდა ფიქრი იმის თაობაზე, რომ ასეთ ადგილებში ღრმა ადამიანური

დრამები შეიძლება წარმოიქმნას. სინანულს გამოთქვამს, რატომღაც ვერ მოვახერხე მომეფიქრებინა ისეთი სიუჟეტი, რომლის მეოხებითაც რომელიმე ამ დრამათაგან ეკრანზე ამესახაო. მოგვიანებით თავად ცხოვრებამ მიანაოდა საკმაოდ მძაფრი სიუჟეტი. მოსკოვში ყოფნისას, ანალოგიურ რაიონს რომ ათვალიერებდა, ერთობ უცნაური ამბავი მოუსმენია. ვაიდა გვარწმუნებს, გამონაგონი არ გეგონოთ, სინამდვილეში მომხდარაო. აი, ეს ამბავი:

კინოგადაღების დროს, რომელიც ტარდებოდა ქუჩაში, ერთმა მსახიობმა ვაჟმა გაიცნო ქალი. ერთმანეთი მოსწონებიათ. პაემანი მოსდევდა პაემანს. ერთ მშვენიერ საღამოს ვაჟმა სახლამდე მიაცილა ქალი და ღამით მასთან დარჩა. ერთი სიტყვით, მწველი სიყვარული აღმოცენებულა. მეორე დღეს ვაჟს დილაადრიან გაეღვიძა, ქალს ჯერ ისევ ეძინა. ვაჟმა გადაწყვიტა, გაეახარებო და უახლოეს მალაზიაში გაეშურა საყიდლებზე. კმაყოფილი და ბედნიერი ბრუნდებოდა მალაზიიდან, მაგრამ ერთფეროვანი სახლების ლაბირინთში გზა აებნა და, მიუხედავად დაუღალავი ძებნისა, სატრფოს სახლს ვერასოდეს ვეღარ მიაგნო.

დაუჯერებელი ამბავია? მისი ფინალი შეთხზულსა ჰგავს? მაგრამ ვაიდა რომ გვარწმუნებს, ეს ამბავი ნამდვილად მოხდაო?!

პოლონელი კინორეჟისორის სიტყვით, კომპარული რაიონის უბრალო ფაქტურიდან საინტერესო ფილმის იდეა წამოიზარდა. ჩვენთვის დამაფრთხობელმა რეალობამ რომ აგაღელვოს და შეგძრას, ამგვარი რამ მხოლოდ იმ ადამიანის დრამას ძალუძს, რომელიც ამ არქიტექტურის მსხვერპლი გამხდარაო.

ვაიდა რეალურ ამბებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს საამისოდ. იგი აღნიშნავს, რომ ინფორმაცია 1980 წელს პოლონეთში მომწიფებელი საყოველთაო გაფიცვის თაობაზე გავრცელებულა, თქვენ წარმოიდგინეთ, მთავარი ენერგოდისპეტჩერის კაბინეტიდან: როდესაც ყოველ საათში ელექტროენერჯის მოხმარება მკვეთრად ეცემოდა, ცხადი შეიქნა, რომ ქარხნები გაჩერდა და რაღაც უნდა მომხდარიყო – გაუთვალისწინებელი და საშიში.

როდესაც ვაიდა მუშაობდა ფილმზე „რკინის კაცი“, ენერგოდისპეტჩერის კაბინეტში შექმნილ სიტუაციაზე, თურმე, არაფერი სცოდნია. რომ მცოდნოდა, ძალზე გრძელი საექსპოზიციო სცენების ნაცვლად გადავიღებდი ერთადერთს, სადაც ფილმის პერსონაჟი – ჟურნალისტი, რომელიც მასწავლას აგროვებდა ენერგოდისპეტჩერის მუშაობის შესახებ, მის კაბინეტში შეესწრებოდა კარს მომდგარი კატასტროფის მაუწყებელ ნიშანს, გაიგებდა სიმარბოლეს ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე და ყველაფერი ეს, თავის მხრივ, ფილმის შემდგომი ფაბულისათვის ამოსავალი წერტილი იქნებოდაო.

ანჯეი ვაიდა დაასკვნის, რომ მქსიერებაში ამგვარი ამბების დაგროვება აუცილებელია რეჟისორისათვის. ამის შედეგად ზოგადი გარდაისახება კერძოში, აბსტრაქცია მოიხვეჭს კონკრეტულობას, იდეა შეისხამს ხორცს და ადამიანურ დრამად გადაიქცევაო.

კახეთის ღრუბლის დანახვა  
ალარ მინდაო

ნებს გაჩაჩხაჩხებული სცენის  
უმსხა და ლაზათს.

ისევე ფარსადან გორგიჯა-  
ნიძეს დავუთმობ სიტყვა:

„ლხინსა და ნადირობას შეექცეოდეს და წამს დაი არ მოშორ-  
დის და საქმელსა და ღვინოს უწინ ქმარს მიაართვის და მერმე  
ძმასა. მამამთილისაგან მონამღვისა ეშინოდა“.

ვაი, ჩვენი ბრალი! დაშინებული ქალი ძმის გულისათვის  
ქმარსა სწირავდა.

ქეთევანი ორ ცეცხლშუა იყო მოქცეული: ქმარს უკანო-  
ნოდ ეჭირა კახეთის სამეფო ტახტი, რომელიც კანონით ქე-  
თევანის ძმას – ერეკლე ბატონიშვილს ეკუთვნოდა. რა წყალ-  
ში უნდა ჩავარდნილიყო?

ჯერ კიდევ კახეთში ერეკლეს ჩამოსვლამდე ქეთევანი  
მოსკოვში დაბინავებულ დედას სწერდა: „ჩემო მოწყალე და  
სიზმარშიგან სანახავო და მლთის შეწვევით სანატრელო ჩემო  
ბატონო დედავ... ეგების ასე გეგონოთ, რომა კახეთი მინდო-  
დეს და მიყვარდეს. როგორც ღმერთის გმობა არ მინდა, პაპის  
ჩემის და მამის ჩემის მოთხრა და გადაყრა და თქვენი სიკვდი-  
ლი, ისე მე კახეთის ღრუბლის დანახვა აღარ მინდა... აქაური  
ქალის და კაცის დანახვა სიკვდილათ მიმანჩნია და აქაური საქ-  
მელი და სასმელი ცეცხლად და ნავთად. ვის უნდა აქაურობა,  
ვის თავსლაფიანს უნდა, მაგრამა ქართლის ბატონს რა გაენ-  
ყობა... ჩემი აქ ყოფნა ჯოჯოხეთში ჯდომაა, მაგრამ რა ვქნა“.

სწორედ 1674 წელს შაჰ-სულეიმანმა მოსკოვში უქმად  
მყოფი ერეკლე ბატონიშვილი ირანში მიიწვია. ჩანს, კახეთში  
გასამეფებლად ეპატიუებოდა. სეფიანთა სამეფო კარზე არ  
ექაშნიკებოდათ, რომ ქართლ-კახეთი მამა-შვილის (ვახტანგ  
V და არჩილი) ხელში, ფაქტიურად, გაერთიანებული იყო და  
ადვილად ვერ წამოკრავდნენ ხელს. ერეკლე ბატონიშვილის  
ჩამოსვლა კი გვარიანად აამღვრედა წყალს.

ქართლის მეფე, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, სეფიანთა კარ-  
ნახით რა როლიც უნდა შეესრულებინა კახეთის ტახტის მემ-  
კვიდრეს და, ამდენად, ქეთევანის ეჭვები, ვაითუ ძმა მომი-  
ნამლონო, საფუძველს მოკლებული არ იქნებოდა.

ძალაუფლებისათვის ბრძოლაში სწირად ავიწყდებოდათ  
ყველაფერი. შვილის ცოლისძმას კი არა, საკუთარ შვილებსა  
და ძმებს არ შეეპუებოდნენ, თუკი ჩიტი ზღვანად ღირდა.

მაგრამ ქეთევანის ეჭვები არ გამართლებულა. ერეკლე  
ბატონიშვილმა სამი თვე დაჰყო კახეთში, კარგი დრო გაატა-  
რა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ირანის შაჰის ჩაურევლად  
პაპისეულ სამფლობელოს ვერ დაეპატრონებოდა და ისპაა-  
ნისკენ აიღო გეზი, რათა მწყალობელი და მოწყალე ხელმწი-  
ფის შემწეობით აღედგინა სამართალი.

ცხოვრებაში, შორეული  
წარსული იქნება თუ დღევან-  
დელი დღე, გაცილებით საო-  
ცარი ამბები ხდება ხოლმე,  
ვიდრე უმდიდრესი შემოქმედებითი ფანტაზიით დაჯილდოე-  
ბულ მწერალს შეუძლია შეთხზას.

ქართული საისტორიო წყაროების კითხვისას ზოგჯერ  
ისეთ საკვირველ ფაქტს წაანყდები, რომ თვალებს არ უჯე-  
რებ, ეჭვდები – ხომ არ მეჩვენებაო. მაგრამ ნამდვილად ისა  
წერია, რაც წაიკითხე. და არავითარი საფუძველი არ გაგაჩ-  
ნია, რომ უნდობლად შეხედო ავტორს; მრავალჯერ დაუმ-  
ტკიცებია თავისი პროფესიონალიზმი, გონიერება და კე-  
თილსინდისიერება. ამა თუ იმ სადავო საკითხის განხილვის-  
სას მიუკერძოებელი მკვლევარი, ძალზე ხშირად, მის ინფორ-  
მაციას ანიჭებს უპირატესობას.

XVII საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ფარსადან გორგი-  
ჯანიძეს მიეთვლება ზემოთქმული შეფასება-ქებანი.

ფარსადან გორგიჯანიძის საკმაოდ ვრცელსა და უაღრე-  
სად საინტერესო თხზულებაში ერთ პანია ეპიზოდზე მინდა  
შევაჩერო მკითხველის ყურადღება. იქ არც ფანტასტიკური  
გმირობაა აღწერილი და არც გაუგონარი სისასტიკე, რომ  
აგაფორიას. მხოლოდ და მხოლოდ ერთი ყოფაცხოვრები-  
თი ამბავია, რომელიც საგულისხმო შტრიხით ამდიდრებს ინ-  
დივიდუალურ ვნებათა თუ საქვეყნო ქარტეხილთა წყალო-  
ბით აფერადებულ ცხოვრების სურათს.

ორიოდე სიტყვა იმხანად არსებული ვითარების შესახებ.

1674 წელს ერეკლე ბატონიშვილი, შვილიშვილი თეიმუ-  
რაზ პირველისა და კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე, რუ-  
სეთიდან საქართველოში ბრუნდება.

ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს: „თუშეთის გზით  
კახეთს ჩამოვიდა და შაჰნაზარ-ხან კახეთში ბატონობდა და  
ერეკლეს დაი ქეთევან დედოფლობდა და ოცი წელიწადი იყო  
და ამათ ერთმანეთი არ ენახათ. რა ნახეს, დიდი სიმხიარულე  
შეიქნა მათში და სრულ კახეთში და ლხინსა და ნადირობას  
შექცეოდეს“.

როგორც ვხედავთ, ყველაფერი რიგზეა. არჩილ მეფე შე-  
რიგებია თავის ცოლისძმას, ვისაც ათიოდე წლის წინათ სის-  
ხლისმღვრელ ბრძოლაში საგრძნობი მარცხი მიაყენა. სიძესა  
და ცოლისძმას შორის ჩატეხილი ხიდის გამთელება, ალბათ,  
ქეთევან დედოფლის დამსახურებაა – თავისი წამებული სენ-  
ინა-დიდერის ღირსეულ მემკვიდრედ რომ გამოიყურება.

ლხინი ლხინს გადებდა, ნადირობა – ნადირობას. ეს ისტო-  
რიის გაჩაჩხაჩხებული სცენაა. კულისებში რაღა ხდება? სწო-  
რედ კულისებში ხდება, რაც ხდება და, ვაგლახ, ჩრდილს აყე-

8 მაისს ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარ-  
ბაში მწერალ ბესო ხვედელიძის ახალი რომანის „უზარმაზარ-  
ი ბაზრის“ პრეზენტაცია გაიმართა. ავტორმა ნახევრად  
ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად აღნიშნა, რომ წარ-  
დგინების თარიღი სიმბოლურად მისი წიგნების რიცხვს დამ-  
თხვა, რადგან ეს ახალი რომანი მისი მერვე წიგნია, რომელიც  
იმავედროულად გაზეთ „კვირის პალიტრის“ ბაზაზე ახალდა-  
არსებული გამომცემლობის პირველ წამუშევრად მოგვევლი-  
ნა. უნდა აღინიშნოს, რომ პირველის კვალობაზე წიგნის დი-  
ზაინი არცთუ ურიგოდ გამოიყურება, რაც შეეხება თვითონ  
რომანს, მისი შეფასება მომავლის საქმეა, დროისა, როცა  
წიგნი კრიტიკოსებამდე მიაღწევს და კრიტიკოსები წაკით-  
ხვისათვის მოიცლიან.

მანამდე პრეზენტაციაზე ძირითადად ზოგადად და ძირი-  
თადად ბესო ხვედელიძის სხვა ნაწარმოებებზე ისაუბრეს,  
რომლებიც იმის იმედს ნამდვილად იძლევა, რომ ახალი რო-  
მანი მინიმუმ საინტერესო, მაქსიმუმ კი შესანიშნავი იქნება.

ყოველ შემთხვევაში, კრიტიკოსმა ლევან ბრეგაძემ წიგ-  
ნის წარდგინებაზე აღნიშნა, რომ ბესო ხვედელიძე ის მწერა-  
ლია, რომლის ახალ ნაწარმოებებსაც დიდი ინტერესით ელის,  
რადგან ეს კაცი თავის თაობაში და საერთოდ, ქართულ მწერ-  
ლობაში, გამორჩეულ ავტორად ეგულება.

დაგვეთანხმებით, დივიდენდის პირობაზე არცთუ მოკ-  
რძალეული შეფასებაა. ჩვენ კი იმედი დავიტოვოთ, რომ ბე-  
სო ხვედელიძის ახალი რომანი არც ლევან ბრეგაძესა და არც  
სხვა მკითხველს იმედს არ გაუტრუებს.